კვირის პალიტრა

# გზა

N40 (4

80 თეთრი



„სექსუალური ქალი ხარ და შენ მჭირდები"...

ნინა ანრის „ვიაგრას" მაგივრობას გაუწევს

რობერტ სტურუა თეატრიდან მიდის



„გემოვნებიანი ადამიანი ვარ და ამაში გენების მიწყობს ხელს"...



„მის შესახებ არაფერი ვიცი"...



ომში დაკარგული მეომრის მოლოდინში

დევნილების უნუგეშო ყოფა ზამთრის მოახლოებისას...

ISSN 1987 - 50

1168
2008

# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor
DIVISION
OIKOS

Paint
DIVISION
OIKOS

Façade
DIVISION
OIKOS

OIKOS

მზია
№40 (434)
2 – 8 ოქტომბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

## რატომ გაბრაზდა საკუთარ თავზე გიორგი ახვლედიანი



„დღევანდელი „იმედი“ ძველი „იმედისგან“ ძალზე შორს დგას. თავისუფალი ტელევიზიის არსებობა აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ კონტროლის მექანიზმი გაძლიერდეს. ის, ასე ვთქვათ, ხელისუფლების „ალვირი“ უნდა იყოს“.

20

## „ქორწინების მოწმობისთვის 9-ლარიანი ქვითარიც საკმარისია“

„თუკი წყვილს მხოლოდ ქორწინების მოწმობა სჭირდება, 9-ლარიანი ქვითარიც საკმარისია, ხოლო საზეიმო გარემოში ხელის მოწერა, 130 ლარი უჯდებათ“.



26





დაუფასებელი ამაგი

მზიავნილები



გადაიხადე გადასახადები და იძინე მშვიდად ბორდიურზე, ბაღში, მერხზე, სადგურში...



მარტივი რჩევები

35

■ მინიატიურები
„გზად სტუდენტობა იჩქარის“
ანუ ყველანი აუდიტორიაში!.. 5

■ ფაქტი და კომენტარი
„რამდენიც უნდათ, იმდენი უნიტაზი წაიღონ,
ოღონდ ჩვენი ტერიტორიები დაგვიბრუნონ“ 6

■ პოზიცია
რატომ მოსთხოვეს
რუსეთის საპატრიარქოს თავშეკავება?! 7

■ მეომარი
ომში დაკარგული მეომრის მოლოდინში 10

■ ჟურნალისტის როლში
„სექსუალური ქალი ხარ და
სწორედ შენ მჭირდები“... 12

■ რეპორტაჟი
რუსული აგრესიის ამსახველი მასალები
სტალინის კაბინეტში განთავსდება
ანუ მუზეუმი მუზეუმში 14

■ პრობლემა
„უკვე აცივდა, რა გვეშველება?!“ 16

■ გემოვნება
„ბუნებით ესთეტი ვარ და
ამაში გენებიც მიწყობს ხელს“... 18

■ ერუდიტი
„მინდოდა, ჩემი თავი უფრო
კარგად წარმომეჩინა...“ 20

■ მოდელი
იტალიელი სტილისტის მიერ
არჩეული ქართველი ქალი... 22

■ მადლი
მრავალშვილიანი ოჯახის უნუგეშო ყოფა... 23

■ დიდი მაესტრო
რობერტ სტურუა თეატრიდან მიდის... 24




— სად მიგეჩქარება? — ქოშინით შეუძახა ჰასანმა მომდევნო მოსახვევის გავლის მერე.
— ტყვეობიდან დახსნილი, ქარაფზე უნდა გადამჩეხო?!
— ტყვეობიდან დახსნილი, ისევ კარანაუსელთა ხმლის ლუკმად რომ არ იქცე, ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, — უპასუხა მუროჩიმ.

78

■ საპატარძლო
„შენმა სიყვარულმა ლექსების
წერა დამაწყებინა“... 25
■ რიტუალი
„ნუ დაივიწყებთ, რომ ერთმანეთი გიყვართ“
ანუ „ქორწინების მოწმობისთვის 9-ლარიანი
ქვითარიც საკმარისია“ 26
■ პილიგრიმები
გრენადელების ქართული აგვისტო 28
■ ანტიდეპრესანტი 30
■ ნამდვილი ამბავი
სისხიანი რეისი 30
■ ჯანმრთელობა
✓ მკითხველის შეკითხვები 32
✓ სხვადასხვა 34
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51
■ საგანძური
ქართული პოლიფონია — მსოფლიო შედევრი 67
■ ტაძარი
წმინდა მოწამეთა ნაწილები, რომელთაც
განსაკუთრებით შიშისგან განკურნების
ძალა შესწევთ 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ წარბების ფორმა და სახის ოვალი 76
✓ ლამაზი ხელები რომ გქონდეთ 77
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე
ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78
■ ვარსკვლავები 82
■ თინეიჯერული პონტები
✓ ვირტუალური სიყვარული 84
✓ „მაგთი“-ჩატში უბრალოდაც რომ შეიხედო,
დაორსულდები“ 86
■ კრიმინალი
ექვიანობის მოტივით თუ განზრახ
ჯგუფური მკვლელობა? 88
■ დაიჯესტი 92
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

## ანჯელინა ჯოლის ახალი ფოტოსურათები



„დაბერილი ტუჩებით, მშვენიერი, კატისებური თვალებითა და გრძელი, წაბლისფერი კულულებით ენჯი ბუნებამ დაასაჩუქრა“.

83

## რობერტ სტურუა თეატრიდან მიდის...

„შეიძლება, მინდოდეს კიდეც დარჩენა, მაგრამ ხომ იცით, ბებერი ქმარი არავის სჭირდება (*იცინის*); მით უმეტეს, თუ ახალგაზრდა ცოლი ჰყავს. ჩვენთან ბევრი ახალგაზრდაა, მინდა, რომ მათ ასპარეზი დავუთმო“.



24

## იტალიელი სტილისტის მიერ არჩეული ქართველი ქალი...



„სილამაზის სალონმა „ნატალიმ“, როგორც ცნობილ სტილისტს, უფლება მისცა, რამდენიმე მოდელისგან ერთ-ერთი აერჩია, რომელიც შემდეგ „ნატალის“ სახე გახდებოდა. მან კი მე ამირჩია. როგორც შემდეგ თვითონ მითხრა, თურმე იტალიელს ვგავარ“.

22

## მორიელის ნიშანი



— აღარ არის ბავშვი. თქვენ გეგონათ ასე, მაგრამ მოტყუვდით. მით უმეტეს, ახლა! ბავშვი კი არა, ქალია, ქალი, რომელიც ჩემგან შვილს ელოდება.

— რა-ა?! — ფეხზე წამოიჭრა მამაკაცი. — ვინ გითხრა, საიდან მოიტანე?

— ექიმმა თქვა, — ყრუდ გაისმა მორიელის ხმა.

70

# „გზად სტუდენტობა იჩ-ქარის“ ანუ ყველანი აუდიტორიაში!..



29 სექტემბერი რამდენის მთქმელი იყო ეს თარიღი ყოველთვის: ყოველი წლის 29 სექტემბერს ხალხი ამბობდა, 28 დღის წინ სწავლა დაიწყოო! ეს ისე, ფორმალურად, თორემ რასაც კარგი სწავლა ჰქვია, მუდამ 29-ში იწყებოდა... და აი, წელს პირველად მოვიშორეთ ფორმალურობის კომპლექსი და პრდაპირ კარგი სწავლა დავიწყეთ ანუ 29 რიცხვში გავაღეთ უმაღლესი სასწავლებლების კარი. ესეც ალბათ სტუდენტებმა და განსაკუთრებით, პირველკურსელებმა იძალეს, დავიღალეთ ამდენი დასვენებითო (ან უნივერსიტეტების წინ „პერაშკებისა“ და „სემიჩკის“ იაფად გამყიდველებმა), თორემ ლექტორებს ყელში აქვთ ამოსული მათი ჟრიამული და ისიც კარგად იციან, რომ 29 სექტემბერს კი არა, 29 დეკემბერსაც რომ დაეწყოთ სწავლა, იმავე შედეგს მიიღებდნენ, რადგან მაინც ბოლო სამ დღეში სწავლობს სტუდენტი საგამოცდო მასალას. თანაც, 1-ელი სექტემბერი, რომელიც აქამდე სწავლის დღედ მიიჩნეოდა, წელს ერთიანობის დღედ გამოცხადდა და რა გაჭირვებაა ისეთი, ერთ დღეს ორი მნიშვნელოვანი თარიღი იყოს და მეორე დღეს — არც ერთი?! მოკლედ, დაიწყო ახალი სასწავლო წელი და აუდიტორიები სწავლამოწყურებული სტუდენტებით აივსო. ყველას ვულოცავ, რადგან მათ ეს საპატიო ტიტული დაიმსახურეს და ეროვნული გამოცდები ჩააბარეს. თუნდაც ამიტომ მართლა ეკუთვნოდათ 29-მდე დასვენება, თორემ რამდენიმე წლის წინ, ვერც იგებდი, ისე ხდებოდი სტუდენტი, ასპირანტი, კანდიდატი თუ დოქტორი — მთვარი მაშინაც ცოდნა იყო, ოღონდ, ის „ცოდნა“, ამერიკის პრეზიდენტები რომ ახატია.



სტუდენტობა ხომ მართლაც ოქროს ხანაა ადამიანის ცხოვრებაში და როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა, თუ სტუდენტი არ ყოფილხარ, ვერასოდეს გაიგებ ინსტიტუტის სასადილოში დამზადებული მჟავე ბორშჩის და შავი პურის ქერქზე წასმული ნივრის გემოსო... ეჰ, ნეტავ, იმ დროს, ეგ რომ მშიერი და ჯიბეგამოფხეკილი სტუდენტის იძულებით საკვებად მიიჩნეოდა, თორემ ნივრიანი შავი პური ახლა ნებისმიერ ბარში იმ ჯადოსნურ სტიპენდიაზე მეტი ღირს, თვიდან თვემდე რომ ჰყოფნის სტუდენტს ყოველგვარი მათემატიკური კანონის დარღვევით! ჩვენც ხომ ეგრე ვიყავით: ჩემი სტუდენტობის წლებში, შავი და თეთრი ზღვების ქაფშიის მარაგის ნახევარი მაქვს შეჭმული თუ — ტომატში და თუ — ზეთში და ინსტიტუტიდან სახლამდე კატების საპატიო ესკორტი მიმაცილებდა, მაგრამ მაინც საუკეთესო წლები იყო.

ერთმა ქართველმა პოეტმა კი იუმორით თქვა: „რუსთაველზე გავლა, ლუდის ბარში ჩავლა — აი, რას ეწოდება სწავლა“... რა თქმა უნდა, ლუდის ბარი ერთ-ერთი „აუდიტორიაა“, სადაც ბევრს სწავლობ, მაგრამ მისი ნიშანი მატრიკულში არ იწერება. თუმცა, ბაკალავრის კვალიფიკაციას იქაც მოგანიჭებენ, ოღონდ, ლუდის ბაკალ-ავრის. ამიტომ კარგია, თუ იმ აუდიტორიაში ბოლო ლექციაზე შეხვალ და დილიდან არ დაჯდები! რა დროს ლუდია, ხალხო, თქვენი დასალევი ლუდი ევროპაში იხარშება და ბევრი უნდა ისწავლოთ, რომ მერე იქ ისწავლოთ ბევრი. თქვენთვის უსვრია პუტინს: ევროპული ვიზების რეჟიმიც მარტივდება და გაცვლითი სასწავლო პროგრამებიც იზრდება. ხომ ხედავთ, ვინც უცხოეთში ისწავლა, ყველა მინისტრად მოგვევლინა და თქვენ რით ხართ იმათზე ნაკლები, ტექნიკა არ გიწყობთ ხელს თუ — რა? გინდათ დიქტოფონზე ჩაწერთ ლექტორის საუბარს და გინდათ — დისკზე. დასხედით მერე სახლებში და უსმინეთ — ჩვენი მომღერლების მოსმენას აღარ აჯობებს?! გარეპეთ, გაარემიქსეთ და ან მეცნიერებაში გაგიმართლებთ, ან — შოუბიზნესში.

თუ ვერც ერთში ვერ ივარგებთ, მთავარია, იქაური დიპლომი ჩამოიტანოთ და გზა დიდი პოლიტიკისკენ ხსნილი გაქვთ. მართალია, ყველა უშუალოდ ხელისუფლებაში ვერ დაეტევით, მაგრამ აგერ არაა ოპოზიცია? არ მიგიღებენ თუ — რა? თავისი თავი მიიღეს და ამხელა განათლების მქონე ხალხს ვინ გეტყვით უარს? ოპოზიციაშიც რომ ნასწავლი ხალხი გვეყოლება და მთავრობაშიც, ე, მერე იქნება გვეშველოს რამე. აი, ხომ ხედავ, შენს სწავლაზე რამხელა რამაა დამოკიდებული? ამიტომ, შეელიე ახლა მაგ „ბიჩოკს“, რომ მიიწვი თითები და დროზე — აუდიტორიაში!..

რა თქმა უნდა, არც პროფესორ-მასწავლებლები მინდა დამრჩნენ უყურადღებოდ და რამდენიმე რჩევას მათაც მივცემ: ლექციებზე სტუდენტების მოზიდვის და ლექციის ბოლომდე შენარჩუნების მიზნით, კარგი იქნება, თუ რაიმე დამაინტერესებელს მოიფიქრებთ. მაგალითად, „ამის პატრონმა რა ქნას?“ — ამის პატრონმა ჩამაბაროს კოლოკვიუმი, ამის პატრონი ჩავიდეს დეკანატში, ამის პატრონს ორი აგური უნდა ეჭიროს ხელში, ამის პატრონს ჯობდა, „ტაბურეტკა“ გაეკეთებინა, და ა.შ.

**P.S.** *რექტორისა და პრორექტორის დიალოგი:*

*— რა ვქნათ, ზახარიჩ, არ შემოდიან სტუდენტები ლექციაზე.*

*— გავრიცხოთ.*

*— მერე, გარიცხვის ბრძანება ვაჭამოთ ცოლ-შვილს?*

*— ოოო, ეგ მართალია; რაღაცით უნდა დავაინტერესოთ: სექსოლოგიის ლექცია რომ ჩავუსვათ და შენ ჩაუტარო?*

*— უკვე ჩავუტარე, ზახარიჩ, მაგრამ იმდენი რამ იციან ამ საგანში, რომ თვითონ არიან პროფესორები და მე ცარცზე დამარბენინებენ აქეთ-იქით!..*

***პროვოკატორი***

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

26014

# „რამდენიც უნდათ, იმდენი უნიტაზი წაიღონ, ოღონდ ჩვენი ტერიტორიები დაგვიბრუნონ“...

**მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს მოვლენებიდან თვეზე მეტი გავიდა, საზოგადოების დიდ ნაწილს მნიშვნელოვან ფაქტად კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე რუსი ოკუპანტების ყოფნა მიაჩნია. ზოგიერთ მათგანში განსაკუთრებულ აღშფოთებას სტიქიური მოვლენები იწვევს. სტუდენტობა კი გასულ კვირას, ყველაზე მეტად სასწავლო წლის განახლებამ გაახალისა...**



*ნათია ქივიძე*

**გიორგი ლომინაძე,** *ეკონომისტი, 42 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად ევროკავშირის დამკვირვებლების საქართველოში ჩამოსვლა მიმაჩნია. იმედი მაქვს, ევროპელები ობიექტურები იქნებიან და გაარკვევენ, სინამდვილეში რა მოხდა საქართველოსა და რუსეთს შორის. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, მათი ძალისხმევის შედეგად რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიას დატოვებენ. თუმცა გული მწყდება იმის გამო, რომ როგორც ამბობენ, სოფლები ერედვი და თამარაშენი აღარ არსებობს და იმ ტერიტორიაზე რუსები სანგრებს თხრიან. ეს ალბათ იმის მანიშნებელია, რომ ისინი ამ სოფლების დატოვებას არ აპირებენ. მიუხედავად ამისა, იმედი მაინც მაქვს, რადგან სანგრები ფოთის ტერიტორიაზეც გათხარეს, მაგრამ სულ მალე იქიდან აბარგება მოუხდათ. რამდენიც უნდათ, იმდენი უნიტაზი წაიღონ, ოღონდ ჩვენი ტერიტორიები დაგვიბრუნონ. ძალიან გამაღიზიანა იმ ფაქტმა, ქართველებმა რუსეთის ელჩი დიდი პატივით რომ გააცილეს. მართალია, კონკრეტულად ვიაჩესლავ კოვალენკო დამნაშავე არ არის, მაგრამ სამწუხაროდ, რუსული აგრესიის შემდეგ ჩემში ყველა რუსი გაღიზიანებას იწვევს. არადა, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ასეთი სიძულვილი არ უნდა არსებობდეს...

**თამარ დვალი,** *ექიმი, 28 წლის:*

— ძალიან აღმაშფოთა იმ ფაქტმა, რუსი ოკუპანტები გალის რაიონში სკოლებს რომ ნაღმავენ და ბავშვებს სწავლის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ. თან თავხედობა ჰყოფნით და ხმამაღლა აცხადებენ, რომ ეს ტერიტორიები ქართული აგრესიისგან დასაცავად ინაღმება. რუსების ბოროტებას საზღვარი არ აქვს. ევროკავშირისა და ნატოს წევრებმა რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ. მედვედევს და პუტინს მათი მაინც არ ეშინიათ და მიუხედავად მათი მისამართით არსებული მსოფლიო აგრესიისა, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ. გადაწყვეტილი აქვთ, რომ საქართველო ისევ თავიანთ გუბერნიად გადააქციონ და თავს არ ზოგავენ. სულ არ აინტერესებსთ, მსოფლიოს ქვეყნები მათზე რა წარმოდგენის იქნებიან. დასახული მიზნის მისაღწევად ყოველგვარ ძალას ხმარობენ. მისასალმებელი ფაქტია, ევროკავშირის დამკვირვებლების მისიის საქართველოში ვიზიტი, მაგრამ მეეჭვება, ამან რაიმე შედეგი გამოიღოს, რადგან რუსები ისე არიან გათავხედებულები, ალბათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათ შესვლის საშუალებასაც კი არ მისცემენ. ამ სიტუაციიდან პირადად მე, გამოსავალს ვერ ვხედავ, რასაც საშინლად განვიცდი.

**ირაკლი კაკულია,** *ინჟინერი, 52 წლის:*

— ვიდრე რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიაზე ითარეშებენ, ამაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს, აღმაშფოთებელი ფაქტი ქართველებს არ გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ ერთსა და იმავე დოკუმენტს მედვედევმა უკვე რამდენჯერმე მოაწერა ხელი და საფრანგეთის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზიც დაპირებებით აავსო, რუსი ოკუპანტები საქართველოს ტერიტორიაზე მაროდიორობას კვლავაც განაგრძობენ და ქართულ სოფლებს ძარცვავენ. ქარელის რაიონში 100-ზე მეტი სახლი გადაწვეს. ამას ჰქვია ცეცხლის შეწყვეტა?! ცეცხლის შეწყვეტაში მხოლოდ ავტომატიდან გასროლა ხომ არ იგულისხმება? ცეცხლშია გახვეული მთელი საქართველო. ბავშვებს სკოლაში წასვლის საშუალებას არ აძლევენ და ჩვენს ტერიტორიებზე ჩვენგან თავდასაცავად სანგრებს თხრიან. რა შეიძლება ეწოდოს მათ საქციელს?! ამერიკას საქართველოზე თვალი რომ უჭირავს და ჩვენს შიდა პოლიტიკაშიც კი ერევა, იღონოს ახლა რაიმე. კეთილი ინებოს, მოგვცეს „მაპი“ და ამერიკელი ჯარისკაცები გამოუშვას საქართველოში. ამ პერიოდში კონდოლიზა რაისი და სხვა არაერთი ამერიკელი თანამდებობის პირი არაერთხელ ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ მერე — რა?!

**ნანა თეთრაშვილი,** *დიასახლისი, 57 წლის:*

— ძალზე აღმაშფოთებელი მოვლენაა საქართველოში არსებული სტიქიური უბედურება. ქობულეთის ერთ-ერთ სოფელში მეწყერი რომ ჩამოწვა და 6 ადამიანი დაიღუპა, ამ ფაქტმა საშინლად იმოქმედა ჩემზე. განსაკუთრებულად ბავშვები შემეცოდნენ... როგორც ჩანს, ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს.

**ნინო ჭელიძე,** *სტუდენტი, 19 წლის:*

— ძალიან მიხარია, უნივერსიტეტში სწავლა რომ დაიწყო. მიუხედავად საქართველოში არსებული დაძაბული მდგომარეობისა, სასწავლებელში მაინც დიდი სიხარულით წავედი. განსაკუთრებით გამიხარდა ის ფაქტი, უნივერსიტეტის რექტორმა — გია ხუბუამ სტუდენტი რეზერვისტები კომპიუტერებით რომ დააჯილდოვა. ერთ-ერთი მათგანი უგამოცდოდ მაგისტრატურაშიც კი ჩარიცხეს.

**გიორგი არეშიძე,** *სტუდენტი, 21 წლის:*

— ძალიან მიხარია, სასწავლო წელი რომ დაიწყო. მომენატრნენ ლექტორებიცა და ჩემი თანაკურსელებიც. გარდა ამისა, ახლა ჩვენს ქვეყანაში ისეთი დაძაბული მდგომარეობაა, შინ ჯდომასა და ომზე ფიქრს, უნივერსიტეტში სიარული და სწავლა ბევრად მირჩევნია. ცუდი სტუდენტი ნამდვილად არ ვარ. კარგად ვსწავლობ და იმედი მაქვს, ჩემს ქვეყანას რაიმეში გამოვადგები... ■

**იმ დღეებში, როცა რუსეთი საქართველოს აქტიურად ბომბავდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქს, ალექსი II-ს რამდენჯერმე წერილობით მიმართა, მაგრამ რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გარკვეული მიზეზების გამო, პასუხისგან თავი შეიკავა... მას შემდეგ კი, რაც რუსეთმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა, იქ დარჩენილ ქართულ სალოცავებსა და სასულიერო პირებს რუსეთის ეპარქიის დაქვემდებარებას აიძულებდნენ. ამ მოთხოვნით აფხაზეთის ე.წ. ეპარქიამ რამდენჯერმე მიმართა ზემო აფხაზეთში მყოფ დედათა და მამათა მონასტრებში დარჩენილ სასულიერო პირებს. ერთმორწმუნე რუსეთის საპატრიარქოს ბოლოდროინდელ, „თავშეკავებულ პოზიციაზე" მოსკოვის ცენტრალური სასულიერო აკადემიის კათედრის წარმომადგენელი, ულიანოვსკის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური მამა ანტონი (მუხინი) საუბრობს. მისი აზრით, რუსეთის სწრაფვა საქართველოსა და უკრაინაზე გავლენის „შენარჩუნებისკენ", მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით არ არის განპირობებული.**



# რატომ მოსთხოვეს რუსეთის საპატრიარქოს თავშეკავება?!

ლალი პაპასქირი

**— მამა ანტონ, პირველ რიგში, დიდ მადლობას გიხდით, რომ ჩემთან საუბარს თავი არ აარიდეთ. დიდხანს ვცდილობდი, მომხდარზე რუსეთის საპატრიარქოს პოზიციის გარკვევას, მაგრამ ვერ შევძელი...**

— მესმის, ახლა ორ ქვეყანას შორის უკიდურესად მძიმე და დაძაბული ვითარებაა და რომ არა ქართველი ერისადმი პირადი სიმპათია, ალბათ, მეც თავს შევიკავებდი. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში თუკი რომელიმე ერის მშვიდობისთვის ვილოცებ, ეს ქართველები იქნებიან. მე რამდენიმე ხნის განმავლობაში აფხაზეთში ახალი ათონის მონასტერში ვიყავი, ერთხანს — ბაგრატის ტაძარში, მოგვიანებით კი ოჩამჩირის ეკლესიაში გადავედი, რომელსაც ილორის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედ ტაძარს უწოდებდნენ. კომუნიზმის ხანა იყო. ჩემს გვარს სდევნიდნენ და რუსეთში აღარ დამედგომებოდა. ქართველები, კეთილი, მიმტევებელი თბილი ხალხია და მე როგორც ქრისტიანს, მორალური უფლებაც კი არ მაქვს, ისინი არ მიყვარდეს... რუსებსა და ქართველებს ისტორიულად დიდი ხნის კულტურული და რელიგიური ურთიერთობები გვაკავშირებს და ამიტომ პოლიტიკური დაძაბულობა ჩვენვე უნდა გავანელოთ...

**— დიახ, მამა ანტონ, მაგრამ რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ უპასუხოდ დატოვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ანტიქართულ საქმიანობას განაგრძობს...**

— სამწუხაროდ, ნაწილობრივ უნდა დაგეთანხმოთ, თუმცა, დღეს იმდენად მძიმე ვითარებაა რუსეთში, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ხმის ამოღება, უკვე ეროვნულ ღალატად მიიჩნევა. ჩვენი პატრიარქი რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას სრულად ვერ აკონტროლებს და სწორედ რუსეთის მთავრობის ინიციატივით, ზოგიერთ სასულიერო პირს ქრისტიანისთვის მიუღებელი ბოროტების ჩადენას სთხოვენ. არც საზოგადოებაა ეკლესიის გარშემო გაერთიანებული და ამაში უმეტესწილად რუსული საინფორმაციო საშუალებები სცოდავენ. მათი არაობიექტური მუშაობის შედეგად, რუსეთის მართლმადიდებლური საზოგადოება აღშფოთებული იყო სამხრეთ ოსეთში მომხდარით. ტელეკომპანია „ენტევეს" ერთ-ერთი კორესპონდენტი მთელი სამი დღის განმავლობაში ავრცელებდა დეზინფორმაციას, თუ როგორ ააფეთქეს ქართველმა სამხედროებმა ცხინვალთან რამდენიმე კილომეტრში მდებარე მართლმადიდებლური ტაძარი. ჟურნალისტის თქმით, მან საკუთარი თვალით ნახა, როგორ გადაიწერა ქართველმა ოფიცერმა პირჯვარი და შემდეგ ტაძრის აფეთქების ბრძანება გასცა, სადაც მრევლი მშვიდობისთვის ლოცულობდა. ჩემდა გასაოცრად და სამწუხაროდ, ეს უნიჭო ზღაპარი ხალხმა დაიჯერა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს და თქვენი ხალხის ბუნებასაც კარგად იცნობს... ყველაფრის მიუხედავად, ქართველები რუსეთში საცხოვრებლად მაინც მოდიან, მაგრამ რადგან ქართული გვარები და მოქალაქეობა სახიფათო გახდა, ისინი აზერბაიჯანში გადადიან, იქაურ მოქალაქეობას იღებენ და ისე შემოდიან რუსეთში... ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების სურვილი არ ნიშნავს, რომ აქ ცხოვრება დულს და ყველაფერი რიგზეა. პირიქით, აქედან რუსები ევროპასა და ამერიკაში გარბიან, მაგრამ ქართველსა და რუსს შორის არსებულ გეოგრაფიულ სიახლოვეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უბრალო ხალხს შორის ხიდი დღემდე არ ჩატეხილა...

**— გამოდის, რუს ხალხს დღემდე სჯერა, რომ ქართველებმა ცხინვალში ტაძარი ააფეთქეს?**

— არა, მერე ჩვენი საპატრიარქოს თხოვნით, ერთ-ერთმა კეთილსინდისიერმა ჟურნალისტმა, სწორედ იმ ტაძრიდან გააკეთა სიუჟეტი, სადაც კადრში კარგად ჩანდა დაუზიანებელი ტაძარი. იქაურობას აფეთქების კვალი კი არა, ნატყვიარიც არ ეტყობოდა. ადგილობრივებმა იქ ქართველი სამხედროების შესვლაც კი უარყვეს. ეს არის მიზანმიმართული საინფორმაციო და იდეოლოგიური ომი, დარწმუნებული ვარ. რუსეთის მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი, იმ კადრებს ვერ

,,რუსეთი სამოციქულო ქვეყანა არ არის და თუ საქართველოსა და უკრაინის ეკლესიების ერთიანობასა და ავტორიტეტს საფრთხე შეექმნება, ეს ჩვენზეც გავრცელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახავდა... ისევ ჩემი ხალხის სამწუხაროდ მინდა ვთქვა, რომ ახლა რუსეთში ქართველების მორწმუნეობასა და კეთილშობილებაზე ქადაგება, საკუთარი ხალხის ღალატად აღიქმება.

**— მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისასტიკისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილაპარაკა რუს და ქართველ ხალხს შორის კეთილგანწყობილების აუცილებლობაზე და რუსეთს გონიერებისკენ მოუწოდა.**

— ვწუხვარ, მაგრამ ამ ეტაპზე უფრო კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია... საბედნიეროდ, რუსული ეკლესია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას არ აღიარებს და არც მის შემადგენლობაში მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონების ეპარქიის ხელმძღვანელობა ხშირად მოგვმართავს გადარჩენის თხოვნით. მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვსევოლოდ ჩაპლინმა განაცხადა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები საეკლესიო იურისდიქციის საკითხებს არ განსაზღვრავს. მესმის, რომ ქართულ მხარეს აღიზიანებს ცალკეული სასულიერო პირების პოზიცია და კონფლიქ-

**პოლიტიკური გადაწყვეტილებები საეკლესიო იურისდიქციის საკითხებს არ განსაზღვრავს**



ტურ რეგიონებში საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებელი ვიზიტები, მაგრამ ეს არ არის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პოზიცია. რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კვლავ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიერ ტერიტორიად მიიჩნევს. მეტიც, პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რუსული ეკლესია ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების ოპოზიციაშიც კი აღმოჩნდა და ასეთმა დაპირისპირებამ საზოგადოებაში ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. ჩემდა გასაკვირად, ხელისუფლებას იმდენად ღრმად ჰქონია საზოგადოებაში ანტიქართული, მცდარი იდეოლოგია დამკვიდრებული, რომ მრევლი საოცრად უმეცარ შეკითხვებს მისვამდა. ქართველი, რომელსაც რუსეთთან ცხოვრება არ უნდა,

## რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კვლავ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიერ ტერიტორიად მიიჩნევს

მტერი ჰგონიათ. ამ შემთხვევაში, უმრავლესობას ერთნაირი პოზიცია ჰქონდა: რატომ არ უთმობდა დიდ რუსეთს პატარა საქართველო და რატომ ბედავდნენ მისთვის წინააღმდეგობის გაწევას?

**— და რას პასუხობდით?**

— იმას, რომ ისეთ მცირე ერსაც კი, როგორიც ქართველი ერია, დამოუკიდებლად არსებობის უფლება ჰქონდა. გარდა ამისა, საქართველოსა და უკრაინაში, რომელთანაც რუსეთს ასევე ძალიან დაძაბული ურთიერთობა აქვს, სამოციქულო ეკლესიები იყო და რუსეთის საპატრიარქო, თუ სიმართლეს ვაღიარებთ, ქართული ეკლესიის დაქვემდებარებაში 1783 წლიდან „გეორგიევსკის ტრაქტატის" ძალაში შესვლის შემდეგ შედიოდა. საქმე ის არის, რუსეთის სწრაფვა საქართველოსა და უკრაინისადმი, მხოლოდ პოლიტკური და გეოგრაფიული მიზეზებით არ არის განპირობებული.

**— როგორ?**

— დიახ, შესაძლოა, ეს არ იცოდნენ და არ აინტერესებდეთ რუსეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, მაგრამ რელიგიის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ფაქტია. მოძღვარი ვარ და არ შემიძლია, ჩემს ხალხს სიმართლე არ ვუთხრა, რადგან ეს ჩემი მხრიდან უდიდესი და უპატიებელი ცოდვა იქნება. რუსეთი სამოციქულო ქვეყანა არ არის, ჩვენთან ქრისტიანობა მოციქულს არ უქადაგებია. საქართველოში კი ქრისტიანობა უფლის მადლით, სამმა მოციქულმა იქადაგა, ასევე იყო უკრაინაშიც. რუსულმა ეკლესიამ პატრიარქის ყოლის უფლება, მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც საქართველოს დავუახლოვდით. თუ ამ ქვეყნებში ეკლესიების ერთიანობასა და ავტორიტეტს საფრთხე შეექმნება, ეს ავტომატურად ჩვენზეც გავრცელდება. ამიტომ, რუსეთის ეკლესიას იურიდიული უფლება არ აქვს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიები მის შემადგენლობაში მოაქციოს... ჩემს პოზიციას საზოგადოებაში ჯერ დაბნეულობა მოჰყვა, შემდეგ კი მოვლენები უარყოფითად განვითარდა; ცოტა ხანში, გაირკვა, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოებაში ჩვენი სახით მეტოქეს ხედავდა. ის სასულიერო პირები, ვინც ხალხის გამოფხიზლებასა და სწორ გზაზე დაყენებას ვცდილობდით, ამერიკის აგენტობაშიც კი დაგვადანაშაულეს. ერთ დღესაც საპატრიარქოში დაგვიბარეს და სიფრთხილისკენ მოგვიწოდეს... ჩემი გვარისა და წარსულის გამოცდილებით, კარგად ვიცნობ რუსული პოლიტიკის ანატომიას და ვიცოდი, რომ „კაგებე" არც „სხვანაირ" მეთოდზე დაიხევდა უკან — ანუ რეპრესიებიც არ იყო გამორიცხული. საზოგადოებაში განხეთქილების შეტანაში დაგვადანაშაულეს და გვითხრეს, რომ ეკლესიას უფრო თავდაჭერილი პოზიცია მართებს, რადგან რუსეთს ერთიანობა და სულიერი სიმტკიცე როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა.

**— ამის შემდეგ ჩაიტანა თქვენი საპატრიარქოს წარმომადგენლობამ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარება?**

— დიახ, მაგრამ ამაში ცუდი არაფერი ყოფილა. ყველა ქრისტიანის მოვალეობაა, გაჭირვებულს ხელი გაუმართოს. ის თანხა რუსი ხალხის დახმარების ფონდიდან მოგროვდა და შემდეგ პირველადი მოხმარების ნივთები შეიძინეს.

**— მამა ანტონ, როგორ ფიქრობთ, ასეთ ვითარებაში გამოსავალი რა შეიძლება იყოს?**

— ძნელი სათქმელია, ამაზე ბევრს ვფიქრობ, მეც და ჩემი ახლობელი მოძღვრებიც. ჩვენ ერთად უნდა ვილოცოთ მშვიდობისთვის, მიტევებისთვის, ორივე ქვეყნის ხელისუფლების გონზე მოსაყვანად. ღმერთს ვებარებოდეთ...

*ქართველმა სასულიერო პირმა, რომელმაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე, ვინაობის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა, იგივე მითხრა.*

— ის ქვეყანა, სადაც ქრისტიანობა მოციქულს არ უქადაგებია, სამოციქულოდ არ ინოდება. ამიტომ, ამ ქვეყნებს პატრიარქები არ ჰყავთ და თავისზე უპირატესი ქვეყნების ეკლესიებს ექვემდებარებიან. ადგილობრივ ეკლესია-მონასტრებს კი მიტროპოლიტები განაგებენ. სწორედ ამიტომ არ უნდა რუსეთს საქართველოსა და უკრაინის დაკარგვა.

**— მაშინ, რის საფუძველზე ჰყავს რუსეთს პატრიარქი?**

— 1783 წელს, „გეორგიევსკის ტრაქტატის" გაფორმების შემდეგ, როცა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ავტოკეფალია გაუუქმეს, რუსეთის ეგზარქოსი საქართველოში დაჯდა, რის შემდეგაც ჩვენმა ეკლესიამ პატრიარქი დაკარგა, ხოლო რადგანაც უკვე რუსეთის შემადგენლობაში ვიყავით, რუსეთმა ეს უფლება მიიღო. ■

# 12 სექტემბერი — პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე



**მიმდინარე წლის 12 სექტემბერს FDI - სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის წევრ 135 ქვეყანაში პირველად აღინიშნება პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. ამის შესახებ გადაწყვეტილება 2007 წელს დუბაიში (ა.გ.ე.) FDI-ის გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს. ეს თარიღი შემთხვევით არ იყო შერჩეული და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. ყველა ქვეყანაში საზაფხულო არდადეგების (შვებულებების) შემდეგ, სექტემბერში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა განახლებული ენერგიით იწყებს მოღვაწეობას (სამწუხაროდ, წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა რუსეთის აგრესიის გამო, მოკლებული იყო ამის შესაძლებლობას, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში მსგავსი რამ არასოდეს განმეორდება); 2. 12 სექტემბერი არის დოქტორ ჩარლზ გოლდონის დაბადების დღე (1854წ). იგი იყო FDI-ის შექმნის ინიციატორი და ერთ-ერთი დამაარსებელი 1900 წელს. 1978 წლის 12 სექტემბერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეაზე ალმა-ათაში მიღებული იქნა ისტორიული დადგენილება პირის ღრუს ჯანმრთელობის მნიშვნელობის შესახებ მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობის საქმეში.**

საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია FDI-ის მუდმივი წევრია 1999 წლიდან და არის სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის ერთ მილიონზე მეტ სტომატოლოგთა პროფესიული გაერთიანების ღირსეული წარმომადგენელი. ასოციაციაში გაერთიანებულია საქართველოს 1000-ზე მეტი სტომატოლოგი და ეს არის ერთიანი, ძლიერი პროფესიონალების ნაკრები. ასოციაციის თითოეული წევრი აკეთებს მაქსიმუმს, რათა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის დღე ღიმილით იწყებოდეს და ასევე ღიმილით მთავრდებოდეს. თუმცა ეს ადვილი მისაღწევი არ არის. თქვენთვის, ალბათ ცნობილია, რომ კბილის კარიესი დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა და მრავალი ადამიანი იტანჯება კარიესის და მისი გართულებების შედეგად. ჩვენი, სტომატოლოგების ძირითადი ფუნქცია, კარიესის პროფილაქტიკა და მისი მკურნალობაა. ეს დაავადება ძალიან ადვილად ემორჩილება პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და პირის ღრუს კარგი ჰიგიენით და სწორი, ბალანსირებული კვებით შესაძლებელია მისი თავიდან აცილება. პირის ღრუს ჯანმრთელობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობა. ამიტომ ჯანმრთელი პირის ღრუ და ჯანსაღი ღიმილი, ადამიანის ორგანიზმის ჰარმონიული ჯანმრთელობის აუცილებელი წინაპირობაა. დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი სრულყოფილად და ტკივილის გარეშე ღეჭავს საკვებს. ჯანმრთელი და ლამაზი კბილები მეტ თავდაჯერებულობას და ენერგიას მატებს მას. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ საქართველოს მოსახლეობას ჯანმრთელი პირის ღრუ ჰქონდეს. ეს აუცილებელი წინაპირობაა ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის გასაგრძელებლად.





სწორედ ამ მიზნით ა.წ. 12 სექტემბერს საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციამ თავისი გენერალური სპონსორის, ფირმა „კოლგეიტ-პალმოლივის" ხელშეწყობით და მხარდაჭერით თბილისში ჩაატარა პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი აქცია. აქციის ინიციატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გ. მენაბდე, გენერალური მდივანი, პროფესორი ვ. მარგველაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ქ. გოგილაშვილი და „კოლგეიტ-პალმოლივის" წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ქალბატონი ი. მეურმიშვილი. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის 12 სტუდენტი. სტუდენტებმა თბილისის 10 ათასზე მეტ მოქალაქეს დაურიგეს სპეციალურად ამ დღისათვის დამზადებული ფლეერები და კბილის ფტორირებული პასტები და თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოსახლეობის პირის ღრუს ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში. მსგავსი აქცია ჩატარდა თბილისის რამდენიმე სტომატოლოგიურ კლინიკაში.

2008 წლის 12 სექტემბერს მთელ მსოფლიოში საფუძველი ჩაეყარა დიდ და ლამაზ ტრადიციას — მუდმივად ვზრუნავდეთ პირის ღრუს ჯანმრთელობაზე, რაც მთელი ორგანიზმის ჯანმრთელობის საფუძველია. ჩვენ, საქართველოს სტომატოლოგები ყოველდღიურად ძალიან ბევრს ვშრომობთ იმისათვის, რომ ქვეყნის მოსახლეობას შეეძლოს მაღალკვალიფიციური სტომატოლოგიური დახმარების მიღება. ყოველი წლის 12 სექტემბერს მოხდება ჩვენ მიერ გაწეული სამუშაოს ერთგვარი შეფასება. მაგრამ სტომატოლოგების ღვაწლის პირველი და ყველაზე მთავარი შემფასებლები ხართ თქვენ — ჩვენი ძვირფასი თანამემამულენი. ჩვენი შრომის ძირითადი მიზანი ხომ თქვენი პირის ღრუს ჯანმრთელობაა!

**საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილი**

# ომში დაკარგული მეომრის მოლოდინში

ეთო ყორღანაშვილი

36 წლის გელა მებაღიშვილი სამშობლოს დასაცავად გმირულად იბრძოდა. უფროსი სერჟანტი თავისი ასეულისთვის სამაგალითო მეომარი გახლდათ. მისი საბრძოლო შემართება და სიმამაცე [illegible] [illegible] აღნიშნავდა. სამწუხაროდ, დღეს გელას შესახებ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მაშინ, როცა ქართულმა ჯარმა უკან დაიხია, IV ბრიგადის 50-ე ბატალიონის მე-3 ასეულის უფროსი სერჟანტი დაჭრილი ჯარისკაცების გამოსაყვანად ცხინვალში შებრუნდა, შემდეგ რა მოხდა, არავინ იცის...



„მეც ჯარისკაცი გავხდები და სამშობლოს დავიცავ!.."

**ინგა იმედაშვილი,** *გელას მეუღლე:*

— მე და გელა ყვარლის რაიონში, სოფელ გავაზში ვცხოვრობდით. როცა ერთმანეთი გავიცანით, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი. დედასთან, სამსახურში ხშირად მივდიოდი ხოლმე. ის კოლმეურნეობაში მუშაობდა, გელა კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ... გაცნობის შემდეგ, ძალიან მანებივრებდა — ჩემთვის სკოლაში ყვავილები, საჩუქრები მოჰქონდა. მაშინ 14 წლის ვიყავი, ის — 24-ის. ასეთი ასაკობრივი სხვაობის გამო, თავდაპირველად, ჩემს მშობლებს ჩვენი ურთიერთობა არ მოსწონდათ. თითქმის ბავშვი ვიყავი და გათხოვებაზე არც მე ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა — გელას ცოლად ისე გავყევი, სკოლაც არ დამიმთავრებია... ძალიან კარგი ოჯახი გვაქვს!.. როცა კოლმეურნეობა დაიშალა, ჩემი მეუღლე ცოტა ხნით უმუშევარი დარჩა, მერე კი სამხედრო სამსახურში შევიდა.

**— სამხედრო სამსახური რატომ აირჩია?**

— არ გეგონოთ, რომ სამხედრო სამსახური მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო აირჩია. გელა პატრიოტი ადამიანია. სულ ამბობდა — აფხაზეთი და ცხინვალი უნდა დავიბრუნოთო. ჩემი მეუღლე აფხაზეთის ომის ვეტერანია. რამდენიმე წლის წინ, ცხინვალში ომი რომ იყო, იქაც იბრძოდა. შინ ყოველთვის ჯანმრთელი და უვნებელი გვიბრუნდებოდა. ერაყშიც მსახურობდა — დაახლოებით, 4 წლის წინ, იქ 7 თვით გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონით, ინტერნეტით ერთმანეთს ყოველდღიურად ვეკონტაქტებოდით, მასთან განშორებას მაინც ძალიან განვიცდიდი.



მამას სამსახურში ხშირად მივყვები

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— ორი — 11 წლის დათო და 7 თვის მარიამი. გელას შვილებისთვის დრო ყოველთვის რჩებოდა. ძალიან მოსიყვარულე ოჯახი გვქონდა. წელს, თებერვალში რუსთავში შევიძინეთ ბინა და აქ დავსახლდით. მანამდე თბილისში გირაოთი ვცხოვრობდით... როცა სახლში არ იყო, ხშირად მირეკავდა და მეკითხებოდა: ბავშვები როგორ არიან? რამე ხომ არ შემოაკლდათ? მარიამისთვის საკვები ხომ არ მოვიტანოო?.. გელა პატარა მარიამს საძინებელ ოთახში შეიყვანდა ხოლმე და ეფერებოდა; დათოს კი ხშირად ელაპარაკებოდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ჯარში და როგორი კარგია იქ ყოფნა. ეუბნებოდა: დისციპლინას უნდა შეეჩვიოო... დათო მამასთან განშორებას ძალიან განიცდის, ნერვიულობს... გელას ხშირად მიჰყავდა სამსახურში თავისთან. დათოს საბრძოლო იარაღი აინტერესებს და მამაც რაღაც-რაღაცებს ასწავლიდა... 5 აგვისტოსაც სამსახურში წაიყვანა. საღამოს კი შვილთან და მეგობრებთან ერთად, ხინკლის საჭმელად რესტორანში წავიდა. რესტორანში წასვლამდე სახლში მოვიდა და მარიამს ბავშვის საკვები მოუტანა. ხინკალზე მეც დამპატიჟა, მაგრამ პატარა მარიამის გამო, შინ დარჩენა გადავწყვიტე... გარკვეული დროის შემდეგ, დათო სახლში მოიყვანა, თვითონ კი ისევ წავიდა. როცა სახლში დაბრუნდა, 12 საათი იყო დაწყებული. ცოტა ნასვამი გახლდათ. მითხრა — ლუდი დავლიეო და დაიძინა. 2-ის ნახევრისთვის ტელეფონზე დაურეკეს და სამსახურში გამოიძახეს. სატელეფონო ზარს მე ვუპასუხე, მაგრამ რა ხდებოდა, ჩემთვის არ გაუმხელიათ. მითხრეს, სასწავლო გამოძახებააო... გელა ეზოში ჩავიდა და მანქანა გარაჟიდან გამოიყვანა. სად მიდიოდა, არ ვიცოდი. ფანჯრიდან რომ გადავიხედე, დავინახე, მანქანასთან ჯარისკაცები იდგნენ — გელას რამდენიმე თანამშრომელი ჩვენს საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს ცხოვრობს და ზოგჯერ, სამსახურში ერთად მიდიოდნენ ხოლმე. ჩემი მეუღლის მეგობრების თქმით, წასვლისას გელას რაღაცნაირი, ცივი ღიმილი ჰქონია. თურმე ყველა იცინოდა და მხიარულობდა, გელას კი მათთვის უთქვამს: კარგი, გაჩერდით, ბიჭებო!.. რაღაც ცუდი ხდება... მგონი, ომში მივდივართო...

**— ანუ სად მიდიოდნენ, ზუსტად არ იცოდნენ?**

— სხვა ჯარისკაცებმა არაფერი იცოდნენ, მაგრამ გელას, როგორც უფროსს, რაღაც ინფორმაცია ჰქონდა. გავაფრთხილე — როგორც კი სამსახურში მიხვალ, მაშინვე დამირეკე-მეთქი, მაგრამ არ დაურეკავს. მოგვიანებით, როცა ტელეფონით ველაპარაკე, მითხრა: აღარ გაგაღვიძე, რომ არ გენერვიულაო... როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეჰფერის, ისე იქცეოდა — სიმართლეს მიმალავდა, ჩემზე ზრუნავდა. მიმტკიცებდა — არსად წავსულვარ, სამსახურში ვარო; არადა, ომში იყო... საინფორმაციო გამოშვებების საშუალებით შევიტყვე, რომ საბრძოლველად რეზერვისტებიც წაიყვანეს. მივხვ-

დი, რეზერვისტები თუ წაიყვანეს, კონტრაქტორი ჯარისკაცები აუცილებლად ომში იქნებოდნენ. რომ ვურეკავდი და ვეკითხებოდი: — სად ხარ? მპასუხობდა: — ცხინვალში არ ვარო... მატყუებდა, თურმე სწორედ იქ ყოფილა...

**— ტელეფონით ბოლოს როდის ელაპარაკეთ?**

— 10 აგვისტოს... მისმა მეგობრებმა მითხრეს: გელა გვარიგებდა და გვამხნევებდა, როცა ვხედავდით, რომ ჩვენი უფროსი მხნედ და შეუპოვრად გამოიყურებოდა, ჩვენც სიმამაცე გვემატებოდაო. როცა ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია, გელას ჯარისკაცები სამშვიდობოს გაჰყავდა. ცხინვალის რომელიღაც სოფლის ეკლესიამდე აცილებდა მათ, შემდეგ კი ისევ უკან ბრუნდებოდა სხვა მებრძოლების დასახმარებლად. ბოლოს, სანამ ცხინვალში შებრუნდებოდა, უთქვამს: იქ დაჭრილები არიანო... ერთ-ერთი დაჭრილთაგანი მისი მეგობარი გახლდათ. ჯარისკაცმა, რომელიც გელამ სამშვიდობოს გამოიყვანა, მითხრა: ცხინვალში რომ შებრუნდა, ცეცხლი გაჩნახლდაო... რა მოხდა, ველარ გაიგეს. გელას შესახებ არაფერი ვიცით. არც ის დაჭრილი მებრძოლები ჩანან, ვის დასახმარებლადაც ბრძოლის ველზე შებრუნდა...

**დათო,** *გელასა და ინგას უფროსი ვაჟი:*

— ჩემი მობილური ტელეფონი სლაიდ-შოუს გაკეთების საშუალებას იძლევა. მამაჩემის და მისი მეგობრების სურათები დავამონტაჟე და სიმღერა „დავადე“.

**— რომელი სიმღერა?“**

— „ომია“... მამაჩემის ერთ-ერთი მეგობარი — სოსო ღვინიაშვილი ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ის ჩემი საუკეთესო მეგობარიც იყო. ლექსიც მივუძღვენი მის ხსოვნას: „მე ვარ ჯარისკაცი/ მიყვარს სიმართლის აღდგენა/ მიყვარს ფორმის ჩაცმა/ მინდა, ომში წასვლა“...

**— დათო, პროფესია არჩეული გაქვს?**

— ჯარისკაცი გავხდები და ჩემს სამშობლოს დავიცავ!..

**— კედელზე საქართველოს დროშა გაქვს გაკრული...**

— მამამ ჯარიდან მოიტანა და მის სახსოვრად გავაკარი... მამას სამსახურში ხშირად მივყავდი. მაყურებინებდა, როგორ ავარჯიშებდა ჯარისკაცებს...

**— როგორ ფიქრობ, ახლა სად შეიძლება იყოს შენი მამიკო?**

— ჩემი აზრით — ტყეში. ალბათ, რუსებს ემალება... ან ტყვედ ჰყავთ აყვანილი.

**ინგა:**

— ძალიან მინდა, რომ სადღაც იყოს... იმედი მაქვს, მაგრამ... მთავარია, ცოცხალი იყოს!.. მთელი ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე, ცუდი არაფერი მახსენდება, ბედნიერად და სიამტკბილობით გადიოდა ყოველი დღე...



ძალიან მინდა, რომ სადმე იყოს...

**— მთელი გულით გისურვებთ, რომ გელა შინ ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდეს!**

— დიდი მადლობა... კიდევ ერთ რამეს ვიტყვი: მინდა, ომში დაკარგული ჯარისკაცების შესახებ მეტი ინფორმაცია მოგვაწოდონ...

საინფორმაციო მაუწყებლობის ახალი ფორმატი
103.9
ფაქტები რეალურ დროში!
RADIO PALITRA FM 103.9
რადიო „პალიტრა“
ჩვენ არ ვმალავთ სიმართლეს!
თბილისსა და შემოგარენში

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ანრი ჯოხაძე
რესპონდენტი – ნინა წკრიალაშვილი

# „სექსუალური ქალი ხარ და სწორედ შენ მჭირდები“...

**ანრი ჯოხაძე და ნინა წკრიალაშვილი ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობის მისაღებად გასულ კვირას რედაქციაში გვეწვივნენ. ამ შეხვედრაზე, მათ სრულიად ახალ, შეიძლება ითქვას, სკანდალურ პროექტს ჩეყარა საფუძველი. ანრიმ ნინას ფრანგული სასიყვარულო სიმღერის ჩაწერაში პარტნიორობა შესთავაზა. ისიც უყოყმანოდ დათანხმდა ანუ ნინა ანრის „ვიაგრის“ მაგივრობას გაუწევს. თუ რას ნიშნავს ეს და რა სკანდალურ პროექტზე მოუწევთ მუშაობა, ამის შესახებ ქვემოთ შეიტყობთ. თუმცა ინტერვიუ მხოლოდ ამ სიახლეზე საუბარით არ შემოფარგლულა...**



# ანუ ახალი სკანდალი მწიფდება

**— ნინა, აგვისტოში პეკინის ოლიმპიადაზე იყავი. როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდი იქიდან?**

— იქ ყოფნით საოცრად კმაყოფილი ვარ, მაგრამ საშინელება ის იყო, რომ აგვისტოში, საქართველოში ომი დაიწყო. ეს უბედურება რომ არ მომხდარიყო, პეკინში მოგზაურობა ალბათ ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დარჩებოდა ჩემს ცხოვრებაში. ჩვენი სპორტსმენების ოლიმპიადაზე ასპარეზობით მოხიბლული ვარ. თუ კიდევ გამიჩნდა შანსი, აუცილებლად გავემგზავრები შანხაისა და ჰონკონგის მოსანახულებლად.

**— შანხაიში ნამყოფი ვარ და მართლაც გირჩევ, ჩახვიდე და დაათვალიერო იქაურობა. სხვათა შორის, მას უწოდებენ — „ნიუ-იორკს აზიაში“.**

— ეჭვი არ მეპარება, რომ ასე იქნება... გამაოცა აგრეთვე იქაურმა ხალხმა. ვინმემ ჩინელზე ცუდი რომ თქვას, გადავირევი. უწესიერესი ადამიანები არიან. საკმარისია, კითხვა დაუსვა, თან გადაგყვებიან, სანამ ბოლომდე არ გაგარკვევენ. ფუტკარივით მშრომელები, დამთმობები და არაამბიციურები არიან.

**— როდესაც გაიგე, რომ შენი მშობლიური ქალაქი — გორი იბომბებოდა, რა განცდა გქონდა?**

— პეკინში მე და ჩემი და, ერთად ვიყავით. მაშინ, როდესაც გორი პირველად დაიბომბა, შვილები გორში გვყავდა. იმ დროს სრული შოკი განვიცადე. ბავშვები ჩვენებმა იმავე დღეს ჩამოიყვანეს თბილისში, მაგრამ მამაჩემი იქიდან არ გამოდიოდა... ისე, რატომღაც ინტუიცია მიკარნახებდა, რომ საომარი მოქმედებები მალე შეწყდებოდა. იმ წუთებში საშინლად მინდოდა გორში ყოფნა; თითქოს თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, იქ რომ არ ვიყავი და საერთოდ, საქართველოში არ ვიმყოფებოდი. ცნობილია, როდესაც უცხოეთში ხარ, პატრიოტული გრძნობა გიმძაფრდება. ქართველებმა რუსეთის საელჩოს წინ აქცია გავმართეთ (არადა, იქ აკრძალულია აქციების მოწყობა). მიუხედავად იმისა, რომ არაფერი დაგვიშავებია და მხოლოდ „სტოპ რაშას!“ ვყვიროდით, უეცრად პოლიცია მოვიდა და დაგვაპატიმრეს. პეკინის „კაპეზეში“ 30 კაცი ვიყავით გამომწყვდეული. მერე დავრეკეთ საქართველოს საელჩოში და სასწრაფოდ გაგვათავისუფლეს.

**— ცოტა ხნის წინ, ჟურნალებში შენი ფოტო გამოჩნდა, რომელზეც საქართველოს დროშის ქსოვილისგან შეკერილი ბიუსტჰალტერით ხარ გადაღებული. ასეთი სურათის გადაღება რამ გადაგაწყვეტინა?**

— ეს ფოტო ზამთარში გადავიღეთ. საპროდიუსერო კომპანია — „არტ-ფორუმის“ იდეა გახლდათ — რამდენიმე ისეთი უცნაური და უჩვეულო ფოტო გადაგვეღო, ყველას რომ დამახსოვრებოდა. ფოტოები „კიკალა-სტუდიაში“ გადავიღეთ. მაშინ თავი შევიკავეთ მისი აფიშირებისგან და მხოლოდ ახლა გამოვამზეურეთ. მე მიყვარს ეს ფოტო!

**— მეც ძალაიან მომწონს.**

— ბევრი ამბობს, რომ საქართველოს დროშაზე ჯვრებია გამოსახული და მკრეხელობაა მისი ასეთი სახით საზოგადოების წინაშე გამოტანაო. მარტო ღმერთის მეშინია, მეტი არავისი; მაგრამ ეს მხოლოდ პროექტი იყო და მეტი არაფერი. ეს იგივეა, რომ საქართველოს დროშისგამოსახულებიანი მაისური ჩაიცვა.

**— ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. მთავარია, რასაც გააკეთებ, ესთეტიკური იყოს. მიმაჩნია, რომ ეს ფოტო ესთეტიკურია. ბევრი ამბობს, რომ დღესდღეობით, შემოქმედებით ასპარეზზე ნინა აქტიურად არ მოღვაწეობს, მაგრამ ის სულ მოვლენების ეპიცენტრშია და პოპულარულიაო. აინტერესებთ, რა არის ამის მიზეზი? მე ვპასუხობ: ის, რომ ნინა აქტიურად არ მოღვაწეობს, ეს მისი სიზარმაცის ბრალია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის პოპულარული, — ის ხომ სექსუალური იმიჯის მქონე და ამასთან, ქარიზმატული ნატურა გახლავთ; ასეთი ადამიანი კი მასისთვის ყოველთვის საინტერესოა. მან 10 წელი რომც არ იმღეროს, მაინც „ცეცხში“ იქნება-მეთქი. ისე, ჩემო ნინა, მგონი, დროა, რომ ერთი-ორი ახალი სიმღერა ჩაწერო.**

— (*იღიმება*) იცი, რამდენი სიმღერა მაქვს ჩაწერილი? უბრალოდ, რადიოში მიტანა მეზარება. ჩემს ახალ სიმღერებს აუცილებლად მოგასმენინებ. საერთოდ, არც ის ვიცი, ვარ თუ არა პოპულარული და თუ ვარ, რატომ?..

**— ახლა ის მითხარი, პირად ცხოვრებაში რა ხდება, „მინდვრის თაგვივით“ ისევ მარტო დადიხარ?**

— უკვე მივხვდი, რომ მარტო ყოფნა აღარ შემიძლია. რაღაცებზე დავფიქრდი: ახალგაზრდობა მიდის, ხალხი ერთობა, „გრიალებს“, მე კი სახლში ჩემთვის ვზივარ. არადა, უცნაურია, ამ დროს ჩემზე მაინც გაცხარებით ლაპარაკობენ. ამიტომ, გადავწყვიტე, რაღაც შევცვალო ჩემს ცხოვრებაში და შევივსო ეს სიცარიელე.

**— როგორ ფიქრობ, ვინ შეგავსებს, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად?**

— მგონი, გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში ასეთი ადამიანი... ასე რომ, გადავწყვიტე, მოვიწესრიგო პირადი ცხოვრება. ახლა ჯერი მომავალზეა.

**— შენი არაჩვეულებრივი შვილი როგორ არის? ძალიან მიყვარს...**

— კარგად არის. სანდრო ჭკვიანი, თავის ასაკთან შედარებით, ძალიან განვითარებული ბავშვია. პატარა კაცია, მას ოჯახში ბავშვად ვერ აღვიქვამთ. ისეთი შენიშვნების მოცემა იცის, რომელიც გასათვალისწინებელია. სანდროსთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

**— ნინა, რაც შეეხება ჩვენს სფეროს — შოუბიზნესს, არ გეჩვენება, რომ ჩაიძირა?**

— კი, ასეა, მაგრამ მგონია, რომ ეს დიდხანს არ გასტანს.

**— ჩვენ რაღაცით იმ ვირთხებს ხომ არ ვგავართ, გემიდან რომ გარბიან?! ჰა, რას იტყვი?**

— ვირთხები აქ არაფერ შუაშია, მაგრამ საქმე მთლად კარგად რომ არ არის, ფაქტია.

**— საერთოდ, ჩვენს სფეროზე რაღა უნდა ვთქვათ, ამ ომმა ვის და რას აღარ შეუშალა ხელი, არ დაასუსტა და გაანადგურა. აღარავის ემღერება და არც არავის უნდა შენი სიმღერა. თანაც ამაში ვერავის გავამტყუნებ. ვისურვებდი, რომ ყველანი აზრზე მოვიდეთ და ისევ დავიწყოთ საქმიანობა.**

ჟურნალისტი – ნინა წკრიალაშვილი

რესპონდენტი – ანრი ჯოხაძე

**— ანრი, ახლა იმ კონკურსზე მომიყევი, რომელშიც ამ ცოტა ხნის წინ მონაწილეობდი. შენი იქ გამოსვლა ერთ-ერთ არხზე ვნახე და ძალიან მომეწონა.**

— ჩემი სევასტოპოლში გამგზავრება სპონტანურად მოხდა. არ მინდოდა წასვლა, რადგანაც ვოკალური თვალსაზრისით ფორმაში არ ვიყავი. ამას უძღოდა ის სტრესი, შოკი, რაც თითოეულმა ჩვენგანმა ამ ომის დროს განვიცადეთ. ასეთი საშინელების შემდეგ, მობილიზება და საკონკურსო განწყობილების შექმნა მომიხდა. იქ, კონკურსის წინ, რეპეტიციაზე რომ გამოვედი, ემოციებთან გამკლავება ვერ მოვახერხე და საშინლად ვიმღერე — ისე, რომ სულ თავბედი ვიწყევლე. კონკურსზე ასეთ გამოსვლას არა ვარ ჩვეული. მაგრამ „სამშობლო" რომ შევასრულე, მაშინ კი დავიცალე ემოციებისგან. ბოღმა, დარდი, ტკივილი და ყველაფერი ერთად ამ სიმღერით ვთქვი და გამოვხატე. ამის შემდეგ, სრულიად შემთხვევით, მესამე ადგილზე აღმოვჩნდი. თანახმა ვიყავი, საპრიზო ადგილზე საერთოდ არ გავსულიყავი, ოღონდაც იქ გამოსვლით ჩემი პროტესტი გამომეხატა.

**— შენი საოცნებო სცენა რომელია? სად გინდა, რომ გამოხვიდე?**

— „ევროვიზიის" კონკურსზე მინდა გამოსვლა, რომელზეც „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" (რომელიც მუდმივად ამ კონკურსის ორგანიზატორი გახლავთ) წელს წარმომადგენლის გაშვებაზე უარი თქვა. თუმცა მაისამდე ქვეყანაში როგორ შეიცვლება სიტუაცია, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, არავინ იცის. მინდა, გავაკეთო ასეთი განცხადება: ბოლო წუთამდე მზად ვარ, რომ მივიღო ამ კონკურსში მონაწილეობა!

**— დედაშენის, კომპოზიტორ — რუსუდან ჩხაიძის ნამუშევარზე — „გამარჯვება მშვიდობისთვის", ომის დღეებში 44-მა მომღერალმა პატრიოტული სიმღერა ჩაწერა. ამ პროექტის პროდიუსერი შენ იყავი. ასეთი იდეა რომ გაგიჩნდებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ იმ დღეებში შეიძლება, ვერც მემღერა. ყოჩაღ!**

— მაგ სიმღერაში ყველა მომღერალს ნახევარი ფრაზა აქვს — ასე რომ, სამღერიც არაფერი იყო. იმხანად ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით, 44-ვე მომღერალი შოკირებული იყო...

**— ახლა რა გეგმები გაქვს? ჩვენი ფრანგული სიმღერა, რომელსაც შემპირდი, როდის ჩავწეროთ?**

— ამ დღეებში... ის სასიყვარულო, ლირიკული სიმღერაა; მეგაჰიტი ფილმიდან — „თეირანი 43", რომელიც მე და ნადია გრანოვსკამ — ჯგუფ „ვიაგრის" — სოლისტმა კიევში ჩვწერეთ... მერე იქიდან რომ წამოვედი, პროექტი ბოლომდე ვერ მივიყვანე, იდეა განუხორციელებელი დამრჩა. ნადიას მსგავსი ქალი ხარ, სექსუალური და ამ სიმღერისთვის სწორედ შენ მჭირდები. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, რომ „ვიაგრის" მაგივრობას შენ გასწევ. რა იდეაც ნადიასთან მქონდა ჩაფიქრებული, ახლა იმას შენთან განვახორციელებ: მინდოდა, სექსუალურ ქალსა და ძლიერი ვოკალის მქონე მამაკაცს დუეტი ჩაგვეწერა, რომელზეც შესაბამისი კლიპი შეიქმნებოდა. ამ ნამუშევრისთვის ძალიან საინტერესო არანჟირება მაქვს გაკეთებული.



**— მოდი, ნულარ გადავდებთ და ჩავწეროთ.**

— შევთანხმდით. მგონი, ჩვენი ტანდემი საკმაოდ ორიგინალური, უცხო, კონტრასტული გამოვა. შენი სექსუალური იმიჯი სიმღერას საოცარ ხიბლს შესძენს. ეს კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი იქნება თითოეული ჩვენგანის შემოქმედებაში. ჩვენს სკანდალურ იმიჯს კიდევ ერთი ახალი შტრიხი შეემატება. ვუმღერებთ სიყვარულს!

**— ჩვენზე რომ ამბობენ, სკანდალურები არიანო, მიკვირს. მგონი, ჩვენ ჩვეულებრივები ვართ და სხვები — უბრალოდ, გაუბედავები!.. უი, სულ დამავიწყდა, გილოცავ ახალ მანქანას. რა მარკისაა?**

— VOLVO S-80.

**— ძალიან მიხარია. სულ მწვანეზე გევლოს.**

— მადლობა... ისე, იცოდე, თავისუფლად შემიძლია მანქანის შეკეთება. საერთოდ, მიდრეკილება მაქვს ტექნიკური საქმიანობის მიმართ. სახლში ელექტროგაყვანილობასაც მშვენივრად ვაკეთებ. თუ დაგჭირდეთ, გამომიძახეთ!

**— მეც ხშირად მიფუჭდება ხოლმე მანქანა, მაგრამ „ევაკუატორის" მძღოლის ნომერი მაქვს და ვიძახებ. მოდიან და მშველიან. არის შემთხვევა, როცა ბენზინი მითავდება. ამიტომ, მანქანაში მაქვს 2-ლიტრიანი ბოთლი. ვჯდები ტაქსიში და მივდივარ ბენზინის მოსატანად. ასეთ დროს ვხვდები, რომ მართლა ძალიან ცოდვა ვარ და გვერდით მამაკაცი მჭირდება. შენს პირად ცხოვრებაზე რას მეტყვი?**

— რა ვიცი, პირად ცხოვრებაში ნორმალურად მაქვს საქმე. რაღაცრაღაცებს ვფიქრობ.

**— შეყვარებული ხარ?**

— მეგონა, რომ ვიყავი, მაგრამ დღეს ვიგრძენი, რომ აღარ მენატრება. ამის თქმის მრცხვენია, მაგრამ ასეა...

**— კარგი გოგოა? მე მჯობია?**

— (*ფიქრობს*) აბა, რას მეკითხები?

**— ვხუმრობ... (იცინის).**

— ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს...

**— ჯობია, ჟურნალის ფურცლებიდან გაიგოს. მინდა, ჩემ გვერდით ისეთი ადამიანი იყოს, რომელსაც არ ვეყვარები და მე კი შემიყვარდება. არადა, ასეთი ჯერ ვერ ვნახე.**

— მე გიპოვი ისეთებს, ვისაც არ უყვარხარ და მერე იქიდან შევარჩიოთ.

**— კარგი, სიხარულო...** ■

# რუსული აგრესიის ამსახველი მასალები სტალინის კაბინეტში განთავსდება

## ანუ მუზეუმი მუზეუმში



რუსი ოკუპანტების მიერ დაბომბილ გორს აგრესორების დანატოვარი „სახსოვარი“ ჯერ კიდევ ეტყობა: ქალაქის გზებზე ტანკების ნაკვალევი, შენების პროცესში მყოფი დანგრეული შენობები, საცხოვრებელი კორპუსების ჩამსხვრეული მინები და ნაღვლიანი, ღრმად ჩაფიქრებული მოსახლეობა. ყველაფრის მიუხედავად, ხალხი ნელ-ნელა ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება და იმედოვნებს, რომ რაც მოხდა, იმაზე ცუდი აღარაფერი მოხდება...

გორში არსებული სტალინის სახელმწიფო მუზეუმის დამთვალიერებლებს მალე რუსული აგრესიის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალების ხილვის საშუალებაც ექნებათ.

*ეთო ყორღანაშვილი*

**ლია ნაოჭაშვილი,** *მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი:*

— სტალინის სახელმწიფო მუზეუმი თავის სტატუსს კვლავ ინარჩუნებს, მაგრამ მისი ერთ-ერთი დარბაზი დაეთმობა ექსპოზიციას იმ საომარი მოქმედებების შესახებ, რაც 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განხორციელდა. დარბაზი თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვება, დამონტაჟდება დიდი მონიტორი. დამთვალიერებელი იხილავს როგორც ბრძოლისას, ასევე, ომის შემდგომ გადაღებულ კადრებს. დარბაზში ალბათ, ის ბომბიც განთავსდება, რომელიც ჭავჭავაძის ქუჩაზე, თეატრის შენობის წინ ერთ-ერთი მცხოვრების ბინაში ჩამოვარდა, მაგრამ საბედნიეროდ, არ აფეთქდა. რომ აფეთქებულიყო, ალბათ, ნახევარი გორი განადგურდებოდა. ეტყობა, ჩვენს ქალაქს ღმერთი მფარველობს!.. მხატვრული თვალსაზრისით, გაფორმებულ მასალებს კულტურის სამინისტროდან მუზეუმში გადმოიტანენ. ჩვენთან ჟურნალისტების მიერ გადაღებული ფოტოები და ვიდეომასალაც მოიყრის თავს, თუმცა სამოყვარულო კამერებით გადაღებული კადრებიც გვაქვს...



ლია ნაოჭაშვილი

**— მუზეუმში მუზეუმის გახსნის იდეა ვის ეკუთვნის?**

— კულტურის მინისტრს — ნიკა ვაჩეიშვილს, ჩვენი მუზეუმის დირექტორს — რობერტ მაღლაკელიძეს და მუზეუმის თანამშრომლებს... მოკლედ, იდეების თანხვედრა მოხდა. ვფიქრობ, სამართლიანია, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ამსახველი მუზეუმი გახსნა იმ კაცის მუზეუმში, რომელმაც რუსეთს უზარმაზარი იმპერია შეუქმნა. პარადოქსულია, რომ სტალინის მშობლიური ქალაქი რუსული აგრესიის მსხვერპლი გახდა.

**— ქალაქის დაბომბვისას მუზეუმი ხომ არ დაზიანებულა?**

— ორ ფანჯარას მინები ჩაემსხვრა. ფანჯრებიდან მუზეუმში გადმოსვლა მაროდიორებს თავისუფლად შეეძლოთ, მაგრამ ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. გორის მესამედ დაბომბვამდე, თანამშრომლები სამსახურში დავდიოდით.

**— ისეთ რთულ ვითარებაში მუზეუმს დამთვალიერებელი თუ ჰყავდა?**

— სხვათა შორის, ჰყავდა. მაგალითად, რუსი ჯარისკაცები ცდილობდნენ შესვლას, მაგრამ მუზეუმში ვინ შემოუშვებდა?!

**— რუსული აგრესიის ამსახველ მასალებს რომელი დარბაზი დაეთმობა?**

— ის, რომელშიც განთავსებული იყო სტალინის სამუშაო კაბინეტი: სავარძელი, საწერი მაგიდა, ტელეფონის აპარატი... ასევე ექსპონირებული იყო მხატვრული ტილოებიც... ეს ყველაფერი სხვადასხვა დარბაზში განთავსდება, მათ ადგილს კი აგვისტოში განვითარებული მოვლენების ამსახველი მასალები დაიკავებს... თურმე, მშვიდობის ფასი არაფერი ყოფილა. დღემდე, მატარებლის ხმას რუსული თვითმფრინავის ხმად აღვიქვამთ. შვილიშვილი ხშირად მეკითხება: — მამუნი ფიფინავი ვინ მოიკანაო?

*გორის სამხედრო ბაზის დაბომბვისას დაღუპული 22 წლის ოთარ ქარელის დედა* — **ძალგატონი ლია** *ეკლესიაში ხშირად დადის და შვილის სულისთვის ლოცულობს. მაშინაც ეკლესიის წინ იდგა, როცა რუსმა ოკუპანტებმა გორის დაბომბვა დაიწყეს:*

— გორში რუსებმა პირველი ბომბი რომ ჩამოაგდეს, ეკლესიის წინ ვიდექი და ვლოცულობდი. არ ველოდით, რუსები ასე თუ გაგვწირავდნენ... ჩემი ვაჟი საკონტრაქტო ჯარისკაცი იყო, გორის სატანკო ნაწილში მსახურობდა. სამხედრო სამსახურში 3 თვის მისული იყო. ამიტომ, ცხინვალში საომრად არ წაუყვანიათ. მას და მის თანამშრომლებს ბაზაზეც ჰქონდათ საქმე — პოსტზე ხომ უნდა ყოფილიყვნენ და სამხედრო ნაწილი დაეცვათ? ოთარმა 8 აგვისტოს დამირეკა და მითხრა: დედა, ცოტა თავისუფალი დრო მაქვს, ნაწილში ამოდი და მნახეო. მოვინახულე. ცხინვალში საომრად წასულ მეგობრებზე დარდობდა... მეუბნებოდა — ქალაქიდან გადი, დაბომბვა კიდევ არ განმეორდესო. მის გარეშე სად წავიდოდი? ვუთხარი: სანამ აქ იქნები, გორიდან არ გავალ-მეთქი... რუსებმა სატანკო ნაწილში ბომბი რომ ჩამოაგდეს, სხვა ბიჭებთან ერთად ჩემი შვილიც დაიღუპა. 17 სექტემბერს მისი დაღუპვიდან 40 დღე გავიდა, ამ დღეს 23 წლის უნდა გამხდარიყო... ოთარი 2 თვეში ოჯახის შექმნას აპირებდა. შეყვარებული ჰყავდა და ძალიან უყვარდა... ჩემი ვაჟი საოცრად მხიარული, თბილი, კონტაქტური ადამიანი იყო. მეგობრები „ღიმილის ბიჭს“ ეძახდნენ... ოთარის ცხედარი ხარაგაულის რაიონიდან 2 კვირის წინ გადმოვასვენეთ. ეკლესიაში ხშირად დავდივარ და ჩემი შვილის სულისთვის ვლოცულობ... ჩვენი ქალაქი ძალიან შეიცვალა. გორი ის გორი აღარაა, რაც წინათ იყო: ხალხს სიხარული გაუქრა, ყველა დაძაბულია...

*...და მაინც, ცხოვრება გრძელდება. განცდილი შიშისა და ლტოლვილობის შემდეგ, 17 წლის* **ელიკო იორაშვილი** *რთვლის მოლოდინშია:*

— გზები როგორც კი გაიხსნა, მე და ჩემი ოჯახი მაშინვე გორში დავბრუნდით. მანამდე თბილისში ვიყავით გახიზნული. ატმის მოსავალი სულ გაგვინადგურდა: მართალია, ბაღში ოსი და რუსი არ შესულა, მაგრამ ის ორი კვირა, რაც ომის პერიოდს

გაგრძელება იხ. გვ. 91



BRITISH CENTRE
Callan Method
FAST WAY TO ENGLISH
ბრიტანული
ცენტრი
ქალანის მეთოდი
სწრაფი გზა
ინგლისურის
შესასწავლად
CALLAN METHOD
ბრიტანული ცენტრის მისამართი:
ქ. თბილისი: რუსთაველის გამზ. 36
ტელ.: 98-99-99; 93-38-78;
აღმაშენებლის გამზ. 189
ტელ.: 94-11-11; ფაქსი.: 95-22-22;
ფალიაშვილის ქ. 60
ტელ.: 22-19-15;
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. 2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ.: 7-31-22

# „უკვე აცივდა, რა გვეშველება?!"



დევნილები ზამთრის მოლოდინში და მინისტრის მრჩევლის დაპირებები...

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად თბილისში 40000 ლტოლვილი ცხოვრობს. მათ დიდ ნაწილს გამოზამთრება დროებით თავშესაფრებში მოუწევს. ბოლო დღეებში ტემპერატურის კლებასთან ერთად, ლტოლვილთა პრობლემებმა იმატა. ის თხელი პლედები, რომლითაც აგვისტოში სარგებლობდნენ, დღეს უკვე აღარ ათბობთ. მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით, №139 და №3 საბავშვო ბაღებს ვესტუმრე.**

*თამუნა კვინიკაძე*

*თბილისის №139 ბაგა-ბაღში მისულს ეზოში მოთამაშე ბავშვები დამხვდნენ.*

*— რა გქვია? — ვკითხე ერთ-ერთ მათგანს.*

*— ნიკა. თამარაშენიდან ვარ.*

*— შენი მშობლები სად არიან?*

*— სახლში, — მითხრა და თვალით ბაღის შენობისკენ მიმანიშნა.*

*— ბიჭო, ეგ სახლია? — შეუსწორა მეგობარმა.*

*— ახლა ასე ჰქვია, — ჩაილაპარაკა დარცხვენილმა.*

*ამ დროს თამარაშენიდან ლტოლვილი ქალბატონი —* **მადინა კოზერიძე** *მომიახლოვდა.*

— აქ შედარებით ნორმალური პირობებია. ვიცი, სხვა დევნილებს უარეს მდგომარეობაში უწევთ ყოფნა. ჩვენთან საკვები შეძლებისდაგვარად მოაქვთ. მაკარონი, ლობიო, ზეთი, კარტოფილი... თითოეულ ლტოლვილზე დღეში ნახევარი პური.

**— აქ რამდენი ოჯახი ცხოვრობს?**

— 12 ოჯახი. ყველანი თამარაშენიდან ვართ.

— თქვენ საიდან ხართ? — *დაინტერესდა ჩემი ვინაობით იქვე მყოფი მამაკაცი.*

**— ჟურნალ „გზიდან".**

— კარგია რომ მოხვედით, — *ჩაგვერთო საუბარში ხანდაზმული ქალბატონი,* — ოღონდ სახელს და გვარს ნუ მკითხავ, შვილო, კვირაზე მეტია, გვპირდებიან, ბავშვებს წიგნებს დავურიგებთ, თითოეულ მოსწავლეს 100 ლარით დავეხმარებითო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. ჩემი შვილიშვილი სკოლაში მივიდა, მაგრამ წიგნები არა აქვს და როგორ უნდა ისწავლოს?!

— არ გინდა, რა, ნუ ლაპარაკობ. — ურჩია მას გვერდით მდგომმა მამაკაცმა.

**— რატომ უშლით, მიგაჩნიათ, რომ დამატებითი პრობლემები შეგექმნებათ?**

— ეს ჩემი მეუღლეა, ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვემართოს?! თქვენსავით მოდიან და მიდიან, ისევ მოდიან და ა.შ. ჩვენი მდგომარეობა კი არ იცვლება. ბავშვის საწოლზე როდემდე უნდა მეძინოს? ხომ შეიძლება, დახმარება სამართლიანად გადაანაწილონ?! გორის რაიონში, სადაც ქონება შერჩათ და ხილის მოსავალსაც იღებენ, მათ უფრო ეხმარებიან. ტელევიზიები აცხადებენ, რომ ამდენი ჰუმანიტარული დახმარება შემოდისო. მერე სად მიდის, იმას რატომ აღარ ამბობენ?

**— თქვენ როგორ გგონიათ, სად მიდის?**

— ეგ მე არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენამდე მხოლოდ მცირედი მოდის. რომ მახსენდება, ბავშვის საწოლში უნდა დავიძინო, დაღამება მეჯავრება. სანამ ლტოლვილი გავხდებოდი, სანაკოევის ადმინისტრაციაში ვმუშაობდი. საოჯახო ტექნიკის შესაძენად „სახალხო ბანკიდან" კრედიტი გამოვიტანეთ. ადმინისტრაციის თანამშრომლებს ანგარიშზე ხელფასი ახლაც გვერიცხება, მაგრამ ბანკი „გვაჭრის": რაც შევიძინეთ, ვერაფერი მოვიხმარეთ, ვალი კი გადასახდელი დაგვრჩა. „სახალხო ბანკში" მივედი და ჩემი მდგომარეობა ავუხსენი. მითხრეს, ამ პრობლემას ვერ მოგიგვარებთო. ძალიან გთხოვთ, დაწერეთ, ეს მხოლოდ ჩემი პრობლემა არ არის, იქნებ ვინმე დაგვეხმაროს.

*თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე №3 საბავშვო ბაღში, იქ სოფელ ნულიდან დევნილი 90 ადამიანი ცხოვრობს. როგორც ქალბატონმა ნათელა ნოზაძემ მითხრა, ბაღში მხოლოდ 10 საწოლი შეიტანეს და კენჭისყრით გაანაწილეს. მათთვის საბანიც კი ფუფუნების საგნად ქცეულა.*

**ნათელა ნოზაძე:**

— ჩვენც ბავშვების საწოლებში გვძინავს, თხელი პლედები გვაფარია, ღამე გვცივა და გრიპის ვირუსი ერთმანეთისგან გადაგვედო.

**— მედიკამენტები თუ გაქვთ?**

— როცა ამ შენობაში შემოვედით, მედიკამენტებიც მოგვიტანეს. ერთ ოთახში ინახებოდა და საჭიროებისამებრ ვიყენებდით. 1 თვის განმავლობაში ექიმიც გვემსახურებოდა. დაახლოებით 2 კვირის წინ, მედიკამენტები გაიტანეს. აღარც ექიმი გვყავს. თერმომეტრი მაინც დაეტოვებინათ. გვეუბნებიან, პოლიკლინიკაში ჩაბრძანდით და იქ მოგემსახურებიანო. სიცხის გასაზომად ქიაჩელის ქუჩაზე წავიდეთ?

**— მთავრობის წარმომადგენლებიდან ვინმე თუ გაკითხავთ?**

**ნატო ჭავჭავაძე:**

— ცოტა ხნის წინ მოვიდნენ, გაგვესაუბრნენ, რა არ გვქონდა, ჩამოწერეს. გვითხრეს, რომ ჩვენთან პრეზიდენტის დავალებით იყვნენ

რომ მახსენდება, ბავშვის საწოლში უნდა დავიძინო, დაღამება მეჯავრება



მოსულები. ერთ-ერთი პიროვნება — ლევან ნოზაძედ გაგვეცნო და დაგვპირდა, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებით, ოღონდ თუ საპროტესტო აქციებისკენ მოგიწოდებენ, მონაწილეობა არ მიიღოთო. თან იმითაც დაინტერესდნენ, ჩვენთან ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ თუ — არა. მათგან მართლაც არავინ მოსულა.

— **აქციები თუ დაიწყება, მონაწილეობას მიიღებთ?**

— თუ მთავრობა ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს არ შეგვიქმნის, იმ შემთხვევაში აქციაზე გავალთ.

**ნათელა ნოზაძე:**

— გვირჩევნია, ფულადი დახმარება გამოგვიყონ და ვისაც რა გვჭირდება, თავად შევიძენთ.

**ნატო:**

— ისეთი ლეიბები მოგვიტანეს, ბამბაში ნახერხია არეული. თეთრეულს კი ფერი გასდის და ჩვენც ვილებებით.

**ნათელა:**

— ნულის დაბომბვას, როგორც იქნა, გადავურჩით და გორამდე მივაღწიეთ. მე-7 სკოლაში ლტოლვილების აღწერა ხდებოდა. იქ რომ მივედით, ბომბდამშენმა კიდევ ერთხელ გადაგვიფრინა. დავიჭერი, სისხლი მდიოდა. იმ დღეს რეგიონის რწმუნებულს ლადო ვარძელაშვილსაც შევხვდით. სოფლიდან რატომ გამოხვედითო ?! — გვისაყვედურა და მოღალატეები გვიწოდა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე განერვიულებული ვიყავი, თავის შეკავება მაინც შევძელი და საკადრისი პასუხი არ გავეცი. ეს სოფელი ავტომატებით შეიარაღებული ადამიანების შემოსევას 18 წელი მედგრად უძლებდა, მაგრამ ბომბებს ველარ გავუძელით და წამოვედით. კიდევ ჩვენ ვართ მოღალატეები?! ჩემი შვილები ომში იბრძოდნენ.

**ნესტორ ჭავჭავაძე:**

— სოფლიდან ყველაზე გვიან მე გამოვედი, მგონი, 19 აგვისტო იყო. სახლებს ცეცხლი ეკიდა. არც ერთი შენობა აღარ არის.

— **მაროდიორებს როგორ გადაურჩით?**

— ყოლოს ბუჩქებში ვიმალებოდი, საკუთარი თვალით ვუყურე, როგორ ძარცვავდნენ ჩემს სახლს. ნადავლით მეზობლის ტრაქტორი დატვირთეს და წაიღეს. ოსები იყვნენ, მათ რომ დავენახე, მომკლავდნენ, შეიარაღებულები გახლდნენ. ახლა კი უიარაღოდ დადიან და ისე მაროდიორობენ, წინააღმდეგობის გამწევი აღარავინ არის.

**ნატო:**

— რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ მთავრობამ ჩვენ მიმართ მეტი გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს. იმ ლტოლვილებს უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც გორში შეიყვანეს. ჯობდა, ჩვენც კარვებში გადავესულიყავით. მათ საწოლებიც აქვთ და თბილი ტანსაცმელიც. უკვე აცივდა, რა გვეშველება?!

*დევნილებთან გასაუბრების შემდეგ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დავუკავშირდით.*

**ვალერი კოპალეიშვილი** — *დევნილთა და განსახლების მინისტრის მრჩეველი:*




— **ბატონო ვალერი, რატომ უჩნდებათ დევნილებს იმის განცდა, რომ მათთან ქვეყანაში შემოსული ჰუმანიტარული დახმარების მხოლოდ მცირედი ნაწილი მიდის?**

— ჩვენ მათ პრობლემებს კარგად ვიცნობთ. დევნილთა მდგომარეობის გამოსასწორებლად გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებს ვახორციელებთ. ვიცით, რომ საწოლები, ლეიბები, თბილი საბნები, მათ სასწრაფოდ სჭირდებათ. ბოლო პერიოდში შემოსული ჰუმანიტარული დახმარება ახლა ნაწილდება. შეკვეთილი გვაქვს საბნები, რომლებსაც ალბათ უახლოეს დღეებში მივიღებთ და გავანაწილებთ. მთავრობამ უკვე შეიძინა საჭირო რაოდენობის საწოლები, ახლა მათ დარიგებას დაიწყებენ. ზოგჯერ დახმარება იმდენად მცირე იყო (მაგალითად, შემოსული იყო 400 მატრასი), მხოლოდ ფეხმძიმე ქალებზე, ხანდაზმულებსა და მძიმე ავადმყოფებზე გავანაწილეთ.

— **ზამთარში გათბობის საკითხი თუ მოგვარდება?**

— ბუნებრივია, ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. თითოეული დევნილი ისეთ ოთახში იცხოვრებს, რომელშიც წყალი არ ჩამოვა და სითბო შენარჩუნდება. გათბობა ზოგან — დენის, ზოგან გაზის საშუალებით ექნებათ.

— **იმ სახლებში, რომლებიც წეროვანში შენდება, შესასახლებელ ოჯახებს რა ნიშნით შეარჩევთ? უსახლკაროდ იმაზე ბევრად მეტი ოჯახია დარჩენილი, ვიდრე სახლი შენდება.**

— ამისთვის სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც ახალ სახლებში შესასახლებელ ოჯახებს შეისწავლის და შეარჩევს. ■

მხარდაჭერა ქართულ წარმოებას!!!
„კვირის პალიტრის" მედია სახლი ისევ თქვენ გვერდითაა
და საქართველოში შექმნილი რთული პირობების გამო
გთავაზობთ უპრეცედენტო ფასდაკლებას ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე

რადიო „პალიტრაში" FM 103.9
და დღეისათვის ყველაზე წარმატებულ ჟურნალებში „გზა" და „არსენალი"
რეკლამის ღირებულება — ფასდაკლება საბაზო ტარიფებიდან -50%
იოსებიძის 49
37-78-07; 38-78-70

26014
პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



**მსახიობს, პირველ რიგში, ალბათ, ერთგული და გემოვნებიანი მაყურებელი უნდა უსურვო. ეკა ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ ქართველები ყველაზე გემოვნებიანები და კრიტიკულები არიან. საკუთარ გემოვნებაზე კი ეკა თავად გიამბობთ.**

# „ბუნებით ესთეტი ვარ და ამაში გენებიც მიწყობს ხელს...“

*მერი კობიაშვილი*

— **ეკა, როგორ ფიქრობ, გემოვნებიანი ადამიანი ხარ?**

— ნამდვილად...

— **ამ დასკვნამდე როგორ მიხვედი?**

— ბუნებით ესთეტი ვარ. გენებიც ხელს მიწყობს. მამა მხატვარ-არქიტექტორი მყავს; დედასაც კარგი გემოვნება აქვს.

— **ესე იგი, სხვებისგან განსხვავებული გემოვნებით გამოირჩევი?**

— ორიგინალურობაზე პრეტენზია არ მაქვს. ყველა ადამიანის გემოვნება ინდივიდუალურია. ბავშვობიდან ვხატავდი მოდელებს და სხვადასხვა კაბას ვაცმევდი. საერთოდაც, მოდელირებაზე ვაპირებდი ჩაბარებას, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ჩემი სახლის დიზაინი და არქიტექტურა მე მეკუთვნის. აგარაკსაც აბსოლუტურად ჩემი გემოვნებით ვაშენებ. თვალებს რომ დავხუჭავ, ვხედავ, ოთახები რა ფერი და როგორი უნდა იყოს.

— **გემოვნებაზე თუ გიკამათია?**

— მართალია, ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო, მაგრამ როგორც წესი, გემოვნებაზე ყველაზე მეტს კამათობენ ხოლმე. ბოლოს კი აცხადებენ, ხომ მაქვს უფლება, საკუთარი აზრი მქონდესო და ამით მთავრდება ყველაფერი.



— **ქალებს ყველაზე ხშირად დედამთილებთან მოსდით კამათი. ავეჯის გადაადგილებაზეც კი ვერ თანხმდებიან. შენც მათ რიცხვში ხარ?**

— ყოფილ დედამთილთან არასდროს მქონია კამათი, უფრო მეტად დედაჩემთან მიკამათია. მე და დედა ძირითადად იმაზე ვკამათობთ, როგორი თმის ფერი შეიძლება მქონდეს, ამა თუ იმ ტანსაცმელს რა შეიძლება მოუხდეს. ჩემი აზრით, ამ მხრივ ადამიანს შეიძლება რამე ურჩიო, მაგრამ საკუთარი არჩევანი თავზე არ უნდა მოახვიო.

— **სახლს დიდი ხნის განმავლობაში აწყობდი?**

— დიდი ხანი არ არის, რაც ამ სახლში გადმოვედი. აქ ყველაფერი დავანგრიე და ხელახლა ავაშენებინე. მოკლედ, ყველაფერი შევცვალე. ჩემი არქიტექტურული გემოვნება გამოვიყენე. ჩემს სახლში მხიარული ფერებია. აურაც მხიარულია. მიმაჩნია, რომ მუქ ფერებში გადაწყვეტილი გარემო, ადამიანზე ყოველთვის დამრთგუნველად მოქმედებს. მე მიყვარს ხისფერი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, რომ ფანჯრები ხისფერი გამეკეთებინა და არა — თეთრი. მეტალოპლასტმასის ფანჯრებია და შესაბამისად, არ შემეძლო, რომ ფერი შემეცვალა. სახლში მაქვს ხის კიბე, რომელიც ძალიან მომწონს. კიბის მოაჯირი ძალიან ორიგინალური გამომივიდა. ჩემ გვერდით სახლს ანგრევდნენ, რომელსაც არაჩვეულებრივი მოაჯირი ჰქონდა. ამ მოაჯირს ალბათ ჯართში ჩააბარებდნენ. შევთავაზე, იქნებ მომყიდოთ-მეთქი. დამთანხმდნენ და ახლა სახლში მეცხრამეტე საუკუნის მოჩუქურთმებული მოაჯირი მაქვს, რომლითაც ძალიან ვამაყობ.

— **მოაჯირში ძვირი გადაიხადე?**

— სულ რაღაც ას ლარად ვიყიდე. მე გავიზარდე სახლში, სადაც აღმოსავლური და ჩინური ნივთები იყო. ბებია და ბაბუა წლების განმავლობაში ჩინეთში მუშაობდნენ. ბაბუაჩემი — გაბრიელ მენაბდე ჩინეთში კერძოდ კი, პეკინში მდინარე იანძიზე ხიდს და ჰიდროელექტრო სადგურს აშენებდა. იქიდან რომ დაბრუნდნენ, უამრავი ჩინური ნივთი ჩამოიტანეს. ეს ორიგინალური ნივთები ბავშვობიდანვე ძალიან მომწონდა.

— **ბაბუის აშენებულ ხიდზე გაგივლია?**

— სამწუხაროდ, არა. ჯერჯერობით ჩინეთში არ ვყოფილვარ.



პატარა ეკა მშობლებთან ერთად

— **საკუთარი გემოვნებით ბინის მოწყობა ძვირი სიამოვნებაა?**

— ავეჯი არ მიყიდია, ბებიამ და ბაბუამ დამიტოვეს. ასე რომ, ავეჯში ფული არ დამიხარჯავს. „სიმდიდრე ხარისხის გამომხატველი არ არის ანუ ფასი გემოვნების ეკვივალენტი არ გახლავთ“ — ამ ფრაზას სპექტაკლ „ეთსეტერაში“ ვამბობდი, სადაც ვთამაშობდი საოცრად ესთეტ მანეკენს, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა სხვებს. მთელ სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რომ ზემოდან ყურება ადამიანისთვის ყველაზე დიდი უგემოვნობაა.

— **საინტერესოა, როგორი მამაკაცები მოგწონს ანუ ამ მხრივაც შევამოწმოთ შენი გემოვნება?**

— მამაკაცი გამხდარი, მაღალი უნდა იყოს. ოღონდ ისეთი მაღალი არა, რომ მის გვერდით საშინელი დისკომფორტი მქონდეს. კაცი ცოტა განიერმხრებიანი უნდა იყოს. სასურველია, ღია ფერის თვალები და თავზე ბევრი თმა ჰქონდეს.

— **შენი ყოფილი მეუღლე — გიორგი ნაკაშიძე გარეგნულად შენ მიერ აღწერილი მამაკაცისგან აბ-**



„ეთსეტერაში" საოცრად ესთეტ მანეკენს ეთამაშობდი

სოლუტურად განსხვავდება...

— გიორგი თავიდან გამხდარი და ძალიან სიმპათიური იყო. ახლაც სიმპათიურია, უბრალოდ, დაკაცდა. ისეთი მამაკაცი აღვწერე, როგორიც მე მომწონს, თორემ შეიძლება სრულიად საპირისპირო გარეგნობის მამაკაცი შემიყვარდეს. ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავ.

**— გვერდით როგორი ხასიათის მამაკაცს ისურვებდი?**

— ასეთი მამაკაცი ცხოვრებაში ჯერ ვერ ვიპოვე. მინდა, რომ ჩემ გვერდით ძლიერი მამაკაცი იყოს.

**— ძლიერი მამაკაცები არ არიან საქართველოში?**

— ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვნახე. მინდა, ისეთი მამაკაცი ვიპოვო, რომელიც დამამშვიდებს და მას თავისუფლად დავეყდნობი. აქამდე სიძლიერეს მარტო მე ვიჩენდი ხოლმე.

**— რამდენი წლის ხარ?**

— 36-ის.

**— ამ პერიოდში უკვე მოასწრებდი დასკვნის გაკეთებას, როგორ მამაკაცებს მოსწონხარ?**

— ძალზე ფართოა ასეთი მამაკაცების სპექტრი... ისე, ძირითადად, მაინც სუსტ მამაკაცებს მოვწონვარ. ალბათ, იმიტომ, რომ მე ძლიერი ვარ. ეს, ალბათ, ბუნების კანონზომიერებაა.

**— შენი სიძლიერე რაში გამოიხატება?**

— ოპტიმიზმში, კრიტიკულ სიტუაციაში ქმედუნარიანობაში, მხარდაჭერაში. მიმაჩნია, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა არ არის მხოლოდ სასიყვარულო ურთიერთობა; ეს არის მეგობრული ურთიერთობა, გაგება, მხარდაჭერა და ა.შ. ქალის და მამაკაცის ურთიერთობა იდეალური მაშინაა, როცა ისინი შეყვარებულებიც არიან და მეგობრებიც.

**— საკუთარი თავის მიმართ რამდენად კრიტიკული ხარ?**

— ძალიან კრიტიკული ვარ. ხანდახან მინდა ხოლმე, რომ ჩემი თვითკრიტიკა არ გამოვამჟღავნო; იმიტომ, რომ როცა ასე ვიქცევი, გაოცებულები მიყურებენ. თვითკრიტიკულობას საკუთარი თავის სრულყოფისკენ მივყავართ.

**— საკუთარ გარეგნობაში რამეს შეცვლიდი?**

— შეიძლება, ერთი შეხედვით არ მეტყობოდეს, მაგრამ ექსპერიმენტები ძალიან მიყვარს. თმა, ორ სანტიმეტრზე მქონია გაკრეჭილი და ხან შავად ვიღებავდი, ხან — წითლად. ისეთი თმის საღებავი რომ მქონდეს, რომელიც მეორე დღეს ჩამოიბანებოდა, აუცილებლად უამრავ ექსპერიმენტს ჩავიტარებდი. გარეგნულადაც შევიცვლებოდი. ორი-სამი სანტიმეტრით რაღაც-რაღაც ორგანოებს გავიზრდიდი.

**— რაღაც ორგანოებში რას გულისხმობ?**

— იმას, რასაც ქალები იზრდიან ხოლმე. მკერდს და საჯდომს შევიცვლიდი; ძალიან მინდა, რომ იმაზე ხშირი თმა მქონდეს, ვიდრე მაქვს. ახლა როგორც მომინდება, ისე ვერ ვიკეთებ და მერე ამის ფართო არჩევანი მექნებოდა. ახლა თავზე ხშირი, ხუჭუჭი თმა რომ მქონდეს, სრულიად სხვა ტიპი ვიქნებოდი. ასეთი ცვლილება რომ ჩავუტარო საკუთარ თავს, მერე ერთი წელი უნდა მოვანდომო, რომ ძველი ეკა გავხდე.

**— შენი და რეჟისორის გემოვნება ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს? ყოფილა შემთხვევა, რომ შენი გმირი საერთოდ არ მოგწონდა, მაგრამ როლზე ანაზღაურების გამო დათანხმებულხარ?**

— თეატრში ისეთი ანაზღაურება ნამდვილად არ არის, რომ როლზე ამის გამო დათანხმდე. რეჟისორთან მუშაობა კი კამათის გარეშე ვერ ჩაივლის; თუმცა ვინაიდან, რეჟისორზე მეტი რამ არის დამოკიდებული, მისი აზრი უფრო პრიორიტეტულია. შეიძლება ითქვას, რომ მსახიობი რეჟისორს მის მიერ დასახული მიზნისკენ მიმავალ გზას ურთულებს.

**— ადამიანის საყვარელი მუსიკალური ჟანრის მიხედვით ხომ მის გემოვნებაზე ბევრი რამის გაგება შეიძლება... შენ რა ჟანრის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?**

— ძალიან მიყვარს სტინგი. ელა ფიცჯერალდი, მაგრამ ლაითი ჯაზი. მრავალფეროვან კოლაჟს მე თვითონ ვაკეთებ და მერე დიდი სიამოვნებით ვუსმენ ხოლმე. არ მიყვარს მეტალი და მძიმე როკი. ყველა სიტუაციას სხვადასხვაგვარი განწყობილება უხდება. კარგი განწყობილებისთვის სამბას ვუსმენ ხოლმე. დეპრესიულ მუსიკას თუ მოვუსმენ, შეიძლება, დეპრესიაში ჩავვარდე.

**— წიგნის საკითხავად დრო თუ გრჩება?**

— შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფური მკითხველი ვარ. თუ არ წავიკითხე, ვერ ვიძინებ. ბავშვობიდან ვგიჟდები ჰერმან ჰესეზე. პაოლო კოელიოს რამდენიმე მოთხრობა მომწონს, მაგრამ მას დიდ მწერლად არ მივიჩნევ... ■



გიორგი თავიდან გამხდარი და ძალიან სიმპათიური იყო

პროფესიული განათლების პროფკავშირი და საერთაშორისო ორგანიზაცია "JOINT"-ი 18-35 წლის ასაკის მსურველთათვის ა.წ. 15 ოქტომბრიდან ატარებს უფასო კურსებს სპეციალობებში: სარეკლამო აგენტი, სადაზღვევო აგენტი, ტანსაცმლის მოდელირება-კონსტრუირება-კერვა, მზარეული, სასტუმროს ადმინისტრატორი, მოლარე-გამყიდველი. სწავლება იწარმოებს 15-18 საათზე. მისამართზე უზნაძის ქ.№68. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან, მათზე გაიცემა სერტიფიკატი.

საკონტაქტო ტელეფონი:
951849; 32-35-64; 899899 57- 20-55, 877 72-27-09.
E-MAIL: Dan.prof@yahoo.com; siyb_kab_geo@mail.ru

# „მინდოდა, ჩემი თავი უფრო კარგად წარმომეჩინა...“

## რატომ გაბრაზდა საკუთარ თავზე გიორგი ახვლედიანი

*როცა „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი ახვლედიანს დავუკავშირდი და „ერუდიტში“ სტუმრობა ვთხოვე, თავდაპირველად იუარა, მაგრამ ბოლოს, შეხვედრაზე მაინც დამთანხმდა და პარლამენტში მიმიპატიჟა. იგი პროფესიით თეოლოგია, ამბობს, რომ ფილოსოფიური ლიტერატურით ადრეულ ასაკში დაინტერესდა. მის საყვარელ მწერალთა ჩამონათვალი არცთუ ისე მცირეა, წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაა“. მიაჩნია, რომ ეს ის ნაწარმოებია, რომელიც ყოველ 10 წელიწადში ერთხელ უნდა წაიკითხო.*

თამუნა კვინიკაძე

### პრეამბულის მაგიერ

**— თქვენთან შემოსვლისთანავე შევნიშნე, რომ მაგიდაზე გიდევთ ჭიქა, რომელსაც „იმედის“ ლოგო აქვს. ტელევიზია ხომ არ მოგენატრათ?**

— (*იცინის*) საკუთარი თავი იმ გუნდის წევრად მიმაჩნია, რომელმაც ეს ტელევიზია აგურ-აგურ ააშენა. ჟურნალისტიკაში თეოლოგიიდან მოვხვდი. ყოველთვის ვამბობდი, ამ სფეროში მანამდე დავრჩები, სანამ საქმის კეთება სიამოვნებას მომანიჭებს და თავს კომფორტულად ვიგრძნობ-მეთქი. როცა ჩემი, როგორც ჟურნალისტის თავისუფლება შეიზღუდა, მივხვდი, რომ ცხოვრებაში ახალი ეტაპი უნდა დაწყებულიყო. იყო დრო, როცა „იმედი“ ქართულ ტელესივრცეში ობიექტურ გარემოს ქმნიდა.

**— დღეს ამას ველარ ახერხებს?**

— დღევანდელი „იმედი“ ძველი „იმედისგან“ ძალზე შორს დგას. თავისუფალი ტელევიზიის არსებობა აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ კონტროლის მექანიზმი გაძლიერდეს. ის, ასე ვთქვათ, ხელისუფლების „ალვირი“ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება, რომელიც თავისუფალ სიტყვას ზღუდავს, უალვიროდ ხრამში გადაჩეხილი ცხენის ბედს გაიზიარებს.

**— ამ ევროპელმა მოგზაურმა 1671-79 წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა და დაწერა თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. თხზულების ვრცელი ნაწილი საქართველოს შეეხება. რომელია ეს ევროპელი მოგზაური?**

— ე.ი. 1671-79 წლებში ის საქართველოშიც იმყოფებოდა (*ფიქრობს*).

**— მიგანიშნებთ, თბილისში ამ მოგზაურის სახელობის ქუჩაც არის.**

— ჟან შარდენი. გამოვიცანი?

**— დიახ. ლათინურის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე მეტად რომელი ანბანური სისტემაა გავრცელებული?**

— არაბული.

**— კინოს რომელი საერთაშორისო ფესტივალის უმაღლესი ჯილდოა „ოქროს პალმის რტო“?**

— კანის.

**— რა ერქვათ მარიამ ღვთისმშობლის მშობლებს?**

— ზაბულონი და...

**— ცდებით.**

— ვაი! თეოლოგ კაცს ეს უნდა დამვიწყებოდა?!

**— შეგახსენებთ, ღვთისმშობლის მამას იოაკიმი ერქვა დედას...**

— (*მაწყვეტინებს*) იოაკიმი და ანა.

**— რა არის გამოსახული მარინისტული ჟანრის ტილოზე?**

— ზღვის პეიზაჟი.

**— რომელია პირველი ქართული მხატვრული ფილმი? (*ფიქრობს*). მიგანიშნებთ, მას ქალის სახელი ჰქვია.**

— „ქრისტინე“.



**— საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიმღერა საქართველოში ისევე, როგორც შელოცვა, სამკურნალო საშუალებად მიიჩნევა. ჩამოთვლილ სიმღერათაგან რომელია სამკურნალო ხალხური სიმღერა: „სისატურა“, „ბატონებო“, თუ მეგრული „ნანა“?**

— „ბატონებო“.

**— იესოს ხილვის მოლოდინში რომელმა წმინდანმა იცხოვრა სამ საუკუნეზე მეტხანს?**

— ეს წმინდანი გახლდათ სვიმეონ მიმრქმელი. როცა იგი „ძველი აღთქმის“ გადაწერაზე მუშაობდა, ორიგინალში ამოიკითხა, რომ მაცხოვარი უბიწო ქალწულისგან იშვებაო. იფიქრა, რომ სიტყვა „უბიწო“ შეცდომით ეწერა და სხვა სიტყვით ჩაანაცვლა. ამის შემდეგ, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: მანამ არ მოკვდები, სანამ უბიწო ქალწულისგან შობილ მაცხოვარს არ იხილავო. ამის მოლოდინში კი 3 საუკუნე გავიდა.

**— „კვირა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს...**

— ვერ გეტყვი.

**— საუფლოს. ქვემოთ ჩამოთვლილი ვაზის ჯიშებიდან: რქაწითელი, საფერავი, პინო — რომელი არ არის ქართული?**

— პინო.

**— ეს ფილმი-„ბოევიკი“ გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა. მთელი ფილმის განმავლობაში, მისი მთავარი გმირი მხოლოდ 40 სიტყვას წარმოთქვამს. რომელთაგან 10 იარაღის სახელწოდებაა, 10-იც ერთი და იგივე სახელი. რა ჰქვია ფილმის ამ გმირს?**

— (*ფიქრობს*) ტერმინატორი.

**— ამ ცხოველმა რომის დამაარსებელი ძმები — რემუსი და რომულუსი გამოკვება და გამოზარდა, შემდეგ ის რომის სიმბოლოდ იქცა, ქალაქში ძეგლიც დაუდგეს. რომელია ეს ცხოველი?**

— ძუ მგელი.

**— პროფესიით თეოლოგს, გეცოდინებათ, რომელია ყველაზე დიდი ზომის მინანქრის ხატი მსოფლიოში?**

— ხახულის ღვთისმშობელი.

**— სად მოხდა იესოს ფერისცვალება?**

— თაბორის მთაზე.

**— რა ჰქვია საეკლესიო წესების კრებულს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

**— ტიპიკონი.**

— საკუთარ თავზე გავბრაზდი.

**— ვინ იყო ლავუაზიე?**

— ფიზიკოსი.

**— ცდებით. ლავუაზიე ფრანგი ქიმიკოსი გახლდათ. რომელ ქვეყანაშია აღმოჩენილი უძველესი ქართული წარწერა? (*ფიქრობს*). მიგანიშნებთ. ეს წარწერა 1950 წელს ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა.**

— ალბათ, პალესტინაში, ასეა?

**— დიახ. ჩვენთან მას „მარცვლეულის ღვინოს" უწოდებენ, ეგვიპტეში — „ხორბლის ნახარშს". მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამზადებენ, მათ შორის, საქართველოშიც. რომელია ეს სასმელი?**

— (*ფიქრობს*). არ ვიცი.

**— მარტივი კითხვაა. არ მეგონა, პასუხის გაცემა თუ გაგიჭირდებოდათ.**

— ერთხელ კიდევ გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*). ლუდი, რატომღაც დავიბენი.

**— ძველ დროში ამ ხისგან კიდობანს ამზადებდნენ, რომელშიც პატარძალს მზითევს უწყობდნენ; მისი მოჭრის საკითხს თვით მეფე წყვეტდა. რომელ ხეზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვიხსენებ.

**— ეს ხე 20-35 მეტრის სიმაღლის იზრდება, ადგილობრივი მოსახლეობა ანგელოზის ხეს უწოდებდა. ვერ მიპასუხებთ?**

— კვიპაროსი?

**— ცდებით. სწორი პასუხია უთხოვარი (იგივეა, რაც ურთხელი). ინგლისის რომელი ქალაქიდან იყვნენ ლეგენდარული ჯგუფის „ბითლზის" წევრები?**

— ლივერპულიდან.

**— რომელ დიდ მოგზაურსა და მკვლევარს უწოდეს პაპუასებმა „ადამიანი მთვარიდან"?**

— მიკლუხო მაკლაის, ის პაპუასების ცხოვრებას იკვლევდა.

**— რას შეისწავლიან უფოლოგები?**

— უცხოპლანეტელებს.

**— რომელია ქართველი კინორეჟისორის — დავით რონდელისა და ინგლისელი პოეტის — ჯონ მილტონის ერთი და იმავე სახელწოდების ქმნილება?**

— არ ვიცი.

**— „დაკარგული სამოთხე". რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?**

— გონდოლა.

**— რა ჰქვიათ ორგანიზმებს, რომლებიც სხვა ცოცხალ ორგანიზმზე ან მის შიგნით სახლობენ და მის ხარჯზე იკვებებიან?**

— პარაზიტები.

**— „პარაზიტი" ბერძნული სიტყვაა, როგორ ითარგმნება ქართულად?**

— არ ვიცი (*იცინის*).

**— პარაზიტი მდგმურს ნიშნავს. ადამიანის ორგანიზმის რომელ ორგანოში ხდება ნაწლავებიდან შეწოვილი მავნე ნივთიერებების გაუვნებლება?**

— ღვიძლში.

**— რატომ არ სველდება ბატი წყალში?**

— იმიტომ, რომ ცხიმიანი ბუმბული აქვს.

**— რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა ამჟამად ოშკის ტაძარი?**

— თურქეთის ტერიტორიაზე.

**— თუ წრეწირის სიგრძე 2-ჯერ გაზარდეს, რამდენჯერ გაიზრდება მისი რადიუსი?**

— 2-ჯერ?

**— დაწესებულებაში 80 თანამშრომელი მუშაობს. ამათგან 45 პროცენტი მამაკაცია. რამდენი მამაკაცი მუშაობს ამ დაწესებულებაში?**

— (*ფიქრობს*). 80X45:100 ეს იქნება — 36. სწორად გამოვიანგარიშე?

**— დიახ. რა ეწოდება ორგანიზმის უნარს, აღიდგინოს დაზიანებული ქსოვილი ან სხეულის დაკარგული ნაწილი?**

— რეგენერაცია.

**— რა ჰქვია ლიტვის პარლამენტს?**

— ვაიმე! (*ფიქრობს*) რა უნდა ერქვას?

**— სეიმი. საქართველოს რომელ ქედზე მდებარეობს ცხრაწყაროს უღელტეხილი?**

— არ ვიცი.

**— თრიალეთის ქედზე. იგი 1626 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში დაარსდა და მისი თავდაპირველი სახელი იყო ახალი ამსტერდამი. დაასახელეთ ამ ქალაქის ამჟამინდელი სახელი.**

— ნიუ-იორკი.

**— რომელ კუნძულთა არქიპელაგზე მდებარეობს ჯუჯა სახელმწიფო ბარბადოსი?**

— არ ვიცი.

**— მცირე ანტილიის. ფოთოლცვენისას ტოტების წვერზე განლაგებული ფოთლები ხეს ყველაზე გვიან სცვივა, რატომ?**

— იმიტომ, რომ ისინი ყველაზე ახალგაზრდაა.

**— ევროპაში ამ მდინარეს რუსეთის „მთავარ ქუჩას" უწოდებენ. რომელია ეს მდინარე?**

— ვოლგა.

**— აკაკის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?**

— „გამზრდელის".

**— ვის მიუძღვნა ვაჟა-ფშაველამ შემდეგი სტრიქონები: „სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა"?**

— აკაკი წერეთელს.

**— სად გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი?**

— განჯაში.

**— რა არის გულანშარო — „ვეფხისტყაოსანში" ქაჯეთის დედაქალაქი, ზღვათა სამეფოს დედაქალაქი თუ ხატაელთა დედაქალაქი?**

— როგორც მახსოვს, ზღვათა სამეფოს დედაქალაქი.

**— რომელი ტაძარია ნახსენები გალაკტიონის ცნობილ ლექსში — „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში"?;**

— (*ფიქრობს*). მიგანიშნებთ, „შემოიჭრება... სხივი და თეთრ ოლარებს ააელვარებს".

**— სიონი. დედამიწის ყველაზე ცხელ კონტინენტზე, აფრიკაშიც კი არის მყინვარი. სად მდებარეობს ის?**

— კილიმანჯაროზე.

**— რა ქმნის რუკაზე გრადუსთა ბადეს?**

— მერიდიანებისა და პარალელების ერთობლიობა.

**— ვინ შეადგინა პირველი გეოგრაფიული ატლასი: ვახუშტი ბატონიშვილმა, პტოლემეუსმა თუ მიხეილ ლომონოსოვმა?**

— პტოლემეუსმა, არა?

**— დიახ. ქვემოთ ჩამოთვლილ მცენარეთაგან: ბრინჯი, ხორბალი, მზესუმზირა, ლობიო — რომელი მცენარის თესლი შეიცავს ყველაზე მეტ ცილას?**

— ლობიო.

**— ჩამოთვლილ ფილოსოფოსთაგან: არისტოტელე, სოკრატე, დიოგენე, პლატონი — რომელი დასაჯეს სიკვდილით?**

— სოკრატე.

**— დაასრულეთ ჰანიბალის ცნობილი გამონათქვამი: „ურცხვობა დღეს იქნება თუ ხვალ..."**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს.

**— „...უნამუსობად გადაიქცევა".**

— მინდოდა, რომ ჩემი თავი უფრო კარგად წარმომეჩინა.

## ერუდიტი +

*ეთოლოგია (ბერძნ.)* — *ზოოლოგიის დარგი, რომელიც ცხოველთა ქცევას სწავლობს.*

*ეკლექტიზმი (ბერძნ.)* — *სხვადასხვაგვარი შეხედულების, თეორიის, იდეური მიმართულების ნებისმიერი უპრინციპო შეერთება.*

*კომუნიკე (ფრანგ.)* — *ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.*

*რაბინი (ძვ. ებრ.)* — *ებრაელთა კულტის მსახური.*

*რეგულარული (ლათ.)* — *თანაზომიერი, სისტემატური. მაგალითად, რეგულარული არმია, ჯარი — მტკიცედ დადგენილი ორგანიზაციის მქონე ჯარი, რომელიც გადის გეგმაზომიერ სამხედრო წვრთნას.*

# იტალიელი სტილისტის მიერ არჩეული ქართველი ქალი...



სამოდელო სააგენტო „ნატალის" მოდელი **ეკა გაგნიძე**, საკუთარ პროფესიაში თავს წარმატებულად მიიჩნევს. ამბობს, რომ ერთი წლის განმავლობაში იმდენს მიაღწია, რასაც სხვები წლების მანძილზე ვერ ახერხებენ. ამჯერად ის თავის სამომავლო გეგმებსა და პირად პრობლემებზე გვესაუბრება.

სოფო ჭონიშვილი

— ამბიციურ ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წარმატებული მოდელი ვარ. ერთი წლის განმავლობაში უამრავ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა; გადამიღეს რეკლამებში; სულ ახლახან კი სილამაზის სალონ „ნატალის" სახე გავხდი.

— **როგორ?**

— 22 ივლისს, თბილისში, 3 დღით იტალიელი სტილისტი — დევიდ პერსაკო იყო ჩამოსული. მან ქართველ მოდელებს ვარცხნილობები შეგვირჩია. სილამაზის სალონმა „ნატალიმ", როგორც ცნობილ სტილისტს, უფლება მისცა, რამდენიმე მოდელისგან ერთ-ერთი აერჩია, რომელიც შემდეგ „ნატალის" სახე გახდებოდა. მან კი მე ამირჩია. როგორც შემდეგ თვითონ მითხრა, თურმე იტალიელს ვგავარ. ძალიან გამიხარდა. საერთოდ, რომელ კონკურსშიც კი ვმონაწილეობდი, ყველგან პირველი ადგილი მაქვს აღებული. ასე რომ, წარმატებას შეჩვეული ვარ.

— **სილამაზის სალონ „ნატალის" სახე რომ ხარ, ეს რა ვალდებულებას გაკისრებს?**

— გადამიღებენ სალონის რეკლამებში, უფლება მაქვს, როცა მინდა, მაშინ მივიდე „ნატალიში" და უფასოდ ჩამიტარებენ ყველა პროცედურას. საოცრად ბედნიერი ვარ. ქალისთვის ხომ ეს ყველაზე დიდი საჩუქარია.

— **როგორც ვიცი, მონაწილეობას ინტერნეტკონკურსშიც იღებ?**

— ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე 500-მდე ქართველი გოგონას ფოტოა განთავსებული. იქიდან მხოლოდ 18 აირჩიეს. მათ შორის, მეც. სხვათა შორის, ვლიდერობდი, მაგრამ ამ ეტაპზე მე-3 ადგილზე ვარ. იმედია, გავიმარჯვებ.

— **გამარჯვებულისთვის პრიზი დაწესებულია?**

— პირველ ადგილზე გასულს პორტფოლიოს უკეთებენ. ასევე დაწესებულია თათა ვარდანაშვილის 180-ლარიანი კუპონი. პრიზი არ მაინტერესებს, პირველი ადგილი მინდა (*იცინის*)!

— **სად გაირუჯე, ზღვაზე თუ სოლარიუმში?**

— წელს დასვენება არ გამომივიდა, საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. ქობულეთში ჩავედი თუ არა, მეორე დღეს ომი დაიწყო. თბილისამდე ძლივს ჩამოვაღწიე. ამას ჩემი პირადი პრობლემებიც დაერთო და დეპრესიიდან ჯერ არ გამოვსულვარ.



მინდა, ოქტომბრიდან „რუსთავი 2"-ის ახალ რეალურ შოუში მივიღო მონაწილეობა

— **პირად პრობლემებში რას გულისხმობ?**

— 3 თვის წინ, მეუღლეს გავშორდი. სულ რაღაც ერთი წლის წინ, ბედნიერი ოჯახი გვქონდა...

— **ოჯახის დანგრევის მიზეზი შენი საქმიანობა ხომ არ გახდა?**

— როცა მოდელობა გადავწყვიტე, პირველად ამის შესახებ მეუღლეს ვუთხარი. მას უარი არ უთქვამს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ეჭვიანობა დაიწყო. სულ ვკამათობდით. აღარ მენდობოდა. დაძაბული ურთიერთობა გვქონდა. როცა ვკითხე, რა ხდება-მეთქი? ყველაფერში მე დამადანაშაულა. ბოლოს, ისიც მითხრა — ან მე, ან — შენი კარიერაო. ყველაფრის მიზეზი კი ვფიქრობ, ის იყო, რომ ძალიან პატარა გავთხოვდი.

— **რამდენი წლის იყავი?**

— 15-ის. გათხოვების შემდეგ, წლები რომ მომემატა, გემოვნება და აზროვნება შემეცვალა.

— **მეუღლე აღარ მოგწონდა?**

— ???

— **ახლა მარტო ცხოვრობ?**

— მშობლებთან ერთად, მარტო ცხოვრება კი მინდა, მაგრამ მამა ნებას არ მრთავს.

— **თქვენს მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ?**

— დედამთილმა ერთი კვირის ვადა მომცა, ერთ კვირაში თუ დაბრუნდები, მიგიღებთ, თუ არა და, კარგად იყავიო. ჩემი მშობლები ამ საქმეში არ ჩარეულან. ვინც უნდა ჩარეულიყო, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი იყო. გული მატკინა. ისეთ ადამიანთან მიღალატა, ამის პატიება ჩემთვის წარმოუდგენელია. ახლა მირეკავს და შერიგებას მთხოვს.

— **გათხოვებას ხომ არ აპირებ?**

— როცა გაიგეს ქმარს გავშორდი, თაყვანისმცემლები მომემატა. ჯერჯერობით გათხოვების სურვილი ნამდვილად არ მაქვს. მამაკაცებს აღარ ვენდობი. თუმცა ერთი მამაკაცი მომწონს და მასაც მოვწონვარ, მაგრამ ოჯახის შექმნა ჯერ არ მინდა. ოჯახის დანგრევის შემდეგ დავსერიოზულდი.

— **სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— მოწვევა მაქვს იტალიიდან. ჯერ წასვლა არ გადამიწყვეტია, რატომღაც თავს ვიკავებ. მინდა, ოქტომბრიდან „რუსთავი 2"-ის ახალ რეალურ შოუში მივიღო მონაწილეობა; ჯერჯერობით კასტინგი მიმდინარეობს, უამრავი ლამაზი გოგონადან 26 უნდა აგვირჩიონ. ვნახოთ, რა იქნება. ბიზნესის წამოწყებასაც ვაპირებ. მოკლედ, მინდა, მაქსიმალურად დავიტვირთო, რომ პირად პრობლემებზე ნაკლებად ვიფიქრო. ■



**37 წლის ლალი ლოხაშვილის 8-სულიანი ოჯახი დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია. 7 შვილიდან 6, სკოლის მოსწავლეა. დღეს ოჯახს მათი სკოლაში გაშვება არ შეუძლია, რადგან მიზერული შემოსავალი აქვს. მათთან სტუმრობისას კარი 9 წლის სოფომ გამიღო და ოთახში შემიპატიჟა. ოროთახიანი ბინის მისაღებში ოჯახის ყველა წევრს მოეყარა თავი. ტყუპი — 8 წლის გივი და ნანა — გვერდით მომიჯდა და ჩემს რვეულში ინტერესით იყურებოდა. მალე ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი ლალიც შემოგვიერთდა.**

# მრავალშვილიანი ოჯახის უნუგეშო ყოფა...



*თორნიკე ყაჯრიშვილი*

— 6 წელია, რაც ამ მისამართზე ვცხოვრობ. მანამდე საბურთალოზე, ხილიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ის სახლი 4 წლის წინ, მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა და იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ამჟამად იქ ჩემი პენსიონერი დედა ცხოვრობს. მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდმა საცხოვრებლად ეს ბინა გამოგვიყო. ახლა აღმოჩნდა, რომ ბინა უკანონოდ გვიკავია. საქმე სასამართლომდეც მივიდა, მაგრამ შემდეგ, კომპეტენტური პირების ჩარევის შედეგად მისი წარმოება შეწყდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ანდრო ალავიძეს, რომლის მადლიერიც ვარ. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ამ ბინას საკუთრებაში გადმოგვცემენ. წელს, ჯერჯერობით მშვიდად ვცხოვრობთ, მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ შვიდი შვილიდან 6 სკოლის მოსწავლე მყავს და მათი სკოლაში გაშვება მცირეშემოსავლიანი ოჯახისთვის კატასტროფაა. ამჟამად მე და ჩემი უფროსი ვაჟი, გიორგი ვმუშაობთ. ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 400 ლარამდეა. სიღარიბის პროგრამაში მოვხვდით და 5 ბავშვზე გვაქვს დახმარება — თითო ბავშვზე ყოველთვიურად 20 ლარი.

**— გიორგი სად მუშაობს?**

— დაცვის სამსახურში. მუშაობა ახლახან დაიწყო და პირველი ხელფასი ჯერ არც აუღია. კოლეჯი გაჭირვებით, ახლობლებისა და მეგობრების დახმარებით დავამთავრებინე. 18 წლის ბავშვს, იმის ფულიც არ ჰქონდა, რომ დიპლომი აეღო.

**— როგორ ახერხებთ 400 ლარით, 8-სულიანი ოჯახის გამოკვებას, ჩაცმას და სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების ყიდვას?**

— გინდათ, ჩემი მაცივარი გაჩვენოთ?! სამზარეულოში შეგიყვანთ და ნახავთ, რა დღეში ვარ მარტოხელა დედა, რომელმაც აღარც კი იცის, შვილების დაპურებაზე იფიქროს თუ ჩაცმა-დახურვაზე. ხშირად პურიც გვენატრება. ბევრჯერ მშიერი დავწოლილვარ და პური მეორე დღისთვის შემინახავს. ამხელა ოჯახისთვის გამოსაკვებად ყოველდღიურად, სულ ცოტა 30 ლარი მაინც არის საჭირო. ჩვენ კი დღეში 10 ლარის საკვების ყიდვასაც ვერ ვახერხებთ.

**— ვინმე თუ დაგხმარებიათ?**

— შარშან ჩემს ოჯახზე ტელეკომპანია „მზეზე" სიუჟეტი გავიდა. მაშინ სამშენებლო კომპანია „ევრობილდინგი" გამოგვეხმაურა. ამ კომპანიის ინიციატივა რომ არა, ბავშვებს სკოლაში ვერ მივიყვანდი. დამეხმარნენ მატერიალურად, ბავშვები „მაკდონალდსსა" და ბაზრობაზე წაიყვანეს... კედლებზე სათამაშოები რომ კიდია — მათი ნაყიდია, ჩემმა შვილებმა რელიკვიად შეინახეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ევრობილდინგს", ჩვენი ოჯახისთვის გაწეული უდიდესი დახმარებისთვის. წელს კი ისევ იმავე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი. სასწავლო წელი დაიწყო და ბავშვებს წიგნები საიდან ან როგორ უნდა შევუძინო — არ ვიცი.

**— თითოეულს რამდენი ლარის წიგნი სჭირდება?**

— ლაშა მე-12 კლასშია. საპილოტე კლასია და ჯერ არ ვიცით, რა და რა სახელმძღვანელოები დასჭირდება. თამარი მე-7 კლასშია და ასევე საპილოტე პროგრამით სწავლობს ანუ შარშანდელი მე-7 კლასის წიგნები არ გამოადგება. ფასები გავიკითხე და თითოეულისთვის შესაძენი წიგნების ფასი, დაახლოებით 150 ლარიდან 180 ლარამდე მერყეობს. იზაბელას და სოფიოს ძველი წიგნები გამოადგათ, მაგრამ ტყუპი — გივიკო და ნანა მათ ნაქონ წიგნებს ველარ იყენებენ. მათ კლასში ფული აკრიბეს, 85 ლარი მაქვს მისატანი. 85 ლარი ერთად კი დიდი ხანია, აღარ მინახავს. 37 წლის ქალი ვარ, ჩემს შვილებს საჭმელი რომ არ მოაკლდეთ, არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობ, მაგრამ ჩემი ხელფასით მათ წიგნებს მაინც ვერ გავწვდები. გამოდის, რომ მთელი წელი წიგნების საყიდელი ფული უნდა ვაგროვო... კვებაც ხომ გვინდა?! თავი როგორ გავიტანოთ?! თითოეულ ბავშვს არანაკლებ 10-12 რვეულიც ხომ სჭირდება. ძალიან მინდა, კარგი განათლება მიიღონ, დღედაღამ ამაზე ვფიქრობ. მინდა, ცხოვრების ასპარეზზე ადგილი დაიმკვიდრონ და ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. მეც დავამთავრე უმაღლესი, მაგრამ დღეს ცხოვრებამ მოიტანა და ცოცხი მიჭირავს ხელში. სამსახურში დილით ადრე მივდივარ და შუადღის პირველ საათზე უკვე შინ ვარ. სრული სამუშაო დატვირთვით ვერ ვმუშაობ, რადგან არ მინდა, შვილებს ყურადღება მოვაკლო. ალბათ, ხალხი იფიქრებს, თუ ასე უჭირდა, რატომღა აჩენდა ამდენ შვილსო?! — მაგრამ მე ვმუშაობდი და საწუწუნო არაფერი მქონდა. კადნიერებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველა მრავალშვილიანი დედა გმირი ქალია. ჩვენ, სამშობლოს ვუზრდით შვილებს!

**— რა პროფესიის ბრძანდებით?**

— დაწყებითი კლასების პედაგოგი ვარ. სკოლაში ვმუშაობდი, მაგრამ შემდეგ თავი დავანებე, პატარები დიდ ყურადღებას ითხოვდნენ.

**— სახელმწიფო დაწესებულებისთვის ხომ არ გითხოვიათ დახმარება?**

— არავისთვის მიმიმართავს და ტყუილუბრალოდ ცილს ვერავის დავწამებ. კარგად მესმის, რომ ჩემი შვილების პრობლემები — ჩემივე მოსაგვარებელია, მაგრამ უკვე იმდენად გაჭირდა ცხოვრება, რომ სხვა გზა აღარ მაქვს და მივმართავ ყველას: იქნებ, სასკოლო ნივთებით მაინც დაგვეხმაროთ! სულ ვფიქრობ — ნუთუ საქართველოში ბევრი მრავალშვილიანი დედა ვართ-მეთქი?! დღეს, როდესაც ქვეყანა ასეთი განსაცდელის წინაშეა, ერს გამრავლება სჭირდება. მრავალშვილიან დედებს იქნებ ხელი შეგვიწყონ შვილების აღზრდაში, რადგან ჩვენმა შვილებმა თავიანთ შვილებს ჩააგონონ, რომ მრავალშვილიანობა ტრაგედია კი არა, სიხარული და ბედნიერებაა.

*გვჯერა, რომ ლოხიშვილების 8-სულიანი ოჯახის სატკივარს გულთან ახლოს მიიტანთ და სწავლას მოწყურებული ბავშვებისთვის რაიმე სახის დახმარებას გაიღებთ. ლაშა, თამარი, იზაბელა, სოფო და ტყუპი — გივი და ნანა, თქვენს დახმარებას ელიან. თუ შეგიძლიათ ამ ოჯახს დახმარების ხელი გაუწოდოთ, რედაქციაში დაგვიკავშირდით.* ■



# რობერტ სტურუა თეატრიდან მიდის...

130-ე სეზონი რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას საიუბილეო კვირეულით გაიხსნა. 30 ივლისს რეჟისორს 70 წელი შეუსრულდა. თეატრს საიუბილეოდ არაერთი ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი. სტუმრად ელოდნენ მოსკოვის თეატრს — „ეთსეტერა", რომელსაც რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლები უნდა წარმოედგინა. სამწუხაროდ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, თეატრის საიუბილეო გეგმები შეიცვალა და კვირეულში მხოლოდ სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული ბოლოდროინდელი სპექტაკლები იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, თეატრის ფოიეში გამოიფინა მისი სპექტაკლების ესკიზები, კოსტიუმები და რობერტ სტურუას ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები.

რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში 1963 წელს მოვიდა. მისი ტრიუმფული სვლაც რეჟისურაში, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. მისი სპექტაკლები მსოფლიოს საუკეთესო დადგმებს შორისაა შეტანილი. 70 წლის რეჟისორი, რომელიც შესანიშნავად ხატავს, უკრავს და წერს პიესებს, თეატრიდან წასასვლელად ემზადება. მიაჩნია, რომ ახლა დროა, ასპარეზი სხვას დაუთმოს და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი მისცეს.

*მაია ღუღუნიშვილი*

**რობერტ სტურუა,** *რეჟისორი:*

— **ბატონო რობერტ, მსოფლიოში აღიარებული ქართველი რეჟისორი რობერტ სტურუა, ვინ არის თავად რობერტ სტურუასათვის?**

— ახლა ამაზე არ ვფიქრობ (*ღიმება*), რადგანაც 70 წლის გავხდი. რაც ამჟამად მაღელვებს, არის ის, რომ მინდა, ამ თეატრში მოღვაწეობა დავასრულო ისე, რომ მე თვითონაც კმაყოფილი ვიყო. დავდგა ისეთი სპექტაკლი, რომელიც საინტერესო იქნება არა მარტო მაყურებლისთვის, არამედ ჩემთვისაც.

— **რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, ფიქრობთ, რომ 70 წელი რეჟისორისთვის საპენსიო ასაკია?**

— შეიძლება, მინდოდეს კიდეც დარჩენა, მაგრამ ხომ იცით, ბებერი ქმარი არავის სჭირდება (*იცინის*); მით უმეტეს თუ ახალგაზრდა ცოლი გყავს. ჩვენთან ბევრი ახალგაზრდაა, მინდა, რომ მათ ასპარეზი დავუთმო.

— **მოღვაწეობის ათეული წლების მანძილზე, არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ თქვენი შემოქმედებითი რესურსი ამოუწურავია, არა მგონია, იგი ოდესმე დაილიოს. მხოლოდ ის გამოძრავებთ, რომ ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმოთ, თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი სათქმელი უკვე თქვით რეჟისურაში?**

— ყველა ხელოვნისთვის დგება მომენტი, როდესაც საკუთარი პროფესია ეზიზღება — სიყვარული ისე არ გამოდის. რეჟისორს საკუთარი სპექტაკლების ობიექტურად შეფასების უნარი უნდა ჰქონდეს. თუ ეს თვისება არ აქვს, მაშინ ის წინ ვერაფრით წაიწევს. ეს უნარი მე ძალიან მკაფიოდ მაქვს განვითარებული. ალბათ, ეს ჩემი ოჯახის დამსახურებაც არის. რაც დავდგი და რაც კარგი გამომივიდა, იმაზე აღარ ვფიქრობ. მეშინია ამის თქმის, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი მომბეზრდა. კარგად ვხატავ, კითხვა ძალიან მიყვარს, წავალ სადმე, ზღვის ნაპირზე დავჯდები და წავიკითხავ იმ წიგნებს, რომლებიც არ წამიკითხავს...

**თათული დოლიძე,** *რუსთაველის თეატრის მსახიობი:*

— რობიკო თეატრს არ დატოვებს, რადგანაც მას თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. რამდენჯერაც უნდა თქვას — მომბეზრდა, დავიღალეო, ამას არავინ დაუჯერებს. ის თუ არ დგამს სპექტაკლს, რაც თითქმის არასოდეს ხდება, მაშინ რაღაც სამუშაოს ძიებით მაინც არის დაკავებული. მისთვის თეატრი ნარკოტიკივით არის, ამიტომ წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ მან თეატრი დატოვოს. მთავარია, ჯანმრთელად და ენერგიულად იყოს; დანარჩენი, ყოველივე სიკეთე, ღმერთმა ხომ უხვად მიჰმადლა. ასე რომ, იმედი მაქვს, ის კიდევ არაერთ შესანიშნავ სპექტაკლს დადგამს.

*რობერტ სტურუას შემოქმედებაში უდიდესი როლი უკავია კომპოზიტორ გია ყანჩელის მუსიკას, რომელმაც დიდი მაესტროს სპექტაკლებისთვის არაერთი შესანიშნავი მუსიკალური კომპოზიცია შექმნა.*

**გია ყანჩელი,** *კომპოზიტორი:*

— რობერტ სტურუაზე ლაპარაკი მიჭირს, ვინაიდან ის ჩემთვის ჩვეულებრივი მოვლენა არ გახლავთ. ეს იგივეა, რომ ისაუბრო შვილზე, დედაზე ან მამაზე. რობიკო ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ჩვენ ერთად ვმუშაობთ. მოხარული ვარ, რომ ღმერთმა მასთან ურთიერთობის ბედნიერება მარგუნა წილად.

— **იქნებ, თქვენი პირველი ერთობლივი ნამუშევარი გაიხსენოთ...**

— რობერტმა და გოგი ქავთარაძემ დაწერეს პიესა — „ბრალდება", რომელიც რობიკომ დადგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. მაშინ მან ამ სპექტაკლის მუსიკალურად გასაფორმებლად მიმიწვია.

— **ცნობილია, რომ მას არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები აქვს, რაც ალბათ ხელს გიწყობთ ერთმანეთის კარგად გაუგოთ... რამდენად ადვილია მასთან მუშაობა?**

— რობიკოსთან მუშაობა ადვილია. ბევრჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ჩემი აზრით, რობიკო პირველ რიგში დაბადებულია მუსიკოსად. მიმაჩნია, რომ ის პროფესიონალი მუსიკოსია.

— **მან თქვენს ერთ-ერთ ნაწარმოებზე, რეკვიემზე — „სტიქსი" შესანიშნავი სპექტაკლი დადგა, რომელიც მანამდე დიდი ხნით ადრე დაწერეთ...**

— „სტიქსი", ვიდრე მას რობიკო დადგამდა, რვა წლით ადრე დაიწერა, რომელმაც ამ ხნის მანძილზე საინტერესო ცხოვრება განვლო. მას მსოფლიოს არაერთი მუსიკალური კოლექტივი ასრულებს. რობიკომ „სტიქსი" უჩემოდ დადგა.

— **თუ მოგეწონათ?**

— კი, მომეწონა. ვერაფერი გავიგე, მაგრამ მომეწონა (*იცინის*). ■



რობიკო ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია

# „შენმა სიყვარულმა ლექსების წერა დამაწყებინა"...



*წინა ნომრის „საპატარძლო" „კომედი შოუს" მომხიბვლელი გოგონა **თათია სულუაშვილი** გახლდათ. მის სახელზე მოსულმა „ესემესების" რაოდენობამ, ცოტა არ იყოს, გამაოცა. მამაკაცები მისით აღფრთოვანებას ვერ ფარავენ, რაშიც გამოხმაურების წაკითხვის შემდეგ თავადაც დარწმუნდებით.*

**სოფო ჭონიშვილი**

„შენი აზრები ემთხვევა ჩემსას/ ჩემი ცხოვრება მოითხოვს შენს თავს/ და თუ გამიღებ შენს გულის კარებს/ მოვეფერები შენს ლამაზ თვალებს/ თათია, მართლა ძალიან ლამაზი თვალები გაქვს, მიყვარხ-არ..."

„ატმის ყვავილებს შეგადარო ალბათ ცოტაა/ შენი თვალები არ დავხატო დიდი ცოდვაა/ და ეს ღიმილი გაზაფხულის სიოს გროვაა/ დამიმესიჯე სიხარულო ჩემი თხოვნაა".

„თათია, ძალიან კარგი გოგო ხარ. შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, იმედი მომეცა, რომ ქართველი გოგონები მთლად არ წასულან ხელიდან. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ვისურვებდი, ჩემ გვერდით შენნაირი ადამიანი ყოფილიყოს. გიო".

„იცი, როგორ მიყვარხარ?! სიტყვებით ვერ გადმოგცემ. თუ ოდესმე შენი გაცნობის შანსი მომეცემა და იმის საშუალებას მომცემ, რომ გაგესაუბრო, ამას თავადაც იგრძნობ. ძალიან მიკვირს, ასეთი ლამაზი, პოპულარული და განათლებული გოგონა მარტო რატომ ხარ? — ალბათ, ზედმეტად წუნია ხარ. შენი ფანი".

„მეგონა, შენ ჩემი იყავი, მე ხომ ამ ფიქრით ვცხოვრობდი/ მეგონა, ჩემთვის სუნთქავდი, მე ხომ ამ სუნთქვით ვტკბებოდი/ მეგონა, შენი თვალები, ჩემს დიდ სიყვარულს ხედავდა/ მეგონა, ჩვენი გულები თითქოს ერთადა ფეთქავდა/ მეგონა, ჩემი ოცნება ფრთებს შეისხამდა, იფრენდა/ მეგონა, შენ მე მიყვარდი, მაგრამ ეს მხოლოდ მეგონა. თათია ძალიან მიყვარხააარ..."

„თათია, ძალიან მომწონხარ, „კომედი შოუს" შენ გამო ვუყურებ. კარგი მსახიობი ხარ. შავი ფერის თმა ძალიან გიხდება.

„თათია, თითქმის იდიალური საპატარძლო ხარ. „შპილკების" ინციდენტს თუ არ ჩავთვლით, იმედს გაძლევ, გულმავიწყობა მალე გაგივლის. უიღბლო".

„მე იქ მშობა და გამზარდა დედამ/ ცივი წყარონი ჩქეფით რომ დიან/ სადაც ცხვრები ციკნებს იგებენ/ და არწივები შვილებსა ზრდიან. ძალიან მომეწონე, გამეცანი რა?! თუში".

„გენაცვალე!.. შენს გაცნობაზე დიდი ხანია ვოცნებობ. შენს ფოტოებს ვკოცნი. ჰოროსკოპით მეც კირჩხიბი ვარ. ერთნაირი ხასიათი გვქონია. ბიჭი არ გეგონო, გოგო ვარ. წარმატებებს გისურვებ. თბილისი 23".

„თათი, ერთი სოფლელი ბიჭი ვარ. გოიმი და ბანძი არ გეგონო, უბრალოდ, სოფელში ვცხოვრობ. სახლიც კარგი მაქვს და მანქანაც მყავს. იმედია, სოფლელობით არ დამიწუნებ. ისე, ძალიან მაინტერესებს, სოფელში თუ იცხოვრებდი? გამომყევი ცოლად, რა".

„თუ ოდესმე ცოლის შერთვას გადავწყვეტ, აუცილებლად შენნაირ გოგონას შევირთავ. შენნაირი ადამიანის გვერდით ცხოვრება ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა. სიხარულო, ძალიან მიყვარხარ".

„რატომ იტყუები? რომ ამბობ, შეყვარებული არ მყავსო — მე ვიცი, რომ შეყვარებული ხარ. რამდენიმეჯერ მობილურზე დაგირეკე და გაცნობა გთხოვე, შენ კი მიპასუხე — შეყვარებული მყავს, ვერ დაგელაპარაკები, იეჭვიანებსო. მატყუარა".

„ყვავილს გაჩუქებ, ცრემლებით გაზრდილს/ სულსაც გაჩუქებ, ქარს გამოვატან/ გულსაც გაჩუქებ და იცი, როგორ?/ ყოველ ფეთქვაზე რომ თქვას — მიყვარხ-არ..."

„სიყვარულს ფერებით შორიდან გეფერები/ სანუკვარი ფერებით სიზმრად მოგელანდები. ძალიან კარგი, სათნო და კეთილი ადამიანი ხარ, მაგრამ პირადად მე ვერ შევეგუები იმას, რომ ჩემი მეუღლე, დილიდან დაღამებამდე სახლიდან გასული იყოს".

„მიმაჩნია, რომ მამაკაცის როლის შესრულება არ გიხდება. შენნაირმა ნაზმა გოგონამ, კაცის როლი არ უნდა ითამაშოს. თუმცა აქვე ვაღიარებ, რომ ნიჭიერი მსახიობი ხარ. ჯობს, რომელიმე თეატრში ითამაშო. იკა".

„შენმა სიყვარულმა ლექსების წერა დამაწყებინა. ყველა შენს ინტერვიუს გულდასმით ვკითხულობ. არ გიცნობ, მაგრამ შენ შესახებ, ყველაფერი ვიცი. ისიც ვიცი, უამრავი თაყვანისმცემელი რომ გყავს. ძალიან მინდა გიცნობდე. უბრალოდ ვიმეგობრებდით. მერე კი... ყველაფერი მეგობრობით იწყება. იმედს არ ვკარგავ, ოდესმე სადმე შეგხვდები. დათო".

„მიმაჩნია, რომ ცოტათი ამპარტავანი გოგო ხარ, რაც ძალიან არ გიხდება. ზედმეტად თავდაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. შეიძლება, ამ როლს თამაშობ კიდეც, შენ ხომ ბუნებითაც მსახიობი ხარ. არ გეწყინოს რა?!"

„არ დაიჯერო არასდროს სხვისი/ უნდა იცოდე, გჯეროდეს ვისი?/ უნდა იცოდე, ილოცო ვისთვის/ ანდა სიცოცხლე გაწირო ვისთვის? მე კი ვიცი, სიცოცხლეს ვისთვისაც გავწირავდი — იმისთვის ვისაც ეს მესიჯი მივუძღვენი".

„სიყვარულისთვის ცხოვრება ისე ცოტაა/ უშენოდ ფლანგვა ამ დღეების ალბათ ცოდვაა/ და თუ ცხოვრება უშენობის წუთებს მპირდება/ მაშინ იცოდე, ეს ცხოვრება აღარ მჭირდება".

„თათია, ალბათ გაგიგია — ცხოვრებაში ერთ შეცდომას ყველა უშვებსო. ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა შენი გაცნობის შანსი ხელიდან გავუშვი. მომერიდა, ვერ მოვედი. შორიდან გიყურებდი და ვტკბებოდი; ახლა კი ძალიან ვნანობ. იმედია, შანსი მეორედაც მომეცემა. გიმა".

„იცი, რა კარგი ბიჭი ვარ. ბინიანი, მანქანიანი, საკუთარი ბიზნესიც მაქვს. საკმაოდ სიმპათიურიც. მოკლედ, გამომყევი ცოლად და არ ინანებ. Хорошо?

„შენი ინტერვიუდან ჩანს, რომ ქართულ ტრადიციებს პატივს სცემ და იცავ კიდეც. რაც დღესდღეობით იშვიათობას წარმოადგენს. იცოდე, ყველაფერი სათანადოდ დაგიფასდება და შენ გვერდით ისეთი მამაკაცი იქნება, როგორზეც ოცნებობ. მიყვარხარ ძალიან. კარგი გოგო ხარ".

„ისე, ჭამა რომ გიყვარს, გეტყობა. ცუდად არ მიიღო, მშვენივრად გამოიყურები. თუმცა ურიგო არ იქნებოდა, წონაში ცოტას თუ დაიკლებდი. გინდა, კარგი დიეტა გასწავლო? — დამირეკე და „ბაზარი" არ არის".

„თათა, ძალიან ლამაზი თვალები გაქვს. მინდა, გაგიცნო და მაგ ლამაზ თვალებში ერთხელ ახლოდან ჩაგხედო. რა ბედნიერი ვიქნებოდი... ეჰ... მეღირსება კი?!"

„შენი მისამართი რომ ვიცოდე, ყოველ დილით, კართან უამრავ ყვავილს დაგიტოვებდი. ყვავილები თუ გიყვარს, ჩემით დაინტერესდი, ჟურნალის საშუალებით დამიკავშირდი და ჩემს სიტყვას შევასრულებ. ეშმაკა".

„ვიცი, რომ გლდანელი ბიჭები გაგიჟებულები არიან — ყველა შენს გაცნობაზე ოცნებობს. ჩემი თხოვნაა, შენს კორპუსთან რომ შემხვდები გამიღიმე მაინც. გკოცნი".

# „ნუ დაივიწყებთ, რომ ერთმანეთი გიყვართ“ ანუ „ქორწინების მოწმობისთვის 9-ლარიანი ქვითარიც საკმარისია“



32 წლის თემო (თეიმურაზ) ვართანიანმა და 22 წლის თამუნა კენკიშვილმა ოჯახის შექმნა სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, როცა რუსი ოკუპანტები საქართველოს არბევდნენ: იბომბებოდა საქართველოს ტერიტორია, იხოცებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა... მიუხედავად ამისა, წყვილმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მაინც იქორწინა.

ეთო ყორღანაშვილი

**თამუნა:**

— ომი რომ დაიწყო, მეორე დღეს, ხელის მოწერის თაობაზე, „ქორწინების სახლში“ განცხადება შევიტანეთ, 16 აგვისტოს კი ოფიციალური ცოლ-ქმარი გავხდით.

**— ვინმეს ხომ არ უთქვამს — რა დროს ქორწილიაო?**

— არა, პირიქით — ყველა იმას ამბობდა, რომ კარგია, როცა ასეთ მძიმე პერიოდში სასიამოვნო ამბებიც ხდებაო.

**თემო:**

— „ქორწინების სახლში“ ვიკითხე: — რაიმე პრობლემა ხომ არ იქნება, ხელი რომ მოვაწეროთ-მეთქი? დაგვამშვიდეს: — პრობლემა არ არისო. ძალზე დაძაბულები ვიყავით. არ ვიცოდით, ჩვენს ნაბიჯს როგორ განსჯიდა ხალხი.

**— საზოგადოების რეაქციის გეშინოდათ?**

**თამუნა:**

— უბრალოდ, პატივისცემის საკითხია... შესაძლოა, ზოგს ჩვენი გადაწყვეტილება უარყოფითად მიელო. მართალია, ხელი საზეიმო ცერემონიის თანხლებით მოვაწერეთ, მაგრამ მანქანების მორთვასა და სიგნალებზე უარი ვთქვით.

**თემო:**

— სხვათა შორის, როგორც ვფიქრობდი და ვვარაუდობდი, ყველაფერი ისე წარიმართა. მე კმაყოფილი და ბედნიერი ვარ.

**— რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც, ასეთ რთულ პერიოდში ოჯახის შექმნა?**

— ჩვენი ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირება შარშან გადავწყვიტეთ. ეს საკითხი ერთი წელი იმიტომ გაჭიანურდა, რომ რალაც-რალაცები მოსაგვარებელი გვქონდა...

**თამუნა:**

— ჯერ ერთი, ოჯახი რომ იქმნება, ამისთვის მატერიალური საფუძველიც უნდა არსებობდეს; მეორე — თემოს რამდენიმე ნათესავი, რომელიც გვსურდა, რომ ჩვენს ქორწილს დასწრებოდა, რუსეთში ცხოვრობს. ჩვენ გამო, გარკვეული ხნით საქართველოში ჩამოვიდნენ. უკან დაბრუნებას მალევე აპირებდნენ, სწორედ ამიტომ ქორწილს მომავლისთვის ველარ გადავდებდით.

**— დიდი ხანია, რაც შენ და თემო ერთმანეთს იცნობთ?**

**თემო:**

— თამუნას იმ დროიდან ვიცნობ, როცა ჯერ კიდევ პირველი კლასის მოსწავლე გახლდათ. ის ჩემი დის თანაკლასელია. ოჯახებითაც ვმეგობრობდით... თამუნას „სხვა თვალით“ 4 წლის წინ, მისი ნათესავის დაბადების დღეზე შევხედე.

**— რატომ, განსაკუთრებულად გამოიყურებოდა?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თამუნას პიროვნულად მანამდეც ვიცნობდი: მზრუნველი გოგონაა, ყურადღებიანი, კარგი ღიმილი აქვს (*იცინიან*)... შემდეგ, მოწონება თანდათან სიყვარულში გადაიზარდა. დღეს უფრო ძლიერად მიყვარს, ვიდრე ადრე და მომავალში უფრო მეტად მეყვარება, ვიდრე დღეს!..

**თამუნა:**

— შარშან, ივნისში გამიმხილა, რომ ვუყვარდი. ერთი თვის მერე პასუხი მთხოვა. ვუთხარი: ჩემს მშობლებს დაელაპარაკემეთქი.

**თემო:**

— სხვათა შორის, ჯერ გამიკვირდა, შემდეგ კი, როცა დავფიქრდი, მისი გადაწყვეტილება მომეწონა. უპირველეს ყოვლისა, მამამისს შევხვდი. საბედნიეროდ, მას ჩემი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია.

**თამუნა:**

— შემდეგ უფრო ხშირად ვხვდებოდით, ოღონდ — გვაკონტროლებდნენ.

**— ვინ გაკონტროლებდათ?**

— საკუთარი თავი. ჩვენ ქართულ ტრადიციებს დიდ პატივს ვცემთ... ერთმანეთთან უთანხმოება ჯერ არ მოგვსვლია. მართალია, რაღაც წვრილმანებზე ვკამათობთ ხოლმე, მაგრამ ბოლო მომენტში ორივე დათმობაზე მივდივართ. როცა თემო საქმეს აკეთებს ან რაღაცას კითხულობს, ხელს ვუშლი და ვაწვალებ ხოლმე (*იცინის*).

**თემო:**

— არ მასვენებს!..

**თამუნა:**

— მართლა ძალიან ლამაზი და ბედნიერი ოჯახი გვაქვს.

**თემო:**

— მინდა, ყველა შეყვარებულ წყვილს ბედნიერება ვუსურვო. იმედია, მათ ისეთ რთულ სიტუაციაში არ მოუწევთ ოჯახის შექმნა, როგორშიც ჩვენ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. ახალშეუღლებულ წყვილებს მინდა მივმართო: ოჯახში პატარ-პატარა პრობ-



თამუნას იმ დროიდან ვიცნობ, როცა ჯერ კიდევ პირველი კლასის მოსწავლე გახლდათ

ლემა ყოველთვის იქნება, მაგრამ განქორწინებაზე არ იფიქროთ, ნუ დაივიწყებთ, რომ ერთმანეთი გიყვართ!..

*„ვაცხადებთ, რომ ერთმანეთის თანხმობით და არა იძულებით ვაწერთ ხელს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრაციის წიგნში. დავიცავთ ჰარმონიულ ცოლქმრულ კავშირს ცხოვრების ბოლომდე, ერთმანეთზე ზრუნვასა და სიყვარულში“, — ამ სიტყვებს, რუსთავის „ქორწინების სახლის“ უფროსის — ქალბატონი* **ნატო ჟღენტის** *თქმით, ახალდაქორწინებულები განსაკუთრებული ემოციით წარმოთქვამენ.*

— ქალ-ვაჟი ხელს მოაწერს ანუ ოფიციალურად დაქორწინდება თუ არა, მათ ჩემ მიერ შედგენილ ტექსტს ვაკითხებ, რომლის საშუალებითაც წყვილი ერთმანეთს სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებასა და სიყვარულს ჰპირდება. ტექსტი საკმაოდ მსხვილი ასოებით წერია, მაგრამ უნდა ნახოთ, მისი წაკითხვა ახალგაზრდებს როგორ უჭირთ, როგორ იბნევიან... სასაცილო სიტუაცია იქმნება ხოლმე!..

**— ყველაზე მეტი საქორწინო წყვილი წელიწადის რომელ დროს გყავთ?**

— როგორც წესი, შემოდგომასა და გაზაფხულზე, ოღონდ, როცა მარხვების პერიოდი არ არის.

**— ქორწინების რეგისტრაციისთვის რა თანხაა საჭირო?**

— თუკი წყვილს მხოლოდ ქორწინების მოწმობა სჭირდება, 9-ლარიანი ქვითარიც საკმარისია, ხოლო საზეიმო გარემოში ხელის მოწერა 130 ლარი უჯდებათ. გვაქვს სპეციალური დარბაზი, რომელშიც ნეფე-პატარძალი მენდელსონის „საქორწინო მარშის“ ან „მრავალჟამიერის“ ფონზე შედის. ქორწინების რეგისტრაციისა და მილოცვების დასრულების შემდეგ, ცეკვისას ნეფეს ვეუბნები, რომ პატარძალი ხელში აიყვანოს და დარბაზიდან ისე გავიდნენ — ეს სანახაობას უფრო ალამაზებს. თუ გოგონა ძალიან მსუქანია, ბიჭს მის ხელში აყვანას არ ვთხოვ, რა თქმა უნდა, ცოდვაა, ბავშვები ჰყავთ გასაჩენი (*იცინის*)... გვაქვს 170 ლარად ღირებული ქვითარი, რომლის საშუალებითაც ქორწინების რეგისტრაციის გავლა იქ შეუძლიათ, სადაც თავად მოისურვებენ — სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენელი მათ პირადად ეახლება.

**— „ქორწინების სახლი“ თეატრის შენობაში რატომაა განთავსებული?**

— აქ დროებით ვართ. ადრე მეგობრობის ქუჩაზე ვიყავით, მაგრამ იქ არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამო, თეატრში გადმოვინაცვლეთ. მაგიდის დასადგმელად ისეთი ადგილი გვქონდა შერჩეული, სადაც წყალი არ ჩამოდიოდა. წყვილი „ქორწინების სახლში“ განცხადების შემოსატანად რომ შემოდიოდა, მაგიდასთან ქოლგით იჯდა! ისეთი სიტუაცია იყო, მალე სოკოებიც ამოვიდოდა. ხელის მოსაწერად, გოგონები სადედოფლო კაბითაც მოდიოდნენ, მაგრამ ნეფეს პატარძლისთვის ხელი კარგად უნდა ჩაეჭიდა, გოგონა რომ არ წაქცეულიყო ან ფეხსაცმლის ქუსლი არ დაეკარგა... გიხსნით, მაგრამ მაინც ვერ შეძლებთ, წარმოიდგინოთ, თუ რა კატასტროფული, სავალალო მდგომარეობა იყო! ძველ „ქორწინების სახლში“ სურათები გადავიღეთ და სამოქალაქო რეესტრში წავიღეთ. ფოტოები ხელიდან ხელში გადადიოდა — ეს რა ხდებაო?! ზამთარში იქ რომ დავრჩენილიყავით, ალბათ, ცოცხალები ვერ გადავრჩებოდით. არც დენი გვქონდა... იმ საშინელ სიტუაციაში მოაწერეს ხელი ნინი შერმადინმა და მისმა მეუღლემ. ახალგაზრდებს უკეთესი გარემო შევთავაზე, მაგრამ არ მოისურვეს. უბრალოდ, სურდათ, რომ ქორწინებისთვის ოფიციალური სახე მიეცათ. მივხვდი, რომ ხელს ჩუმად აწერდნენ. ჩემი ვარაუდის შესახებ ნინისაც ვკითხე და ეჭვი დამიდასტურა. იცი, ცოტა არ იყოს, გული დამწყდა: ნინი ძალიან მიყვარს და მსურდა, რომ ქორწინების რეგისტრაცია უფრო ლამაზ გარემოში გაევლო, მაგრამ წყვილმა ასე ინება... საერთოდ, მინდა, ოჯახის შექმნის ყველა მსურველს საუცხოო გარემო შევუქმნა... დღეს ისეთი პრობლემებით სავსე ცხოვრება გვაქვს, რომ კარგი იქნება, ქორწინების დღე მაინც იყოს განსაკუთრებულად ლამაზი და სამახსოვრო... წყვილს, რომელიც საზეიმო ვითარებაში აწერს ხელს, სამოქალაქო რეესტრის სახელით, საჩუქარს გადავცემთ: „საბავშვო ენციკლოპედიას“, ან — სურათების ალბომს. ყველა წყვილი ჩემთვის განსაკუთრებულია, ყველასთან ინდივიდუალურად ვმუშაობ.

**— გოგონები ქმრის გვარზე უპრობლემოდ გადადიან?**

— კი, რადგან სურთ, ქმარს ასიამოვნონ. ერთხელ, ერთი კახელი ბიჭი შემოვიდა, თან საცოლე ახლდა. ჯერ განცხადება დაწერეს. განცხადების ბოლოს, ერთ გრაფაში წერია: ქორწინების შემდეგ არჩეული გვარი. გოგონას შევატყვე, რომ თავის გვარზე დარჩენა სურდა. ბიჭი შევნიშნე, რომ „კაი კახელი“ იყო და გინება უყვარდა. მივუბრუნდი სასიძოს და ვუთხარი: — შვილო, ახლა ეს რომ შენს გვარზე გადმოვიდეს და შენ შეაგინო, ვის გვარს შეაგინებ? — კარგი, მაშინ დარჩეს თავის გვარზეო, — დამთანხმდა (*იცინის*). როცა გვარს იცვლიან, აბსოლუტურად ყველა საბუთი უნდა შეცვალონ. ჰოდა, იყვნენ გოგონები თავიანთ გვარებზე...

**— პირად საუბარში აღნიშნეთ, ქორწინების რეგისტრაციას ციხეშიც ვატარებო...**

— დიახ, თუ მეუღლეებს ხელი არ აქვთ მოწერილი, ისე ცოლს პატიმარი ქმრის სანახავად არავინ შეუშვებს. ძალიან მინდა ხოლმე, რომ ქორწინების რეგისტრაციის პროცესი გავაჭიანურო, რათა წყვილს ერთად ყოფნის დრო გავუხანგრძლივო (*იღიმება*)... ერთხელ ახალგაზრდა ულამაზესი იეზიდი გოგონა ჩემთან ძალიან აჟიტირებლი მოვიდა. ცქმუტავდა, ისე უნდოდა თეთრი საქორწინო კაბის ჩაცმა. გოგონამ ქორწინების რეგისტრაცია ციხეში გაიარა, რადგან თანაცხოვრების მეჩვიდმეტე დღეს, მისი ქმარი ნარკოტიკების მოხმარების გამო დააპატიმრეს. ქორწინების ოფიციალურად გაფორმება ვერც მოასწრეს. ისეთი შეყვარებული ადამიანი, როგორიც ის გოგონა იყო, ჯერ არ მინახავს!..

**— ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, ვინმეს დაგეგმილი ქორწინება ხომ არ გადაუდვია?**

— კი, იყო ასეთი შემთხვევა. ჩემი შვილის მეგობარმა გოგონამ დამირეკა და გამაფრთხილა, რომ ხელის მოწერას აპირებდა. ვკითხე: — საზეიმო ვითარებაში გინდა-მეთქი? — რა საზეიმო ვითარება, ქალბატონო ნატო, როგორ გეკადრებათო?! „ქორწინების სახლში“ ის გოგონა აღარც მოსულა. ვფიქრობ, ეს მისი ერთგვარი პროტესტი იყო... მაგრამ რას ვიზამთ? ცხოვრება მაინც გრძელდება — ომმა ყველაზე იმოქმედა. წინათ ახალდაქორწინებულებს მილოცვისას ვეუბნებოდი — მატერიალური სიძლიერეს გისურვებთ-მეთქი, ახლა კი, უპირველეს ყოვლისა, ყველას წყნარ, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ.




# გრენადელების ქართული აგვისტო

თამარ ჯიშკარიანი

„ჯაჭვი სამ საათზე იკვრება? თბილისის დროით? სამწუხაროა, ამ ჯაჭვში ჩვენ რომ ვერ ჩავდგებით...“ — გულდაწყვეტილი ამბობს სანდომიანი სახის ხანში შესული ესპანელი ქალბატონი.

„ვითომ რატომ ვერ ჩავდგებით? თვითმფრინავში ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი. არა მგონია, რომ სტიუარდესებმა ეს გააპროტესტონ. ჩვენ ჰაერიდან დაგიჭერთ მხარს“, — უკან არ იხევს მეორე, თმაშევერცხლილი ქალბატონი. მოგვიანებით ვარკვევ, რომ წარმოშობით ბასკია (ოღონდ, სეპარატისტი არაო, — ხშირად მიმეორებდა) და ალბათ, ეს შეუპოვრობაც გენეტიკურია... ორივე ქალბატონი ესპანელი ტურისტია, რომელიც გაგანია ომში (თუმცა უკვე „შეცივებულში“) საქართველოში ჩამოვიდა.

ცხელი აგვისტოს ბოლო კალენდარული დღე სასიამოვნოდ გრილი აღმოჩნდა. გრენადელმა მომლოცველებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსი და დღის ბოლოს, უდაბნოდან, მოულოდნელად, გემზე სახელად — „ჭუტანიკი“ აღმოჩნდნენ. საღამოს მესაც ე.წ. გემბანზე შეასრულეს და საქართველოში ამჯერად გამოსამშვიდობებელი ბანკეტისთვის მოემზადნენ. ბოლო ფრაზა, რაც ქადაგების შემდეგ ორმა კათოლიკე არქიეპისკოპოსმა — ჯერ ესპანურად, ხოლო შემდეგ ინგლისურად წარმოთქვა და რასაც 22 კაცისგან შემდგარმა მრევლმა ერთხმად — „ამინ“ უპასუხა, ასე ჟღერდა: God Bless Georgia.

„გრენადა ულამაზესი და უნიკალური მხარეა. სულ რაღაც ერთ საათში ალპური ზონიდან სუბალპურში, ტროპიკულსა და სუბტროპიკულში შეგიძლია იმოგზაურო...“ — თავის მშობლიურ კუთხეს გვაწონებს არქიეპისკოპოსი მარტინეს ფერნანდეს ფრანსისკო ხავიერი და როცა ამჩნევს, რომ ქართველებთან შინაურული საუბარი შედგა, ალალად გვეუბნება: „დღეს, დავითგარეჯაში ყოფნისას, იმ მოძღვრებივით მომინდა კელიებში ცხოვრება. იქ არც მობილურია, არც ტელევიზორი, არაფერი — რაც ცივილიზაციას გაგონებს... კაცი აქაურობას შეაფარებდა თავს და დაისვენებდა“.



საქართველოში პილიგრიმული ტური ერთი წლის წინ დავგეგმეთ



დავითგარეჯამდე, ესპანელმა პილიგრიმებმა — სომხეთი, ხუთი დღის მანძილზე კი საქართველოში ის ადგილები დაათვალიერეს, სადაც მასპინძელმა „ომნესტურმა“ მათი უსაფრთხოება უზრუნველყო. სხვათა შორის, ეს ტურისტული სააგენტო, დაძაბულ აგვისტოში ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც 24-კაციანი ჯგუფის მიღება მოახერხა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ესპანელი მომლოცველები წეროვანში, იმ სასტუმროში დაბინავდნენ, რომელიც რუსი ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან ძალიან ახლოსაა.

„გზაში რამდენჯერმე მართლაც იყო დაძაბული მომენტი, როდესაც ჯარისკაცებს გადავაწყდით. თუმცა ჩვენი ერთი თანამგზავრი რუსულად საუბრობდა და მათ (ეს ფორმიანები ქართველი ძალოვნები აღმოჩნდნენ) გამოელაპარაკა. ძალოვნებმა აგვიხსნეს, რომ ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ისიც გვითხრეს, — რუსები ამ ტერიტორიიდან გავიდნენ და სიტუაცია დაწყნარდაო...“ — ქართული ვოიაჟის დროს, ამ ერთადერთ უსიამოვნო მომენტს ასე იხსენებს ლოლი (დოლორეს ლოპეს სანჩესი), პილიგრიმთა ტურის ესპანელი ორგანიზატორი. „აჰა, შეგიძლიათ, შეხედოთ ამ ხალხს. ისინი ბედნიერები არიან მოგზაურობით. ტურის მოსამზადებელ პერიოდში უფრო მეტს უნდოდა წამოსვლა, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთები შეზღუდული იყო — ალბათ, საომარი მოქმედებების გამო. ასე რომ, კიდევ მაქვს იმ ესპანელების გრძელი სია, ვისაც საქართველოში უნდათ ჩამოსვლა. აქ, თქვენთვის ურთულეს პერიოდში მიღებული გამოცდილებით, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ამ ბუნების, ხალხისა და კულტურის სანახავად კიდევ უფრო მეტი ადამიანი ჩამოვა“.



გვინდოდა, ახლოს გაგვეცნო ხალხი, კულტურა, ისტორია, სარწმუნოება, რომელიც წიგნებში ასე შთამბეჭდავია

„პილიგრიმული ტური დაახლოებით ერთი წლის წინ დავგეგმეთ. აქ ჩამოსვლა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ გვინდოდა, ახლოს გაგვეცნო ხალხი, კულტურა, ისტორია, სარწმუნოება, რომელიც წიგნებში ასე შთამბეჭდავია. გვინდოდა, ცხოვრებაში გვენახა ის, რასაც ქართული ეკლესია და ქართველი ხალხი ჰქვია. თქვენთან ომის დაწყებისთანავე დავინახე, რომ ადამიანები, ვისთან შეხვედრაც, ვისი გაცნობაც ასე გვინდოდა და ჩვენგან არცთუ ისე შორს იყვნენ, საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ... ასევე საფრთხის წინაშე შეიძლებოდა დამდგარიყვნენ ისინიც, ვინც აქ ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩამოვედით, რათა მეგობრობა, სიყვარული, თანადგომა გამოგვეხატა...“ — ამბობს არქიეპისკოპოსი.

„დევნილების გვერდზე ორიოდე საათი

დაჰყავით. მიუხედავად ამისა, ძნელია უყურო იმ ტანჯვას, რომელიც ამ ხალხს თავს დაატყდა. გვინდოდა, ბევრი ქართული სიტყვა გვცოდნოდა, რათა მათთვის მთელი ჩვენი წუხილი გვეგრძნობინებინა და თანაგრძნობა გამოგვეხატა. უფალი დაიფარავს საქართველოს..."

„ბუნებრივია, როგორც ქალს, მაინტერესებდა, გამეგო, რას განიცდიდნენ დევნილი ქალბატონები, მაგრამ ენობრივი ბარიერი მქონდა... ჩვენ, მხოლოდ ორგანიზაცია „კრიტასის" წარმომადგენელს გავესაუბრეთ. საქართველოში ჰუმანიტარული მისიაც ვიკისრეთ. ცოტაოდენი ფული და გადაუდებელი საჭიროების ნივთები ჩამოვიტანეთ, რომლებიც დევნილებს წაადგებათ. ეს ის მცირედია, რითაც ჩვენ ამ ადამიანებს დავეხმარეთ. თუმცა, ალბათ მთავარია, დევნილებმა დაინახონ და იგრძნონ, რომ ისინი მარტონი არ არიან, მსოფლიოში ხალხი ზრუნავს მათზე..." — ამბობს ლოლი.

ესპანეთში არსებობს ფონდი, რომელიც ქრისტიანული რელიგიის ყველა მიმართულებას შეისწავლის. ლოლი ამ ფონდის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია და პილიგრიმების ჩვენს ქვეყანაში სტუმრობა მისი დამსახურებაა. „ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გრიგორიანული და მართლმადიდებლური ეკლესიების ახლოს მონახულება-გაცნობა. ეს ამ მხარეში ჩვენი პირველი ვიზიტია. ვცდილობთ, უფლის გზას მივყვეთ და გზად შევხვდეთ ქრისტიანებს. გავეცნოთ არა მხოლოდ მათ კულტურას, სულიერებას, არამედ — ადამიანების ბუნებასა და ხასიათს", — ამბობს ლოლი, რომელსაც გული სწყდება, რომ არეული პერიოდისა და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო საქართველოს საპატრიარქოში საქმიანი შეხვედრა ვერ მოახერხეს.

„ბუნება მართლაც შესანიშნავია!" — თითქოს ყური მოჰკრა ლოლისა და ჩემს საუბარს ბასკმა ქალბატონმა, პროფესიით ისტორიკოსმა, ოსუნსიონ ორიოლ მონუსმა და საქართველოში ნანახის შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება მოისურვა. თავდაპირველად, გადაწყვიტა, მხოლოდ ესპანურად ესაუბრა და ახალი ქართველი მეგობარი, ჯგუფის გიდი — მარინა კურატაშვილი (მარინას, რომელიც 1977 წლიდან ჯერ კიდევ „ინტურისტის" გიდად მუშაობდა და საუბრიდან ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ საბჭოეთის დროს დისიდენტების დიდი მეგობარიც იქნებოდა, ხუთ დღეში ესპანელები საქართველოთი ისე მოეხიბლა, რომ მისი ხათრით, მეც მივიღე გრენადადან მოპატიჟება) მოიხმო. თუმცა საბოლოოდ საუბარი, ესპანურ-ინგლისურ-ქართული გამოგვივიდა.

„უმშვენიერესი ბუნებაა: მთები, მდინარეები, ტბები, ფრინველები... ყველაფერი ძალიან მომეწონა. ის ძალზე წააგავს ესპანეთს. ქუჩაში ხალხს რომ ვუყურებდი, გაოცებისგან მეღიმებოდა კიდეც, იმდენად „ნაცნობი" სახეები ჰქონდათ... კიდევ, ძალიან მომეწონა თქვენი სამზარეულო — გემრიელი, ჯანსაღი, ნატურალური ინგრედიენტებისგან დამზადებული ნაირ-ნაირი კერძი. ეს ყველაფერი შესანიშნავია, მაგრამ თუ დროზე არ მიაქციეთ ყურადღება გარემოს დაცვას, ცოტა ხანში ხელთ აღარაფერი შეგრჩებათ", — ამბობს ბასკი ქალბატონი.

ამ სიტყვების გამგონემ, ვიფიქრე, ალბათ პილიგრიმები სადმე გზაზე გადამწვარ ტყეს თუ გადააწყდნენ-მეთქი. ის იყო, ვკითხე, რომ პასუხმაც არ დააყოვნა: „სამწუხაროდ, ყველგან ყრია პოლიეთილენის ბოთლები, ცელოფანის პაკეტები... ესპანეთშიც იდგა ეს პრობლემა; დიდი საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება გახდა საჭირო — ვიდრე ხალხი შეიგნებდა, რომ ბუნებასთან ასეთი დამოკიდებულება ისევ მათთვისაა საზიანო. არ მინდა კრიტიკული ვიყო, მაგრამ შესაძლოა, როცა თქვენ ამას მიხვდებით, უკვე გვიანი იყოს. ბრწყინვალე ბუნების პატრონები ხართ — გაქვთ ეკოლოგიურად სუფთა წყალი, შესანიშნავი, მრავალფეროვანი კლიმატი, ულამაზესი ტყეები, მთები... თქვენც უნდა ისწავლოთ ბუნების მოფრთხილება და თაობიდან თაობასაც გადასცეთ".

...ამასობაში, „ჭუტანიკის" აფხაზეთიდან დევნილმა კაპიტანმა პილიგრიმებისთვის მასპინძლის — „ომნესტურის" მიერ შეთავაზებული სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტა და მტკვარში ჩაშვებული ღუზის ამოღება დააპირა, რათა ესპანელი სტუმრებისთვის ღამის თბილისი დაეთვალიერებინა (ისე, როგორც ეს სენაზე ხდება), მაგრამ უსიამოვნო ქარი „ჭუტანიკს" პრობლემებს შეუქმნიდა.

„სიურპრიზის მოწყობა გვსურდა: გემის ფანჯრებიდან დანახული ღამის თბილისი წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებდა, მაგრამ ქარი ამის საშუალებას არ გვაძლევს", — ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილი უხსნის შექმნილ ვითარებას ირაკლი კაპულაშვილი, ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი. თუმცა „ომნესტურელებისგან" სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ — ომის დროს თბილისში გადაღებული სამახსოვრო ჯგუფური ფოტო.

„როდესაც საქართველოში მოვდიოდი, ბევრს უკვირდა, — იქ ხომ ომიაო?! ბევრ ჩვენგანს დღემდე არ უთქვამს ნათესავებისთვის, რომ საქართველოში ვართ, მაგრამ ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, არც მოგვიტყუებია. უბრალოდ დავიბარეთ, რომ კავკასიაში მივდიოდით. აქ ჩამოსვლის წინ ცუდზე საერთოდ არ მიფიქრია. მოსახდენი მაინც მოხდება, სადაც არ უნდა ვიყო... ჩვენი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზანი ქართველი ხალხისთვის თანადგომის გამოხატვა გახლდათ. დღემდე, მართალია, ვიცოდი, სად მდებარეობდა საქართველო რუკაზე, მაგრამ ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ გაზეთებისა და ინტერნეტის საშუალებით ვეცნობოდი. ამერიდან კი მეცოდინება და ვეცდები, სხვებსაც ავუხსნა, რომ საქართველოში ცხოვრობენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან — ჩემი ახალი მეგობარი მარინა, მუსიკის მასწავლებელი მედეა და საერთოდ თქვენ — ყველანი; რომ ეს არის ულამაზესი ბუნების, უძველესი კულტურის მქონე, ქრისტიანული, მართლმადიდებლური ქვეყანა, სადაც ძალზე ფასობს უბრალო, ადამიანური ურთიერთობები".

ესპანეთში სხვანაირები ვბრუნდებითო, — მარწმუნებენ ესპანელები და დასტურად, ესპანურ ხალხურ სიმღერას მღერიან, რომლის მისამღერიდანაც რამდენიმე ფრაზა ქართულად ასე ითარგმნება: „ჩვენ აქ გიტოვებთ სულს, ჩვენ აქ გიტოვებთ გულს, ხელს გიწვევთ და მხოლოდ გიმშვიდობებით". ■


გამომცემლობა პალიტრა L

საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი...

ლადო ასათიანი
მირზა გელოვანი
ალექსანდრე საჯაია
გიორგი ნაფეტვარიძე



რჩეული ლექსები

„ჭაბუკებად დარჩნენ მარად..."

გაიხსენეთ ისინი!

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეორჩა ღვალიშ

### უზის წიგნაკიდან:

1. ბრიუს ლი 32 წლის ასაკში გარდაიცვალა.

2. ჯონ ლენონის დედა მთვრალმა პოლიციელმა მოკლა.

3. საფრანგეთის მეფეებს სენ-დენის ტაძარში კრძალავდნენ.

4. რომის პირველ მეფეს და უკანასკნელ იმპერატორსაც სახელად რომულუსი ერქვა.

5. აფხაზეთის ომში ქართველების მხარეს სამასამდე სომეხი ეროვნების ჯარისკაცი იბრძოდა.

6. „რუსული მარქსიზმის თვალახვეული თუთიყუში" — ამ სიტყვებით მოიხსენიებდა ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიას.

7. როცა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა შეიტყო, ნოე ჟორდანიას მხრები აუჩეჩია: როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო.

8. არავინ იცის, სად არის დაკრძალული რევოლუციის შედეგად საფრანგეთის ტახტიდან ჩამოგდებული დედოფალი მარია ანტუანეტა.

9. ძველ საბერძნეთში სპორტულ ასპარეზობას, რომელშიც ჭიდაობისა და მუშტი-კრივის ელემენტები იყო გაერთიანებული, პანკრატიონი ერქვა. ფილოსოფოსი პლატონი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი იყო პანკრატიონში.

10. ლონდონში მდინარე ტემზის ქვეშ 16 გვირაბი გადის. მათი უმრავლესობა მეტროს ხაზებისთვისაა განკუთვნილი.



11. ახალდაქორწინებულის მიერ ხელში აყვანილი პატარძლით სახლში შესვლის ტრადიცია ძველი რომიდან მოდის.

12. სფინქსის ქანდაკებას ცხვირი ნაპოლეონის ჯარისკაცებმა მოსტეხეს. ისინი მას სამიზნედ იყენებდნენ.

13. რუსეთსა და იაპონიას შორის ომი დასრულებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას იაპონიამ ამერიკასთან გამოაცხადა სრული კაპიტულაცია, ხოლო საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო ხელშეკრულება არ დადებულა კურილიის სადავო კუნძულების გამო.

14. ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ფერენც ლისტს სთხოვა, მოესმინა და შეეფასებინა მისი ნაწარმოები. ლისტმა მოსმენის შემდეგ განუცხადა: — ამ მუსიკაში ბევრი რამ არის კარგი და ახალი, მაგრამ რაც კარგია — არ არის ახალი, ხოლო რაც ახალია — არ არის კარგი.

18. ეს ამბავი მსახიობმა ლევ დუროვმა ერთ-ერთ ინტერვიუში მოჰყვა და ირწმუნე-





# სიცხიანი რეისი

**ემა ტუხიაშვილი**

ზაფხულის პაპანაქებაში ე.წ. ჰოლანდიური, ყვითელი ავტობუსი მეტად არაკომფორტული ტრანსპორტია, მაგრამ თუ ჯიბე არჩევანს გიზღუდავთ, ისღა დაგრჩენიათ, ახლომდებარე გაჩერებაზე სასურველი მარშრუტი აირჩიოთ და ყოველი შემთხვევისთვის მძღოლთანაც დააზუსტოთ: „პეკინზე გაივლის?"

— გაივლის, აბა რა ჯანდაბას იზამს! ამოდით დროზე, მომადგა უკან სხვა ავტობუსი! — იღრინება მძღოლი და გაოფლილ შუბლს ცხვირსახოცით იწმენდს.

— ოპერასთან თუ გაივლით?

— ოპერასთანაც გავივლი და „დაისსაც" შევასრულებ, ოღონდ დროზე ამოდით, თორემ გამაყრუა საყვირით ოხერმა მერაბამ! — ყვირის ბრაზმორეული მძღოლი და ღია ფანჯრიდან სულსწრაფ კოლეგას მუშტს უღერებს.

— გააღეთ კარი, კაბა მომყვა! — შველას ითხოვს ვიღაც და უყურადღებო მძღოლისთვის სალანძღავ სიტყვებს არ იშურებს.

— რატომ ის დღე არ დაიქცა, მე რომ ამ დაწყევლილი ავტობუსის საჭესთან დავჯექი. დღის განმავლობაში ქალაქს რამდენჯერმე წრეს ვარტყამ, ყველა გაჩერებაზე ვაჩერებ და უამრავ სულელურ შეკითხვას ვპასუხობ: „იქ გაივლის? იქამდე წამიყვან? კუთხეში გამიჩერებ? იმ ქუჩაზე როგორ მოვხვდე?" მე, კაცო, მძღოლი ვარ, მამაზეციერი კი არა! ჯერ ერთი, ავტობუსს მარშრუტი ჩემხელა ასოებით აწერია. მეორეც, ყველა გაჩერებაზე აბრაა გამოკრული და გასაგებად წერია, რომელი ნომერი სად გაივლის. მეც ადამიანი ვარ, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. დილით კიდევ მყოფნის ნებისყოფა, ყველას თავაზიანად ვუპასუხო, აი საღამოსთვის კი დაღლილობისგან ენას ვერ ვაბრუნებ პირში და ცოტას თუ ვიუხეშებ, მგზავრებმა ლამის ჩამქოლონ. იმ დღეს კიდევ ერთი შარიანი ქალი დამემგზავრა: გინდა თუ არა, ჰალსტუხი რატომ არ გიკეთია, მერია დაგვპირდა, მუნიციპალურ ავტობუსებს ჰალსტუხიანი, კულტურული მძღოლები ეყოლებაო. რა არ ვუთხარი: მცხელა, ქალბატონო, ჰალსტუხი ქორწილშიც კი არ მკეთებია და ახლა მაგას თავს როგორ დავახრჩობინებ-მეთქი, მაგრამ არაფრით მომეშვა, სულ მუტრუკი და თანამდებობისთვის შეუფერებელი მეძახა.

— გააჩერე, გააჩერე! — იყვირა ვიღაცამ ავტობუსის ბოლოდან.

— გააჩერე, რა, ურემი კი არ არის, მივალთ გაჩერებასთან და გაგიჩერებთ, — რაც შეეძლო მშვიდად უპასუხა მძღოლმა და ძლივს გასაგონად ჩაიბურტყუნა, რამდენი გიჟი დადის ამ ქვეყანაზეო და განაგრძო, — რამდენიმე დღის წინ ავტობუსში ახალგაზრდა წყვილი ამოვიდა, უკანა სავარძელზე მოკალათდა და იცოცხლე,

იმათ იქ მოილხინეს! მთელი დღე არ ჩასულან ავტობუსიდან. ვეხვეწე, ჩადით, ბიძიკოებო, რა გინდათ, მაინცდამაინც ჩემს ავტობუსში უნდა გააკეთოთ ბალღი-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. მგზავრებიც ჩხუბობდნენ, იყო ერთი ყაყანი და ვაი-ვიში, მაგრამ არავისი ერიდებოდათ. ბოლოს, საპატრულო პოლიციის მანქანა დავინახე, გავაჩერე ავტობუსი: პოლიციელს დავუძახებ და ჩაგყრით-მეთქი, მაგრამ ბედი არ გინდა. იმათ თავს უშველეს, პატრულმა კი ჯარიმა გამომიწერა: უადგილო ადგილას მანქანა რატომ გააჩერეო! ეს კიდევ არაფერი. რამდენიმე დღის წინ წყალი ამიდუღა ამ ვერანამ, აფრუტუნდა უხეირო ცხენივით და მგზავრებით სავსე მანქანა სანაპიროზე, შადრევანთან გავაჩერე...

— რას მეხუტები, შე თავხედო! — იყვირა ვიღაც ქალმა ავტობუსის შუაგულიდან და ზორბა მამაკაცს ზურგში ხელჩანთა უთავაზა.

— ღმერთი-რჯული, ამ სიცხეში შენ კი არა, ჩემი ცოლიც რომ მეხვეწოს, იმას არ ჩავეხუტები! — ბრალდება იუკადრისა მამაკაცმა.

— ცოტა ნელა იარე, შე დალოცვილო, ფქვილის ტომრები ხომ არ გიწყვია, ხალხი ვმგზავრობთ. წეღან ისე ძლიერ დაამუხრუჭე, ლამის ამ ქალბატონს ჩავუჯექი კალთაში, — აუშარდა მძღოლს ახალგაზრდა.

— სულ გადაჯიშდნენ ქართველი კაცები! რა უნდა ელაპარაკო ახლა ამ მუტრუკს! რა სჯობია კარგი ქალის კალთაში ჯდომას! ეს უმადური კიდევ მადლობის მაგიერ მსაყვედურობს, — გადმომილაპარაკა მძღოლმა და მანქანა გაჩერებაზე გააჩერა. რამდენიმე უცნაურად ჩაცმული და მთლიანად სვირინგებით დაფარული თინეიჯერი ავტობუსიდან უცერემონიოდ ჩავიდა.

— მადლობა მაინც მითხარით, ბიძიკოებო, ზრდილობა ცხოვრებაშიც გამოგადგებათ, — მიაძახა მძღოლმა ახალგაზრდებს, მათ კი მადლობის მაგიერ მძღოლს შუათითი უჩვენეს.

— ხედავ, რა დღეში ვარ? ახლა, წესით, უნდა ჩავიდე და მაგ ლაწირაკებს ცხვირ-პირი დავუნგრიო, მაგრამ ამდენ მგზავრს რა ვუყო? ხომ ვიცი, მერე ესენი მომესევიან და მე დამილეწავენ გვერდებს. ჰო, იმას გიყვებოდი, ავტობუსი შადრევანთან რომ გავაჩერე... მოკლედ, სანამ მე რადიატორს ვაგრილებდი, ჩემი მგზავრები შადრევანს შეესივნენ: ბავშვები აუზში ჭყუმპალაობდნენ, ახალგაზრდები ერთმანეთს პეშვებით ასხამდნენ წყალს, მამაკაცებს შარვლის ტოტები აეკეცათ და წყალში ჩამდგარიყვნენ, დარბაისელ ქალბატონებს კი მხოლოდ წყალში ფეხების ჩაყოფა გაებედათ...

— ღმერთო რა უჰაერობაა, კარი მაინც გააღეთ, ნიავი დაუბერავს, — აწიკვინდა უკმაყოფილო ქალბატონი და მარაო მთელი ძალ-ღონით დაინიავა.

— ქალბატონო, შეგახსენებთ, რომ ავტობუსში იმყოფებით და არა სამთო კურორტზე. კარი რომ გავაღო, ფეხზე მდგომი მგზავრები სულ პარტყაპურტყით ჩაცვივდებიან ძირს, — ვალში არ დარჩენია მძღოლი უჰაერობით შეწუხებულ ქალს.

— თქვენც ისე დააქროლებთ ამ ვეებერთელა ავტობუსებს, თითქოს რბოლა გქონდეთ გაჩაღებული. ერთმანეთს ეცილებით, ვინ გააჩერებს პირველი გაჩერებაზე და ვინ უფრო მეტ მგზავრს აიყვანს. გუშინ დალლილს ჩამძინებია ავტობუსში, მძღოლი ისე სწრაფად შევიდა მოსახვევში, რომ თავით კინაღამ ავტობუსის მინა გავიტანე. ახლა შუბლზე კოპი მაზის, ჭორიკანა მეზობლებს კი საჭორაო საბაბი მიეცათ: რუბენას ცოლმა თავში ტაფა უთავაზაო, — კიდევ ერთმა მგზავრმა აავსო მძღოლი საყვედურებით.

— მერედა, რუბენჯან, ერთი შაურიანი ვერ გაიმეტე მაგ შენი გასივებული თავისთვის? ალალი იყო შენზე კარგი თუჯის ტაფა! — ჩაიხითხითა მძღოლმა და ეშმაკურად თვალი ჩამიკრა.

— იმ შადრევანზე მომხდარ ამბავს გიყვებოდი, განა მაცალეს ბოლომდე მოყოლა. მოკლედ, ბევრი ვიყვირე: ამოდით ავტობუსში, მომკლავს ჩვენი „კრიჟანგი“ დისპეტჩერი-მეთქი, გაბმული საყვირიც არაერთხელ მივეცი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. რამდენჯერმე ხალხის შესაშინებლად ცარიელი ავტობუსიც კი დავძარი, მაგრამ უკან არავინ გამომკიდებია. სხვა რა გზა მქონდა, საერთო მხიარულებას მეც შევუერთდი და როდესაც პრეზიდენტის ესკორტი მოგვადგა: გზა გაათავისუფლეთო, მძღოლიან-მგზავრიანად ყველა სველები ვიყავით. ასეა, ჩემო კარგო, ამ ავტობუსში ყოველდღე ისეთი ამბები ხდება, „ნეილონის ნაძვის ხე“ მონაგონია... ■


**ავტოსკოლა „ნიკე“ ვაკეში**

**DRIVING SCHOOL „NIKKE+“**

მის: ბარნოვის ქ. №73
(I სადარბაზო, ხიდთან)

☎22-79-53; 899-133-444
22-62-24 (საღამოს)




## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### ეორჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ბოდა, წმინდა წყლის სიმართლეა, პოლიტბიუროს მთავარმა ეგერმა მომიყვაო. ერთხელ ხრუშჩოვთან მეგობრული ვიზიტით ჩასულ ერიხ ჰონეკერს ნიკიტა სერგეევიჩი დაჰპირებია, ხვალ დილით ადგილობრივ ტყეში კურდღლებზე სანადიროდ წაგიყვანო. იმ ტყეში კურდღლები არ ბინადრობდნენ, მაგრამ საპატიო სტუმრებისათვის რომ ესიამოვნებინათ, ყველასგან ჩუმად სპეციალურად უშვებდნენ ტყეში ცხოველებს, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — მეორე დილით გაირკვა, რომ სპეციალურ გალიებში არც ერთი კურდღელი აღარ იყო დარჩენილი, არადა, მაღალჩინოსანი მონადირეები უკვე თოფშემართულნი იდგნენ ტყის პირას. ქვეყნის პრესტიჟის (ან საკუთარი ტყავის) გადასარჩენად ეგერს დაუჭერია კატა, შემოუხვევია მისთვის კურდღლის ტყავი და ტყეში გაუშვია. მონადირეებმა თვალი მოჰკრეს მას და თოფები დაცალეს. რაოდენ დიდი იყო მათი გაკვირვება, როცა დამფრთხალმა კურდღელმა ფეხი იშვირა და თვალის დახამხამებაში ერთ-ერთ ნაძვს კენწეროში მოექცა. მოულოდნელობისგან ყველა ადგილზე გახევდა. სრული დუმილი ჩამოვარდა, რომელიც ცოტა ხანში ხრუშჩოვის ხარხარმა დაარღვია: „კაკოი დურაკ ბილ გიტლერ!“ — ხარხარებდა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, — „კაკ მოჟნა იდტი ვაინოი ნა სტრანუ ვ კატოროი კროლიკი ნა დერევიახ ლაზიუტ!“



19. მარათონის ბრძოლაში გამარჯვებულმა ბერძნებმა ათენში მახარობელი აფრინეს. მალემსრბოლმა ფიდიპიდემ 41 კილომეტრი შეუჩერებლად ირბინა და დედაქალაქში შესულმა ხმამაღლა შესძახა: „გიხაროდეთ, გავიმარჯვეთ!“ და ადგილზე გარდაიცვალა.

20. ერთ-ერთ სამგლოვიარო ცერემონიაზე, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისში გაიმართა საოპერო თეატრში, შავი „ვოლგებით“ მობრძანდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. „მოშავდნენ!“ — ჩაილაპარაკა ამის დანახვაზე კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ.

21. როდესაც ინგლისელ ფიზიკოსს, კვანტური მექანიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს პოლ დირაკს 1933 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს, მან მტკიცედ გადაწყვიტა, უარი ეთქვა ჯილდოზე, რადგან ჭირის დღესავით სძულდა ყველა სახის რეკლამა. იგი ერნესტ რეზერფორდმა გადაარწმუნა. მისი თქმით, პრემიაზე უარის თქმა, უფრო დიდი რეკლამა იქნებოდა.

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# მკითხველის შეკითხვები



**— ბოლო დროს ხშირად მესმის, რომ სწორი კვება ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარია. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა იგულისხმება სწორ კვებაში და როგორ უნდა იკვებებოდეს ხანში შესული ადამიანი?**

*ეკ. რუსთავი.*

— მართალი ბრძანდებით, ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს სწორი კვება წარმოადგენს. თურმე ადამიანებს გენეტიკურად 120 წელი შეგვძლებია სიცოცხლე, მაგრამ რეალურად, ჩვენი ამქვეყნად ყოფნის დრო გაცილებით ნაკლებია. არადა, სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის გაზრდა სწორი კვებითაა შესაძლებელი.

სწორად კვება დიდსა თუ პატარას ერთნაირად სჭირდება, მაგრამ 50 წლის შემდეგ განსაკუთრებულად მკაცრად უნდა დაიცვათ კვების რეჟიმი და შეეცადოთ:

იკვებოთ დღეში 4-ჯერ, მცირე ულუფებით.

საკვების დღიური რაციონი შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: საუზმე — 25%; სამხარი — 15%; სადილი — 35%, ვახშამი — 25%.

მოერიდოთ სიმაძღრეს. გადავსებული კუჭი აწვება დიაფრაგმას, აფერხებს და ზღუდავს მის მოძრაობას და სუნთქვას, რამაც შეიძლება გულის ტკივილი განაპირობოს. გახსოვდეთ, მსუყე საკვები გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკ-ფაქტორია!

სუფრის მარილის მიღება, დღეში 1 ჩაის კოვზამდე შეზღუდეთ. მისი ჭარბად მოხმარება იწვევს არტერიული წნევის მატებას, გულის მუშაობის გაძნელებას და შეშუპებას.

პერიოდულად მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მაგრამ ამან არ გაგიტაცოთ და წონაში ზედმეტად არ დაიკლოთ: ხანდაზმულ ასაკში ეს იმუნიტეტის დაქვეითებას გამოიწვევს.

მიიღეთ დღეში 5-6 ლ სითხე — რასაკვირველია, თუ მისი მიღება ექიმის მიერ გულის ან თირკმლების დაავადების გამო შეზღუდული არ გაქვთ.

სადილობის შემდეგ შეგიძლიათ თვალი მოატყუოთ, მაგრამ მხოლოდ 20 წუთით. დამტკიცებულია, რომ ეს ხელს უწყობს საკვების უკეთ მონელებას.

## სწორი ბალანსი

ჩვენი საკვები შედგება ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური მარილებისა და ბალასტური ნივთიერებებისგან. ზრდასრულ და მოხუცებულობის ასაკში აუცილებელია ამ ნივთიერების ოპტიმალური ბალანსის დაცვა:

**ცილები** — იყოფა ცხოველური (ხორცი) და მცენარეული (ბურღულეული, მუხუდო, ლობიო, ნიგოზი, თხილი) წარმოშობის ცილებად. რაციონში მათი თანაფარდობა უნდა იყოს 1X1. უპირატესობა მიანიჭეთ საქონლის მჭლე, მოხარშულ ხორცს ან ინდაურის გულმკერდის ნაწილს. ვინაიდან ორგანიზმს დღეში მხოლოდ 100 გ ხორცის ათვისება შეუძლია, ცილის რაოდენობა თევზით და რძის პროდუქტებით შეავსეთ. უპირატესობა მიანიჭეთ მდინარის უცხიმო თევზს, თანაც უკეთესია, თუ მოხარშულს მიირთმევთ. რძის პროდუქტებიდან აუცილებელია ხაჭო და მაწონი, ისინი ხელს უშლიან ნაწლავებში ლპობითი მიკრობების წარმოქმნას, არეგულირებენ წვრილი ნაწლავის მუშაობას, ებრძვიან შეკრულობას და ანელებენ ორგანიზმის დაბერების პროცესს. გახსოვდეთ, რომ კვირაში 2-ჯერ უარი უნდა თქვათ ცხოველური ცილების მიღებაზე.

**ნახშირწყლები** — ასაკის მატებასთან ერთად, მათი ათვისება ფერხდება, ნახშირწყლების სიჭარბეს კი შეიძლება შაქრიანი დიაბეტის განვითარება მოჰყვეს. ამიტომ, შეამცირეთ ცომეულის, ასევე ბრინჯის და შაქრის შემცველი პროდუქტების მიღება. თუ ტკბილეული მოგენატრათ, მიირთვით ჩირი, მარცვლეულის „კრეკერები".

**ცხიმები** — შეზღუდეთ ქოლესტერინის შემცველი პროდუქტების მიღება (ღვიძლი, ენა, კვერცხის გული). ცხოველური ცხიმი მცენარეულით შეცვალეთ. სასარგებლოა ზეითუნის, სიმინდისა და მზესუმზირის ზეთი.

**ვიტამინები** — მიირთვით ბოსტნეული (კომბოსტო, ხახვი, ნიორი, სტაფილო, მწვანილი, წითელი პილპილი), ხილი და კენკროვნები (შავი მოცხარი, ჟოლო). მათში ბევრია ბეტა-კაროტინი, B, C, და E ჯგუფის ვიტამინები.

**მინერალური მარილები** — ასაკის მატებასთან ერთად, იზრდება მოთხოვნილება რკინაზე, მაგნიუმზე, კალციუმსა და სელენზე. ეს ნივთიერებები ყველაზე მეტია შავ ქლიავში, გარგარის ჩირში („კურაგა"), ყველსა და ყვავილოვან თუ ზღვის კომბოსტოში.

**უჯრედისი** — დიდი რაოდენობითაა ჭვავის პურში, მარცვლეულსა და ქატოში. ეს პროდუქტები აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამცირებს ჰიპერტონიის და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს.

ხანდაზმულობის ჟამს საგრძნობლად იზრდება ოსტეოპოროზის განვითარების რისკი. მართალია, დღეისათვის ამ დაავადებისგან თავდასაცავი უამრავი პრეპარატი არსებობს, მაგრამ ის არცთუ ისე იაფია.

ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის გირჩევთ, გამოიყენოთ ხალხური საშუალება:

მოხარშეთ 10 კვერცხი, გაფცქვენით და ნაჭუჭს შიგნიდან გამოკრული აპკი მოაცალეთ. როცა ნაჭუჭი კარგად გაშრება, ძალზე წვრილად დაფქვით. დაფქული კვერცხის ნაჭუჭი ჩაის კოვზის წვერით აიღეთ, დააწვეთეთ ლიმონის წვენი (ის რეაქციაში შევა ნაჭუჭთან და აფუვდება) და მიიღეთ დღეში ერთხელ. მკურნალობის კურსია 3 კვირა.

გისურვებთ ჯანმრთელობას! ■


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. ოჯახის მკურნალი | 0.80 | 11.2 |
| 2. ЗДОРОВЬЕ | 6.00 | 36.0 |
| 3. КАРДИОЛОГИЯ | 14.00 | 84.0 |
| 4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА | 11.00 | 66.0 |
| 5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ | 9.55 | 57.3 |
| 6. МЕДИЦИНА ТРУДА | 14.00 | 84.0 |
| 7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС | 50.95 | 305.6 |
| 8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ | 9.55 | 57.3 |

პრესის გავრცელების სააგენტო
შ.პ.ს. „ელვასერვისი"
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# ავერსის მომხმარებლისთვის მომსახურების კიდევ ერთი სერვისი

ავერსი მომხმარებელს სერვისის კიდევ უფრო მოხერხებულ და მოქნილ სისტემას სთავაზობს: ყოველ მოქალაქეს შეუძლია, სახლიდან გაუსვლელად შეუკვეთოს ნებისმიერი მედიკამენტი, რომელიც ავერსის აფთიაქებში იყიდება და 2 საათში სასურველი პროდუქცია სახლში მიიღოს. ასე, რომ აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 967-227 და შეუკვეთეთ მედიკამენტი თუ თქვენთვის სასურველი პროდუქტი.



## აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 967-227 და www.aversi.ge თქვენთვის სასურველ პროდუქტს სახლში მოგართმევენ.

ავერსი ასეთსავე სერვისს ინტერნეტის ხშირ მომხმარებლებსაც სთავაზობს. მედიკამენტის შეძენა გსურთ, მაგრამ გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ამისთვის ვერ იცლით? "ავერსი" ამ პრობლემის მოგვარებაშიც დაგეხმარებათ: შეუკვეთეთ ინტერნეტით სასურველი პროდუქტი და ავერსი თქვენ მიერ არჩეულ პროდუქტს სასურველ მისამართზე 2 საათში მოგართმევთ.



www.aversi.ge-ზე ონლაინ აფთიაქის ფანჯარაში აირჩიეთ სასურველი პროდუქტი, მონიშნეთ თქვენს მიერ არჩეული პროდუქტის კალათა, მიუთითეთ რაოდენობა, დააწკაპუნეთ დამატებაზე და შეკვეთა დააფიქსირეთ. პროცედურის ბოლომდე მისაყვანად აუცილებელია რეგისტრაციის გავლა, ამის შემდეგ კი მიუთითეთ მისამართი, სადაც გნებავთ შენაძენის მიღება.

პროდუქციის საფასურის გადახდა ხდება VISA ან Master Card-ის ბარათების საშუალებით.

ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

სხვადასხვა

## უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე ჩვენ გვგონია

ბრიტანელი მეცნიერები იტყობინებიან, რომ 9 თვის ასაკში ბავშვს შეუძლია დაიხსომოს რამდენიმე სიტყვა, რომელიც მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირში არ არის. მეცნიერებმა სთხოვეს მშობლებს, კვირაში რამდენჯერმე ეჩვენებინათ პატარასთვის სურათები და დაესახელებინათ მათზე გამოსახული საგნები. სამი თვის შემდეგ, უკვე ერთი წლის პატარას მკვლევრები აჩვენებდნენ სურათებს, რომლებზეც მათ ნაცნობი საგნები იყო გამოსახული. „ნავარჯიშევი" ბავშვები ყოველთვის აჩერებდნენ მზერას ნაცნობ საგნებზე. ის პატარები კი, რომლებთანაც მსგავსი მუშაობა არ იყო ჩატარებული, დავალებას ვერ ასრულებდნენ.

ბავშვებთან რაც შეიძლება ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოთ საუბარი და ხშირად ელაპარაკოთ — ასკვნიან ექსპერიმენტატორები. მათ გაცილებით კარგი ათვისების უნარი აქვთ, ვიდრე ჩვენ გვგონია.



## SMS-ების დაავადება

ავსტრალიაში დაფიქსირდა ახალი დაავადება — SMS-ტენდინიტი. 13 წლის გოგონამ ექიმებს მიმართა შეშუპებული მარჯვენა წინამხრით. ანთება იმის გამო განუვითარდა, რომ იგი ყოველდღიურად აგზავნიდა 10 უსაშველოდ გრძელ SMS-ს, რომელთაც ყოველთვის მარჯვენა ხელის ცერა თითით კრებდა. პაციენტს დაენიშნა მკურნალობა და... SMS-ებისგან თავის შეკავება.

## სოლარიუმი მხოლოდ უფროსებისთვისაა

ბავშვებმა და 18 წლამდე ასაკის მოზარდებმა თავი უნდა შეიკავონ სოლარიუმში გარუჯვისაგან — ასეთია



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო რეკომენდაციები. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ხელოვნური მზის აბაზანებსა და სიმსივნური დაავადებების განვითარებას შორის პირდაპირი კავშირია. მათი მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად 132000-მდე კანის სიმსივნის საშიში ფორმა რეგისტრირდება ამ პროცედურით მოსარგებლე მოზარდებს შორის. როგორც ექსპერტებმა დაადგინეს, ამის მიზეზი ისაა, რომ ბევრ ქვეყანაში სოლარიუმის გამოსხივების დონე ბევრად აჭარბებს ზაფხულის მზის ულტრაიისფერი სხივების ბუნებრივ დონეს. ■


სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში







ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

თქვენთვის, ქალბატონებო!

# გმირობიდან ლაჩრობამდე ერთი ნაბიჯია

მარინა ბაბუნაშვილი

წერილი — „შეიძლება კაცს ბევრი რამ აპატიო, მაგრამ ლაჩრობა — არა“ 2005 წელს დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“. მკითხველს არ ემეტებოდა ეს წყვილი დასაშორებლად, ამიტომაც კარგა ხანს მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, როგორ დასრულდა ლელას და გიოს ამბავიო? მაშინ, ლელა იმდენად გულნატკენი იყო, რომ გიოსთან სამომავლო ურთიერთობაზე არც კი უფიქრია, ამიტომ დაინტერესებულებს ზუსტ პასუხს ვერც ვაძლევდი...

## ამბავი პირველი

### „თვალსა და ხელს შუა იგი წრუწუნად იქცა“

ლელას და გიოს ურთიერთობა ლამაზი გრძნობით დაიწყო, თუმცა მალე ისეთი პრობლემები შეექმნათ, რომ ქალს სულ თავბედი აწყევლინა. იგი ცდილობდა, ნებისმიერ მძიმე სიტუაციაში გაეხსენებინა ახლო წარსული, როცა გიო სულ სხვანაირი — ამაღლებული, შეუდრეკელი, გამბედავი და ვაჟკაცური ახსოვდა, მაგრამ ძნელია მხოლოდ წარსულით ტკბობა. ლელაც ხშირად იხსენებდა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, როცა გიომ ორსული ცოლი და ბევრი მომიტინგე აშკარა სიკვდილს გადაარჩინა; მერე აფხაზეთის ომს, სადაც გიო ორჯერ დაიჭრა; მაგრამ ეს მოგონებები წარსულში დარჩა... მათი ომის შემდგომი ცხოვრება გაცილებით მწარე და მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა. თუკი გიო ომის დროს ყველას ვაჟკაცად დაამახსოვრდა, „მშვიდობიანმა“ პერიოდმა გიო ლაჩრად აქცია. ლელა ამას ვერ ეგუებოდა... როგორია, უყურებდე ქმარს, რომელიც წლების მანძილზე დევგმირი გეგონა, მოკლე დროში კი თვალსა და ხელს შუა წრუწუნად იქცა?! ეს მართლაც, რთული გადასატანია ნებისმიერი ქალისთვის.

აფხაზეთის ომიდან დაბრუნებული გიო დეპრესიაში იყო ჩავარდნილი. დილიდან საღამომდე შეეძლო ჩაკეტილი ყოფილიყო თავის ოთახში. იმ დროს უკვე ორი შვილი ჰყავდათ. ბავშვებთან ურთიერთობასაც გაურბოდა. ლელამ გადაწყვიტა, მესამე შვილი გაეჩინა. დარწმუნებული იყო, რომ პატარის დაბადება დეპრესიიდან გამოიყვანდა ქმარს. გიო მართლაც გამოაცოცხლა მარის დაბადებამ. სამუშაოს ძებნაც დაიწყო.

ამონარიდი წერილიდან: *„ნაცნობებმა გიოს რაღაც საეჭვო გარიგება შესთავაზეს. თავად გიო ამ საქმეს სარფიანს ეძახდა, მაგრამ რამდენიმე თვეში „სარფიანმა საქმემ“ თავბედი გვაწყევლინა. თურმე პროცენტიანი ვალი აუღია. ვერც პროცენტები, ვერც ძირითადი თანხა ვერ დაფარა და ჩვენი სახლი „შავების“ „მხედრიონელების“, გვარდიელების, პოლიციელებისა თუ „თეთრ-წითელ-შავი“ ადამიანების გასარჩევ ადგილად იქცა. უფროსი ბავშვები ჩემს მშობლებთან გავხიზნე, ჩემთან მხოლოდ უმცროსი — მარი, დავტოვე... ერთხელაც, ერთ-ერთმა მევალემ თავზე სამი იარაღიანი კაცი დამაყენა. მათ რომ შევხედე, კინაღამ გული გამისკდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ვუთხარი: თქვენ აფხაზეთში იბრძოდით, ჩემი ქმარიც იქ იყო; არ გეკადრებათ ნამარ ბიჭებს ოჯახში იარაღით შესვლა და სხვისი ცოლისა და შვილების აწიოკება-მეთქი. გაიკვირვეს, — მერე ვინ გაწიოკებთ, იარაღით სიარული ჩვევად გვექცა, უკადრებელს არაფერს გკადრებთ, მაგრამ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სანამ შენი კურდღელი ქმარი არ დაბრუნდება და ფულს არ დაგვიბრუნებსო... სიტყვა „კურდღელი“ გულზე მომხვდა. გავმწარდი და მივახალე: „კურდღელი“ არც 9 აპრილის ღამეს გამოიყვანდა გოგო-ბიჭებს იმ ჟლეტიდან და არც აფხაზეთში იომებდა-მეთქი. გაეცინათ —*



ვაჟკაცობა მარტო ის არ არის, ომის დროს რომ იბრძოლა. ვაჟკაცი ასეთ დროს ცოლ-შვილს მევალეებს არ შეატოვებდაო“.

გაჩუმდა ლელა. მართლები იყვნენ დაუპატიჟებელი სტუმრები და აღარ შეედავა. სანამ ისინი მის ოჯახში ათენ-აღამებდნენ, გიო სარდაფში იმალებოდა. ბოლოს და ბოლოს მოჰბეზრდათ ლოდინი და წავიდნენ. გიო მხოლოდ ამის მერე გამოვიდა სამალავიდან. ლელა ლამის ლოგინად ჩავარდა ნერვი-



ულობისგან, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ავადმყოფობის უფლება არ ჰქონდა. ბინა გაყიდეს და მევალეების ნაწილი გაისტუმრეს.

მეორე ნაწილის გასტუმრებას კი გიოს რუსეთიდან გამოგზავნილი ფულით აპირებდნენ. ფაქტია, რომ გიომ თავს უშველა და მევალეებს გაასწრო. რუსეთში სამშენებლო ფირმაში მოეწყო და მოსკოვთან ახლოს საგარაკე ბინების მშენებლობაში ჩაერთო. ლელას ცოტ-ცოტას უგზავნიდა. ასე თუ ისე, ბედს აღარ ემდუროდა. გავიდა დრო და ლელამ სრულიად შემთხვევით გაიგო ახალი თავზარდამცემი ამბავი. თურმე გიოს ქმარგაყრილ ბუღალტერთან რომანი გაუბამს. იმ ქალს პირველი ქმრისგან ვაჟი ჰყოლია, გიოსგან კი გოგონა გაუჩენია.

ლელას ბევრი აღარ უფიქრია, სასამართლოში სარჩელი შეიტანა, 3 თვეში პასუხი მიიღო და განქორწინების საბუთი რუსეთში გაუგზავნა უკვე ქმარყოფილს.

ომში გმირობაზე არანაკლები მამაცობა მშვიდობიანობის დროს დაბრკოლებების ღირსეულად დაძლევა აღმოჩნდა.

## ამბავი მეორე
## „ქმარყოფილი ისე მიმზერდა, როგორც დამნაშავე — პროკურორს“

როგორც ლელამ მითხრა, კარგა ხანს არ უნდოდა გიოს ხსენება, მაგრამ როცა ქმრის დეიდაშვილმა შეატყობინა, რომ გიო მშენებლობაზე დაშავდა და საავადმყოფოში იწვა, მოსვენება დაკარგა.

**ლელა:** *„ხომ ვამბობდი, მძულს და მისი ატანა არ შემიძლია. სადაც უნდა; იქ წავიდეს, ვისთანაც უნდა, იმასთან იყოს-მეთქი! როცა მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, კინაღამ გავგიჟდი. მივხვდი, რომ ჩემი სამი შვილის მამა ისევ მიყვარდა... ეს არ იყო ძველებური აღტაცებული გრძნობა. უბრალოდ, მე მას შეჩვეული ვიყავი, როგორც შეიძლება შეეჩვიო რაიმე აუცილებელ და საჭირო ნივთს. ახლობლებში ფული შევაგროვე და გიოსთან წავედი. რომ დამინახა, თვალები საცრისოდენა გაუხდა. ერთი თბილი სიტყვაც არ მითქვამს, არც საყვედურებით ამივსია, როგორც შინაური ექთანი, ისე ვექცეოდი. საღამოსვე გამომიტყდა, რომ კარგა ხანია „იმ რუსთან“ აღარ ცხოვრობდა. თურმე, იმ ქალს მდიდარი კაცისთვის დაუდგამს თვალი და დედამისისთვის დაუტოვებია ვაჟიც და გოგონაც. როცა მომჯობინდა, გადავწყვიტე, მალევე დავბრუნებულიყავი თბილისში. მთხოვა, 3 დღე მადროვე, რაღაც საქმე მაქვს დასამთავრებელი და მეც შენთან ერთად წამოვალო. დავუთმე. ვგრძნობდი, რომ „საქმე“ პატარა გოგონასთან იქნებოდა დაკავშირებული. მართლაც, მეოთხე დღეს მითხრა, რომ ბავშვის წამოყვანაც უნდოდა, თუკი მე არ ვიქნებოდი წინააღმდეგი(?!). ბედის ირონიაა, არა? ქმარყოფილი მეკითხებოდა (ჩვენ ხომ ოფიციალურად გაყრილები ვიყავით), თანახმა ვიყავი თუ არა მისი შვილის წამოყვანაზე. დაბნეულობისგან ხმას ვეღარ ვიღებდი. ის კი იდგა გაფითრებული და ისე მომჩერებოდა, როგორც დამნაშავე — პროკურორს. ბოლოს, როგორც იქნა, ამოვღერღე: წამოიყვანე, აბა, ბავშვს ხნიერ ქალს ხომ ვერ დაუტოვებ-მეთქი. შვებით ამოისუნთქა, ძალიან გაუხარდა, მომვარდა, გადამკოცნა. მერე კარს მიღმა გაუჩინარდა და რამდენიმე წუთში პატარა, ქერაკულულებიანი გოგონა წარმიდგინა. რა მექნა? ხელი მეკრა? ამას ვერ ვიზამდი. თუმცა, განვიცდიდი, ჩემს დიდსულოვნებას როგორ შეაფასებდნენ ჩემი მშობლები, ნათესავები ან მეგობრები. ვაითუ, დაცინვის ობიექტი გავმხდარიყავი? ეს კი ძალიან არ მინდოდა, მაგრამ ნატაშკა ისეთი საყვარელი ბავშვი იყო, რომ აღარ მინერვიულია. მოკლედ, ჩემს შვილებს მოსკოვიდან ცოცხალი თოჯინა ჩამოვუყვანეთ. ნატაშკას ნატოს ვეძახით. ის უკვე გამართულად ლაპარაკობს ქართულად და დედამისი ვგონივარ. მის დედიკოს ყაზახეთიდან დაურეკავს და შვილების ამბავი უკითხავს. ბებია ორჯერ შეგვეხმიანა და გვითხრა: ჩემს შვილს გაუხარდა, როცა გაიგო, ნატაშკა თქვენ წაიყვანეთ, იმათთან არაფერი მოაკლდება ბავშვსო. ერთი სიტყვით, ჩემი ქმრის რუსი ცოლი „დედა-გუგული“ გამოდგა. ჩემი ქმრისგან ბავშვი გააჩინა და გასაზრდელად მე დამიტოვა. რაც შეეხება გიოს, აღარ იცის, თავისი დანაშაული რით გამოისყიდოს. მოსკოვში ცხოვრებისას საკმარისი თანხა დაეგროვებინა, მშენებარე ბინა ვიყიდეთ და კვლავ გავფართოვდით. ხუმრობა ხომ არაა, ახლა 4 შვილის მშობლები ვართ. ვცდილობ, აღარ გავიხსენო ცუდი, რადგან წარსულის გახსენება მზარავს... ალბათ, ადამიანს ადამიანიც იმიტომ ჰქვია, რომ მას პატიება და სიყვარული შეუძლია“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარული, სისუსტის წილი...

„ნარკომანიის თემა ჩემთვის (და ალბათ არა მხოლოდ ჩემთვის) ყოველთვის ძალზე მტკივნეულია, — გვწერს **თბილისელი ქეთი ს.** — ეს საშინელი დაავადებაა, რომელიც მხოლოდ ერთის ჯანმრთელობას კი არ ანადგურებს, არამედ „ამ ერთის“ ახლობლების ფსიქიკას ერთიანად ანგრევს.

როცა „გზის“ ერთ-ერთ წინა ნომერში (რუბრიკაში „ცხოვრება“) წავიკითხე სტატია — „ბედისწერა კანონს არ ემორჩილება“, ცრემლები ვერ შევიკავე. ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ. მეც ასე დამიმსხვრია ბედნიერება ნარკოტიკმა...

16 წლის ვიყავი, ჩემზე 4 წლით უფროს ბიჭს რომ შევუყვარდი (პირობითად მას ნიკას დავარქმევ. არ მინდა, მის მშობლებს გული ვატკინო). ნიკა ფეხბურთელი იყო, უბანშიც — საკმაოდ პოპულარული და სიხარულს ვერ ვფარავდი, როცა სიყვარულში გამომიტყდა. სკოლის დამთავრებისთანავე გავიპარე სახლიდან. ვიქორწინეთ. ის ხშირად დადიოდა სხვადასხვა ქალაქში (ზოგჯერ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც) და ყოველთვის მოუთმენლად ველოდი მის ჩამოსვლას. მწვრთნელები დიდ იმედს ამყარებდნენ მასზე, სერიოზულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

ზუსტად არ ვიცი, როდიდან დაიწყო ჩვენი უბედურება. ნიკას ჯერ გუნდში აერია სიტუაცია, მწვრთნელთანაც კონფლიქტი მოუვიდა, მერე მწვრთნელი შინ გვეწვია და თავისი ეჭვი გაგვიზიარა. აბა, ასეთ რამეს მშვიდად ვინ შეხვდებოდა და ატყდა ერთი ამბავი... ნიკამ პროტესტის ნიშნად სახლი დატოვა; ორი თვის შემდეგ ნიკამ მთხოვა, რომ საცხოვრებლად ცალკე გადავსულიყავით. ნიკა მეფიცებოდა, ნარკოტიკს აღარ გავეკარებიო. ერთხანს, მართლაც დავიჯერე, რომ ასე იქნებოდა და ცხოვრებას თავიდან დავიწყებდით, მაგრამ... არ იფიქროთ, რომ ხელი მალევე ჩავიქნიე — არა, მთელი 7 წელი ვიბრძოლე იმისთვის, რომ ნიკა და ჩვენი ოჯახი შემენარჩუნებინა, მაგრამ ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. ერთხელაც შინ დაბრუნებულს, მე და ჩემს შვილს ნიკა მკვდარი დაგვხვდა — დოზა მეტი მოუვიდა და გული გაუჩერდა. ბავშვმა ისე ინერვიულა, კარგა ხანს ფსიქოთერაპევტთან სიარული დაგვჭირდა. მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს შეუძლიათ ნარკოტიკზე უარის თქმა და ახალი ცხოვრების დაწყება“.

## ამ გრძნობის გამო წყენა უნდა დაივიწყო

ჩვენი მკითხველი არც ეჭვიანობის თემამ დატოვა გულგრილი. **თიკო მაისურაძე** ჩემს რესპონდენტს, ანას კი ურჩევს: „საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ხარ, ჩემო კარგო; მესმის შენი, ძნელია, წარსული წყენისა და ტკივილის დავიწყება, მაგრამ გოჩა შენი ერთ-ერთი შვილის მამაა და იქნებ, გეცადა, კიდევ ერთხელ მიგეცა შანსი?! მან უკვე იცხოვრა უშენოდ, იცის, შენ გარეშე ყოფნა რასაც ნიშნავს და ცდილობს, გამოიცვალოს და სძლიოს ამ ავადმყოფურ სენს. აშკარაა, რომ მას ძალიან უყვარხარ. ვფიქრობ, ამ ძლიერი სიყვარულის გამო ღირს წარსულზე თვალის დახუჭვა. ამბობ, რომ აღარ გიყვარს და მისი ხსენებაც კი გაღიზიანებს... დამიჯერე, ანა, ანტიპათია მაშინვე გაქრება, როცა დაინახავ, რომ გოჩა შეცვლილია. ძნელია სხვის პირად საქმეში ჩარევა, მაგრამ გულწრფელად მინდა, თქვენი ამდენი ხნის დაძაბული ურთიერთობა ბედნიერებით დაგვირგვინდეს. გოჩას სიყვარულს ქარს ნუ გაატან. აპატიე და ამ პატიების საფასურად საბოლოოდ მოიმკი სიმშვიდეს, რომელიც ყოველთვის გენატრებოდა“.

„ანა, ჩემო დაიკო, მართალია, გადამეტებული ეჭვიანობა აუტანელია, მაგრამ თუ იგი სიყვარულითაა გამოწვეული, ცოტა მოთმინება გმართებს. გოჩას ისევ უყვარხარ, ვერ ძლებს შენ გარეშე და რადგან უკვე იწვნია უშენობა, ყველაფერს გააკეთებს, რომ შეურიგდე და აპატიო წარსული შეცდომები. მიტევება ერთგვარი ნიჭია და არა მგონია, შენ ამ ნიჭს მოკლებული იყო. ეგეც იცოდე, კაცს ასეთი სიყვარული იშვიათად ეწვევა, ხოლო თუ ეწვევა, ხელიდან არ გაუშვებს და ბოლომდე იბრძოლებს მისთვის. **გურამი, ქუთაისი**“.

## „არ დათმო სარწმუნოება“

22 სექტემბრის „კვირის პალიტრაში“ (რუბრიკით „თქვენთვის, ქალბატონებო“) დაიბეჭდა 17 წლის ანას წერილი — „არ ვიცი, რომელი ავირჩიო“. საქმე ის გახლავთ, რომ ზუგდიდში მცხოვრებ, მართლმადიდებელ გოგოს შეუყვარდა აჭარელი ზურა, რომელიც მუსლიმანია. ვაჟსაც ძალიან უყვარს გოგონა, მისი ცოლად შერთვაც სურს, თუმცა ზურა არჩევანის წინაშე აყენებს მას: სანამ ვიქორწინებთ, რელიგია უნდა შეიცვალო და შენც მუსლიმანი გახდეო. გოგონა დაბნეულია, აღარ იცის, რა გზას დაადგეს, რადგან ზურა უყვარს და ვერ ელევა, სარწმუნოების შეცვლა კი წარმოუდგენლად მიაჩნია — ისიც და მთელი მისი ოჯახი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობენ.

თუ რა გზას დაადგეს და არჩევანი რის ან ვის სასარგებლოდ გააკეთოს, ამას თავად მკითხველის მესიჯებიდან შეიტყობს — ნანას სახელზე ხომ უამრავი გამოხმაურება მივიღეთ:

„ნანა, წავიკითხე შენი წერილი. სამწუხაროა, რომ ასეთი არჩევანის წინაშე დადექი, მაგრამ სარწმუნოებას არ უნდა უღალატო. თვით მართლმადიდებლობაა ყველაზე დიდი სიყვარული. წერილში ამბობ, რომ ყოველთვის ბევრს უთმობდი და შერიგებისკენაც შენ დგამდი პირველ ნაბიჯს. მე მგონია, რომ ახლა უკვე დროა, იმან დათმოს „რაღაც“ და სიყვარულიც დაგიმტკიცოს. ღმერთი გფარავდეთ ორივეს. **მარი**“.

„თუ ზურას ნამდვილად უყვარს ნანა, მაშინ დათმობაზე წავა. ჩემი აზრით, ამქვეყნად სიყვარულია ყველაზე მთავარი და მის შესანარჩუნებლად ნებისმიერი რამ უნდა დათმოს ადამიანმა. მერე რა, რომ ზურა მუსლიმანია? ქართველი ხომ არის? ქართველთა სარწმუნოება კი მართლმადიდებლობაა. ვფიქრობ, ზურა მოიქცევა ისე, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. **მალხაზი, ბორჯომი**“.

„არაფერზე გაცვალო სარწმუნოება. ჩვენი წინაპრები სიცოცხლის ფასად იცავდნენ ჩვენს სარწმუნოებას. სიყვარული ბედნიერებაა, მაგრამ ნუ ანაცვლებ მას სარწმუნოებას, თორემ ძალიან ინანებ. გულწრფელად თანაგიგრძნობ, ვღელავ შენზე და გამოუსწორებელი შეცდომა არ უნდა დაუშვა. **მანანა**“.

„გამარჯობა, ნანა! შენი წერილი წავიკითხე და ძალიან ავღელდი. მართლაც, რთულ სიტუაციაში ხარ, მესმის შენი და გიგებ კიდეც, რადგან მეც შენსავით უსაზღვროდ შეყვარებული ვარ, მაგრამ ჩვენი წინაპრები რელიგიის დასაცავად სიცოცხლეს წირავდნენ, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, განვუდგეთ სარწმუნოებას, თუნდაც სიყვარულის გამო. მაპატიე პირდაპირობისთვის. შეიძლება, გეწყინოს ჩემი სიტყვები, მაგრამ მერე მიხვდები, რომ სიმართლე გითხარი. **ანი**“.

# „კარგი რძალი და ისიც რუსი, ვის გაუგონია?!"

„კვირის პალიტრაში" დაბეჭდილ წერილს „ამბავი ქართულ-რუსული სიყვარულისა" მკითხველი საკუთარი ამბით გამოეხმაურა. ერთ-ერთმა ისიც კი მოიწერა: კარგი რძალი და ისიც რუსი, ვის გაუგონია?!! ჩანს, ამ მკითხველს ბედმა არ გაუღიმა და ამიტომაც ყველა ეროვნების რძალი ერთ ტაფაში „მოისროლა", მერე კი თავისი ძმის ოჯახზე გვიამბო:

— კარგი და ცუდი ყველგან არის, მთავარია, ბედმა არ გიმტყუნოს და ნორმალური შემოგივიდეს ოჯახში. ჩემს ძმას ასეთი ბედნიერება არ ეღირსა! მოსკოვში სწავლობდა და იქიდან რუს ცოლთან ერთად ჩამოვიდა. თავიდან, თითქოს ყველაფერი კარგად იყო. მერე კი გადაირია ჩვენი ოლია. სადაც ჩემი ძმა — გივი მიდიოდა, თავს იკლავდა, მეც უნდა წამოგყვეო. თუ არ წაიყვანდა (ხომ იცით ქართველების ამბავი), სკდებოდა ტირილით. დარდის გასაქარვებლად კი სმას მიჰყო ხელი. ისე შეეჩვია სასმელს, მშვიდ სიტუაციაშიც კი ჩხუბის საბაბს ეძებდა, მერე რომ გაემართლებინა დალევა. ერთი შვილი გააჩინა, რომელსაც ჩვენ ვზრდიდით — მე და ჩემი მშობლები. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, გაგვილოთდა ოლია. ჩემმა ძმამ ჩაუღაგა ბარგი-ბარხანა, 5 ბოთლი არაყიც ჩაუდო ჩანთაში და მატარებლით მშობლიურ ქალაქში გაისტუმრა. იქიდან კარგა ხანს გვეხმიანებოდა და ტირილით გვიხსნიდა სიყვარულს, თქვენნაირი კარგი ხალხი არსად შემხვედრია. ვნანობ, რომ ვერ შევიფერე თქვენი რძლობაო. ბავშვმა ჩვენთან ყოფნა ირჩია. შვილზე იმდენად არ ჯავრობდა, რამდენადაც საქართველოდან წასვლას, — ვიცი, რომ ჩემს შვილს მანდ არაფერი მოაკლდება, ამიტომ მისი დარდი არა მაქვსო. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა საწყალი, ყველანი ვიყავით მის დაკრძალვაზე... მას შემდეგ, რაც ოლიას გაშორდა, ჩემი ძმა მეორედ დაოჯახდა. ქართველი შეგვხვდა იმისთანა, ოლია სანატრელი გაგვიხდა. სანამ ტყუპს გააჩენდა, კიდევ არა უშავდა. მშობიარობის მერე კი ყველას თავზე წამოგვაჯდა. ისე გვავალდებულებდა ყველაფერს, თითქოს მისი მოსამსახურეები ვყოფილიყავით. მოკლედ, 4 წელი ძლივს გავუძელით. იმასაც გაშორდა გივი. დიდი ხნის მერე კიდევ უნდოდა დაოჯახება, ჩვენც ვურჩევდით, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა, ცხოვრების მეორე ნახევარი მშვიდად მინდა გავატაროო. ახლა ის მარტოა, შვილები აკითხავენ, მეც არ ვაკლებ მოვლა-პატრონობას (მშობლები გარდაგვეცვალა) და თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ გრძნობს თავს ცუდად. თავის დროზე, ისეთ დღეში ჩააგდეს ცოლებმა (რუსმაც და ქართველმაც), რომ ცოლის კი არა, ქალის ხსენებაც შესძულდა.



# „ის სანაქებო რძალი აღმოჩნდა"

„როცა ჩემმა დეიდაშვილმა რუსი გოგო შეირთო ცოლად, დეიდაჩემმა ლოყები ჩამოიხოკა — ის არ იცი, ქართველი როგორ გამოგადგება კაცს და რუსი რამ შეგაყვარებინა, გიღალატებს და გაგამწარებსო. მე და სანდრო თანშეზრდილები ვიყავით და მეც მედარდებოდა მისი პირადი ცხოვრება, თუმცა დეიდაჩემივით თმას არ ვიგლეჯდი. სანდროს კარგად ვიცნობდი და მჯეროდა მისი. იგი ისეთ გოგოს ცოლად არ მოიყვანდა, სანანებლად რომ გახდომოდა. მართლაც, გამოხდა ხანი და ლიდა (იგი როსტოველი იყო. სანდრო როსტოვში სწავლობდა სამედიცინოზე და მესამე კურსიდან თბილისში, ცოლთან ერთად ჩამობრძანდა) სანაქებო დიასახლისი დადგა. ოთხი შვილი გააჩინა, არაჩვეულებრივი ცოლი, დედა და რძალი გახდა. ის კი არა, ჩვენს სანათესავოში მისაბაძი შეიქნა. ქართულიც კარგად შეისწავლა და ყველასაც უსაზღვროდ შეგვაყვარა თავი. აგვისტოს მოვლენებმა ისე ანერვიულა, ლამის ინსულტი დაემართა. როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი, ის კი, თვალცრემლიანი, ბოდიშებს გვიხდიდა. ქართველები ისე გაგვამწარა რუსების თავგასულობამ და მაროდიორობამ, ყველა ერთხმად ვაცხადებდით — არ არსებობს ორი რუსეთი, ის სწორედ ისეთია, როგორადაც ახლა დაგვანახვა თავი-თქო. მაგრამ ჩვენმა ლიდამ რა დააშავა? ის ხომ მართლაც შესანიშნავი ადამიანია, რომელთან ურთიერთობაც ყოველთვის მსიამოვნებს და მიხარია. პუტინების, მედვედევების, ჟირინოვსკების და ზიუგანოვების გამო ნუ შევიძულებთ რუსეთის წიაღში ჩაკარგულ ალალ და გულწრფელ უბრალო ადამიანებს.

პატივისცემით **ნინო ნოზაძე, თბილისი"**.

*ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61. ან ელფოსტით mbabunashvili@posta.ge*

# სკოტ ფიტცჯერალდის შეშლილი ცხოვრება და შეშლილი სიყვარული

**მხატვრები, რომლებსაც ორ-ნახევარი ტილო აქვთ დახატული, მაგრამ ბლომად ვისკი აქვთ შესმული; მათი წელწვრილი და დახვეწილმანერებიანი, მეგობარი ქალბატონები; პოეტები, რომლებიც შთაგონებით რითმავენ „ქარს“ და „ქალს“ უკვე მეასე ლექსში და მათი ცოლები, რომლებიც ეჭვობენ, რომ ეს „ქარი“ და „ქალი“ ზელდა ფიტცჯერალდს ეკუთვნის; მწერლები, რომლებიც თავს სკოტ ფიტცჯერალდზე ნაკლებად არ მიიჩნევენ, კინოროლებზე მეოცნებე ახალგაზრდა ქალიშვილები და მათი დედები, რომლებიც მდიდარ სიძეებზე ოცნებობენ — XX საუკუნის 20-იან წლებში ყველა მათგანს თავისი აზრი და წარმოდგენა ჰქონდა ზელდა და სკოტ ფიტცჯერალდების ცხოვრების შესახებ და საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმას ყველა თავის მოვალეობად მიიჩნევდა.**





მათი ცხოვრება მაღალ წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და განსჯის ისეთივე თემა იყო, როგორიც ლაჟვარდოვანი სანაპიროს ამინდი, ფრანგული ფრანკის კურსი, რუსეთში ბოლშევიკური მოძრაობა. საზოგადოების ინტერესს სკოტის მიერ სასტუმრო „რიცში“ შესმული სასმელი და ზელდას მიერ, ხელსაწმენდ ქაღალდზე დახატული პიონებიც იწვევდა. „...300 პიონი დახატა და მიმტანს ხელსახოცები კიდევ მოსთხოვა“; „რატომ მაინცდამაინც პიონები?“ „მე მგონი, ის უბრალოდ, შეშლილია“...

ფიტცჯერალდის პირველი რომანის, „სამოთხის აქეთ“ — გამოქვეყნების შემდეგ პრესა მათ თვალს არ აშორებდა. ყველა გაზეთის „მაღალი საზოგადოების ქრონიკა“ მათი ოჯახის ქრონიკად გადაიქცა. „წუხელ მისტერ ფიტცჯერალდმა მეუღლესთან ერთად მანჰეტენში უჩვეულო ექსკურსია მოაწყო. ბროდვეის ქუჩის კუთხეში ტაქსი გააჩერა და ცოლ-ქმარი უკანა სავარძელზე მოთავსდა. თუმცა, მეხუთე ავენიუზე გასვლის შემდეგ მათ იფიქრეს, რომ მოუხერხებლად მგზავრობდნენ. მძღოლს მანქანა გააჩერებინეს და მდგომარეობა შეიცვალეს: მისტერ ფიტცჯერალდი მანქანის სახურავზე აძვრა, მისის ფიტცჯერალდი — კაპოტზე და მძღოლს გზის გაგრძელება უბრძანეს“...

„ამ დღეებში ნიუ-ორკის საზოგადოება ფიტცჯერალდების ოჯახის გაქრობამ შეაშფოთა. შაბათ საღამოს, ლონგ-აილენდზე, თავისი სახლიდან გამოსვლის შემდეგ ისინი მანჰეტენში უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ იქ არც კვირას დილით, არც ორშაბათს საღამოს და არც სამშაბათს შუადღისას არ გამოჩენილან. ისინი მხოლოდ ოთხშაბათს, ნიუ-ჯერსიში, იაფფასიან სასტუმროში აღმოაჩინეს. მათ ძლივს გაიხსენეს, ამ 4 დღის განმავლობაში სად იყვნენ, რამდენი დალიეს და როგორ აღმოჩნდნენ ნიუ-ჯერსიში.

„სკოტმა გაიხადა სპექტაკლ „სკანდალებზე!..“

„ზელდამ შადრევანში იბანავა“...

„პოლიციელი სკოტის დევნით დაიღალა“...

„ზელდა რესტორანში კიბიდან გადმოეშვა“...

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყო. სკოტი მართლაც ბევრს სვამდა, ზელდას კი ძალიან უყვარდა პიონები.

ეს ყვავილები მონტგომერიში, მისი მშობლების სახლის ეზოში ხარობდა. ზელდა სწორედ აქ დაიბადა 1900 წელს. ის მინი და ენტონი სეიერების ოჯახში მეექვსე შვილი იყო. მასზე ფეხმძიმობის დროს მინი რომანს კითხულობდა, რომლის მთავარი გმირიც ციგანი ქალი — ზელდა გახლდათ. ახალშობილს სახელი სწორედ ასე შეურჩიეს. თუმცა, მანამდე მონტგომერიში არავინ იცოდა, რომ შეიძლებოდა, ბავშვისთვის ეს სახელი დაერქმიათ. ცოლის სურვილმა ენტონიც გააკვირვა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან ის უკვე დიდი ხანია, ცოლის უცნაურობებს მიჩვეული იყო. მეზობლებს კი კიდევ ერთხელ მიეცათ ენის მოფხანის საშუალება. „მინი ნამდვილი გიჟია, მის საქციელს წინასწარ ვერასოდეს ამოიცნობ", — ჩურჩულებდნენ ისინი, მაგრამ აზრის ხმამაღლა გამოხატვას ვერ ბედავდნენ, რადგან ენტონი მართალია მშვიდი, მაგრამ გავლენიანი ადამიანი იყო. ხუმრობა ხომ არ არის, ალაბამის შტატის მოსამართლეობა!

9 წლის ასაკში ზელდა ბალეტით დაინტერესდა და საკმაო წარმატებასაც მიაღწია. ცეკვის გარდა ცურვით, მოდითა და ბიჭებით იყო გატაცებული. არ უსმენდა მამის შეგონებებს, კითხულობდა იმავე რომანებს, რასაც დედა. მას მთელი ცხოვრების განმავლობაში ჰქონდა სამხრეთული აქცენტი და კარგი მანერები, რომელიც სამხრეთამერიკელებისთვისაა დამახასიათებელი. ოჯახური ტრადიცია ავალდებულებდა, რომ თავშეკავებული, მორიდებული, დამჯერი და წყნარი გოგონა ყოფილიყო, მაგრამ ის დამოუკიდებელი, თავნება ადამიანი იყო და საკუთარი თავის გარდა არავისზე ფიქრობდა. თუ დასჭირდებოდა, ყველანაირ წესს, ტრადიციასა და მორალურ პრინციპს მიაფურთხებდა და იმას გააკეთებდა, რაც სურდა.

ზელდამ კოლეჯი დაამთავრა. გამოსაშვები კურსის გოგონებს შორის ის ყველაზე ლამაზად აღიარეს. ერთი თვის შემდეგ, კლუბში ახალგაზრდა მამაკაცი გაიცნო, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ახალგაზრდებისგან, რომლებიც მისი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და იმ ბიძებისგანაც, რომლებიც მას მსუნაგი თვალებით ათვალიერებდნენ ხოლმე. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო. ის ზელდას წარუდგა როგორც 67-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, სკოტ ფიტცჯერალდი.

შემდეგ ისინი საუბრობდნენ პოეზიაზე, სიყვარულსა და ცხოვრებაზე... გოგონა 18 წლის იყო, ახალგაზრდა ლეიტენანტი — 22-ის. მათ მთელი ზაფხული ერთად გაატარეს. მოგვიანებით სკოტმა გოგონას გაუმხილა, რომ ის მწერალია და სამხედრო სამსახურში იმიტომ წავიდა, რომ პრისტონში სწავლის გაგრძელება არ სურდა.

იმის შესახებ, რომ სკოტმა პრინსტონში სწავლა შეწყვიტა და სამხედრო სამსახური არჩია, მისმა მშობლებმა მოგვიანებით შეიტყვეს და ძალიან გაბრაზდნენ. მათ უნდოდათ, რომ სკოტი ჭეშმარიტი კათოლიკე გამხდარიყო და კათოლიკურ კოლეჯში სწორედ ამიტომ გაგზავნეს. სკოტს კი სხვა მიზნები ჰქონდა. მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი და მასზე ლექსებსაც კი წერდა. პრინსტონში ჩასვლისთანავე გადაწყვიტა, რომ სწავლა ძალზე მოსაწყენი პროცესია და განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს. ის პირველ რიგში საფეხბურთო გუნდში ჩაეწერა, საიდანაც 2 კვირის შემდეგ დაითხოვეს, როგორც უპერსპექტივო. თუმცა ამ ამბავს სკოტი არ გაუნაწყენებია. გადაწყვიტა, რომ ჩვეულებრივი ცხოვრებით არ ეცხოვრა, დანარჩენებისგან რაღაცით გამორჩეული ყოფილიყო და ყველას ყურადღება მიეპყრო. მას ჰქონდა შეთხზვის უბადლო უნარი. თავისი პირველი დეტექტიური ნაწარმოები ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს შექმნა და სკოლის კედლის გაზეთში მოათავსა, რითაც მცირე ხნით ვარსკვლავიც კი გახდა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ ამ გზით პოპულარობის მიღწევა შეიძლებოდა. საფეხბურთო გუნდიდან გარიცხვის შემდეგ, ისევ კალამს მოჰკიდა ხელი და სტუდენტურ ჟურნალებში იუმორისტული ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყო. ასევე წერდა პიესებს პრინსტონის თეატრისთვის. მისი პიესები კონკურსებში იმარჯვებდა და ერთმანეთის მიყოლებით იდგმებოდა თეატრის სცენაზე. ასეთი წარმატება მას არ აკმაყოფილებდა, რადგან ასე თუ ისე, მაინც ჩრდილში რჩებოდა. მას სცენაზე თამაში სურდა. საამისოდ კი ერთი ბარიერი ჰქონდა გადასალახავი — პრინსტონის პედაგოგები ოროსან ბავშვებს სცენაზე თამაშის უფლებას არ აძლევდნენ. ბოლოს და ბოლოს, ის პრინსტონიდან ავადმყოფობის გამო გარიცხეს და ერთი წლის შემდეგ წინა კურსზე აღადგინეს. მას შემდეგ, რაც თავისზე უმცროსი ახალგაზრდების გარემოცვაში მოხვდა და მიხვდა, რომ თუ დიპლომის აღება სურს, სახელმძღვანელოებს თავი უნდა დააკლას, სკოტმა მოიწყინა და უიმედობა დაეუფლა. გადაწყვიტა, რომ ყველაფერს პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე სიკვდილი სჯობდა. პრინსტონს მიაფურთხა და ამერიკულ ჯარში მოხალისედ წავიდა.

სკოტი დარწმუნებული იყო, რომ მას დაუყოვნებლივ გაუშვებდნენ ფრონტზე, იქ კი მყისეულად მოკლავდნენ. იმისათვის, რომ დედამიწაზე თავისი კვალი დაეტოვებინა, ყოველი შემთხვევისთვის თავისი რომანის, „რომანტიკული ეგოისტის" ხელნაწერი ერთ-ერთ გამომცემლობას გაუგზავნა. ხელნაწერი მალე დაუბრუნეს (თუმცა, მას დამაიმედებელი წერილიც მოაყოლეს, რომელშიც ეწერა, რომ ხელნაწერი არ გადაეგდო, რადგან რომანს მხოლოდ გადაკეთება ესაჭიროებოდა), ხოლო ავტორი ფრონტის ნაცვლად სასწავლო ბანაკში — „შერიდანში" გაგზავნეს, რომელიც ზელდა სეიერის ქალაქში იყო განთავსებული.

გაცნობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ზელდა სკოტს სიყვარულში გამოუტყდა. თუმცა ნიშნობამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. მათ ურთიერთობაში მოსამართლე მამა ჩაერია, რომელსაც შეატყობინეს, რომ ამ ლამაზ ლეიტენანტს სმა უყვარდა. ასევე აღშფოთდა ზელდას დედა, რომელმაც, როდესაც გაიგო, რომ ეს ლამაზი ყმაწვილი მწერალი იყო, მაშინვე გაიფიქრა: „მწერალი? რა უნდა ჭამოს ჩემმა შვილმა?". მშობლების გავლენის შედეგად, ზელდამ სკოტს შეუთვალა: „მიუხედავად იმისა, რომ ასე მიყვარხარ, შესაძლოა, ფრონტზე გაგიშვან და მოგკლან. რა უნდა ვქნა მერე?"

სწორედ ამ დროს, პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა, რის გამოც, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ზელდას მშობლებმა ნიშნობაზე თანხმობა განაცხადეს იმ პირობით, რომ ქორწილი მანამდე არ შედგებოდა, ვიდრე სკოტი ნორმალურ სამსახურს არ იშოვიდა.

უგონოდ შეყვარებული ყმაწვილი ნიუ-იორკში გაემგზავრა და ქალაქის რკინიგზის სარეკლამო სააგენტოში მუშაობა დაიწყო. მას ომამდელი სტილის კოსტიუმი ეცვა და თავს არიდებდა იმ ახალგაზრდებთან ურთიერთობას, ვინც ბოლო მოდაზე იცვამდა. საველე ჭოგრიტი ლომბარდში ჩადო, რესტორანში ივახშმა და ბოლო ცენტები მიმტანს ფეხის ქირად მისცა. ქირაობდა იაფფასიან ოთახს, წერდა მხიარულ მოთხრობებს და პირველი ჰონორარით — 30 დოლარით ღია წითელი ფერის მარაო შეიძინა, რომელიც წერილთან ერთად საჩუქრად ზელდას გაუგზავნა. „მე წარმატებისა და ამბიციის გზაზე შევდექი და იმედი მაქვს, რომ მალე ამ გზას ჩემთან ერთად შენც გაუყვები“. 1919 წლის მარტში მან ზელდას ოქროს ბეჭედი გაუგზავნა. მთავარი ის არ არის, რამდენი ვახშამი არ მიირთვა სკოტმა, რომ ფული დაეზოგა. მთავარი ის იყო, რომ ზელდამ საჩუქარი მიიღო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზელდას ის ისევ უყვარდა.

თუმცა ზელდა ისევ ზელდად რჩებოდა და როდესაც სკოტს სასიყვარულო ბარათებს სწერდა, თან მონტგომერის ყველა მამაკაცს ეკეკლუცებოდა. სხვაგვარად ცხოვრება მას არ შეეძლო. ერთხელ ერთ-ერთმა გოლფის მოთამაშემ ისე გაიტაცა, რომ მასთან ერთად ატლანტაში, ტურნირზეც კი გაემგზავრა. დამშვიდობებისას კავალერმა მას ყველაზე ძვირფასი ნივთი უძღვნა — მისი კოლეჯისემბლემიანი ქინძისთავი. შინ დაბრუნებულმა ზელდამ ქინძისთავი პატრონს წერილთან ერთად დაუბრუნა: „ამ საჩუქრის მიღება არ შემიძლია“. თუმცა დაბნეულობისა თუ ჩვევის გამო კონვერტზე სკოტის ნიუ-იორკის მისამართი მიუთითა.

ძნელია იმის აღწერა, რა განიცადა სკოტმა ამ უცნაური გზავნილის მიღების შემდეგ. ის მეორე დღესვე მონტგომერიში ჩავიდა და მოითხოვა, რომ ზელდა ცოლად გაჰყოლოდა. ზელდამ კი უარით გამოისტუმრა — „ჯობს თავი მოიკლა, ვიდრე ორივე მშივრები დავიხოცოთ“. სკოტი გულგატეხილი დაბრუნდა ნიუ-იორკში. ჯიბეში ზელდას მიერ დაბრუნებული ოქროს ბეჭედი ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნიშნობა ჩაიშალა და საყვარელი გოგონა აღარ ჰყავდა. სკოტმა სამსახური მიატოვა, ნიუ-იორკიდან შინ გაემგზავრა და ხელი რომანის გადაკეთებას მიჰყო.

იმ დროს, როცა სკოტი რომანის წერაში ღამეებს ათენებდა, ზელდა წვეულებებსა და საცურაო აუზზე დადიოდა. ერთხელ მას მოეჩვენა, რომ კოშკურიდან საცურაო კოსტიუმით ხტომა მოუხერხებელი იყო. გაშიშვლდა და კოშკურიდან ისე გადმოხტა. ამ ამბის შემდეგ მისი თაყვანისმცემლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

სკოტმა ხუთთვიანი დუმილის შემდეგ ზელდას მისწერა, რომ მისი ნახვა სურდა. ზელდა სიხარულით დათანხმდა მასთან შეხვედრას.

1920 წლის ბოლოს ფიტცჯერალდს ბედნიერება ეწვია. მისი რომანი, რომელსაც ახლა „სამოთხის აქეთ“ ერქვა, დაიბეჭდა. წიგნის გამოსვლის მეორე დღეს ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდმა მხოლოდ პოპულარულმა კი არა, მდიდარმაც გაიღვიძა. ერთი კვირის შემდეგ კი ზელდაზე დაქორწინდა. ალაბამის შტატის მოსამართლეს აღარ გაუპროტესტებია მათი შეუღლება, მაგრამ შვილის ქორწილს არ დასწრებია. თუმცა ამის გამო ცოლ-ქმარს დიდად არ უნაღვლია.

სკოტი შესანიშნავად იცვამდა, ელეგანტურ შლაპებს ატარებდა, რაც მაშინდელი მწერლებისთვის ფუფუნებად მიიჩნეოდა. ისინი ახალი, ჯაზური ამერიკის ცხოვრებას კარგად მოერგნენ — გვიან იღვიძებდნენ, ზეთისხილიანი სენდვიჩით საუზმობდნენ, სალამოობით რესტორანში ვახშმობდნენ და ერთი რესტორნიდან მეორეში გადადიოდნენ. ზელდა მშვენივრად ცეკვავდა „ჩარლსტონს“ და ამის დემონსტრირება უყვარდა კიდეც. ცოლქმარი არანორმალური, გიჟური ცხოვრებით ცხოვრობდა და გართობას არ იკლებდა. სწორედ მაშინ გაისეირნეს ტაქსით გიჟურად, რადგან ასე მოუნდათ; სწორედ მაშინ იბანავა შადრევანში ზელდამ, იმიტომ, რომ დასცხა; სწორედ მაშინ გაიხადა სკოტმა სპექტაკლზე... რატომ? ვინ იცის?

ქორწინებას ისინი მოსაწყენ ცოლ-ქმრად არ უქცევია. ზელდა ძველებურად აბამდა ფლირტს ყველასთან, სკოტი კი ძველებურად ეჭვიანობდა მასზე. სადაც ისინი გამოჩნდებოდნენ, ჰაერი სიცოცხლის, სურვილის, სექსის სუნით იჟღინთებოდა და ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იყო თამაში. ეს ყველაფერი ბუნე-



ბრივი და ძალდაუტანებელი გახლდათ და არა — მოწყენილობის გასაქარვებლად მოგონილი თავშესაქცევი.

ზელდამ სენ-პოლში, სკოტის სახლში იმშობიარა და გოგონა გააჩინა. გოგონას მამის სახელი — ფრანს სკოტი დაარქვეს. მისი აღზრდის პრინციპი ზელდასთვის ასეთი იყო: „არ მინდა, რომ ის ჭკვიანი და ცნობილი იყოს. მინდა, იყოს მდიდარი და ბედნიერი". მათ სკოტისთვის ძიძა დაიქირავეს და ნიუ-იორკში დაბრუნებისთანავე ისევ გიჟურ ცხოვრების რიტმში ჩაებნენ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ცვლილებები მოხდა როგორც მათ, ასევე ქვეყნის ცხოვრებაში. სკოტი განაგრძობდა სიყვარულსა და წარმატებაზე წერას და როდესაც კრიტიკოსები ეკითხებოდნენ, რატომ იყო მისი რომანების თემა ასეთი მწირი, ის პასუხობდა: „ღმერთო ჩემო, ეს ის არის, რასაც მე კარგად ვიცნობ". ზელდა კვლავ განაგრძობდა კეკლუცობას, მაგრამ მის საქციელში არაგულწრფელობა იგრძნობოდა. მან მშობიარობის შემდეგ წონაში საკმაოდ მოიმატა და მისი ფლირტი მხოლოდ იმის მტკიცება იყო, რომ ის მამაკაცებისთვის ძველებურად სასურველი გახლდათ. სკოტი ძალიან ცოტას წერდა, რადგან წერა მხოლოდ ფხიზელს შეეძლო. ფხიზელ მდგომარეობაში კი ის ძალზე იშვიათად იყო.

ფრანგულ რივიერაზე გაემგზავრნენ, იქიდან კი პარიზში, მაგრამ ამ 2 მოგზაურობას შორის სამწუხარო ფაქტი მოხდა, რომლის შესახებაც ისინი არავისთან ლაპარაკობდნენ: ზელდას ფრანგი, ულამაზესი მამაკაცი, მფრინავი ედუარდ ჟოზანი შეუყვარდა. როდესაც ჟოზანი მისი ცხოვრებიდან გაქრა, ზელდამ თავის მოკვლა სცადა.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. რაღაც უცნაურობა მის ქცევაში სხვა დროსაც შეინიშნებოდა, მაგრამ მათი უცნაური ცხოვრების ფონზე ეს ჩვეულებრივად აღიქმებოდა. ბოლოს და ბოლოს, სკოტი მიხვდა, რომ ზელდას ფსიქიკასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ამის შესახებ ჰემინგუეი მას დიდი ხნის წინ ეუბნებოდა, მაგრამ სკოტი ყურსაც არ იბერტყავდა.

მალე ზელდას ფსიქიკურ მდგომარეობაზე მთელი პარიზი ალაპარაკდა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ზელდა რესტორნის კიბიდან გამოეშვა. ცოლ-ქმარი ვახშმობდა. სკოტმა მოშორებით ცნობილი მოცეკვავე, აისედორა დუნკანი შენიშნა. „ძვირფასო, მინდა, ამ მშვენიერ ქალს მივესალმო", — უთხრა სკოტმა ცოლს. ზელდამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ სკოტი წამოდგა თუ არა, თვითონაც წამოხტა და კიბისკენ გაქანდა. შუა კიბემდე მისული კი ძირს გადაეშვა. ყველა ფიქრობდა, რომ ის მოკვდებოდა, მაგრამ მხოლოდ დაჟეჟილობით გადარჩა.

ცოტა მოგვიანებით, ჰოლივუდში, ზელდამ იეჭვა, რომ მისი ქმარი 18 წლის მსახიობით იყო გატაცებული. მან ეს ძალზე განიცადა და სკოტი აიძულა, კონტრაქტი დაერღვია და შინ დაბრუნებულიყო. მატარებელში მას მთელი ხმით უყვიროდა, ფანჯრიდან კი სკოტის ნაჩუქარი, ბრილიანტის თვლებით შემკული საათი მოისროლა.

შემდეგ ზელდამ იფიქრა, რომ სკოტს ის მოსწყინდა და გადაწყვიტა, ისევ ცეკვა დაეწყო. საამისოდ კი ჯერ დიეტა უნდა დაეცვა. მან ჭამა შეწყვიტა. შემდეგ, უეცრად ქმარს გამოუცხადა, რომ მეგობრებს მათი მოკვლა სურდათ. კიდევ განუცხადა, რომ ადგილიდან განძრევა, სიარული, ხელების გატოკება და წარბების აწევაც კი აღარ უნდოდა. მხოლოდ ერთ ადგილზე ჯდომა, ხმების მოსმენა სურდა. რომელი ხმების? იმ ხმების, რომლებიც მას განძრევას და წარბების აწევას უშლიდნენ.

1930 წლის აპრილში ზელდა შიზოფრენიის დიაგნოზით ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. მისი დაავადებების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელი იყო — დევნის მანია, ნერვული ეგზემა, კატოტონია, მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი...

ზელდამ მსოფლიოს საუკეთესო კლინიკები მოიარა. სკოტი მასთან ერთად მოგზაურობდა, კლინიკის ახლოს სასტუმროს ნომერში ბინავდებოდა და მის გამოჯანმრთელებას ელოდა. ამასთან, ისევ წერდა, რამეთუ ეს ზელდას მკურნალობის ხარჯების დასაფარავად სჭირდებოდა...

ეშმაკმა დალახვროს, მას მაინც თავდავიწყებით უყვარდა თავისი ზელდა — შეშლილი, სახენაშლილი და გონდაკარგული ცოლი. მას ის მაშინაც უყვარდა, როცა სხვა ქალებს ხვდებოდა. სხვა ქალები კი მის ცხოვრებაში ბლომად იყვნენ, რადგან ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 40 წლის, მომხიბვლელი მამაკაცი იყო. ერთ-ერთმა საყვარელმა, რომელიც ტეხასის შტატში ყველაზე მდიდარ ქალად იყო ცნობილი, ოჯახის შექმნა შესთავაზა, რაზეც სკოტმა უპასუხა: „მადლობას მოგახსენებთ შემოთავაზებული წინადადებისთვის, მაგრამ არ შემიძლია, სხვაგვარი ცხოვრებით ვიცხოვრო. მე ერთადერთი ძაფი ვარ, რომელიც ზელდას რეალობასთან აკავშირებს. ეს ძაფი რომ გაწყდეს, ის წყვდიადში აღმოჩნდება".

ერთხელ, აუზში ცურვის დროს სკოტმა მხარი მოიტეხა და კარგა ხანს წერა არ შეეძლო. დედა გარდაეცვალა, შვილი კოლეჯში სწავლაზე უარს აცხადებდა და მამის წერილებს მხოლოდ იმიტომ ხსნიდა, რომ მასში ჩეკი ან ფულის ბანკნოტი აღმოეჩინა. სკოტი მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ფულს სესხულობდა, რომ ზელდას მკურნალობის ხარჯები დაეფარა. ის ბოლომდე არ კარგავდა მისი გამოჯანმრთელების იმედს. სკოტი 1940 წელს, საყვარლის სახლში, უკანასკნელი, დაუმთავრებელი რომანის — „უკანასკნელი მაგნატის" ხელნაწერზე დამხობილი, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ზელდამ ამის შემდეგ 8 წელი იცოცხლა.

1948 წელს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და რამდენიმე დღით მშობლებს ესტუმრა. გამგზავრების წინ, როდესაც ოჯახის წევრებთან ერთად მაგიდასთან იჯდა, უეცრად თქვა: „დედა, შეგვიძლია, არ ვიჩქაროთ, მატარებელი მაინც დააგვიანებს". „საიდან იცი?" — დაინტერესდა მინი. „როგორ თუ საიდან, სკოტმა მითხრა. დედა, ვერ ხედავ სკოტს? ის ხომ შენგან მარცხნივ ზის".

სადგურზე მისულმა ზელდამ კი დედას ნაღვლიანად უთხრა: „არ ინერვიულო, დედა, სიკვდილის არ მეშინია. სკოტმა მითხრა, რომ ეს საშიში არ არის"...

რამდენიმე დღის შემდეგ, ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც ზელდა მკურნალობდა, ხანძარი გაჩნდა და ერთი კორპუსი დაიწვა. ხანძარმა 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის ერთ-ერთი ზელდა ფიტცჯერალდი იყო.

# ფოტო, რომელმაც ტარტარა დაკარგა



• „აუ, დე, ასე გქონდეს, რა?! უფლო მიმზიდველი ხალ, თან „ტლუსიკიც“ კალგად ჩანს და... მაგალ „ვიდზე“ ხალ... გუგეშა“.

• „უი, რა მსხვილი ფეხები და დიიიდი ტაკოააა! კონკორდი“

• „დეე, „ტრიკო“ გიჩანს“...

• „დეიდა, დამეხმარე, თორეეემ... ნერტისი“.

• „მამა, გამოდი, დედა გეძებს“...

• „საჯდომს აჩვენებ პუბლიკას, ანრი ჯოხაძის ჯინაზე, ანრის სიმღერა უხდება, შენ — გრაცია და სინაზე. ენიგმა“.

• „აჩვენიეთ ეს უზადო სიმრგვალე პუტინს და ომი აღარ იქნება. აჩვენეთ მეორე ნახევარიც და პუტინი აღარ იქნება. ენიგმა“.

• „დეე, ტაკო დამალეეე!...“

• „მინდა, მალე გავიზარდო, მალე გავხდე დიდი“...

• „დეიდა, მოგეხმარებით კაბის წამოღებაში... ჭრიჭინა“.

• „ქალბატონო, ეს კაბა არ გიხდებათ, სასწრაფოდ გაიხადეთ“.

• „რა ლამაზი ხარ, ფანცქვალავ, დღეს საღამოს რას აკეთებ, ოქრო? მრ. მადრიდ“.

• „აუუუ, დეიდა, კარგი ნიფლის ხე ვიცი კუთხეში და სექსფართი ხომ არ მოგვეწყო? უცნობი“.

• „ოოო, პატარა მექალთანევ, რა მინდაო, რაო? ლუნა“.

• „ეს პოოო, მაგრამ აი, მერე რა უნდა ვქნა?!“

• „ნეტავ, ამის იქით რა იმალება? შოკოლადივით ტკბილი თუა, შევჭამ. GREEN GIRL“.

# ქართველები რაღას გვერჩიან?!

## ანუ ულუკმაპუროდ დარჩენილი გარე მოვაჭრეები

**არაფერია იმაზე უარესი, როდესაც უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს ბოლო საარსებო წყაროც ესპობათ და შიმშილისთვის განწირულნი უარს ამბობენ, მოქალაქეობრივ ვალზე. დღეს შემთხვევით დიღმის ტერიტორიაზე, ბაზართან მოვხვდი და ბოლო დროს უკვე ყველასათვის ნაცნობ და გაცვეთილ ფრაზას ყური მოვკარი, — ბაზრის ტერიტორია შეისყიდეს და მოვაჭრეებს დახლებს ატოვებინებენო.**



*ელენე ბასილიძე*

*აღელვებული გარე მოვაჭრეები აცრემლებულნი ჰყვებოდნენ საკუთარი გაჭირვების შესახებ და ხელისუფლების მხრიდან გულგრილობით შეშფოთებულნი, რუსული პასპორტების აღებით იმუქრებოდნენ. მათ, რა თქმა უნდა, იციან, რომ ეს არაა გამოსავალი, მაგრამ ზედმეტია პატრიოტობაზე ლაპარაკი მაშინ, როცა მშიერი რჩები და გაბრაზებულ გულზე კი რას არ იტყვის კაცი...*

**თამრიკო,** *79 წლის, გარე მოვაჭრე:*

— **ხშირად მოდიან მეპატრონეები?**

— დღეს უნდა მოვიდნენ და შემოლობონ, თავად მეპატრონე არ ჩანს, ხელქვეითები მოდიან. 200 კაცი ვართ აქ, სად უნდა წავიდეთ ამდენი? ინვალიდი შვილი და შვილიშვილი მყავს, მე ვარ ოჯახის მარჩენალი, 70 წლის ქალი. ლუკმაპურის საშოვნელად ვარ აქ და სად უნდა წავიდე? ადგილი მაინც გამოგვიყონ, რომ მშივრები არ დავრჩეთ, ისიც კი არ ვიცით, ვინ იყიდა ეს ტერიტორია. თურმე უკვე 2 თვეა, რაც გაუყიდიათ და ჩვენ ახლა გავიგეთ.

**ლამარა,** *65 წლის, გარე მოვაჭრე:*

— თითქმის ყოველდღე მოდიან შავსათვალიანი ბიჭები. ეს ტერიტორია ჩვენია და სასწრაფოდ დაცალეთ აქაურობა, „დუბინკებით" გაგიყვანთ, მეორედ რომ მოვალთ, აქ არ დაგვხვდეთო, გუშინ გვითხრეს. აქ დალხენილ ადამიანს რა უნდა, შვილო, ვინც ვართ, უკიდურესმა გაჭირვებამ გამოგვიყვანა აქ. სად წავიდეთ, მშივრები დავრჩებით! შევეწირებით ამ ბაზარს, არსად გვაქვს წასასვლელი და მათ შევაკვდებით თუ შიმშილით დავიხოცებით, რა მნიშვნელობა აქვს? განცხადებაც გვაქვს მერიაში შეტანილი, მაგრამ არავინ დაინტერესებულა ჩვენი ამბით.

**გივი,** *65 წლის, მომხმარებელი:*

— ბაზრის გაუქმება რაღა უბედურებაა?! ვითომ გლეხებზე ზრუნავენ და სინამდვილეში, საბოლოოდ ახრჩობენ. არ მინდა, ბატონო, ამ სუპერმარკეტში დაძველებული პროდუქტის ყიდვა. შემოხვალ ბაზარში, თუ გეძვირა, შეევაჭრები კიდეც და დააკლებინებ ფასს. ვის ვევაჭრო მე მარკეტში, ორმაგი ფასი რომ აქვს ყველაფერს?

**ლია,** *50 წლის, გარე მოვაჭრე:*

— მეჯვრისხევიდან ვარ. გაოგნებულები ვართ, პირიდან საარსებო ლუკმასაც გვაცლიან. მთელი კასპისა და გორის მოსახლეობა აქ ვაჭრობს, ბაზრის დირექცია გადასახადსაც არ გვახდევინებს. წუხელ, შვილო, თითქმის მთელი ღამე აქ გავათენეთ, შეშინებულები ვიყავით, არ დაარბიონ-თქო და... რამდენ ხანს გავძლებთ ასე?!



**ლია,** *40 წლის, მომხმარებელი:*

— სამსახური ისედაც არ გვაქვს, მოცლილები ვართ, ბაზარი აღარ არსებობს და ახლა მთელი დღე ვივლით

პროდუქტის საყიდლად, ვიწანწალებთ და სადაც იაფი იქნება იქ შევიძენთ. იძულებულნი ვართ, მარკეტში შევიდეთ, სადაც 10-15 ლარი ღირს კილოგრამი ხორცი. მთელი დიღმის მოსახლეობის სურვილია, რომ ბაზარი შენარჩუნდეს. 4000-მდე ხელმოწერაც გვაქვს შეგროვებული და თუ საჭირო გახდება, გზასაც გადავკეტავთ.

**ზაური,** *80 წლის, გარე მოვაჭრე:*

— იქ აფხაზებმა დედა გვიტირეს, აქ ოსებმა დედა გვიტირეს, ეს ქართველები რაღას გვერჩიან, ადამიანები არ არიან? ამ ხნის კაცი კიტრსა და პამიდორს ვყიდი და თავს ასე ვირჩენ.

**ემზარი,** *50 წლის, გარე მოვაჭრე:*

— დეზერტირების ბაზარი დაგვინგრიეს და აქეთ წამოვედით, ახლა სად წავიდეთ, აღარ ვიცით, პატრონი ჩვენ არ გვყავს და ყურადღებას არავინ გვაქცევს. ისევ ჩვენს თავს თვითონ თუ ვუშველით...

**— ვინ იყო ამ ბაზრის მეპატრონე?**

— როგორც ამბობენ, რაღაც სააქციო საზოგადოება ყოფილა, დაიშალა და აქციონერებმა ტერიტორია გაყიდეს. ერთადერთი მხარდაჭერა, მომხმარებლის მხრიდან გვაქვს. ისე არიან ჩვენთან შეჩვეულები, გვეკითხებიან, სად იქნებით, სად მოგაკითხოთო?

**ია მშვენიერაძე,** *ბაზრის დირექტორი:*

**— ქალბატონო ია, ვინ არის ამ ტერიტორიის მფლობელი?**

— ახლანდელი მეპატრონე, გაურკვეველი ფირმაა, რომელთან შეხვედრასაც უშედეგოდ ვცდილობთ. გვინდა, ბაზრის მცირე ტერიტორია მაინც შენარჩუნდეს, ხალხი ისედაც გაუბედურებული და გასაცოდავებულია, ლტოლვილების 80% ბაზარში დგას. საომარ მდგომარეობაში ხალხის ბაზრიდან გაყრა და ულუკმაპუროდ დატოვება შეიძლება?

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, ვინ გაყიდა ბაზრის ტერიტორია?**

— არსებობს ასეთი პიროვნება, დიმა გაბუნია, რომელმაც განზრახ გააძვირა მიწის ფართობი, რათა ჩვენ ვერ შეგვესყიდა, ისევ და ისევ ბაზრისათვის. შეუთანხმდა ეკონომიკის სამინისტროს და გაყიდა ეს ტერიტორია. ტერორის ქვეშ ვართ, ყოველ წუთას შეიძლება შემოცვივდნენ და ძალით აყარონ ხალხი. 20 წელია, აქ ვმუშაობ და ყველას ოჯახური მდგომარეობა ვიცი, ვცდილობ, რაიმეთი დავეხმარო მათ. ვაჭრები 10-15 წელია, აქ ვაჭრობენ და ყველას თავისი კლიენტი ჰყავს. ხშირად ნისიადაც მიაქვს მომხმარებელს პროდუქტი. ხალხს ამშვიდებენ, ბაზარი თუ დაიკეტება, მარკეტში ჩააბარებთ პროდუქტსო. ხშირად 1 ვედრო ანწლი მოაქვს გაჭირვებულ ადამიანს. რომელი მარკეტი ჩაიბარებს ტყის ტყემალს, ანწლს, ასკილს და მინდვრის მხალს?

**— თქვენზე თუა ზეწოლა, რომ ხალხი გაიყვანოთ ტერიტორიიდან?**

— ამ რამდენიმე დღის წინ პროკურატურიდან შემომითვალეს, თუ არ გაჩერდები, დაგიჭერთო. თავად დიმა გაბუნიამ მითხრა, დავაჭერინებ შენს თავსო! დაე, დამიჭირონ, ოღონდ ამ ხალხს ადგილი გამოუნახონ, სადაც თავს შეაფარებენ და ამ უბედურ დროს, მშივრები არ დარჩებიან. ●



# ვის ვისურვებდი მეგობრად?

• რა თქმა უნდა, შენ, მარი, და იცი, რატომ? კარგი ადამიანი ხარ, თანაც — ჟურნალისტი. შენი პროფესიით ძალიან დაინტერესებული ვარ და შენგან რჩევებს მივიღებდი. აი, ასე! გუგეშა.

• მარ, შენთან და გრუზინკასთან ვიმეგობრებდი, დიდი სიამოვნებით. გკოცნით. პრანჭო.

• დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი ჩემს მასწავლებელთან, ნინო სურმანიძესთან. უძლიერესი ქალია. ფილოსოფოსი.

• ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ შენთანაც დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი, მარი.

• მინდა, აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი მეგობრები მყავს. სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან, მარიამულო. დარწმუნებული ვარ, კარგად შევეწყობოდით. თუმცა, ისედაც მეგობრად მიმაჩნიხარ და მეც მეგობრად მიგულე. საერთო სამეგობრო წრე კი „გზავნილებია". მიყვარხართ! გამოუსწორებელი რომანტიკოსი.

• ასე მგონია, დედაზე უკეთ მეგობრობას ვერავინ გამიწევს. პოოდა, ჩემი პასუხიც ეგ არის. P.S. დაგიბრუნდით დაკარგული შვილი, ისევ იმ სიყვარულით. GREEN GIRL.

• მეგობრად ავირჩევ ადამიანს, რომელსაც სინდის-ნამუსი ფურთხის ფასად არ ულირს, მაგალითად — გრუზინკას. რას მიქვია ეროვნება და კანის ფერი? ეს ხომ სიმდაბლეა?

• ვის ავირჩევდი მეგობრად და — ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს. ჭრიჭინას აქვს იმდენი სითბო, რომ ყველას გაუნაწილოს. აბააა! ჭრიჭინა.

• განძის მაძიებლის ენაცვალოს ჩემი თავი. აი, ასეთი ადამიანები მართლაც სანატრელნი არიან სამეგობროდ, რადგან ღირსეულად ატარებენ ადამიანის სახელს. ტიროფი73

• ვის ავირჩევდი მეგობრად? ჰმ, მაგას კითხვა რად უნდა, ჰა? რა თქმა უნდა, შენ, მარი, და ნებისმიერ „გზაელს". აბეზარა.

>>>32

# როგორ მოვაწყოთ ყველაზე საშინელი პაემანი

საკმარისია, ერთი ღამით მიიწვიო ქალი საკუთარ სახლში და ამ აბეზარ არსებას, აუცილებლად, რაღაც ნივთი დარჩება. შემდეგ დაუსრულებლად გირეკავს და შეხვედრას ან კიდევ ერთხელ სტუმრობას გთხოვს, რათა საჭირო ნივთი წაიღოს. სცენარის გაგრძელება ყველასთვის ცნობილია...

იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთო მსგავსი ქმედება, მას თვალსაჩინოდ უნდა დაანახვო, რომ შენთან ურთიერთობა საშინელებაა. ამის მოხერხება კი პირველსავე პაემანზეა შესაძლებელი.



## რესტორანში

აირჩიე პრესტიჟული რესტორანი, ხარჯი კი ნუ შეგაშინებს, რადგან ტყუილად არაფერს დახარჯავ. როგორც კი მენიუს მოგიტანენ, შეგიძლია, ზღაპრების მოყოლა დაიწყო. თავდაპირველად, სიძვირის გამო იწუწუნე. რაღა თქმა უნდა, ეს მიმტანის თანდასწრებით და ხმამაღლა უნდა გააკეთო — ისე, რომ რესტორნის დანარჩენ სტუმრებსაც ესმოდეთ. როდესაც შენი თანმხლები ქალბატონი მენიუში მითითებული ძვირად ღირებული კიბორჩხალასავით განითლდება და სირცხვილისგან მაგიდის ქვეშ ჩაძრომას დაიწყებს, ჰკითხე: „ძვირფასო, შეიძლება, შენთვისაც შევუკვეთო?“ ის უარს არ გეტყვის.

შენთვის ხბოს ხორცის ჩაშუშული და წითელი ღვინო შეუკვეთე, მისთვის კი — სოიის კატლეტი და მწვანე ჩაი. თანაც, განუცხადე, რომ დღეიდან მის ჯანმრთელობაზე მხოლოდ შენ იზრუნებ. როდესაც დაინახავ, როგორ უნდილად ატრიალებს ჩანგალს სოიის კატლეტში, დაიწყე ლექციის კითხვა თემაზე: რა მავნებლობა მოაქვს ქოლესტერინს და მის მსგავს ნივთიერებებს, რომელსაც გემრიელი კერძების უმეტესობა შეიცავს.

## უცოლო მამაკაცის ბუნაგი

საცხოვრებელ ადგილს პატრონის შესახებ ბევრი რამის თქმა შეუძლია. იმისათვის, რომ ფეთხუმი ადამიანის იმიჯი შეიქმნა, საკმარისია, ერთი კვირა სახლი არ დაალაგო და ვიზიტისთვის საგანგებოდ მოემზადო. აუცილებელი ატრიბუტებია: მაგიდის გარშემო — ცარიელი ბოთლები — საფერფლეში — პრეზერვატივი, საპურეში — წინდები. კარგი იქნება, თუ ოთახში ქალის საცვლებს მიმოაბნევ. გირჩევ, არ გადაამლაშო და საწინააღმდეგო შედეგი არ მიიღო. შესაძლოა, მას შეეცოდო და ოთახის დალაგება დაიწყოს... ერთობლივი საქმიანობა კი ადამიანებს აახლოებს.

## ადამსების ოჯახი

თუ შენს საცხოვრებელ ფართს შენთან ერთად ნათესავები იყოფენ, ნამდვილად გაგიმართლა. ეცადე, ქალბატონის სტუმრობისთვის ისეთი დრო შეარჩიო, როდესაც მთელი ოჯახი შეიკრიბებით: ომის ვეტერანი ბაბუა, რომელსაც ფრონტის ამბების მოყოლა დიდ სიამოვნებას ჰგვრის, სკინჰედი დისშვილი და 1-2 შორეული, პროვინციელი ნათესავი, თავისი შვილიშვილებითურთ. ნათესავები წინასწარ გააფრთხილე, რომ ცოლის მოყვანას და იმ ოთახში დაბინავებას აპირებ, სადაც ტელევიზორი დგას. დარწმუნებული იყავი, სტუმარ ქალბატონს საკადრისად დახვდებიან.

## გალანტურობა

ქალბატონს სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად, სასმელი შესთავაზე. ეცადე, თავად ფხიზელი დარჩე. მისაყოლებლად პროვინციელი ბიცოლას მიერ, მარგარინით მომზადებული წვნიანი საუკეთესო ვარიანტია.

## ჭეშმარიტება

ზოგიერთ ქალს, კარგი სექსის შემდეგ ყველაფრის პატიება შეუძლია. სწორედ ამიტომაა, რომ შენი მეგობარი ჯერ კიდევ შენთანაა. იქნებ მას მართლაც გადაწყვეტილი აქვს, შენი ნათესავების შევიწროება? მისი მზაკვრული ზრახვა რომ არ ასრულდეს, საკუთარი თავი

ხელში უნდა იყვანო და აჩვენო, რა შეგიძლია ლოგინში. რალა თქმა უნდა, უმჯობესი იქნება, თუ დაანახვებ, რომ არაფერიც არ შეგიძლია. თუმცა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ქალს შეეცოდო და გადაწყვიტოს, რომ სექსი უნდა გასწავლოს. მაშინ ბაბუა — ტელევიზორის, შენ კი თავისუფლების გარეშე დარჩები.

ასე რომ, ჯობს კარგი საყვარლის როლი მოირგო და აჩვენო, რას ნიშნავს ნამდვილი, აფრიკული ვნება. ხმამაღალი ქშენით, თვალების ტრიალითა და კბილების კრაჭუნით შემოიხიე ტანისამოსი და ქალს ეცი.

დაანახვე, რომ შენი ვნება იმდენად ძლიერია, ამ ათასგვარი ღილისა და შესაკრავის გასახსნელად დროს ვერ დაკარგავ. ამიტომ მასაც კბილებითა და „ბრჭყალებით" შემოახიე ტანისამოსი. მერწმუნე, ეს ტრიუკი ყოველთვის მომგებიანია, რადგან როდესაც მას გაახსენდება, რა თანხა აქვს გადახდილი ტანსაცმელში, შენს საზოგადოებაში ყოფნა არავითარ სიამოვნებას აღარ მიანიჭებს.

შენ კი ნუ მიაქცევ ყურადღებას მის მიერ „ქონების დაცვის მცდელობას", შენი საქმე გააგრძელე და როდესაც საბოლოოდ, ტანისამოსს ნაფლეთებად უქცევ, რომელიმე მგრძნობიარე ადგილზე ისე უკბინე, რომ მისმა კივილმა შინ მყოფი ნათესავების ყურადღება მიიპყროს.

და თუ ქალმა — იმ დროს, როდესაც კარი ხმაურით გაიღება და ზღურბლზე მთელი ნათესავების ცნობისმოყვარე, წყვილ-წყვილი თვალი გამოჩნდება — იქაურობა დედიშობილამ, ტირილითა და წყევლა-კრულვით არ დატოვა, მაშინ შენ წინაშე მაზოხისტური მონაცემების ეგზემპლარი ყოფილა.

### საკონტროლო გასროლა

ამის შემდეგ დაეწიე და შინ წაიყვანე. გზაში შენი ძველი ავტომობილი ალბათ რამდენჯერმე გაფუჭდება და თანამგზავრს სთხოვე, მანქანას მოაწვეს. მას შემდეგ, როცა ის სახლის კარს ცხვირწინ მოგიჯახუნებს, შეგიძლია, შვებით ამოისუნთქო. დარწმუნებული იყავი, ამის შემდეგ შენს ნახვას აღარასოდეს მოისურვებს.

საარგებლო ინფორმაცია

# ბრიუვები და ბრიუვებზე უფრო ბრიუვები



**1** ამერიკელი, ახალგაზრდა ქალი სკაუტების სწავლების დროს დააკავეს. სწავლებას მისი არასრულწლოვანი შვილი გადიოდა. პოლიციელი ბავშვებს გულდასმით უხსნიდა, როგორ წვრთნიდნენ ძაღლს. თვალსაჩინოებისთვის, გაწვრთნილი ძაღლი შემოიყვანა და ნარკოტიკის მოძებნა უბრძანა. მან კი შვილის მომლოდინე დედიკოს ჩანთაში „ბალახი" იპოვა.

**2.** ახალგაზრდა მამაკაცი მაღაზიაში შეიჭრა და სალაროდან ფული მოითხოვა. როდესაც ნავაჭრი თანხა ჩანთაში აღმოჩნდა და მძარცველს გადასცეს, მან თაროზე ვისკის ბოთლი შენიშნა და მოითხოვა, რომ ისიც მიეცათ. გამყიდველმა მას უარი იმ მიზეზით უთხრა, რომ მოეჩვენა, ახალგაზრდა ჯერ 21 წლის არ იყო. მძარცველმა რომ ვერაფერი გააწყო, ჯიბიდან მართვის მოწმობა ამოიღო და გამყიდველს წარუდგინა. საბუთის საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ გამყიდველმა ვისკი ჩანთაში ჩადო, რის შემდეგაც მძარცველი და მის ჯანმრთელობაზე მზრუნველი გამყიდველი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ განშორებამ დიდი ხნით არ მოუწიათ. 2 საათის შემდეგ მძარცველი პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა.

**3.** ახალგაზრდა ქალბატონმა პოლიციაში განაცხადა, რომ მანქანა მოჰპარეს. ამასთან, აცნობა, რომ მანქანაში მობილური ტელეფონიც იდო. პოლიციელმა მითითებულ ნომერზე დარეკა და გამტაცებელს უთხრა, რომ გაზეთში მოთავსებული განცხადების თაობაზე რეკავდა და უკვე დიდი ხანია, ასეთი მანქანის შეძენაზე ოცნებობდა. გამტაცებელმა შეხვედრა დაუთქვა. შეხვდნენ. გამტაცებელი დააპატიმრეს და გაასამართლეს კიდეც.

**4.** ამერიკელმა მოქალაქემ ბანკის გაძარცვა გადაწყვიტა და Bank of america-ს მიადგა. ბანკის ბლანკზე დაჯღაბნა: „ეს ძარცვაა. ყველა ფულები ჩანთაში ჩამილაგეთ". ამის შემდეგ მორჩილად ჩადგა რიგში, რომ სალარომდე მისულიყო. რიგში დგომისას შეეშინდა, ვაითუ ვინმემ დამინახა, რას ვწერდი და უკვე პოლიციაც გამოიძახესო? მან მაშინვე დატოვა ბანკი და ქუჩის გადაღმა, მეორე ბანკში შევიდა. იქ გაცილებით მცირე რიგი დახვდა. მოთმინებით დაელოდა თავის რიგს და სალაროსთან მისულმა, ოპერატორ გოგონას ბარათი მიაწოდა. გოგონა გონიერი აღმოჩნდა, წერილში დაშვებული შეცდომებითაც იოლად მიხვდა, რომ გაუნათლებელ ადამიანთან ჰქონდა საქმე და მშვიდად უპასუხა, რომ ამ ბარათის მიღება არ შეეძლო

უბრალო მიზეზის გამო — სხვა ბანკის ბლანკზე იყო დაწერილი. მძარცველს შესთავაზა — ან წერილი მათი ბანკის ბლანკზე გადაეწერა, ან ისევ იმ ბანკში დაბრუნებულიყო, რომელსაც ბლანკი ეკუთვნოდა. განაწყენებულმა მძარცველმა ბანკი დატოვა. გოგონამ კი მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა და როგორ ფიქრობთ, სად დააპატიმრეს გულუბრყვილო მძარცველი? ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, Bank of america-ს სალაროსთან, რიგში.

**5.** ინგლისელმა მძღოლმა საგზაო წესები დაარღვია, რაც ვიდეოკონტროლმა დააფიქსირა. რამდენიმე დღის შემდეგ მან პოლიციიდან კონვერტით 40 ფუნტის ოდენობის ჯარიმის ქვითარი და სურათი მიიღო, რომელზეც კანონდარღვევა იყო აღბეჭდილი. მძღოლმა პოლიციას კონვერტი გაუგზავნა, რომელშიც 40 გირვანქა სტერლინგის კუპიურების სურათი ჩადო. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიიღო კონვერტი პოლიციიდან. ამჯერად მასში ხელბორკილების ფოტო იყო მოთავსებული. ამ ფოტოს მაგიური ძალა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მძღოლმა ჯარიმა მეორე დღესვე გადაიხადა.

**6.** მიჩიგანში, სასამართლოზე, ნარკოტიკების შენახვაში ეჭვმიტანილმა მამაკაცმა განაცხადა, რომ ის ორდერის გარეშე გაჩხრიკეს. პროკურორის თქმით, ეჭვმიტანილის ქურთუკი უცნაურად ირხეოდა, რამაც ეჭვი დაბადა, რომ მასში იარაღი ჰქონდა. ამ შემთხვევაში კი ორდერი საჭირო არ იყო.

— სისულელეა, — თქვა ეჭვმიტანილმა. ახლა სწორედ ის ქურთუკი მაცვია. სად შეიძლებოდა, იარაღი დამემალა? მან ქურთუკი გაიხადა და მოსამართლეს მიაწოდა. მან კი ქურთუკის ჯიბეში კოკაინის პაკეტი იპოვა. სასამართლო პროცესი რამდენიმე წუთით შეწყდა, რამეთუ მოსამართლე სიცილისგან სულს ვერ ითქვამდა.

**7.** ოკლაჰომაში, შეიარაღებულ ძარცვაში ეჭვმიტანილი დენის ნიუტონი სასამართლო პროცესზე თავის ადვოკატზე გაბრაზდა, სასამართლო დარბაზიდან დაითხოვა და საკუთარი თავის დაცვა თავად განაგრძო, რაც ურიგოდ არ გამოსდიოდა. პროკურორმა მოწმე — გაძარცული მაღაზიის მენეჯერი ქალბატონი გამოიძახა, რომელმაც მძარცველი ამოიცნო. დენისი წამოხტა, სასამართლო სიყალბეში დაადანაშაულა და გულწრფელი სიტყვებიც წამოსცდა: „როგორ ვნანობ, რომ იქვე არ მიგახვრიტე“. მართალია, შეცდომას მალევე მიხვდა, და დაამატა — იქ რომ ვყოფილიყავიო, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა რამდენიმე წუთში გადაწყვიტეს, რომ 30 წელი პატიმრობა მისთვის ზედგამოჭრილი იყო.

**8.** ქუჩაში მოსეირნე ახალგაზრდა მამაკაცის ყურადღება საპატრულო ავტომობილმა მიიპყრო. პოლიციელები გარს შემოხვეულ ბავშვებს მანქანაში ახალდამონტაჟებულ კომპიუტერს უჩვენებდნენ. ახალგაზრდა მამაკაცი ინტერესით უსმენდა და ბოლოს დაინტერესდა, როგორ მუშაობდა ეს მოწყობილობა. პოლიციელმა მართვის მოწმობა გამოართვა და თვალსაჩინოებისთვის მონაცემების კომპიუტერში შეყვანა დაიწყო. საწყალი, ცნობისმოყვარე მამაკაცი რამდენიმე წამში გაკოჭეს, რამეთუ კომპიუტერმა „თქვა“, რომ ის 2 წლის წინ მომხდარი შეიარაღებული ძარცვისთვის იძებნებოდა.

**9.** დეტროიტში 2 მძარცველი მაღაზიაში შევარდა. ისინი ძალიან დაბნეულები და შეშინებულები ჩანდნენ და პისტოლეტებს ნერვიულად იქნევდნენ აქეთ-იქით. — „ადგილზე გაშეშდით, ვინც გაინძრევა, ვესვრი!“ — ხმამაღლა განაცხადა ერთმა. როდესაც მისი მეგობარი სალაროსკენ დაიძრა, თავისი სიტყვის ერთგულმა მძარცველმა მას ესროლა და იქვე მოკლა.

**10.** ერთმა ამერიკელმა ბატონმა ძვირად ღირებული, იშვიათი, 24 სიგარა იყიდა. სიგარები ისეთი ძვირად ღირებული გახლდათ, რომ მან შენაძენი ხანძრისგანაც კი დააზღვია. 1 თვის შემდეგ სიგარები გაუთავდა, მას კი ჯერ დაზღვევის პირველი შენატანიც არ ჰქონდა გაკეთებული. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ სადაზღვევო კომპანიაში განაცხადი შეეტანა, სადაც აღნიშნა, რომ სიგარები მცირე ხანძრებს შეეწირა (აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინგლისურ ენაში სიტყვა „ხანძარი“ და „ცეცხლი“ ერთი და იმავე სიტყვით — fire-თი აღინიშნება). კომპანიამ სადაზღვევო თანხის გადახდაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ სიგარები დანიშნულებისამებრ იქნა გამოყენებული. მამაკაცმა საქმის სასამართლოში განხილვა მოიწადინა და პროცესი მოიგო კიდეც. სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლემ აღნიშნა, რომ მართალია, განცხადება არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არსებობს პოლისი, სადაც სიგარები ხანძრისგანაა დაზღვეული და ეს პოლისი არ ითვალისწინებს ცეცხლის „სურვილიანობას“ და „შესაძლებლობას“. სადაზღვევო კომპანიას განაჩენი არ გაუსაჩივრებია. მან „დაზარალებულს“ 15 ათასი დოლარი გადაუხადა. თუმცა, სიგარების ახალი პარტიით დატკბობის საშუალება მას არ მიეცა, რადგან ჩეკით თანხის განაღდებისთანავე ის იმავე პოლისისა და სასამართლოში მიცემული თავისივე ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს. მას ბრალი დაზღვეული ქონებისთვის განგებ, 24-ჯერ ხანძრის გაჩენის გზით განადგურებაში წაუყენეს. ახალი პროცესის შედეგი ასეთი იყო: 2-წლიანი პატიმრობა და 24 ათასი დოლარის ოდენობით — ჯარიმა.



# სად მთავრდება ლექტორთა უფლებები

## ანუ რატომ არ ესაჯებათ სვანებს სამუდამო პატიმრობა

უფროსები სტუდენტობის პერიოდს „ოქროს ხანას" რომ უწოდებენ და სტუდენტ ახალგაზრდებსაც მეოცნებე თვალებით შესცქერიან, არც თქვენთვისაა უცხო და ჩემთვის ხომ – მით უმეტეს...

ელენე ბასილიძე (ილინი)

*სწავლის დაწყებამაც სულზე მოგვისწრო და მეც, იმის დასამტკიცებლად, რომ სტუდენტობის „ია-ვარდით" მოფენილ გზაზე ხანდახან ბასრი ეკალიც ხშირად გვხვდება, ყბადაღებული „სტუდენტ-ლექტორიანი" მოვამზადე. აღმოჩნდა, რომ ჩემს რესპონდენტ ლექტორებს სტუდენტებთან იდეალური ურთიერთობა ჰქონიათ და ვინაიდან, ჩემშიცაა მეტ-ნაკლებად „ურწმუნო თომას" კომპლექსი, ინფორმაცია მათსავე სტუდენტებთან გადავამოწმე. მათ კი საკმაოდ გარკვევით დამიხატეს იდეალური ლექტორის პორტრეტი და არც ლექტორების გაკრიტიკება დაივიწყებიათ.*



**თამარ ზარანდია,** *დეკანი:*

— სტუდენტსა და ლექტორს შორის უმთავრესი, ურთიერთგაგებაა. სტუდენტის მხრიდან აუცილებელია ლექტორის პატივისცემა. როცა სტუდენტს თანასწორად, ჩამოყალიბებულ პიროვნებად აღიქვამ და ცდილობ, ურთიერთობა მეგობრული იყოს, პრობლემებიც არ იქმნება. საერთო ენის გამონახვა არც ერთ სტუდენტთან არ გამჭირვებია. თუმცა, ყოფილა დაძაბულობა, რომელიც იოლად განეიტრალებულა.

— **ქალბატონო თამარ, რას იტყოდით დღევანდელ სტუდენტებზე? შეიძლება, მომავალში მათი იმედი გვქონდეს?**

— საკმაოდ კარგი თაობა მოდის. სტუდენტობა ყველა დროის საზოგადოების პროგრესული ნაწილი იყო. ჩემი სტუდენტობისგან განსხვავებით, ახლანდელი სტუდენტები უფრო თავისუფლები, მოტივირებულნი, დაინტერესებულნი და მიზანმიმართულნი არიან. სტუდენტისათვის მიუღებელია ლექტორი, რომელიც მას თავს ამეტებს და ზემოდან დასცქერის. ეს ყველა ლექტორმა უნდა გაითვალისწინოს და სტუდენტს თანასწორი ურთიერთობა შესთავაზოს.

**მატალი,** *19 წლის, სტუდენტი:*

— ძალიან ცუდი განწყობილება მაქვს არაპროფესიონალი, უვიცი ლექტორების მიმართ. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა წავიდეს ლექტორების „ძველი თაობა" თავიანთი მოძველებული შეხედულებებით და ჩაენაცვლონ ახალგაზრდები, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მექნება. ჩემი მშობლების სტუდენტობის დროს, ლექტორსა და სტუდენტს შორის ორმაგი „ჩინეთის კედელი" იყო. ახლა ბარიერი ცოტათი შემცირდა. ლექტორი პროფესიონალი უნდა იყოს, სტუდენტთან თავი რომ არ შეირცხვინოს; ამავე დროს, ზემოდან არ უნდა უყუროს, თავის მონად არ უნდა მიიჩნიოს და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება მისცეს. მასთან სტუდენტმა თავი დაძაბულად არ უნდა იგრძნოს.

**ლალი გაბისონია,** *ლექტორი:*

— ჩვენი პროფესია რთულია იმდენად, რამდენადაც მოგვეთხოვება ცოდნის მაღალი დონე, მაგრამ მეორე მხრივ, ადვილია, თუ გიყვარს სტუდენტები და მათთან ურთიერთობის სურვილი გაქვს. ბავშვებთან უშუალო ურთიერთობა მაქვს, ნებისმიერი ასაკის სტუდენტი მყოლია, ჩემზე უფროსებიც კი. თითოეულის მიმართ ვგრძნობდი მოვალეობას, რომ მათთვის ცოდნა მიმეცა და გამოცდილება გამეზიარებინა.

— **ქალბატონო ლალი, „ბუნტისთავებთან" როგორ ზავდებით?**

— თითოეულ „ბუნტისთავთან" დაზავებაც შეიძლება, თუ მოვლენებს მისი გადასახედიდან შეაფასებ. დღევანდელ სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა და შინაგანი მოთხოვნილება აქვთ, გამოხატონ საკუთარი აზრი, იყვნენ უფრო დამოუკიდებლები... ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ პატრიოტები, რომლებიც ხვალ ქვეყანას გამოადგებიან — როგორც სპეციალისტებად, ასევე მოქალაქეებად. ამისათვის კი სულაც არაა აუცილებელი მკაცრი ტონი და შეუვალობა.

**ლადო,** *21 წლის, სტუდენტი:*

— ფსიქოლოგიის ლექტორი ხშირად გვეუბნებოდა, თუ თავში არაფერი გიყრიათ, თქვენ დავალების წერა დაგტანჯავთ, მე — მისი გასწორებაო... იმდენად მეგო-

ბრულად მოგვიდგა, ფილოსოფია ყველას შეგვაყვარა და ამ საგანს კურსზე ყველა კარგად ვსწავლობდით. თუ ლექტორი საკუთარი საქმის პროფესიონალია და ადამიანთან ურთიერთობის ხელოვნებასაც ფლობს, ამას არაფერი სჯობს! ისეთი ლექტორებიც მყავს, საკუთარი ფავორიტები რომ ჰყავთ, „აუტსაიდერებს“ კი იგნორირებას უკეთებენ.

**ლია ახალაძე,** *ლექტორი:*

— პირველ რიგში, ლექტორისაგან უნდა მოდიოდეს ის მუხტი, რომელიც მაგალითს მისცემს სტუდენტს, რომ შესაფერისად მოიქცეს. ჩემი სტუდენტობის დროს კომუნისტური წყობილება „ყვაოდა“ და სტუდენტები ლექტორისგან ეროვნული ცნობიერების დაცვას მოითხოვდნენ. თქვენი თაობა კი ლექტორისაგან უფრო მაღალ აკადემიურ დონეს მოითხოვს.

**— რა არის საჭირო იმისათვის, რომ სტუდენტსა და ლექტორს შორის თბილი დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს?**

— თუ სტუდენტს განიხილავ როგორც თანასწორს, არ შეხედავ ქედმაღლურად და, ბოლოს და ბოლოს, არ წამოაძახებ — მე ბრილიანტი მიკეთია შენი წონაო (თურმე მსგავსი შემთხვევაც ხშირადაა), პრობლემებიც არ შეიქმნება. თუ მე შემიძლია, ჩემს შვილს რაიმე ვაპატიო, რატომ არ უნდა ვაპატიო სტუდენტს?

**გიო,** *20 წლის, სტუდენტი:*

— ლექტორებიო?! აღარ მიხსენოთ! მაგან დაღუპა ბიძაჩემი (*იცინის*)! მოკლედ, კურსზე ერთი შინაბერა ლექტორი გვყავდა, ცოცხლად გვატყავებდა! ერთხელაც ვიფიქრე, მოდი, ამ ქალს ბიძაჩემს გავურიგებ, ამასაც ეშველება და მეც იქნებ კეთილი თვალით შემომხედოს-მეთქი. გავარკვიე ჩემი ლექტორის მისამართი და შორიდან დავანახვე ბიძაჩემს. ერთი სიტყვით, გაიცნეს ერთმანეთი და იქორწინეს კიდეც... მართალია, ჩემი ლექტორი ბიცოლას დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა სტუდენტების მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ, ბიძაჩემი ჩავაგდე გასაჭირში. ისეთ დღეშია, ჩემი დანახვა არ უნდა და მეც სათოფეზე აღარ ვეკარები. სამაგიეროდ, ბიცოლასთან გადასარევი ურთიერთობა მაქვს (*იცინის*).

**ლია ადეიშვილი,** *ლექტორი.*

— ვფიქრობ, ლექტორი დიქტატორი არ უნდა იყოს, ამას კი სტუდენტი უნდა აფასებდეს. ლექტორს — მაღალი კულტურა, ცოდნა და გადმოცემის უნარი, სტუდენტს კი — დისციპლინა, პატივისცემა და ზრდილობა მოეთხოვება.

**— რა განსხვავებაა წინა თაობებსა და ახლანდელ სტუდენტებს შორის?**

— ახლანდელი სტუდენტები საკუთარ ინტერესებს უკეთ აცნობიერებენ. იციან, რა სურთ, საკუთარ უფლებებშიც უკეთესად ერკვევიან. წინა თაობები უფრო მორჩილნი და ნაკლებად მიზანდასახულები იყვნენ. განათლებით კი დღევანდელი სტუდენტები მათ ნამდვილად ჩამორჩებიან. პირადად ჩემთვის, სტუდენტებთან ურთიერთობა დიდი სტიმულია. უდავოა, რომ ლექტორსა და სტუდენტს შორის არსებობს უხილავი კავშირი, რომლისგანაც ლექტორი დიდ სიამოვნებას იღებს.

**თათია,** *19 წლის, სტუდენტი.*

— ლექტორებთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მთავარია, გაუგო მათ და შეიყვარო თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ახლანდელ ახალგაზრდებს გაუტეხელი სული გვაქვს, თვალებს არ ვხუჭავთ უსამართლობაზე, აშკარად ვებრძვით მას და მგონი გამოგვდის კიდეც. მასშტაბური, პროგრესული და ლაღი შეხედულებები გვაქვს, მიზანდასახულები და ამბიციურებიც ვართ; ვიცით, რისთვის და რატომ ვსწავლობთ!



**— თათია, რა მოეთხოვება ლექტორს?**

— ლექტორს არა მარტო საგნების სწავლება, არამედ ჩვენი პიროვნების სწორად ჩამოყალიბებაც მოეთხოვება. ლექტორებო, იყავით გახსნილები და გახსოვდეთ, თქვენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება ჩვენი უფლებები!

**ზაურ ჯინჯოლავა,** *ლექტორი.*

— ლექტორები სასწავლო დაწესებულებაში იმისთვის ვართ, რომ ვემსახუროთ სტუდენტებს და არა — პირიქით. ლექტორისთვის დიდი სტიმულია, როცა ხედავს, რომ სტუდენტი მონდომებულია. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი საყვარელია სტუდენტი, რომელიც თავის საქმეს პირნათლად ასრულებს. თუმცა, არიან სტუდენტები, რომლებიც განსაკუთრებული აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევიან, მაგრამ მაინც კარგად გამახსოვრდებიან... რამდენიმე წლის წინ, სახელმწიფო გამოცდას ვიბარებდით. სტუდენტი ერთი სვანი ბიჭი იყო. ერთ-ერთმა ლექტორმა კითხვა დაუსვა — კანონით ვისთვის არ შეიძლება სამუდამო პატიმრობის მისჯაო? (მაშინ ქალების სამუდამო პატიმრობაში გაშვება არ შეიძლებოდა). დგას ეს ბიჭი, ვერაფერს პასუხობს... ჩემ გვერდით იჯდა არაჩვეულებრივი, სვანი ქალბატონი, გვარად — ავალიანი. ამ ბიჭს ვუყურებ და თან თავს ამ ქალბატონისკენ ვაქნევ, იქნებ მიხვდეს-მეთქი. ერთხელ, ორჯერ... ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა — სამუდამო პატიმრობა სვანებს არ ესჯებათო!

**დათო,** *18 წლის, სტუდენტი:*

— მყავს გამორჩეული ლექტორები, რომლებთანაც განსაკუთრებული ურთიერთიერთობა მაქვს. ბევრი ლექტორი თავის უფლებებს ბოროტად იყენებს, ხშირია პირადი შეურაცხყოფის ფაქტიც. არ უნდა მიყურებდეს ლექტორი ისე, როგორც თავისზე დაბალი ფენის წარმომადგენელს. შესაბამისად, მეც პატივისცემით ვუპასუხებ.

**— შენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდი უნივერსიტეტში?**

— დიდი სიამოვნებით ავკრძალავდი შინაბერა ლექტორების მუშაობას უნივერსიტეტში. სისხლს გვიშრობეეენ!

# გზა ვნილები

2.10. – 8.10.2008

მარი ხაფარიძე

# დაუფასებელი ამაგი



გამარჯობათ, ჩემო ჭკვიანო, გულისხმიერო, კეთილო და ხანდახან ბრაზიანო მგზავნელებო და მკითხველებო. როგორ ხართ? უკვე გაირბინა ერთმა კვირამ და მოვიდა ხუთშაბათი. ჩვენც ისევ შევხვდით „გზაში“ და იმედია — ისევ კარგი განწყობილებით. მე მომენატრეთ, თქვენ? კარგი, ახლა საქმე... ჰო, მართლა, დიდი მადლობა, ილინს რომ დამაკავშირეთ. წინა კვირაში ის და აპოლონი მეწვივნენ რედაქციაში და ილინს პირველი ჟურნალისტური დავალებაც მივეცი... მისი პირველი შემფასებლები თქვენ ხართ და იმედია, თავს არ შეირცხვენს... ახლა, მეორე საკითხი, რომლის იდეის ავტორიც ენიგმაა: „მარ, იდეა მაქვს — წლის ბოლოსთვის მგზავნელთა ნომინაცია დააწესე. მაგალითად: ყველაზე პროდუქტიული, ყველაზე ქალური, ყველაზე სკანდალური, უიღბლო, ზრდილობიანი, ამბიციური, შურიანი, უნიჭო, აგრესიული, ოხუნჯი მგზავნელი... მოკლედ, კიდევ ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. ხომ მაგარი იქნება? დავგანახვე ჩვენი თავი „გზის“ სარკეში,

## ვადაგასული საათებისა და თუხთუხა ბებრების ამბები

რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი და ადგილი მიეკუთვნოს. შეიძლება, ღირსების ორდენები რომ დაარიგონ, რიგში ვერ ჩავდგე, მაგრამ „წითელ წიგნში“ მაინც მოვხვდები, როგორც გოგონების მხრიდან თავდასხმის ობიექტი. დათხოვდით, გოგონებო, და ჩემთვის აღარ გეცლებათ. ენიგმა“. პრინციპში, მგონია, რომ ენიგმას იდეა საკმაოდ კარგია — მგზავნელების ნომინაციები (რომლისთვისაც წლის ბოლო სულაც არ არის საჭირო) და სიმართლე რომ გითხრათ, არც მგზავნელების გათხოვების იდეაა ურიგო. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ჩვენი აქტიური და საყვარელი გოგონა — ლორელაი თავისი ოცნების მამაკაცს უკვე მისთხოვდა. წინა კვირაში მას პირადად მივულოცე, ახლა კი ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდანაც (ისტორიასაც შემორჩება) ვულოცავ და თქვენი და ჩემი სახელით ულევ ბედნიერებასა და სიყვარულს ვუსურვებ.

## დაჩაგრული

„დილით 7 საათზე ვიღვიძებ, მერე მთელ ოჯახს ვაღვიძებ. რაც უფრო ადრე გაიღვიძებს ადამიანი, მით მეტს მოასწრებს, მაგრამ ვინ გიფასებს? დამიწყებენ ჩხუბს, ჩვენ რომ გვაღვიძებ და მერე ძილს აგრძელებ, რა წესიაო? დამალულ შოკოლადს სულ მე ვჭამ, რადგან არ მინდა, ოჯახის წევრებს კბილები გაუფუჭდეთ, მაგრამ ვინ გიფასებს?! სიმღერებს ბოლო ხმაზე ვუსმენ, მინდა, მეზობლებსაც კარგი მუსიკალური გემოვნება ჩამოვუყალიბო, მაგრამ არც ამას მიფასებს ვინმე... ბებომ მთხოვა, ვერ ვიხრები და ფეხზე ფრჩხილის ლაქი წამისვიო. სხვადასხვა ფერის ლაქი წავუსვი, მინდოდა, მოდაზე ჰქონოდა, მაგრამ“...

## სიცოცხლეზე მეტად

„დაუფასებელ ამაგზე კი არა, დაფასებულ ამაგზე მოგწერთ. ღვთის წყალობით, მყავს ისეთი ადამიანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. ერთმანეთი უჩვეულოდ გავიცანით. მას შევუყვარდი, მე კი სხვა მიყვარდა. ამ ადამიანმა გამიგო და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მე ბედნიერი ვყოფილიყავი. თუმცა, ღმერთმა არ დალოცა ეს ბედნიერება, რადგან ყველას არ შეუძლია, დაინახოს კეთილი და ლამაზი სულის ადამიანი, ჩემი სახით... მერე დამეწყო საშინელი დეპრესია და ჩემი უფროსი მეგობარი ცდილობდა, დამხმარებოდა. მან ეს შეძლო. მისი დახმარებით მე დღეს ცხოვრებას ვარდისფერ ფერებში ვხედავ. ის არა მარტო ჩემს სიმშვიდეზე ზრუნავდა (როგორც მორალურად, ასევე ფინანსურად), არამედ ჩემს მეგობრებზეც. ისინი კი მრავლად არიან და ღმერთმა მიმრავლოს. როგორ შეიძლება, არ დააფასო შენი მფარველი ანგელოზი, რომელსაც თავად უჭირს, მაგრამ ისეთ სიურპრიზებს გიწყობს, გაოცებისგან პირი ღია გრჩება. მინდა, მადლობა გადავუხადო ამ ბუმბერაზ ადამიანს, ჩემს ცხოვრებაში რომ გამოჩნდა და უღიმღამო, ნაღვლიანი ყოფა გამილამაზა. მადლობა იმისათვის, რომ თავისი „ბაჯაჯა“ ხელებით, როცა მე ვტიროდი, ცრემლს მიმშრალებდა, მანუგეშებდა და რაც მთავარია, სიცოცხლეზე მეტადაც კი ვუყვარვარ. მამუ, ძალიან მიყვარხარ, ჩემი სულიერი მეგობარი ხარ. გრუზინკა“.

## დედის ამაგი

„ერთმა უშვილო ქალმა წლების წინ ბავშვი (ბიჭი) აიყვანა, გაზარდა, სწავლა-განათლება მისცა. ავმა ადამიანებმა ტკბილად მცხოვრები დედა-შვილის დაშორება გადაწყვიტეს. ადგნენ და ბიჭს უთხრეს — ეგ ქალი დედაშენი არ არის; გირჩევნია, ადგე და საკუთარი მშობლები მოძებნოო. ამ მწარე სიმართლის მერე ბიჭი დედის მიმართ შეიცვალა, გულჩათხრობილი გახდა, გალოთდა. მთვრალი, თავის გამზრდელ დედას უწმაწური სიტყვებით ამკობდა. დედას იმედი ჰქონდა, იქნებ გონს მოეგოსო, მაგრამ ამაოდ. ბიჭი სულ უკან-უკან მიდიოდა და დედას ხელითაც კი ეხებოდა. ქალმა ბევრი ითმინა. ბოლოს, ადგა და შინიდან გააგდო — წადი და შენი ნამდვილი მშობლები მოძებნე, იქნებ მათ ჩემზე მეტადაც უყვარხარო; თავისი საბუთები, მშობლების გვარ-სახელი და მისამართიც მისცა. გავიდა 2-3 დღე. ბიჭი დაბრუნდა თავის გამზრდელთან და ასეთი გულის ამაჩუყებელი სიტყვები უთხრა: კი ვიპოვე მშობლები, მაგრამ მათ საერთოდ არ ვყვარებივარ; როცა მივედი და ვუთხარი, ვინც ვიყავი, დედაჩემმა მითხრა — არ გვიყვარდი და იმიტომაც გაგაშვილეთ, განა გვიჭირდაო?! მაპატიე ყველაფრისთვის, დღეიდან ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ მეტყვი, რადგან შენზე ძალიან არასდროს არავის ვეყვარებიო. დღეს ეს ქალი უკვე ბებიაა და შვილიშვილებს ზრდის. დედა-შვილს ადრინდელზე მეტად უყვართ ერთმანეთი. ამ ქალს ღმერთმა ამაგი დაუფასა, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. გრუზინკა“.

## ასპიტი

„ჩემი ყოფილი „ლოვე“ პროვინციიდან გახლდათ. ჰოდა, დედამისი თბილისის ქუჩებს ვერ ცნობდა. როცა ჩამოდიოდა, გამცილებლად მიახლებდა ხოლმე. მეც მორჩილი რძალივით (თუ ძაღლივით) დავყვებოდი. აბა, რომ მთხოვდა ხოლმე, — დედიკო, ამ ქუჩაზე წამიყვანე, შენ გენაცვალეო! — უარს ხომ ვერ ვეტყოდი?! ამასობაში კი ისწავლა ქუჩების ადგილმდებარეობა და აფთიაქის ემბლემას დაემსგავსა. თასი მე ვიყავი, ის კი — ასპიტი. :) ბოლოს კი თავი დავიძვრინე, მაგრამ ამაგი არ დამიფასდა. :) ჟუკი“.

## ნიჭიერი შვილი

„ჩემი აზრით, ყველაზე „დაუფასებელი ამაგი“ ჩემი მეზობელი უჟასას 45 წლის შვილი, ანაა. ის ოფიციალურად 6-ჯერ გათხოვდა, ხოლო არაოფიციალურად — კაცმა არ იცის, რამდენჯერ. ჰოდა, ზოგი რომ ერთხელ ვერ თხოვდება, ის გასულ კვირას მოუტაცებიათ და აგერ, მე-7 ქმრითა და ბედნიერი სახით, ნაამაგარ მამას ეწვია. საცოდავი კაცი, ცოლიც რომ მუდმო ჰყავს?! თვითონ დღე და ღამე მუშაობს, 75 წლისაა და მერცხალივით დაფრინავს, მაგრამ არ უფასდება. როგორც

[illegible]



თვითონ თქვა, — ჩემი ცოლი ფქვილი „მეშოკივითა“ გდია, ლოგინშიო“.

## შვილები

„ჩემი ნათესავი კაცი, რომელიც ბიძად მერგებოდა, საკმაოდ შეძლებული იყო. 4 შვილი ისე გაზარდა, თითი არ გაუნძრევინებია მათთვის. ყველაფერი ჰქონდათ — საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელი თუ სხვა რამ გასართობი, მაგრამ ბოლოს, როგორც ყველას, ისე ბიძაჩემსაც გაუჭირდა, შვილებს ვეღარ ანებივრებდა და მათთან ამის გამო კამათიც მოსდიოდა. ერთ-ერთი კამათის დროს შვილებმა წამოაძახეს — რა გაგიკეთებია ჩვენთვისო? აი, დაუფასებელი ამაგი. ასე „აფასებენ“ დაუნახავი შვილები მამების ამაგს. ახლა ის კაცი ცოცხალი აღარაა, მისი შვილები კი ორ აგურს ეძებენ, თავში სარტყმელად, ისე უჭირთ. მა-ლი“.

## მესაფლავე

„თელავში ერთი ლოთი, საფლავების მთხრელი იყო. ერთხელ, საფლავის გათხრისას დათვრა და ნახევრად გათხრილ საფლავში, ბოთლთან ჩახუტებულს ეძინა, როცა სასაფლაოზე მიცვალებული მიასვენეს. მძინარა მესაფლავე ამოიყვანეს და იქვე, მიწაზე გააგრძელა ძილი. საფლავის გათხრა კი მიცვალებულის ახლობლებმა დაამთავრეს. კახელო-61“.

## თუხთუხა ბებრები

„დედაჩემის მამიდა მაგარი „პრიკოლი“ რო არის, უკვე გითხარით. ადრე ყავას არ სვამდა, ამბობდა: ბოდიში და, ბოში კი არ ვარ, ყავა დავლიოო. ამ ბოლო დროს კი სულ ყავას გაიძახის და მგზავნელებო, რა მინდა გკითხოთ — ამ სიბერის დროს ვინმე ხომ არ მიეპარა და თუხთუხებენ ბებრები, ჰა? ღამე და რამეე? 9717“.

## ნებიერა

„2 ვაჟის მერე ნანატრი გოგო დავიბადე. 2 გაუთხოვარი დეიდა მყავს. მთელი სანათესავოსთვის სამყარო ჩემ გარშემო ბრუნავს. ყველა სურვილს მისრულებენ და ცდილობენ, გული არაფერზე დამწყვიტონ. ზუსტად ვიცი, რომ დაუფასებელი ამაგი იქნება, თუ ჩემს ბედს ძალიან მაგარ ადამიანს არ დავუკავშირებ. ვეცდები, მათ ეს სურვილი შევუსრულო და საამაყო მეუღლე მყავდეს, რომელიც ჯერ ვერ ვიპოვე. სვანის ასული“.

## „მე ვიყო პუტინი“

„ჰოოდა, სტუდენტობისას კურსელებმა ვთქვით, ვიქეიფოთ-თქო. მოვაბით თავი და გაჩაღდა ქეიფი. როგორც „მსუსხავი“ ენის პატრონს, ლექტორმა თამადობა შემომთავაზა. ჯერ ვიუარე, მაგრამ მერე დავთანხმდი. სიმართლე რომ გითხრათ, ისეთი სადღეგრძელოები არ მითქვამს, ვინმეს ტაში რომ დაეკრა, მაგრამ პანღურიც არ ამოურტყამთ. რაც მთავარია, წლის მოსავლისა და წვიმის წვეთების სადღეგრძელო დავლიე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მაგრად დავთვერი. დილას ვიღვიძებ და პირველი, რაც გავიფიქრე, იყო: აბა, „გუშინ ვის რა ვარგე“... ჰოდა, დედა დამადგა თავზე და მითხრა — წუხელ გივის აგინეო (მეზობელია). ვააჰ, გავედი, დავუძახე და დავიწყე: „მაპატიეთ რა, გივი ძია, ბოდიში“ და ა.შ. მოკლედ, კარგა ხანს ვუბოდიშე, ბოლოს კი ხარხარი ატეხა კაცმა და მივხვდი, რომ მწარედ მოვტყუვდი. დედა გამეხუმრა, თურმე. მას მერე ერთი რამ ჩავიდე თავში — თუ ასე კიდევ დავთვერე, მე ვიყო პუტინი. პრინცესა, მომენატრე, მალე დაბრუნდი, რა. 9717“.



აღარ მცხელა

## ვადაგასული საათები

„ჩვენს უბანში ერთი ზაზა ცხოვრობს, ბადადოს ეძახიან. ადრე ცოლიც ჰყავდა (მაგრად უბერავს), ჰოდა, 2 თვის მერე ცოლი გააგდო. უკან ქვის სროლით მისდევდა და მისძახოდა, — მადლობა მაინც მითხარი, აქედან ქალიშვილი რომ მიდიხარო. თურმე, ეს ბადადო იმპოტენტი ყოფილააა... გუშინ გზაზე მოდიოდა და ვუყურებ... ვაა... ზაზას ერთ ხელზე 3 მაჯის საათი უკეთია, მეორეზე — 2. ვკითხე, რად გინდა, რა რკინა-კავეულის განყოფილებასავით დადიხარ-მეთქი? პაპაჩემი მიხაკოს დროინდელებია, მალე ვადა გასდის და ყველა გავიკეთე, რავიო. არ გაჩერდა, გამექცა, თორემ მაგრად მაინტერესებს, ვადა როგორ გასდის საათებს. მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?“

## გაზრდილი

„ამას წინათ, ქუჩაში მოვდივარ და უცებ, ზურგს უკან საკუთარი გვარი შემომესმა. თან ისეთი გაკვირვებული და ყურისწამღები შეკივლება იყო, რომ მოულოდნელობისაგან შევხტი და ჰაერში შემოვტრიალდი. ჩემი სკოლის მასწავლებელი აღმოჩნდა. რამხელა გაზრდილხარ, გოგოო?! —

მთელი ხმით ამომძახა ქვემოდან („ნახტომშია“ მეტრა ოცი. მე 180 სმ ვარ). ლამის ვუთხარი: მასწ, გაცნობის დღიდან (მე-6 კლასიდან), რაც თავი მახსოვს, სულ ზემოდან დაგყურებთ და ახლა რაღას შეიცხადეთ-მეთქი? — მაგრამ ამის მაგივრად თავმდაბლად მოვიკეცე წელში ოთხად, გადავკოცნე და მოვიკითხე. ეჰ, როდის იყო, მოსწავლეები მასწავლებლებს ამაგს ვუფასებდით, თორემ უნდა ჩამოვმჯდარიყავი ტროტუარზე, როცა მელაპარაკებოდა. ლამის კისერი გაუმრუდდა, ქვემოდან ცქერით. ფინტიკოზა“.

## ზოგი ჭირი მარგებელია

„ლეო ახალგაზრდა ბიჭია, ახალდაქორწინებული, ზედსიზედ მოსული. ეს ლეო ამ ზაფხულს წასულა ვენახის შესაწამლად და იქ, ქოხში, ძველი ტანსაცმელი ჰქონია შენახული. თან ცოლი და სიდედრიც ახლდნენ. ლეო შესულა ქოხში, ტანსაცმელი გამოუცვლია, აუკიდებია შესაწამლი აპარატი და „პლანში“ შესულა. უცებ, თურმე შეიგინა და გარბის, გამწარებული. — რა იყო, შვილოო? — მოსძახის თურმე სიდედრი. თქვენი დედაცო, — გარბის და იგინება ლეო. თურმე, ამ ძველ ტანსაცმელში ბზიკებს გაუკეთებიათ ბუდე და ლეოსთვის მამაკაცური ღირსება უმოწყალოდ დაუკბენიათ. როგორც იქნა, გაუჩერებიათ მორბენალი ლეო. სიდედრი ეუბნება თურმე, დედად გეკუთვნი და მაჩვენეო. ლეო გადარეულა, არაო. ჰოდა, ცოლს გაუყვანია ცალკე და იქიდან დაუძახია — დედი, წადი, ნათელა დეიდას (მეზობელია) უთხარი, პატარა ქილით წყალი გამოგატანოს, ცოტა გაუგრილდებაო. წასულა სიდედრი. ცოტა ხანში შვილს ისევ დაუძახია — დედი, დიდი ქილა წამოიღე, პატარაში არ ჩაეტევაო. მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?“

## გულგატეხილი

სწავლა დაიწყო, მაგრამ აბიტურიენტებისთვის — ჯოჯოხეთი! დაიწყება ახლა მასწავლებლებთან გაუთავებელი წანწალი, თან, დღეში ერთხელ კი არა, მინიმუმ — სამჯერ. არადა, როგორ გინდა, მოხვდე სადმე, თუ თავში რაღაც მაინც არ გიდევს? რამდენი შეყვარებული წყვილი ვერ შეძლებს ერთმანეთთან შეხვედრას, რამდენი გული დარჩება მარტო. მაინც, რისთვის ვიტანჯავთ თავს? იმისთვის, რომ მერე სამსახური კარდაკარ ვეძებოთ? ნევროზი დამემართა ამაზე ფიქრით. თანაც, ჩვენმა ბედოვლათმა განათლების სისტემამ სიურპრიზი მოგვიწყო — იმას, რაც გამოცდებზე ჰბარდება, სასწავლო პროგრამაში, გულით რომ გინდოდეს, ვერ მიაგნებ. ფაქტობრივად, გვიჩალიჩებენ! ლამისაა, სამინისტროში დავრეკო და უდანაშაულო ოპერატორს ვაგინო. თუ არა და, მინისტრის სახელზე მაინც გავგზავნი ფოსტას, „კეთილების მოკითხვით“. ასეთ ცხოვრებას მირჩევნია, სადმე, ზღვისპირას პატარა ქოხი ჩავდგა და დილაობით ვითევზაო ხოლმე. ზამთრობით კი ბუხრის წინ ‚გზის“ კითხვას რა სჯობს? თან, გამხმარ თევზს ლუდს დავაყოლებ და არაფერზე ვიდარდებ! ილბლიანა“.

## მოწმე

„ჩემი პატარა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ვცხოვრობ და ზაფხულობით „ბირჟაც“ გვაქვს ხოლმე ახალგაზრდობას, სახლთან. ერთ საღამოს ჩვეულებრივად „ვაბირჟავებდით“ და მოულოდნელად, ჩვენ თვალწინ ავტოავარია მოხდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. სასწრაფოდ მოვიდა „03“, პატრული და საგამოძიებო ჯგუფი და აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი რამ მე დავინახე (თვით ნასვამ მძღოლებზე მეტიც) და დაიწყო ჩემი გაუთავებელი სიარული გამომძიებელთან, კვირაში შვიდჯერ. სხვათა შორის, გამომძიებელი ახალგაზრდა, სიმპათიური ბიჭი და თანაც უცოლო აღმოჩნდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ასე, დაკითხვებზე სიარულში გამომძიებელსა და მოწმეს (ანუ მე) ერთმანეთი შეგვიყვარდა. ასე ბედნიერად დამთავრდა ჩემი ავტოსაგზაო შემთხვევის მოწმეობა. ექიმი“.

## უიღბლო

„ისეთ დღეში ვარ, წერა კი არა, ქვის სროლა მინდა. ობლობაში გავიზარდე. მშობლები ავარიაში დამეღუპნენ. დედისერთას, შინაბერა მამიდა მზრდიდა. არანაირი მეგობრები, გართობა და ა.შ. ჩემთვის არ არსებობდა — ჩვენ მგლოვიარე ოჯახი ვართ და არ შეგვეფერებაო. სკოლა დავამთავრე, უნივერსტეტში ჩავაბარე და ცოლად გავყევი მამაკაცს, რომლის გვარიც კი არ ვიცოდი ნორმალურად. იმიტომ გავთხოვდი, რომ მეგონა, თავისუფალი ვიქნებოდი. ბიჭი შემეძინა და 6 თვის იყო, ქმრის ოჯახიდან რომ წამოვედი. გავიდა დრო და ერთი კაცი შემიყვარდა. საყვარლები გავხდით და ჩემი

*სექსში, როგორც ცხოვრებაში,*
*მომგებიანი პოზიციის დაკავება*
*წარმატებას არ ნიშნავს.*



## დაკიდებული გივი

„ერთ კურიოზულ ამბავს მოგიყვებით, რომლის მოწმეც მე გახლდით და როცა მახსენდება, ყოველთვის გულიანად ვიცინი. სოფელში ჩემს მეზობლად მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. ნინა ბებოს ძალიან ვუყვარვარ და როცა სოფელში ვარ, დღე არ გავა, არ დამიძახოს. იმ დღესაც მათთან ვიყავი. გივი ბაბუა გარეთ გადიოდა და ცოლს დაუბარა: ცოტა ხანში ვანო მოვა, ნამგალი უნდა და უთხარი, აქ კიდია, ლურსმანზე-თქო... თან, ცოლს ასჯერ გაუმეორა, რადგან ნინა ბებოს ცოტა ყურს აკლია. მართლაც, მოვიდა ვანო და ქალს ჰკითხა — გივი სადააო? ნინა ბებომ, რომელსაც ეგონა, ვანო ნამგალზე მეკითხებაო, ძალზე სერიოზულად უპასუხა, ეგერ კიდია ლურსმანზეო... სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იქით ვანო წაიქცა და ბალახზე უცნაურად კრუნჩხვა დაიწყო, აქეთ კი — მე, კიბეზე ვიდექი და კისრისტეხით გადმოვეშვი. თან იმხელა ხმაზე ვიცინოდი, მეზობლები გამოცვივდნენ. საწყალი ქალი კი გაოცებული, შეურაცხყოფილი და ენაჩავარდნილი იდგა და ხან ერთს გადმოგვხედავდა ცხვირზე დასკუპებული სათვალის ზემოდან, ხან — მეორეს".

ბიჭი „მამას“ ეძახის დღემდე. 8 წლის მერე ჩემი ბავშვობის მეგობრის დახმარებით, ჩვენი ფსევდოოჯახი ფეხზე დადგა. ვიყიდეთ ბინა, მანქანა... მერე გოგონაც შეგვეძინა, ჯვარიც დავიწერეთ. ჩემი ქმრის მშობლებსა და დას, ბავშვის დაბადებამ ჩემზე გული მოუბრუნა. მერე ჩემი ქმარი დიდ ვალში გადავარდა და ყველაფერი გავყიდეთ. ცოტა ხანს ქირით ვიცხოვრეთ, მაგრამ ძალიან რომ გაგვიჭირდა, ჩემი ქმრის ოჯახში გადავედით. ხუთოთახიან ბინაში ჩემი მული „ქურდად ზის“. თავიდ. ნვე დაიწყეს ჩემს დამორჩილებაზე მუშაობა. ყოველდღე მახსენებენ იმას, რომ მე მათი ოჯახის შესაფერისი არ ვიყავი, რომ ჩემი ქმარი არ იყო განათხოვარი და შვილიანი ქალის ღირსი (თვითონ ცოლი არასოდეს ჰყოლია). ჩემი მული შინაბერაა და მე მაბრალებს ოცნების პრინცის ვერპოვნას. ჯოჯოხეთად მიქციეს ცხოვრება. ჩემი მული საშინელ სიტყვებს მეძახის. ჩემი ბიჭი უკვე 13 წლისაა და ყოველდღე უსმენს ჩემს შეურაცხყოფას. ბავშვს სერიოზული დეპრესია დაეწყო. პატარაც აგვიმხედრეს მე და ჩემს ბიჭს, ჩემი სახლიდან გაგაგდებო, — ძმას ეუბნება. ამას 3 წლის ბავშვი თავისით რომ ვერ მოიფიქრებს, დებილიც მიხვდება. ამ დროს ქმარი რას შვრებაო? — იკითხავთ. ქმარი მე მცემს და მამტყუნებს — რატომ არ ითმენო?! ყველაფრის მოწერას ვერ შევძლებ. ისიც არ ვიცი, ამ წერილის დაბეჭდვას თუ მოვესწრები. იქნებ გამომეხმაუროთ და რამე მირჩიოთ".

## ერთგული ქმარი

„ჩემი „ახალთახალი“ ბიცოლა ნინო „ბედნიერად“ იჯდა „მარშრუტკაში“ და სახლში მოდიოდა. ამ დროს ამოვიდა მისი მეუღლე და მოპირდაპირე მხარეს დაჯდა. ნინომ ნაზად გაუღიმა, მეუღლემ კი სახე მოარიდა. ასე გაგრძელდა 3 გაჩერების მანძილზე. ნინომ იფიქრა, — მეხუმრებაო და გადაწყვიტა, ამდენ ხალხში არაფერი ეთქვა. არადა, როგორია, ერთი თვის გათხოვილს, მეუღლე ყურადღებას რომ არ მოგაქცევს? როდესაც ძვირფასი მეუღლე „მარშრუტკიდან“ ჩავიდა და გზის ფული არ გადაუხადა, მაშინ კი

## აბრეშუმის ჭიები

„აბრეშუმის ჭიებს თუთის ფოთოლს რომ აჭმევდნენ, ხომ გახსოვთ? ჰოდა, მაჩხათას მეზობელი ქალი შეხვედრია ერთ დილას, თავისი 3 შვილთან ერთად. სად მიბრძანდებით, ქალბატონო ნათელაო? — ბავშვები მიმყავს ექიმთან, ჭია ჰყავთო, — მიუგო ნათელამ. მერე, ქალო, ექიმთან რა გინდა, შესხი თუთის ხეზე, გახადე საცვლები და თვითონ გამოვლენ გარეთ; მა არ იცი, ამხელა ქალმა, რომ ჭიას თუთის ფოთოლი ყველაფერს ურჩევნია? ოღონდ, ბავშვებს არც აჭამო, არც დაალევინო, ჭიებს უნდა მოშივდეთ, ისე თუთის ფოთლის საჭმელად არ გამოვლენო. გაგახარებს ღმერთიო, გახარებია ნათელას. წაუყვანია შვილები, დაუხდია საცვლები და აუსვამს თუთის ხეზე. პაპანაქება სიცხეა, შეწუხდნენ თურმე ბავშვები. დედი, წყალი მაინც დაგვალევინეო, — ტირიან. გაწყვიტეთ ხმაო, — ქვემოდან ეჩხუბება ნათელა. ამ დროს მოსულა მისი ქმარი. მამიკო, გვიშველეო, — შესტირეს შვილებმა. ქმარს აუხედავს. რა სანახავები იქნებოდნენ, საწყლები... რა ხდებაო? — უკითხავს — ქა, ამ დილას ბავშვები რო მიმყავდა ექიმთან, მაჩხათა შემხვდა გზაზეო... მაიცა, გაჩუმდი, აღარ გააგრძელო, აქ შენი დედა და იქ იმისიო! — გავარდნილა ცულით მაჩხათასთან. ძლივს მოუბრუნებიათ მეზობლებს — შენ რომ უტვინო ცოლი გყავდეს, იმისი რა ბრალიაო?! მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ?"



ნამდვილი მეგობარი ვარსკვლავს მოგიტანს.

დაფაცურდა და ხურდას დაუწყო ძებნა. ბიძაჩემმა თავი იმართლა — რაც ცოლი მოვიყვანე, სხვა ქალებს აღარ ვათვალიერებო, მაგრამ შერიგება მაინც დიდი თანხები დაჯდა. ჭრიჭინა".

### შაირი

გაშაირდნენ კომუნისტი კომბინატორი და მისი მძღოლი. კომბინატორმა უთხრა: „ბოჩკა" დავდგი „ბოჩკაზე", დავაწერე „ა", მე შენს ცოლთან ყოფნა მინდა, არსად არა თქვა". მძღოლმა მიუგო: „ბოჩკა" დავდგი „ბოჩკაზე", დავაწერე „ი", მე შენს ცოლთან უკვე ვიყავ, სადაც გინდა, თქვი".

### „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ"

„ჩემი მეზობელი კაცი ქალების მუსუსი იყო. ჩემს სოფელში დიდი ტყეა და ქალებს პაემანს ტყეში უნიშნავდა ხოლმე. ამ ტყეში ხილიც ბევრია. ერთხელ მამაჩემი წავიდა ტყეში მსხლისთვის. ავიდა ხეზე და რას ხედავს? ჩვენი მეზობელი ქალთან ერთად მოდის. მოადგნენ თუ არა მსხლის ხეს, ხვევნა-კოცნა გააჩაღეს. მამაჩემი გაისუსა და გადამწყვეტ მომენტში ხე შეარხია. მსხალი რიხინით დაეშვა ძირს, წყვილმა კი ისე მოკურცხლა, უკან არც მიუხედავს. ჩვენი ამირანი მას შემდეგ ტყეს არ გაჰკარებია. გერასიმე".

### ლურსმანზე შინმოუსვლელი

„ამ ზაფხულს კახეთში ნამდვილი მარგალიტები მოვისმინე, „გზისთვის". სოფელში ერთი ქალია, მანანა. ქმარი ჰყავს, როგორც ჩვენთან იტყვიან, გაფუჭებული. ნუ, მოკლედ, ქალები უყვარს ნამეტანი. ეს იცის ცოლმა და უტარებს ყოველ საღამოს ჭურჭლის თავზე ლეწვის მასტერკლასებს, მაგრამ ვანიჩკას არაფერი შველის. ერთხელ, მეზობელი ქალი ეუბნება, — ნახე, მანანა, მაგ შენს ვანოს თუ ვინმემ არ დააჭრას ის „საოხრეო". დააჭრას, ჩემო ციცო, გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელიო, უპასუხა მანანამ. :) პარიჟანკა".

### „სალდათები"

„26-ში, როგორც იქნა შეველიე საყვარელ გურიას და მშობლიური




დედაქალაქის გზას დავადექი. ნუ, ახლა არ ალგიწერთ, თუ რა არაკომფორტულად ვიმგზავრე სუფსა-ლანჩხუთი-თბილისის წითელი „ფორდით". მოკლედ, მრავალმხრივი ჯაყჯაყისა და ჭერზე თავის მირტყმის შემდეგ, როგორც იქნა, რიკოთის უღელტეხილი გადმოვლახეთ და ის იყო, უნდა ამომესუნთქა, რომ მოულოდნელად სუნთქვა საერთოდ შევწყვიტე. ნეტავ, იცოდეთ, რა დაინახა ჩემმა ორმა თვალმა: „რუსის" ჯარი ამაყად მიაქროლებდა თავის „ურალს". თან ჯარისკაცები ისე ამაყად იყურებოდნენ, თითქოს ჩვენ ვიყავით არასასურველი სტუმრები მათ ტერიტორიაზე. ატყდა „მარშრუტკაში" გინება და — გამიშვი და დამაკავე. მოკლედ, ტრასაზე ასეთი სიტუაცია იყო: წინ მიდიოდნენ რუსი „სალდათები", კაბინიდან თავამოყოფილი სნაიპერით; უკან კი — იმხელა ესკორტი მივყვებოდით, რომ მიშასა და ბუშსაც შეშურდებოდათ. მე დიდი ამბით მათი მანქანის ნომერი ჩავიწერე. თან აღშფოთებული ვიყავი, როგორ გაბედეს, ისევ ჩვენს ტრასებზე რომ დაჯირითობენ ამ თავისი ჯართებით-მეთქი! მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ?! ამ ერთ მანქანას კიდევ ერთი მიემატა, მერე კიდევ ორი და საბოლოო ჯამში — 6 მანქანა მოვაცილეთ გორამდე. ეტყობა, მოჰბეზრდათ უკან „კუდი" და ხელით ანიშნეს



მანქანებს, გაგვისწარითო. უნდა გენახათ, როგორ მოდიოდა მანქანების დიდი ჯაჭვი. რუსები ყველა მანქანაში ინტერესით იყურებოდნენ, ალბათ ისეთ ფორმიან ბიჭებს ეძებდნენ, თვითონ რომ ეცვათ. ისინი ჩვენი, ქართული ჯარის ფორმებში იყვნენ გამოწყობილნი და ათეულობით მოპარულ ფორმას ამაყად „მიაქროლებდნენ“. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან ცოტა შემეშინდა, მაგრამ მერე, როცა მათ არყით დასივებულ სიფათებსა და აწითლებულ ცხვირებს დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ეს კაცუნები შიშს ვერაფრით გამოიწვევენ ადამიანში. მათ იარაღიც კი არ აძლევთ საშიში მტრის შეხედულებას და მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენ, ქართველებს, შეიძლება შედარებით ნაკლები, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი ვაჟკაცი ჯარისკაცები გვყავს. ხალხო, გული არ გაიტეხოთ! მართალია, ეს „ბასიაკები“ ისევ დაბოგინობენ ჩვენს მიწა-წყალზე, მაგრამ ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ მათ, სამუდამოდ განვდევნით და მხოლოდ მონობის სურვილით ვასულდგმულებთ. იამაყეთ, ქართველებო, ქართველებით! შიში კი უკვე ყველა ადამიანის გონებიდან და გულიდან წაშლილია... იკუშკები“.

## „დარყეული“ და ყურგახვრეტილი

„შარშან ჩემი და, ძალიან მონადინებული იყო, რომ ყურზე მეოთხე ნახვრეტი გაეკეთებინა. მე ადვილად დამიყოლია, მაგრამ მამაჩემის დათანხმებას სამი კვირა მოვანდომეთ. მე ვეუბნები — კარგი რა, მამა, ახალგაზრდა, თინეიჯერი კაცი ხარ, ეგ არ უნდა გეშლებოდეს, ახლა მოდაშია ბევრჯერ გახვრეტილი ყური-მეთქი... პასუხი ასეთი იყო: „არა-მეთქი, ხომ გითხარი?! მე სხვისას ვერ ვიტან და ახლა თქვენ მოგინდათ? ბარემ დაიხვრიტეთ ყველაფერი!“ ფუი, სოფლელი, უიმე, ამას რას მოვესწარი, რომელი საუკუნეა? — ჩაიბრუტუნა ჩემმა დამ. — „კარგი რა, მამა, მიდი, გაგვახვრეტინე ყურები, ხომ ხარ ჩვენი „პაცანა“ მამა?“ — ისე დაგვიბრიალა თვალები, ლამის ენა გადავყლაპეთ. — ნეტავ, შენ ვინ გკითხავს, მე მაინც გავიხვრეტო! — არ ჩუმდება ჩემი და. — „არა-მეთქი, ვთქვი და მორჩა!“ — ახლა უკვე დედაჩემი ჩაერია: — რას ერევი ქალების საქმეში, გაიხვრიტონ, მე რომ ყველაფერს მიშლი, ეგ არ გეყოფაო? — რაც გინდათ, ის გიქნიათ, თქვენი დედაცო... — გაბრაზდა მამაჩემი და წავიდა. მე და ჩემმა დამ ტაში შემოვკარით და შუა ზამთარში ყურის გასახვრეტად წავედით. ადამიანი ზამთარში ყურს რომ გაიხვრეტს, იმას თავის ქალა რომ „უჭერს“, მაგას თქმა უნდა?! ნუ, რაც მე შიში ვჭამე! სიკვდილს ჩავხედე თვალებში. ჩემს დას ხმაც არ ამოუღია... ჩემი ჯერი რომ დადგა, ტირილით მოვკვდი... — მოდი, გოგონა, ვერაფერს გაიგებ, ალბათ პირველად იხვრეტ ყურებსო... ჩემმა დამ ველარ მოითმინა: — რა პირველად, ქალო, მეოთხედ იხვრეტს; რას ინაზები გოგო, ჟანგიანი მახათით გაიხვრიტე და ის არ გტკენია, ახლა გეტკინებაო? სულ ვაი-უის ძახილში გავიხვრიტე ყურები. ეს ამბავი რატომ გამახსენდა, არ იკითხავთ? რატომ და, მამაჩემი მეუბნება — რაც მე შენზე ამაგი მაქვს, მთელი ბავშვობა მე გივლიდი, სანამ არ დაიძინებდი, „გარყევდი“ და „გარყევდი“, ახლა კიდევ აღარაფერს მიჯერებო. მე ვუთხარი: — მაგდენს რომ „მარყევდი“, მაგიტომ ვარ „დარყეული“-მეთქი. ლუნა“.



ვაი, სირცხვილო!



დადებითი ემოცია მაშინ იქნება, თუ ყველაფერს დადებ.

*დღეს „გზვნილებს“ აქ ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — უნებისყოფობის შედეგი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვად კი გთავაზობთ: რა ნომინაციას მივანიჭებდი ამა თუ იმ მგზავნელს?*



# მობილიზაცია

**იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში" მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.**

## ქალები



1. „გზა" №38, მე-14 მესიჯის ავტორი გამომეხმაუროს. კისა.

2. თბილი, ტკბილი ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 30-37 წლამდე ასაკის, თბილისელ, განათლებულ, სიმპათიურ მამაკაცს, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილს. ოჯახის გოგო.

3. ვარ 34/165/65. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ უცოლო, სიმპათიური გარეგნობის, 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-22 წლის ბიჭს. სოფო.

5. გთხოვთ, შემატყობინოთ 39-ე ნომრის მე-18 განცხადების მობილურის ნომერი.

6. ვარ 21 წლის, შავგვრემანი, ლამაზი, ვცხოვრობ დასავლეთის მთიან რეგიონში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 22-30 წლის, სერიოზულ მამაკაცს. ღარიბები და არასერიოზულები არ გამომეხმაურონ.

7. გამარჯობა, გთხოვთ, მომწეროთ „გზა" №39, მე-11 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. უღრმესი მადლობა.

8. ვარ 39 წლის. ვცხოვრობ ერთ-ერთ ისტორიულ სოფელში, თბილისთან ახლოს. მინდა გავიცნო ბორჯომელი, 40 წლის ვაჟკაცი, ვისაც უნდა ოჯახის შექმნა...

9. ვარ 23 წლის, იურისტი. ვმუშაობ ჩემი პროფესიით. ვცხოვრობ ქუთაისში. გამომეხმაურონ 30 წლამდე ასაკის მამაკაცები. სალი.

10. ვარ მომავალი ექიმი, 22 წლის. ვსწავლობ უნივერსიტეტში, ვარ დედისერთა. გამომეხმაუროს სერიოზული, 32 წლამდე ასაკის მამაკაცი. ვცხოვრობ ქუთაისში. თამთა.

11. ვარ 33 წლის, სიმპათიური, განათხოვარი ქალი. მყავს 3 წლის გოგონა. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, არაგოიმ, დასაქმებულ, 35 წლის ზევით მამაკაცს.

## მამაკაცები



12. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი. დასაქმებული. მინდა, ლამაზი ოჯახი შევქმნა. გამომეხმაუროს ზრდილობიანი, სიმპათიური მანდილოსანი, 25-დან 32 წლამდე, თბილისელი.

13. ვარ 30/180/75, სიმპათიური, სამსახურით უზრუნველყოფილი მამაკაცი. სურვილი მაქვს, გავიცნო ექიმი ქალბატონი, 40 წლამდე.

14. მაინტერესებს „გზა" №39, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. ნიკუშა.

15. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო სადა, თბილი, კარგი მეოჯახე, 30 წლამდე ასაკის ქვრივი ან განათხოვარი ქალბატონი, 2 მცირეწლოვანი შვილით. ვარ 37 წლის.

16. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა" №37, მე-2 ნომრის ავტორთან.

17. მაინტერესებს „გზა" №39, მე-2 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გთხოვთ, დამაკავშიროთ მასთან ან თვითონ გამომეხმაუროს.

18. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-8 მესიჯის ავტორთან. „გზა" №38.

19. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-8 მესიჯის ავტორთან. „გზა" №39.

20. გამარჯობა, მარი. გადავწყვიტე ოჯახის შექმნა. იქნებ კარგი და პატიოსანი, 23-27 წლის გოგონა გამომეხმაუროს. გელით. მგზავრი.

21. გავიცნობ მანდილოსანს, ვისაც სიყვარული შეუძლია. დავიღალე მარტოობით. ვარ 37/183/85. გამომეხმაურეთ, გელოდებით.

22. ვარ 20 წლის, მაქვს ქერა თმა, ცისფერი თვალები. ვარ მაღალი აღნაგობის ბიჭი. გავიცნობ 19-20 წლამდე მომხიბვლელ გოგოს. დამიმესიჯეთ. ვახო.

23. ვარ 35/194/83, განქორწინებული. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს სერიოზული მანდილოსანი. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. გართობის მოყვარულებმა თავი შეიკავეთ.

24. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-8 მესიჯის ავტორთან. „გზა" №39.

## ვეძებ



25. ვეძებ დავით მურადის ძე ჭოლოკავას, დაბადებულს 24.01.1968, თბილისში.

## სხვადასხვა



• მის კახელო-რეალი616 ერთობლივი სახელია./ არ გეგონოთ, რომ ნიკები ერთმანეთში აგვერია./ ხანდახან, როცა ერთად ვართ,

მაშინაც გვსტუმრობს მუზები./ გვინდა სულ კარგად იყოთ და არ გაწუხებდეთ გრუზები./ „გზავნილებში" ზოგიერთს სურს, მონასტერი არიოს./ ბევრი რას არ აკეთებს, რომ ამ კამათში ჩაგვრიოს./ მაგრამ ჩვენი მიზანია, იუმორი და სიმართლე./ თუმცა იცოდეთ, ყოველთვის, სიბნელესა სძლევს სინათლე./ მამაცი თოჯინა ლამაზი და ჟურნალისტი ქალია./ „გზავნილებში" წესის დაცვა კი ელისოს ვალია./ ჩვენი ლიკა ქაჯაია გვიყვარს თინეიჯერებს./ „თინეიჯერულ პონტისთვის" „გზას" მიზნობრივად იყენებს./ ლექსები ისე მომრავლდა, როგორც მინდორში კალოში./ მგზავნელთა ბრძნულმა აზრებმა „გზა" მოამრავლა თაროში./ „გზავნილებში" ამ დროისთვის ტრადიციულად, რთველია./ ზოგი კრეფს აპლოდისმენტებს, ზოგისთვის ჩარჩოც მტერია./ კრიტიკოსი დაიკარგა, დაგვიბრუნდა პარიჟანკა./ ახლა დაგემშვიდობებით, შეხვედრამდე პაკა, პაკა. მის კახელო-რეალი616.

• მარიამულ, ახლა დაპირებულ, დაუვიწყარ სიურპრიზს გთავაზობ. ძალიან რომ მიყვარდი, იცოდი? არ იცოდი და იცი, რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ერთხელ გითხარი „გზავნილებში", რომ მიყვარდი და ზუსტად მაშინ დაადე ვეტო მგზავნელების სიყვარულის გამოხატვის უფლებას. მაშინ ხომ დაგიჯერე?! ახლა კი ამას ნუღარ მომთხოვ და აგიხსნი, რატომაც. ოდესმე, შორეულ მომავალში, დადგება დრო, როცა ყველა მარტო დავრჩებით საკუთარ თავთან, ალარავის დავჭირდებით და ფუნქციადაკარგულები, მხოლოდ მოგონებებით ვიცხოვრებთ. ეს ლექსი მოკრძალებულ მადლობად მიიჩნიე იმ ლამაზი მოლოდინისთვის, როცა შენს სამართლიან განაჩენს ვანდობდი ხოლმე ჩემს ნაწერებს და იმ ბავშვური სიხარულისთვის, „გზის" ფურცლებიდან რომ მჩუქნიდი. წუხელ 2 საათზე დაწყებული ლექსის წერაში თავზე დამათენდა და „დროის დინების საწინააღმდეგოდ" დავწექი, დასაძინებლად. კიდევ, იცი, რაა? ჩვენს ნაწერებს ყოველთვის შენ ასათაურებ, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში თავმდაბლობა ამის საშუალებას არ მოგცემს და ამჯერად ექსკლუზიური უფლებით მე დავასათაურებ, ok? ვიწყებ:

ამ ლექსში ჩემი გულია
მ-არიამული მიქია, ვით დედოფალი „გზისაო",
ა-ლალი, უხვი მდაბალი, ვერსაწუნ-ები, მზისაო,
რ-ამდენის გული გაათბო, რამდენი გაახალისა,
ი-მედი არის მგზავნელთა, ჩვენი დღეის და ხვალისა,
ა-მ ლექსით მინდა, ძვირფასო, გულმა ამოთქვას გულისა,
მ-ადლი გფარავდეს მარადჟამს, ჩვენი მოწყალე უფლისა.
უ-თვალავ ამბორს მოგიძღვნი, ზღვა სიყვარულის გამხელით,
ლ-ამაზ რითმებად ავკინძე, შენი ლამაზი სახელი.
ს-ამართლიანად გვქცევი, გვბლოკავ, ვინც ამის ღირსია,
ე-რთგულად ემსახურები, შენთვის ნაბოძებ მისიას.
ნ-უგეშად ამ დროს ის გვრჩება, დავხვეწოთ წერის ტექნიკა,
ი-სე ავმაღლდეთ აზრამდე, ჩვენვე ვყვიროდეთ „ევრიკას".
გ-მირობა სულში გვქონია, გმირია ყველა ქართველი,
მ-ოგვეცი შანსი, რუსებზე, რომ ბოლომდე ვთქვათ, სათქმელი!
ა-რც ძველ მტრებს დავეჯაბნინეთ, ვერც რუსი გაგვცვავს სარზედა,
„ს-ამშობლო, დედის ძუძუი, ერთია, ქვეყანაზედა".
ა-სეთ სევდიან სტროფისთვის, მოწიწებით გთხოვ შენდობას,
გ-ისურვებ, შენც და სუყველას, გამრავლებას და მშვიდობას.
ა-მ ლექსს ნუ მისცემ ცენზურას, ნუთუ ასეთი რთულია,
ნ-ატვრისთვალივით ძვირფასო, ამ ლექსში ჩემი გულია!
მ-არადიული ამ ქვეყნად, ვიცი, არაა საწუთრო,
ი-მიტომ ვცხოვრობთ, რომ ბოლოს, ჩვენმა სიკეთემ გვაკურთხოს,
ყ-ოველი წუთი გვაბერებს, ამ წუთისოფლის კაზუსით,
ვ-აი მას, ვისაც არ ჰყავდა ბატონად, სინდის-ნამუსი!
ა-ლმართს რომ ვიპყრობთ, ვივიწყებთ, სადღაც იქვეა, დაღმართიც,
რ-ოდესმე, სადღაც ჩამოჰკრავს, ყოფნა-არყოფნის საათი...
ხ-ოდა, ეს ლექსი მოწმეა, რაც სიხარული გვაჩუქე,
ა-თასი მადლი გქონია, სატანა ვერ დაგაჩოქებს.
რ-ულს ვიტეხავ და შენა გწერ, ცალმხრივი მონოლოგებით,
ო-ქრომჭედელი შენა ხარ, ჩვენ — მხოლოდ ოქროს ზოდები!
ო-ბოლ მარგალიტს გამსგავსებ, შენთვის დავანთე სანთელი,
ო-ბიექტურად მიყვარხარ, ეს მქონდა შენთვის სათქმელი.
ენიგმა.

• პრივეტები ყველას. მარი, გმადლობთ, მესიჯებს რომ მიბეჭდავ, მაგრამ თემაზე მოსულს მომდევნო ნომერში ნუ დამიბეჭდავ. ყველაფერს თავის ადგილი უნდა. უკარება (*სამწუხაროდ, გვიან მოსულ მესიჯებს იმავე კვირაში ვერ ვბეჭდავ იმ მიზეზის გამო, რომ „გზავნილები" ორშაბათს უკვე მზად უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, საინტერესო მესიჯებს ვინახავ და მომდევნო კვირაში ვბეჭდავ. — ავტ*).

• მოკითხვები ბოას, ოლეგარიოს, მის რეალს, კახელოს, 9717-ს (სად დამეკარგე?) მაესტროს, განძის მაძიებელს და დადუს. ვინც გამომრჩა, მათაც. უკარება.

• 13.07, სად ხარ? ასეთი გათხოვება გათხოვება კი არა, გაქრობაა. არც მპასუხობ, არც რამე... ათენი23, შენ მაინც რა გჭირს? ვარდენ, ანარქია, ბოტოტ, უზომოდ მომენატრეთ. უკარება.

• განძიც მაზიებელო რა პროცეცთი არ მორეჟონა. ირტნებ წევუდი მუარედ რომ გაგკიუხე. ნა. ავთანდილოვნა.

• განზიც მაზიებხელო ბღზენები ითცოდრენ, რომ აღორებულ ქვაყ ქავყი არ ეხიდებაო. ნა.აფ.აფინა

*ამ ორი მესიჯის ჩემეული თარგმანი ასეთია:*

• განძის მაძიებელო, რა, პროტესტი არ მოგეწონა? იქნებ შეწუხდი, მწარედ რომ გაგკიცხე? ავთანდილოვნა.

• განძის მაძიებელო, ბრძენები იტყოდნენ, რომ აგორებულ ქვას ხავსი არ ეკიდებაო. ნა. აფ. აფინა. (*მკითხველების საყურადღებოდ მინდა, ვთქვა, რომ სხვა დროს, ასეთი სახით მოსულ მესიჯებს არ დავბეჭდავ. ჩემი თხოვნა იქნება, მესიჯი გარკვევით დაწეროთ*).

• პატარავ, თუ დაგჭირდება, გულსაც დაგითმობ. არ შეგებრალო, თქვი, რომ ბედი., სიყვარულისთვის ერთხელ ცოცხლობენ, უკვდავებისთვის ერთხელ კვდებიან. ჩემო პატარავ, შენ გვერდით ვარ. აბრამი.

• მარი, გმადლობთ, დიდი მადლობა იმისთვის, რომ ასე „კარგად მიბეჭდავ" მესიჯებს. ყველაფერი გასაგებია... ნონ სტოპ.

• „გზავნილებშიც" შემოიჭრა შემოდგომა ფერადი./ ზოგი დაბლა-დაბლა ცვივა, ზოგს გრძნობა აქვს მტვრეადი./ ზოგმა გაშალა ფრთები და ზემოდან ქვემოთ გვიყ-

ურებს/ ზოგიც შეიგრძნობს სიმართლეს და ხედავს პლიუს-მინუსებს./ ზოგიც დაგვითვრა სიტყვებით, ვინ — თავს გვაწონებს საქმითა./ მგზავნელებს შემოგევლებით, მარადიული წამითა./ ნოსტალგია ჩვენთანაა, მომენატრა ძველთა სითბო/ მონატრებულთა გულებმა მე ძველი „გზებისკენ" მიხმო./ ლევა-მადრიდ, სად წახვედი? „რეალი" კვლავ „რეალობს"/ ძველ დიდებას დავიბრუნებთ, „რეალი" შექმნის ეტალონს/ სიკვდილა, საყვარელი ხარ, მომწონს მე შენი სტილია/ ათენ-23-ს სალამი, არის კეთილი გზირია./ პარიჟანკა დაგვიბრუნდა, ცისარტყელას ერთი ფერი./ ჩუპი კვლავაც ჩვენთან არის, გაიწაფა წერით ხელი/ ფიფქია დალონებულა, გულს ნუ გაიტეხ, ძვირფასო./ ნიკოლი და კახელო ძალიან, ძალიან მიყვარსო./ ამ „გზავნილებში" ვერ ვნახე ლიმონას მესიჯებია/ უშენოდ თეო, „გზაშია", ყოველი სევდისფერია./ მის რეალს გული არ უძლებს, თქვენთვის არ რითმოს მუზები/ დღითიდღე მეტად მეტყობა მე „გზავნილების" კურსები./ მის რეალი.

• **ნოსტალგია.** უკაცრავად, მაპატიეთ თავხედობა, ვხედავ ჩქარობთ, მაგრამ უნდა დაგაყოვნოთ, ვერ მიცანით? ვერც ვერაფრით მიგახვედრეთ? თქვენი ხსოვნის ნაწილი ვარ, ქალბატონო. რატომ შეკრთით? ღაწვებს ფერი დაჰკრავს თეთრი, ნუთუ ისევ ძვლი გრძნობა კვლავ ბატონობს, გამოცვლილხართ, თუმც თვალები ძველებურად მიამიტი შეგრჩენიათ, ქალბატონო. როგორა ვარ, რას ვაკეთებ, რად არ მკითხავთ? ცოლიც მყავს და შვილიც უნდა გავათხოვო, დღეს ყველაფერს ერთად გეტყვით, რაც არ მითქვამს, ახლა მაინც მომისმინეთ, ქალბატონო. თქვენ წინაშე თუკი რამე დავაშავე, ამიხსენით, მიმანიშნეთ, არ დამზოგოთ, საკუთარ თავს ჩავთვლი ალბათ დამნაშავედ, სინანულიც გვიანია, ქალბატონო? ეს ცხოვრება ბილიკია ეკლიანი, ზოგი დარდის ლუკმას ეძებს, სამახსოვროდ, არ მოგბეზრდათ, მარტოდმარტო ხეტიალი? გულახდილად მიპასუხეთ, ქალბატონო. მაგ სიმკაცრით და უზომო სიამაყით, რა მოიგეთ, რა საჩუქარს ელით ბოლოს? მენანებით, ლოდინით და დარდით დაღლილს, სიბერეც რომ შეგპარვიათ, ქალბატონო. და დრო დადგა უკვე ჩვენი განშორების, ქედს მოგიხრით, მაგ სიტყვების სამახსოვროდ, გახსოვთ, მაშინ, თვალს რომ ვეღარ გაშორებდით, ახლა კიდევ რა გატირებთ, ქალბატონო? თუ გიყვარდით, ამიხსენით, რატომ დამგმეთ? ახლა ვინ გყავთ პატრონი ან საპატრონო? მომიტევეთ, კიდევ ერთხელ პატივს დაგდებთ და სახლამდე მიგაცილებთ, ქალბატონო.

• სიგიჟეს სიყვარული შეუყვარდა და ვარდი აჩუქა. ვარდის ეკალი სიყვარულს თვალში მოხვდა და დაბრმავდა. ამიტომ არის სიყვარული ბრმა და სიგიჟე თან სდევს. უკარება.

• მარი, ჩვენ ვერ ვაფასებთ შენს ამაგს (მომიტევონ გამონაკლისებმა). ტყუილად გსაყვედურობთ ხოლმე. „მალადეც", შენს გაძლებას, რა... აბეზარა.

• გამარჯობა მარიკუნა, გახსოვარ? მე გუკა ვარ, რომ გწერდი — მეუღლე და პატარა მყავს-მეთქი. მინდა, რაღაც გითხრა — ბავშვს მომინათლავ?

• მე ახალი ვარ, მიმიღებთ თქვენს დიდ ოჯახში? ყველანი საყვარლები ხართ. ქუთაისელი არის აქ ვინმე? ბევრი მპაჩები ყველას ჩემგან. ანიკუსა.

• და... დასასრულის დასაწყისია ანუ ჩვენ აღარ გვეყვარება ერთმანეთი... ვიცი, რომ გამიჭირდება, მაგრამ... შეიძლება მეჩვენება, ვცდები... არ ვიცი... ვიცი, რომ ახლა მიყვარხარ ანუ როგორც შენ იტყვი ხოლმე — მიოოორქ, სიხარულო... ალუუ, არ მინდა უშენოდ არც ერთი დღეეე... ახლა კი წავედი და არ ვიცი, როდის დავბრუნდები. გაკოცეთ. ვასასი. ქუთაისი. მარი, ამ გზავნილს უპოვე რაიმე ჩარჩო თუ არა, უბრალო ადგილი მაინც. თხოვნაა და...

• აჩიკო, სიგიჟემდე მენატრები. დამიბრუნდი, გთხოვ, ვიცი, შენც გინდა ჩემთან. თამუნა.

• მის რეალს: ლუნას შენთვის ცუდი რომ ნდომებოდა, დაწერდა იმას, რაც მიწასთან გაგასწორებდა. უნიკოს: აბო თბილელი მუსლიმანი იყო და ქრისტიანობას შესწირა თავი. გრუზინკა.

• არავისთან არ ვჩხუბობ, რადგან ამის თავი არ მაქვს. ვინც რა უნდა დაწეროს, არავის გავეპასუხები, რადგან ამ ყველაფერზე მაღლა ვდგავარ. წერეთ და იკითხეთ. გრუზინკა.

• სიკვდილას: მხიარული ვარ, მაგრამ ხან ჩავარდნებიც მაქვს. იკუშკების: მე ჩემი ფავორიტები ჩამოვთვალე. იმედია, ამის გამო დანარჩენები არ მიწყენენ. მათთან ბოდიში. გრუზინკა.

• დააბრუნეთ ემიგრანტი მგზავნლები ვირტუალურ ქალაქში და დანგრევას გადაარჩინეთ. მოეფერეთ და გაუფრთხილდით ერთმანეთს. გკოცნით, დროებით შემოხიზნული ტირიფი73.

• მდაა... გარყვნილ თავში იდეებიც გარყვნილი მოდისო, უთქვამთ. უნიჭო შაირების ავტორო, გთხოვ, დამდო პატივი და აღარ მახსენო. სიკვდილ, სიკვდილსაც დავიწყებიხარ, შენც ბევრჯერ

• შეიცვალე ნიკი. არავისი არ მეშინია, უბრალოდ, მომწყინდა უნიკოებთან ბრძოლა და აქსიომების მტკიცება. იმ ხარის როლში ვარ, მინდორში თავისთვის რომ ძოვს და ამძუვნებული ბუზები აწუხებენ. ზოგიერთებივით „მპუსასა" და „მიკალქალის" ძახილით არ ვაპირებ ხმის ჩახლეჩას, პოპულარობისთვის. ჩემო მაგინებლებო, თქვენზე უკვე იმუნიტეტი მაქვს. ასე რომ, ემოციებს მოერიეთ და დამივიწყეთ ისე, როგორც მე დაგივიწყეთ, რადგან მე თქვენთვის არ ვწერ. ენიგმა.

• განძის მაძიებელს ნათიაც და მარიც (ჯაფარიძეს არ ვგულისხმობ) ფეხებზე ჰკიდიხართ, თქვენი ფულებიანად. დაახვიეთ და ოჯნა გაიკეთეთ, რომ ეგ კანალიზაციური აზრები ტვინიდან განდევნოთ. თქვენისთანა ჯართს კახა არ



გასაღებს და არც ეს ჟურნალია საქმის გასარჩევი ადგილი. მახინჯ სხეულში მახინჯი სულია და ამიტომ გაგაგდეს. გასაგებად აგიხსენი? გა-მა.

• პარიჟანკა, მაგრად გამახარე შენი დაბრუნებით. მადლობა. კამი, მე უფრო მიყვარხარ. ლუნას დედას ვულოცავ იუბილეს და ბედნიერებას ვუსურვებ, თავის ოჯახთან ერთად. გრუზინკა.

• უნიჭო ვაილექსის ავტორს: მაგ ურჩ რქებს ჩემზე მოიტეხ, არც ჩემი ლანძღვა შეგრჩება, „გზიდან" შენ გამო არ წავალ, მოგიწევს ჩემთან შეჩვევა, ერთხელ „ნე ვიჟუ" მოგეცი, არ მსურდა შენი შემჩნევა, რა ტკიპასავით მომეკარ, რას მეტენები, შეჩემა? p.s. მოვიკითხავ გრუზინკას, ლუნას, ედელვაისს, ტირიფს, crazy girls, სკორპიონს. ენიგმა.

• კამელია, დაიკო, ნეტავ ყველა „გზაელს" შენი პიროვნული კეთილშობილება ჰქონდეს სულში. თუმცა, ვინატრე, რააა... პარიჟანკას დაბრუნებას ასგზის ვაშა! მაგარი ხალხი ხართ! ენიგმა.

• უცნობო დაიკო ან ძამიკო, სტიქიამ არა, მაგრამ თქვენ მიმართ სიყვარულმა და სილამაზემ მასწავლა ლექსების წერა. გმადლობთ, გმადლობთ! crazy girl, მიყვარხარ. ლუნა.

• იკუშკები, არაუშავს კი არა, გადასარევად წერ. გაფასებ. ვასას, ცუდია, გულისტკივილი, მაგრამ იმედი არასოდეს დაკარგო. გკოცნი. კამი, კოცნას გიგზავნი უთვალავს. მპუაჰ.

• გთხოვთ, აგრესიულ მესიჯებს ნუღარ დაბეჭდავთ, სამარცხვინოა ვირტუალური ომი და ცემა-ტყეპა, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა. ისწავლეთ ერთმანეთის სიყვარული. ტირიფი73.

• ედელვაისს უყვარხართ და მოენატრებით, „გზაელებო". ვერ დავიმკვიდრე ჩემი ადგილი „გზაში", რადგან უკვე მივდივარ. იმედია, არ მიწყენთ. შაკო, მე და ბაჭიამ გაკოცეთ. ედელვაისი.

• რა ხდება, ხალხო, არ დაიღალეთ? კმარა! გეყოთ ერთმანეთის კბენა. დაანებეთ განძის მაძიებელს თავი, ძალიან კარგი ბიჭია და თან ყველას გვაქვს ნაკლი. იდეალური არავინაა!

• მარი, მესიჯებს რატომ მიმოკლებ? 1 ლარი ამაღლიტე და 1 მესიჯი დაბეჭდე? არადა, თავი ანგელოზად მოგაქვს. ლარის დედაც! დღეიდან დატანჯული კი არა, ლამაზფე (*აი, შენი მესიჯი აქ შეწყდა და იმიტომ გიმოკლებ, რომ ტექსტი აღარ ვიცი. როგორ ფიქრობ, რა უნდა გავაკეთო, რომ მივხვდე, რის დაწერას აპირებდი? ალბათ ყავის ჭიქაში უნდა ჩავიხედო ან ხილვა უნდა მქონდეს, არა? თანაც, უკვე მერამდენედ ვამბობ, რომ „მობილი-ზაციაში" შემოსული თანხა მე არ მეკუთვნის. მომდევნო ნომერში, „თავი ანგელოზად რომ მომაქვს და 1 ლარი რომ აგაღლიტე", ამის გამო ბოდიშს ველი. — ავტ.*).

• სო-ნი, მე მაქვს ლეჩხუმთან კავშირი. არ გინდა, შენი გვარი მითხრა? რომელი სოფლიდან ხარ? p.s. ბაო, მიყვარხააარ. პატარა მავნე, ჩემი სიხარული ვინააო, ვინაო? მასტერა.

• კინაღამ ტირილი დავიწყე, როცა ჩემი მესიჯები არეული ვნახე. ჯეჯე მოვიკითხე და ბოლოში ნიკი არ ეწერა. არადა, მახსოვს, მივაწერე. კამი მოვიკითხე. ჩემი ნიკის ნაცვლად ვიღაც ბოა არ არის გამოჭიმული? რა დავაშავე ასეთი? კამი, ჯეჯე, ეს მე ვარ, იასამანი. იცით, რამდენჯერ მოგიკითხეთ? არ გეგონოთ, დამავიწყდით. მოგიკი (*მესიჯს ბოლომდე ვერც ახლა გიბეჭდავ, რადგან მესიჯი აქ წყდება. ვიმეორებ: თუ 160 სიმბოლოზე მეტს კრებ, მესიჯი ბოლომდე არ მოვა — ზედმეტი ჩამოეჭრება. მხოლოდ 160 სიმბოლო და არც ერთი სიმბოლოთი მეტი! სხვათა შორის, სიტყვასა და სიტყვას შორის ადგილს რომ ტოვებთ, ეგეც 1 სიმბოლოდ ითვლება. თუ მესიჯი გრძელია, 2 ნაწილად უნდა გამოგზავნოთ! — ავტ.*).

• „შენც გინდოდა, მეც მინდოდა, ხანუმჯაან" — მხოლოდ ეს მქონდა „საბრალო" მარისთან. განა მართლა თაფლის კასრი ვარ, რომ ვისაც უნდა, მომეწებოს? მაგისთვის სექსი არ კმარა! გა-მა.

• მის რეალის ნება რომ იყოს, ლუნას, განძის მაძიებელს, გრუზინკას და კიდევ რამდენიმეს კუბოში ჩააწვენდა და სამგლოვიარო პროცესიას შალახოს ცეკვით გაჰყვებოდა. SOS!

• ტირიფი სიყვარულის კი არა, სევდისა და მარტოობის ხეა. მას თმაჩამოშლილ ქალს ადარებენ, რომელიც რაღაცის დამალვას ცდილობს და საკუთარ თავშია ჩაკეტილი. შენ რატომ დაირქვი ტირიფი? რის დამალვას ცდილობ? ან 73 რას ნიშნავს? იმედი მაქვს, პასუხს ლექსად არ გამცემ. ჭრიჭინა.

• მის რეალ, ჩემთვის დედა ის ერთადერთი ქალია, ვის წინაშეც მუხლს მოვიყრი. შენ და შენმა ასინეთებმა კი „გზის" მეშვეობით უკვე მესამედ მიაყენეთ შეურაცხყოფა. ენიგმა.

• მის რეალ, ეგ მპუები დანარჩენებისგან პოლიხრონიონის საძახებლად გჭირდება. გაიგონ, რატომ „ვიფასებ თავს". მანამდე კი — პაპანდოპულო, შენ დედა გყაავს? ენიგმა.

• ეჰ, რა უაზრობად გადაიქცა აქაურობაც და ცხოვრებაც. მომბეზრდა... დუჩი.

• სალმი, გრუზინკა. დიდი მადლობა, იუბილეს მოლოცვისთვის. გაიხარე. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. ყველანი ძალიან კარგები და ლამაზები ხართ. მგზავრი.

• აუ, განძის მაძიებლის მაგივრად მე დავიღალე უკვეკაცო, ვის რა დაუშავე ასეთი, თავს რომ აღარ განებებენ? გაატარე, რა! გამარჯობა, პეპი, აბა, როგორ ხარ? სიკვდილა.

• სო-ნი, გგონია, ვინმეს აწუხებ? აი, კობრაც გამოჩნდა და მგონი სტიქიაც... თუ ვცდები? ჭრიჭინ, სად დაიკარგე, ქალი? აბა, ლუდს ვინ დალევს? სიკვდილა.

• უბრალოდ, მკითხველი ვარ. მინდა, მათ გასაგონად ვთქვა, ვინც სხვას უმიზეზოდ ვნებს და უნიჭო ლექსებით ცდილობს, წაკბინოს ღირსეულთ. მოსაბეზრებე-



ამჟამად ჩინეთში ყველაზე განვითარებული დარგი პატარა ჩინელების წარმოებაა.

ლია სხვა მკითხველისთვის, ეს ყველაფერი.

• მარიკუნა, როგორ დაგვიწყნია ჩემს გზავნილზე ნიკის მიწერა?! მაგრამ ეგ არაფერი, თქვენ ყველაფერი გეპატიებათ, რადგან ძალიან გადატვირთული ხართ. მე თქვენგან არაფერი მეწყინება. შევდივარ თქვენს მდგომარეობაში. უნიკოდ რომ მომიკითხა, ნეტავ ის ვინ იყო? ვერ ვიცანი! ვინც უნდა იყოს, მეც მოვიკითხავ. კახელო616. მაგარი ხარ ძაან, გაიხარე შენა.

• ახლა, რა უნდა მოვყვე: ამას წინათ შევედი მაღაზიაში, მონოს საყიდლად. გავიხედე და მაღაზიაში შემოვიდა ორი ტიპი. მუშები იყვნენ, ეტყობოდათ. „სპეცოვკები" ეცვათ. აჭარლები იყვნენ, საუბრის კილოზე მივხვდი. ერთი ეუბნება გამყიდველს — ჩვენ აქვე, ახლოს ვმუშაობთ და „პოსლეზე" „კალბასი" და პური უნდა მოგვცე, არ დაგალალატებთ, მალე გაგისტუმრებთო. მაღაზიაში ორი გამყიდველი იყო და ორივეს პარალიჩი ჰქონდა. ერთი ზემოთ-ქვემოთ აქნევდა თავს, მეორე — იქით-აქეთ. ჰოდა, ერთმა ერთმა აჭარელმა გადაულაპარაკა მეორეს — ამათი დედა ვატირე, ვერ გევგე, ჭოო, ერთი ჰოს გვებნება, მეორე — არასო. სიცილისგან თავი ვეღარ შევიკავე. ჯეჯე.

• მის რეალი, გრუზინკა და კახელო, ძალიან მაგრები ხართ. მგზავნელებო, ყველანი ძალიან საყვარლები ხართ. დიდი სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს გზავნილებს. გკოცნით. პუკუ.

• ბლა, ბლა, ბლააა... და ცხოვრება მაინც მშვენიერიაააააა... ალუუ, შენ გარეშეეეეეც! ვოოოოოტ! ვასასი.

• და ჰაი-ჰუი, ყველააააას! მომენატრეთ და მოგწერეეეეთ! ქუთაისი მაგადია, რეროოოოო... ვასასი.

• პარიუანკა, ძალიან, ძალიან გამიხარდა შენი დაბრუნება. აფხაზეთის პრინცესავ, შენი დაბრუნებაც გამიხარდა და შენიც — ნოსტალგიავ. აზიელო, მადლობა! მიყვარხარ, მარ. ლუნა.

• ნიკის მიწერა დამავიწყდა მესიჯზე და ახლა მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მე, უზნეო ანგელოზი ვქომაგები განძის მაძიებელს და გეკითხებით — არ დაიღალეთ მისი ლანძღვით?

• უმჯობესი შურისგება ის არის, რომ არ ემსგავსო და არ მიჰბაძო მას, ვინც გაგამწარა. ვაჟკაცობა ის არის, კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორემ მოკეთე რომ გადაიმტეროს, ეგ რა ბიჭობაა? მოთმინებით უფრო მეტს მოვიგებთ. სულმდაბალ წინადადებებს ნუ ავყვებით და მრისხანებას თავს მასხრად ნუ ავაგდებინებთ. ტრიფი73.

• ვიღაცა ნიკს მახეევს... თავის ქალა გიჭერს ალბათ, ვიღაც ხარ და იმიტომ ვერ მოძებნე სხვა ნიკი. მე ნამდვილი ბოა ვარ, ანუ ირაკლი.

• ჰოდა, როგორც მოსვლით გაგახარეთ, ისე წასვლით გაგახარებთ. ძაან აირია მონასტერი. ვინ ვის ლანძღავს, ვერ გაიგებ. აქ ჩემი ადგილი აღარაა. პაკა, პაკაა! ბაო-ბაო.

• როცა ეს ჟურნალი გამოვა, შენ 268 დღე დაგრჩება. ზაზა კ-ძე, რომ იცოდე როგორ მაკლიხარ... მომენატრა შენი ხმის გაგონება. არ ვიცი, ჟურნალი შენამდე მოაღწევს თუ არა.

• მის რეალ, საყვარელო, დამშვიდდი. მათ წერის სტილი აქვთ ისეთი, რომ თავიანთი თავი სააშკარაოზე გამოჰყავთ და ყველა ვცნობთ. გაკოცე. ვასასი, რა დაგემართა, ჰა? green girl.

• სალამი ყველას, აფხაზეთის პრინცესა დაბრუნებულა. მაგარია. კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ლამაზ და კოპწია ქალაქში. ზესტაფონის ლამაზმანი.

• აუუ, ზოგი ძალიან დებილი როა, არა უშავს? ზოგმა ვაიმგზავნელმა მიასტოპოს, სანამ ავიფოფრე. ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, ძველი სასტავი დავბრუნდით და გეშინოდეთ! :) green girl.

• პირადად მარი ჯაფარიძეს მივმართავ: რომ გირეკავ, რათ არ იღებ ყურმილსა? რათა, რათა, რათთთთა? ლუნ, ვიღაცების ბოდვას ყურადღებას ნუ მიაქცევ. გრუზინ, მაგარი ხარ. მ.რ.მ.ა.მ.

• მე თუ მკითხავთ, მის რეალი ძალიან ამბიციურია. ყველას მიმართ პრეტენზია აქვს... კარგი, რა! გათხოვდი და მამაკაცების მიმართ აგრესია გაგივლის. მეც უნიკოდ დავწერ და აბა, მიდით, პასუხი მომთხოვეთ! ჰმ...

• ლუნ, ნუ ახურებ, ეკა კი არა, ეთო ვარ, ეთო და ნუ ამბობ გრუზინკასთან, რომ ეკა ვარ. ეთო ვარ, ეთო! მარი, ცოცხალი ხარ? ისა და... ყველანი მეზიზღებით. მ.რ.მ.ა.მ. დავაი, რა! ბიჭოს!

• სო-ნის მესიჯი წავიკითხე, — ლეჩხუმთან თუ აქვს კავშირი ვინმესო? მე ვარ ლეჩხუმელი, იქ დავიბადე და გავიზარდე. ვამაყობ, რომ ლადოს ზემლიაკი ვარ. შენ რა შეხება გაქვს ლეჩხუმთან? იცხოვრეთ ისე, თითქოს ყოველი დღე უკანასკნელია... გაჰყევით ოცნებებს, აისრულეთ... ძალიან ცოტა დრო გვაქვს. გრაფ მონტეკრისტო.

## მიყვარხარ



• მინდა, გოჩამ გაიგოს, რომ უზომოდ მიყვარს. ქეთი, ათენიდან.

• ამ ქვეყანაზე 3 რამ ანათებს — მზე, მთვარე და შენ. მე არც მზის დაბნელების მეშინია და არც უმთვარო ღამის, რადგან იმედი მაქვს, შენ მუდამ ჩემთან იქნები. ეძღვნება ოთოს.ძმიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. მარი.

• ვახო ფეტვიაშვილს: კვლავ მოლოდინის სევდა მეწვია, გული კვნესის და ტირის უცრემლოდ, ამ ქვეყანაზე გზები ბევრია, მაგრამ სიცოცხლე არ ღირს, უშენოდ.

• მაკა სირაძე, მიყვარხარ ძალიან და გული დამწყდა, კვირას რომ ვერ გნახე. იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებ-



ით, „რუსკაიაში“. გკოცნი. უც-ნობი.

• იცი, უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, იცი, უშენოდ არც ღირს სიცოცხლე. იცი, მიყვარ-ხარ, ჩემო სიცოცხლევ, და მხ-ოლოდ და მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ. ლევან ვარშალო-მიძეს, ირასგან.

• მარი ჩაკვეტაძე, რა ვქნა, მაინც მიყვარხარ! ყველაფ-რის მიუხედავად, თავს ვერ ვერევი.

• მიყვარხარ და მენა-ტრები, ნინო გელაძე. შენ ხარ ერთი დიდი ნატვრა, ვინც ახლა მე მენატრება. სხვა ფიქრები სადღაც გაქრა, მხოლოდ შენზე ვფიქრობ ახლა.

• მიყვარხარ, მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ძნელია, როდესაც გიცქერი, ქვეყანა ჩემი მგონია, მუდამ მეყვარები იცოდე, შენ, ჩემო ფერიავ. ნინო გელაძე, შენი თაყვანისმცემელი ვარ.

• თერჯოლის მეორე სა-შუალოს პრინცესავ, ნინო მე-მანიშვილო, შენს თავს ვერავინ წამართმევს. მიყვარხარ, ჩემო ცხოვრებავ.

• ჩემი ცხოვრება ერთ დიდ სიცარიელეში გადაეშვა, რაც შენ დაგკარგე, ირაკლი. მართლა მიყვარხარ, მაგრამ ამას ველარ გეტყვი, რადგან... შენც კარგად იცი. მაპატიე, გთხოვ. მაკა.

• ვერ დავივიწყებ შენს ლამაზ თვალებს, იმ მოგონე-ბებს ვერ ვატან ნიავს, ვილაც მეორე მე შენს თავს მართმევს და თითქოს მთელი ცხოვრება მიაქვს. მაპატიე, ირაკლი.

## მილოცავ



• ლორეეეე... გილო-ცავ გაბედნიერებას! უფალს ვთხოვ, ბედნიერება არ მოეშა-ლოს შენთვის და შენი ჯარის-კაცისთვის! ილინი.

• დაბადების დღეს, 30 სექტემბერს ვულოცავთ კახა მამასახლისს. ღვთისმშობლის მადლი და ძალა არ მოგკლე-ბოდეს. დედა და ძმა, მზია და ძაკო.

• საყვარელ რძალს, მაკას და მის ტყუპისცალ ეკას 25 სექტემბერს იუბილეს ვუ-ლოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, ოჯახთან ერთად და უფლის წყალობას. მიყვარხ-ართ. ეკა ფურცხვანიძე.

• ათენში, დალი ცხვე-დიანს ვულოცავთ დაბადების დღეს, 27 სექტემბერს. საყვა-რელო, გისურვებთ ჯანმრთ-ელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შვილებისა და შვილიშვილების კარგად ყოფნას.

• ღმერთი გფარავდეს მუდამ, შენთვის ძვირფას ადა-მიანებთან ერთად. მზია და ძაკო მამასახლისი.

• ჩემს მეუღლეს, თემურ ხარაიშვილს ვულოცავ 28 სე-ქტემბერს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და გამძლეობას. აგრეთვე მინდა დაბადების დღე, 28 სექტემ-ბერი მივულოცო მონატრებულ მეზობლებს, თამილა პატარიძ-ესა და ზურია მაღლაფერიძეს. ნაზი ხარაიშვილი ანუ ათე-ნი50.

• ბესო ფურცხვანიძეს ათენში, 26 სექტემბერს იუ-ბილეს ვულოცავ. ბედნიერი და ლამაზი ოჯახის შექმნას ვუ-სურვებ. მისით გვეამაყოს და მალე ემიგრანტი აღარ გერქვას. დაიკო ეკა.

• კახელო616 (მარის) ვულოცავ 24 სექტემბერს დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჩემო დაიკო, გი-სურვებ წარმატებებს, პირად ცხოვრებაში. გფარავდეს უფა-ლი. ათენი23.

• ჩემს თავს ვულო-ცავ იუბილეს, 28 სექტემბერს. ყველაფერს კარგს და ღვთის მფარველობას ვუსურვებ. p.s. მარი, მიყვარხარ. აბეზარა.

• მათე ტაკიძეს ვულო-ცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ირმასაგან.

• სალონიკში, ნინო გა-ზაშვილს, ჩემს მონატრებულ შვილს 8 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას და ულევ სიხა-რულს, ქმარ-შვილთან ერთად. ძალიან გვენატრები, შვილო და ძალიან გვაკლიხარ. მალე დაგვიბრუნდი, შენს დაიკოს სჭირდები. გვენატრები, გკოც-ნით, გვიყვარხარ. დედიკო და მაკა.

• ჩვენს საყვარელ ძა-მიკოს და დედის იმედს, ამი-რან ლაგაძიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 4 ოქტომბ-ერს. ყოფილიყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და სიცოცხლით სავსე. ლალი, ქრისტო.

## ყურადღება!

„მობილიზა-ციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# ფოტოკალენდარი

## ღიმილის დღე



## 1-ელი ოქტომბერი

ამ დღესასწაულს მხატვარ ჰარვი ბელუს უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში ამერიკაში ცხოვრობდა. მისი შემოქმედება გამორჩეული არაფრითაა და კრიტიკოსები მისით არ ინტერესდებოდნენ (აბა, რა აცინებდა?). ერთხელ, მას სადაზღვევო კომპანიამ თავისი სავიზიტო ბარათისთვის სიმბოლოს მოფიქრება შესთავაზა. მხატვარს ბევრი არ უფიქრია, ადგა და კომპანიას შესთავაზა ის, რასაც ახლა ჩვენ, ინტერნეტის მომხმარებლები „სმაილიკს" ვეძახით — ყვითელი, გაღიმებული სახე. კომპანიამ მხატვრის აზრი მოიწონა და 50 დოლარი გადაუხადა. მათ „სმაილიკის" ფორმის გულსაბნევები დაამზადეს და კომპანიის თანამშრომლებს დაურიგეს. ასეთი სავიზიტო ბარათის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. შემდეგ „სმაილიკები" მაისურებზე, ჩანთებზე გაჩნდა და მსოფლიო მოიცვა. მხატვარი ამაყობდა თავისი შედევრით. სწორედ ასეთი წარმატების შემდეგ გადაწყვიტა ჰარვიმ, რომ ღიმილის დღე დაეწესებინა. ამ დღეს ყველა ვალდებულია, კარგ განწყობილებაზე იყოს. სიცილი ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. ჰოდა, გადართეთ ტელევიზორი ქართულ საინფორმაციო გადაცემაზე და იცინეთ, რამდენიც გინდათ... ოღონდ, თქვენი სტომატოლოგის მიერ რეკომენდებული კბილის პასტით კბილების გამოხეხვა არ დაგავიწყდეთ, რომ თვალისმომჭრელი ღიმილი გქონდეთ.

## 3 ოქტომბერი



### პერუს ნაციონალური ღირსების დღე

ღირსება კარგი რამაა, ნაციონალური — მით უმეტეს. საინტერესო ის გახლავთ, ვინ რას მიიჩნევს ნაციონალურ ღირსებად. მაგალითად, პერუში, თურმე ნაციონალურ ღირსებად რევოლუციით მოსულ ხელისუფლებას მოიაზრებენ, ამერიკელები ნაციონალურ ღირსებად ჰოთდოგს მიიჩნევენ, ფრანგები — ეიფელის კოშკს, იტალიელები — ვენეციას, რუსები — ქართულ უნიტაზებს, ჩვენ, ქართველებს კი იმდენი ღირსება გვაქვს, რომ მათ ჩამოთვლას რა აუვა... ჰოდა, ამ ახალდაწურული, კახური ღვინითა და პერუს ნაციონალური ღირსების თამადობით ყველა ღირსების სადღეგრძელო მინდა, შევსვა...

### ფსიქიკური ჯანმრთელობის დღე

## 10 ოქტომბერი



ვიზიტი ფსიქატრთან:

— ექიმო, ავად ვარ, ყველგან შიშველი ქალები მელანდება...

— ეს რა არის? — ჰკითხა ექიმმა და სუფთა ფურცელზე წრე შემოხაზა.

— შიშველი ქალი, ექიმო...

— ეს? — ახლა სამკუთხედი დახატა ექიმმა.

— შიშველი ქალი, ექიმო, — ტუჩები მოილოკა პაციენტმა.

— ეს რაღაა? — ოთხკუთხედზე მიუთითა.

— ქსეც შიშველი ქალია, — ერთიანად აცახცახდა პაციენტი.

— შენ სექსუალური მანიაკი ყოფილხარ, — დასვა დიაგნოზი ფსიქატრმა.

— ჰმ, შიშველ ქალებს შენ ხატავდი და სექსუალური მანიაკი მე ვარ? — აღშფოთდა მამაკაცი.

მაშ, მოდი, ამ ფსიქიკური ჯანმრთელობის დღეს ყველა ქალისგან გაგიჟებულ მამაკაცს და მამაკაცისგან გაგიჟებულ ქალს გაუმარჯოს!

### აფხაზეთის შეიარაღებული ძალების დღე



# 11 ოქტომბერი

არა, თვალი არ გატყუებთ, მართლა ყოფილა ასეთი „დაწესებულება“ და მათი დღესასწაულიც. აბაა... არძინბას 1992 წლის ამ დღეს, პირდაპირ საომარი მოქმედებების დროს, თავდაცვის სამინისტრო და გენერალური შტაბი შეუქმნია. (როგორც ახლა მე ჩინური ენის გრამატიკის წიგნი არ მჭირდება, ისე არ სჭირდებათ მათ ეს არმია. რუსებისგან თავს მაინც ვერ იცავენ და...). თანაც, ეს 2 სამინისტრო (ერთი მოსკოვში, ერთი — აფხაზეთში) რა საჭიროა, ვერ გავიგე. მოკლედ, ახლა მე „სესხბანკში“ წავალ, თქვენ კი აფხაზეთის შეიარაღებული ძალების „ლოცვა“ გზაში დამაწიეთ და მეც შემოგიერთდებით.

# 15 ოქტომბერი

### სოფლელი ქალების საერთაშორისო დღე



„სოფლელი“ ჩვენს ყოფიერებაში რაღაც, სხვანაირად, დამამცირებლად ჟღერს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, ვისაც ასე მიაჩნია, სწორედ თვითონაა ყველაზე „დიდი სოფლელი“ (იმ გაგებით, როგორც თვითონ ჰგონია). სოფლელობა სულაც არაა სამარცხვინო და ახლა, XXI საუკუნეში — მით უმეტეს. თქვენ წარმოიდგინეთ, სოფლელი ქალებიც ეწევიან „პაპიროსს“, მანქანებითაც დაქრიან, ფეხის ფეხზე გადადებაც იციან, ზოგს 2-2 საყვარელიც ჰყავს და არც ჩაცმულობით ჩამოუვარდებიან ვინმეს. მაშ, რა განსხვავებაა ქალაქელსა და სოფლელ ქალს შორის? ის, რომ ეს უკანასკნელი აგარაკზე ცხოვრობს, სუფთა ჰაერს სუნთქავს და უფრო ჯანმრთელია? მოკლედ, ქალებს გაუმარჯოს, ქალებს!

# 16 ოქტომბერი

### შეფის დღე



თურმე, 1958 წელს ერთ-ერთ ამერიკელ მდივან ქალბატონს ინიციატივა გამოუჩენია, რომ ეს დღე დაეწესებინათ (ნეტავ, მადლიერმა შეფმა პრემია თუ მისცა?). ჰოდა, იმ შტატის გუბერნატორის ოფიციალურად დაუმტკიცებია. დღესდღეობით შეფის დღეს ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ და თურმე საკმაოდ ხმაურიანადაც.

— შენი ახალი მდივანი კარგი გოგოა?

— უჰ, თოჯინაა, ნამდვილი თოჯინა...

— ბაბუ, როცა აწვენ, თვალებს ხუჭავს? — იკითხა ამ საუბრის შემსწრე, 5 წლის შვილიშვილმა.

# 17 ოქტომბერი

### სიღარიბესთან ბრძოლის დღე



ახლა მოდაშია სიტყვა „ლიკვიდაცია“. ჰოდა, ალბათ უკეთესი იქნება, თუ ვიტყვით, რომ 17 ოქტომბერი სიღარიბის ლიკვიდაციის დღეა. ამ მოვლენასთან მხოლოდ ერთეული ადამიანებისა და თავად ღარიბების ბრძოლა შედეგს არ გამოიღებს. სიღარიბეს უნდა ებრძოლონ დაჯავშნულ მანქანებში გამოჭიმული, აგარაკებზე დასასვენებლად გამგზავრებული, ფულის თვლაში გართული, ომის დროს ბაქოში გაქცეული და უკან მობრუნებული, ლიპიანი თუ ულიპო, ქმრიანი თუ უქმრო, ქერა თუ შავგვრემანი ბიძიები და დეიდები...

# საიდან მოდის მოდა?

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატრიცა, ელისაბედი დილის ტუალეტს 5 საათს ანდომებდა, ერთი წვეულების დროს კი კაბას რამდენჯერმე იცვლიდა. 1735 წელს ხანძარმა მისი გარდერობი მთლიანად გაანადგურა, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ მის განკარგულებაში კვლავ 15 ათასი კაბა და რამდენიმე ათასი ცალი აბრეშუმის წინდა იყო.



• დიდი ფიქრი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რატომ გახდა ქურქი მოდური. ბევრ ქვეყანაში ზამთარში ძალიან ცივა. ქურქი განსაკუთრებულად მოდური ვერსალის აშენების შემდეგ გახდა, რადგან სასახლეში გათბობის სისტემა არ იყო და ზამთარში იქ ისევე ყინავდა, როგორც გარეთ. სასახლის ქალბატონები იძულებული იყვნენ, ქურქი ჩაეცვათ.

• ე.წ. „ტანკეტკაძირიანი" ფეხსაცმელი შუა საუკუნეებში გამოჩნდა. წვიმის შემდეგ ქუჩები საშინლად ატალახდებოდა ხოლმე. ტყავისგან ან ქსოვილისგან შეკერილი ფეხსაცმელი რომ არ დასვროდათ, ქვევიდან ხის მთლიან ძირს აჭედებდნენ.

• შუა საუკუნეებში არც ცხელი შხაპი არსებობდა და არც საპირფარეშო. ამიტომ, ძალზე მოსახერხებელი გახლდათ ისეთი ბლუზა, რომელიც მხოლოდ წელამდე სწვდებოდათ. ტანისამოსი იოლად რომ გარეცხილიყო, მას თხელი ქსოვილისგან ამზადებდნენ, რაც ასევე ფრიად მოსახერხებელი გახლდათ. ამიტომ, ასეთმა ქსოვილმა უცებ მოიკიდა ფეხი.

• კორსეტიც შუა საუკუნეების გამოგონება გახლავთ — ორსულობა „მოდაში აღარ იყო" და ფერმკრთალი, გამხდარი ქალები გაცილებით პოპულარული გახდნენ. კორსეტს ხანდახან იმდენად მჭიდროდ იკრავდნენ, რომ წელი ორჯერ უფრო უწვრილდებოდათ.

• კაპიუშონი ეკლესიის მსახურების გამოგონილია. ისინი მას ჩანთის დანიშნულებით იყენებდნენ. საჭირო ნივთებს კაპიუშონში ალაგებდნენ და ისე მოგზაურობდნენ. იმ ეპოქაში ჯიბე ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული.

• ჭუჭყიანი სამუშაოს შესასრულებლად. ხელთათმანს ჯერ კიდევ ძველ რომში იყენებდნენ. შემდეგ მისი გამოყენება სიცივეშიც დაიწყეს. ის არისტოკრატიულ ატრიბუტად მას შემდეგ იქცა, რაც მდიდარმა ქალბატონებმა, ხელები რომ არ დასვროდათ, მისი გამოყენება ჭამის დროს დაიწყეს. მაშინ ჩანგალი არ არსებობდა და ყველაფერს ხელით მიირთმევდნენ.

• რაც შეეხება პიჯაკის სახელოზე დამაგრებულ ღილებს, ეს რუსეთის მეფის, პეტრე I-ის დამსახურება გახლავთ. მან ბრძანა, რომ ჯარიკაცების მუნდირისთვის სახელოს შიგნითა მხარეს რამდენიმე ღილი მიეკერებინათ, რაც ჯარისკაცებს საშუალებას არ მისცემდა, ჭამის შემდეგ ტუჩები და ცხვირი სახელოთი მოეწმინდათ.

<<<11

მოკლე ჩართვა

## ვის ვისურვებდი მეგობრად?

• ვის ავირჩევდი და, გიგა ბოკერიას, მაია ნადირაძეს, ვანო მერაბიშვილს, კახა ბენდუქიძეს. მარი, ნუ მაწერინებ ამდენ ტყუილს. შენ რა შუაში ხარ? გრუზინკა.

• ჩემს მეგობრებს მოვიკითხავ. მათ არავისში და არაფერში გავცვლი. მის რეალი.

• ვის და კასილასს. უჰ, ყველა „რეალისა" და ესპანეთის თამაშზე გარანტირებული მექნებოდა ადგილი, კასის მხარდამჭერთა რიგებში. ვიოცნებო, ვიოცნებო...

• მეგობრად ავირჩევდი ისეთ ადამიანს, რომელიც მუდამ ჩემ გვერდით იქნება — ჭირშიც და ლხინშიც. ვოცნებობ ასეთ მეგობარზე და როცა მეყოლება, მე ის ძალიან, ძალიან მეყვარება. ლუნა.


პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

# ქართული პოლიფონია – მსოფლიო შედევრი

**2001 წელს ანუ მაშინ, როდესაც იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა პოლიფონიური მუსიკის შედევრად ოფიციალურად აღიარა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს. წელს ეს სიმპოზიუმი უკვე მეოთხედ გაიმართა. მასში მონაწილეობას 16 ქვეყნის — მათ შორის რუსეთის წარმომადგენლებიც გეგმავდნენ. სამწუხაროდ, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამო, სტუმრების ნაწილმა საქართველოში ჩამოსვლა ვერ შეძლო, თუმცა მონაწილენი ცოტანი მაინც არ ყოფილან. პოლიფონიური სიმღერის სიმპოზიუმზე საქართველოს 11 ქვეყნის მეცნიერი და ხალხური სიმღერის შემსრულებელი ესტუმრა, რომლებმაც ეროვნულ ფოლკლორულ სიმღერასთან ერთად, ქართული ხალხური სიმღერებიც შეასრულეს.**

მაია ღუღუნიშვილი

**— გვიამბეთ თქვენს ანსამბლზე, როგორ მოხვდით სიმპოზიუმზე? საქართველოში პირველად ხართ?**

**ფრედერიკ პრესპერინი,** *კორსიკული ანსამბლის — „სპარტიმუ" წევრი:*

— ჩვენი ანსამბლი სამი წლის წინ ჩამოყალიბდა. გვინდა, სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორი შევისწავლოთ და შევასრულოთ. ამჟამად სწორედ ამ პროცესში ვართ. ქართული სიმღერა პირველად ჩანაწერების სახით მოვისმინეთ, მოგვიანებით კი კორსიკაში ქართული თვითმოქმედი ანსამბლების — „მზეშინასა" და „მარნის" წევრებმა გვასწავლეს. თბილისის პოლიფონიური სიმღერის სიმპოზიუმის შესახებ ინტერნეტით შევიტყვეთ. დავუკავშირდით მის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ქალბატონ რუსუდან წურწუმიას, რომელსაც ჩვენი სიმღერები გამოვუგზავნეთ. ამის შემდეგ ქალბატონმა რუსუდანმა თბილისში მოგვიპატიჟა. ქართველებისა და კორსიკელების ტრადიციებს შორის ბევრი მსგავსებაა. ამიტომ აქაურობას არაჩვეულებრივად მოვერგეთ. მოგვხიბლა თქვენმა სტუმართმოყვარეობამ და ტრადიციების ასეთმა ერთგულებამ. სამწუხაროდ, ჩვენს სამშობლოში უკვე ნაკლები ყურადღება ექცევა ტრადიციებს. ამიტომ ვცდილობთ, ისინი აღვადგინოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ.

*სიმპოზიუმის დასკვნით კონცერტზე, ყველაზე ემოციურად დიდი ბრიტანეთის ანსამბლი „მასპინძელი" წარდგა. ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა საზოგადოებას აცნობა, რომ ომის პერიოდში მათ დიდ ბრიტანეთში საქართველოს მხარდასაჭერი აქცია მოაწყვეს, დევიზით — „საქართველო, ჩვენ შენთან ვართ".*

**თიი თოოძ,** *დიდი ბრიტანეთის ანსამბლის — „მასპინძელი" წევრი:*

— ინგლისის სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენ რამდენიმე დღის განმავლობაში ვმართავდით კონცერტებს. იქ ქართულ სიმღერებსაც ვასრულებდით. იმ პერიოდში, როდესაც საქართველო რუსეთის აგრესიას ებრძოდა, ჩვენ ქართველი ხალხის მხარდასაჭერი აქცია გავმართეთ. ძალიან გვიყვარს საქართველო, აქ საოცარი ხალხი ცხოვრობს, ამიტომ გულწრფელად განვიცდიდით აქაურ ამბებს. როდესაც სიმპოზიუმზე მოგვიპატიჟეს და წამოსასვლელად ვემზადებოდით, ჩემი ოჯახის წევრებს შეეშინდათ, ეგონათ, აქ ისევ საშიში სიტუაცია იქნებოდა, ამიტომ მათგან წინააღმდეგობას წავაწყდი. ქართული სიმღერა ანსამბლ — „ანჩისხატის" წევრებმა შეგვასწავლეს, რომლებიც პერიოდულად ჩამოდიან ლონდონში და მასტერკლასებს გვიტარებენ. ეს სიმპოზიუმი წლეულს უკვე მეოთხედ ტარდება. ჩვენმა ანსამბლმა ყველა მათგანში მიიღო მონაწილეობა.

**ივეტა ტაალე,** *ლატვიური ანსამბლის „საუსეია" წევრი:*

— ძალიან მნიშვნელოვანი სიმპოზიუმია, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარი კულტურის წარდგენის საშუალება ეძლევათ. ჩვენ ტელევიზიის საშუალებით ვხედავდით, თუ როგორი მდგომარეობა იყო საქართველოში ცოტა ხნის წინ. გაოცებული დავრჩი, აქ ასეთი მომზადებულები რომ დაგვხვდნენ. სიმპოზიუმში გაცილებით მეტ ქვეყანას უნდა მიეღო მონაწილეობა, თუმცა არც მონაწილეთა სიმწირე შეიმჩნეოდა და არც რეპერტუარი იყო ღარიბი; განწყობილებაც ყველას ამაღლებული გვქონდა. ქართულ სიმღერას ვინ არ იცნობს, ის მსოფლიო პოლიფონიის შედევრია, ამიტომ საქართველოში ჩამოსვლა და ამ სიმპოზიუმში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა.

**ჯემალ ჭკუასელი,** *ანსამბლ „ერისიონის" ხელმძღვანელი:*

— ამ სიმპოზიუმზე, თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ ფოლკლორთან ერთად, ქართულ ხალხურ სიმღერებსაც ასრულებენ, თანაც ამას ისეთი დიდი სიყვარულითა და სითბოთი გვაწვდიან, რომ შეუძლებელია, უდიდესი სიამოვნება და ამავე დროს, სიამაყის გრძნობაც არ გაგიჩნდეს. ქართული სიმღერის შესასწავლად სხვადასხვა ქვეყანაში ინსტიტუტებიც კი დაარსდა. იქ ქართულ სიმღერასთან ერთად ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიასაც ხომ ასწავლიან — ამიტომ, დიდი მადლობა მის ორგანიზატორებს ამ დიდი საქმის საფუძვლის ჩაყრისთვის.

**გია ბაღაშვილი,** *მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი, დოქტორი:*

— ეს უკვე ტრადიციად ქცეული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმია, რომელსაც ძალზე მყარი საფუძველი აქვს იმისთვის, რომ თბილისში გაიმართოს. ეს გახლავთ ის კულტურა, რომელიც ხელთუქმნელი საგანძურის სახით გვერგო ქართველებს. ამაში სიმპოზიუმმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. აქ თავს იყრიან მსოფლიო მნიშვნელობის ფოლკლორის მკვლევრები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კი გახლავთ ის, რომ მოვახერხეთ და გავხსენით საბჭოთა „რკინის ფარდის" გამო ხელოვნურად დახშული გზა. ამაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით აწ განსვენებულ, ფოკლორის კათედრის გამგეს, ბატონ კუკური ჭოხონელიძესა და ბატონ აზორ ერქომაიშვილს, რომლებმაც მსოფლიოს მასშტაბით უამრავ მკვლევარსა და ფოკლორისტს მოუყარეს თავი და მათთან ერთად, საქართველოში პოლიფონიური მუსიკის სიმპოზიუმს ჩაუყარეს საფუძველი. ეს უდავოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენაა.





3 ოქტომბერს, კასპის რაიონში, სოფელ ერთაწმინდაში მდებარე ტაძრის დღესასწაული — ერთაწმიდობაა. ტაძარი წმინდა ევსტათი მლაკიდას სახელობისაა. სახელწოდება „ერთაწმინდა" სწორედ წმინდა ევსტათის (ევსტაფის) სახელთანაა დაკავშირებული: ხალხი წმინდა ევსტაფის „ევსტაფე წმინდად" მოიხსენიებდა, რაც დროთა განმავლობაში ხალხის გამოთქმაში „ერთაწმინდად" ქცეულა. აქედან მომდინარეობს სოფლის სახელწოდებაც.

ერთაწმინდის წმინდა ევსტათი მლაკიდას სახელობის ტაძარში, აღმოსავლეთის მხარეს წმინდა ევსტათისა და მისი ცოლ-შვილის რამდენიმე წმინდა ნაწილია დაცული, რომელთაც ძალითა და მადლით არაერთი ადამიანი განკურნებულა. განსაკუთრებით შიშისგან განკურნების ძალა შესწევთ. ვინც რწმენით, დაჩოქილი გაივლის წმინდა ნაწილების ქვეშ, შიშისგან იკურნება.

ვიდრე ერთაწმინდის ტაძრის შესახებ ვისაუბრებთ, წმინდა დიდმოწამე ევსტათი მლაკიდა და მისი ცოლ-შვილი: თეოპისტია, აღაპი და თეოპისტე გავიხსენოთ, რომლებიც 118 წელს წმინდა ევსტათისთან ერთად მოწამეობრივად აღესრულნენ. დაახლოებით 3 ოქტომბერს მართლმადიდებელი ეკლესია მათ იხსენიებს, რადგან ერთაწმინდის ტაძარი დიდმოწამე ევსტათის სახელობისაა, ტაძრის დღესასწაულიც მისი ხსენების დღედაა დაწესებული.

# წმინდა მოწამეთა ნაწილები, რომელთაც განსაკუთრებით შიშისგან განკურნების ძალა შესწევთ...

შორენა მერკვილაძე

წმინდა ევსტათი იმპერატორ ტრაიანეს დროს ცხოვრობდა რომში, მას სახელად პლაკიდა ერქვა. პლაკიდა საუკეთესო მხედართმთავარი გახლდათ. იგი წარმართი იყო, მაგრამ სული ქრისტიანული სათნოებებით ჰქონდა შემკული. ამიტომაც შეეწია უფალი და ინება, რომ მისთვის ცხონების გზა განეცხადებინა: ერთხელ პლაკიდა თავის მეომრებთან ერთად, სანადიროდ წავიდა. გზად ირმებს წააწყდნენ და დაედევნენ. პლაკიდამ შენიშნა, რომ ირმების ჯოგს ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი ირემი გამოეყო და სხვა მიმართულებით გაიქცა. მხედართმთავარი მას მიჰყვა. ირემმა მაღალ მთაზე აირბინა. მთის ძირას დარჩენილი პლაკიდა ფიქრობდა, როგორ მოენადირებინა ირემი. ამ დროს ირმის რქებს შორის ბრწყინვალე ჯვარი შენიშნა, რომელზეც ჯვარცმული მაცხოვარი იყო გაკრული: „რად მდევნი, პლაკიდა?" — ესმა ხმა. შეშფოთებულმა სარდალმა თრთოლით წარმოთქვა: „ვინ ხარ შენ?" მაშინ მაცხოვარმა მიუგო: „მე ვარ უფალი, იესო ქრისტე, კაცთა ხსნისთვის განკაცებული, საკუთარი ნებით წამებული და ჯვარცმული. ის, რომელსაც შეუცნობლად ეთაყვანები. შენმა კეთილმა საქმეებმა და უხვმა მოწყალებამ ჩემამდე მოაღწია და შენი ცხონება ვინებე. გამოგეცხადე, რათა შემიცნო ჭეშმარიტი ღმერთი, რამეთუ არ მსურს, სიმართლის მქმნელი მტრის მახეში გაებას და დაიღუპოს". უფალმა ისიც ასწავლა, როგორ მოქცეულიყო ჭეშმარიტ რჯულზე. ღვთის ერთგულმა მონამ ყოველივე ირწმუნა. ნანახის შესახებ კი მხოლოდ ერთგულ მეუღლეს გაანდო. აღმოჩნდა, რომ ღამით მასაც გამოსცხადებია მაცხოვარი, რომელმაც ჭეშმარიტ რჯულზე მოქცევისკენ მოუწოდა. განიზრახეს შვილებთან ერთად ქრისტიანულად მონათლულიყვნენ.



პლაკიდამ ქრისტიან მღვდელს — მამა იოანეს მიაკვლია. ოჯახის წევრებთან და ერთგულ მსახურებთან ერთად მის საცხოვრებელს მიადგა და ნათლობა სთხოვა. მამა იოანემ ადიდა ღმერთი და ნათლობის საიდუმლო აღასრულა. ნათლისღების შემდეგ პლაკიდას — ევსტათი, მის ცოლს — თეოპისტია, შვილებს კი აღაპე და თეოპისტე ეწოდათ.

მეორე დღეს ევსტათი იმ მთისკენ გაემართა, სადაც იესო ქრისტე გამოეცხადა, თან მხედრებიც გაიყოლა, თითქოს სანადიროდ მიდიოდა. გზად ჩამოქვეითდა და უფლის მიმართ სამადლობელი ლოცვა აღავლინა. უეცრად ხმა მოესმა: „ევსტათე, ახლა საქმით უნდა დაამტკიცო შენი ჩემდამი სარწმუნოება... იობის მსგავსად, შენც მრავალი მწუხარებისა და უბედურების დათმენა მოგიხდება, რათა ცეცხლში განწმენდილი ოქროს დარად გამოიწრთო, ჩემი ღირსი გახდე და მიიღო გვირგვინი ხელთა ჩემთაგან". ევსტათიმ განსაცდელთა მადლიერებით დათმენა აღუთქვა, მხოლოდ განსაცდელის ჟამს შეწევნა შესთხოვა — რათა ბოროტმა სულმა არ გამტეხოს და შენს სიყვარულს არ განმაშოროსო.

ღვთის მადლით განმტკიცებული უფლის ერთგული მონა მწუხარებათა დასათმენად განემზადა. შინ მისულმა ყოველივე თანამეცხედრეს მოუთხრო და სთხოვა, მასავით მომზადებულიყო, რათა ყოველივე მადლიერებით დაეთმინა: „იყავნ ნება უფლის ჩვენზედა! ჩვენ კი მთელი გულით შევთხოვოთ, მოთმინება მოგვივლინოს", — მორჩილად წარმოთქვა თეოპისტიამ.

სულ მალე დადგა განსაცდელთა ჟამი: ევსტათიმ ჯერ მთელი ქონება დაკარგა, მსახურებიც ერთიანად დაეხოცა და გაღატაკდა. ღვთისმოშიში ცოლ-ქმრის სულს მწუხარება არ შეხებია. მადლობას სწირავდნენ ღმერთს და ერთმანეთს ამხნევებდნენ. მათ განიზრახეს გამგზავრებულიყვნენ უცხო ქვეყანაში, სადაც მათი წარმომავლობის შესახებ არავის ეცოდინებოდა და სიმყუდროვეში, ღვთივსათნოდ ეცხოვრათ. ევსტათი იმპერატორის უახლოესი კაცი გახლდათ და ქონების დაბრუნება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ წარმავალ დიდებას მწირობა და უფლისთვის ცხოვრება არჩია, რაც მარადიულად გამოადგებოდა.

ევსტათიმ ოჯახთან ერთად, ღამით ფარულად დატოვა სახლი და ეგვიპტისკენ მიმავალ ხომალდს გაჰყვა. გე-

მის კაპიტანი მოიხიბლა ევსტათის მეუღლის მშვენიერებით. როდესაც ნაპირს მიადგნენ, კაპიტანმა მგზავრობის საფასურად ცოლი მოსთხოვა. ევსტათი ვერას გახდა უკეთურ კაპიტანთან. ის და მისი ვაჟები გემიდან ჩამოსვეს, ქალი კი კაპიტანმა თავისთან დაიტოვა და გემი სანაპიროს გაშორდა.

ევსტათი უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ გაახსენდა, რომ ეს განსაცდელი უფლისგან იყო. ამიტომ დათმენა მართებდა. სხვაგვარად ზეციურ სამშობლომდე ვერ მიაღწევდა.

ვაჟებთან ერთად გზა განაგრძო. გზად მდინარე უნდა გადაელახათ. ხიდი ვერ იპოვეს, ამიტომ მცირეწლოვან შვილებს ერთდროულად ვერ გადაიყვანდა მეორე ნაპირზე. ჯერ ერთი ვაჟი გადაიყვანა და ნაპირზე დატოვა. მეორე შვილის გადასაყვანად რომ ბრუნდებოდა, შუაგულ მდინარეში შესულმა თვალი მოჰკრა, როგორ გამოვარდა საიდანღაც ლომი, მის ვაჟს პირი დაავლო და უდაბნოში გაუჩინარდა. მეორე ვაჟი მგელმა მოსტაცა.

მწარედ ატირდა ევსტათი, მაგრამ კვლავ გაახსენდა, რომ ყველაფერი უფლის განგებულებით ხდებოდა და მდგომარეობა ლოცვით შეიმსუბუქა. უფლის შეწევნით მისი ერთი ვაჟი მწყემსებმა გადაარჩინეს, მეორე კი — ეგვიპტელმა მიწის მუშებმა. უფლის განგებამ დაიფარა მისი ცოლიც. გემის კაპიტანი მალე მძიმე სნეულებით ისე მიიცვალა, რომ თეოპიტიასთვის თითის დაკარებაც ვერ მოასწრო. ევსტათიმ ამის შესახებ არაფერი უწყოდა...

ევსტათი პლაკიდა სოფელ ვადისისში დასახლდა. საკუთარი შრომით ირჩენდა თავს. მალე რომის იმპერატორ ტრაიანეს უცხოტომელებმა ომი გაუჩაღეს. მათ რამდენიმე ქალაქის ხელში ჩაგდება მოახერხეს. ტრაიანეს თავისი მამაცი სარდალი — პლაკიდა გაახსენდა და მისი მოძებნა გადაწყვიტა. იმპერატორმა ბრძანება გასცა: ვინც ჩემს ერთგულ პლაკიდას იპოვის, დიდი პატივითა და თვალ-მარგალიტით დავაჯილდოებო. ყოფილი მხედართმთავრის მოსაძებნად მისი უახლოესი მეგობრები — ანტიოქე და აკაკი გაემართნენ.

დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ, მართლაც იპოვეს მხედრებმა ძლევამოსილი სარდალი. ის მეგობრების თხოვნით რომში დაბრუნდა. იმპერატორმა დიდი პატივით მიიღო ყოფილი სარდალი, ძველი თანამდებობა უბოძა და იმაზე მეტი ქონება მისცა, რაც ადრე ებადა, როგორც უფალმა უწინასწარმეტყველა — ძველებურ პატივს დაიბრუნებო.

იმპერატორის თხოვნით, ევსტათი პლაკიდა უცხოტომელების წინააღმდეგ საბრძოლველად სამზადისს შეუდგა. მან რომის იმპერიის ყველა ოლქიდან იხმო ახალგაზრდები, რომელთა შორისაც მისი ვაჟები აღაპე და თეოპისტეც იმყოფებოდნენ. მხედართმთავარმა არაფერი უწოდა, რომ ეს ორი ახალგაზრდა მხედარი (მათაც არ იცოდნენ, რომ ძმები იყვნენ, თუმცა ძმებივით უყვარდათ ერთმანეთი), რომლებიც სიმამაცით გამოირჩეოდნენ და ხშირად აძლევდა დავალებებს, მისი ძეები იყვნენ, თუმცა საკუთარი ძეებივით შეიყვარა...

გამარჯვებულ რომაელთა ჯარი დედაქალაქში ბრუნდებოდა. გზად შეისვენეს და კარვები გაშალეს. აღაპმა და თეოპისტემ ერთად გამართეს კარავი იმ ბაღის ბოლოს, რომელიც მათ დედას, თეოპისტიას ეკუთვნოდა. საღამოს საუბარი წამოიწყეს. თავ-თავიანთ ხვედრზე მოუთხრობდნენ ერთმანეთს, როგორ დაკარგეს მშობლები და ძმა. მალე გაარკვიეს, რომ ღვიძლი ძმები იყვნენ და სიხარულით გადაეხვივნენ ერთურთს. ძმების საუბარს ყური მოჰკრა თეოპისტიამ, რომელიც იმ დროს ბაღში საქმიანობდა. დედა ყველაფერს მიხვდა, მაგრამ შვილებთან მისვლის მოერიდა — დაკონკილი სამოსით სახელგანთქმულ მეომრებთან როგორ მივიდეო.

ქალმა რომში დაბრუნება გადაწყვიტა: იქნებ იქ მაინც შევიტყო საყვარელი მეუღლის ამბავი, შვილებთანაც ახლოს ვიქნებიო. მხედართმთავარი ევსტათის წინაშე მუხლებზე დაემხო და რომში დაბრუნების ნება სთხოვა. როდესაც მისი თანხმობა მიიღო, ფეხზე წამოდგა და თვალი გაუსწორა მთავარსარდალს. რას ხედავს — მის წინაშე ევსტათი პლაკიდა დგას!.. ქალი კარვიდან გამოვიდა და უფლის წინაშე ლოცვად დავარდა. შემდეგ კვლავ მხედართმთავრის წინაშე წარდგა. — „კიდევ რას მთხოვ დედაკაცო?“ — ჰკითხა ევსტათიმ. ქალმა ყოველივე მოუთხრო, სარდალმაც იცნო მეუღლე და გადაეხვია. ქალმა შვილების ამბავიც გაანდო. უფლის შეწევნით წმინდა ოჯახი კვლავ ერთად შეიკრიბა...

რომში დაბრუნებულ ევსტათის იმპერატორი ტრაიანე გარდაცვლილი დახვდა. მის ნაცვლად იმპერატორის ტახტზე ადრიანე იჯდა. ახალმა იმპერატორმა გადაწყვიტა გამარჯვების ნიშნად ზეიმი მოეწყო და „ღმერთებისთვის“ სამადლობელი მსხვერპლი შეეწირა. საკერპოსკენ დიდებულებთან ერთად გაემართა, ევსტათიმ საკერპოში შესვლაზე უარი განაცხადა. იმპერატორმა მიზეზი ჰკითხა: — მე ქრისტიანი ვარ და მხოლოდ ერთ ღმერთს — იესო ქრისტეს ვმადლობ და ვეთაყვანები, მან ყოველივე მიბოძა. ბრმა, ყრუ-მუნჯ და უძლურ კერპებს კი არ ვცნობო, — მიუგო ევსტათიმ.

განრისხებულმა იმპერატორმა მთავარსარდალს ყველა მიწიერი დიდება აართვა, შემდეგ კი ცოლ-შვილთან ერთად სასამართლოს წინაშე წარადგინა. ვერაფრით დაიყოლიეს უფლის მოშიში მონები, რომ მსხვერპლი შეეწირათ კერპებისთვის. იმპერატორის ბრძანებით მხეცებს მიუყარეს დასაგლეჯად, მაგრამ მხეცები ახლოსაც არ გაჰკარებიან წმინდანებს. ამის შემდეგ გახურებულ ღუმელში შეყარეს. ევსტათი და მისი ცოლ-შვილი ლოცვითა და გალობით ადიდებდნენ უფალს. როდესაც ცეცხლი ჩაქრა, მოწამეობის ადგილი ყველამ დატოვა.

სამი დღის შემდეგ ანდრიანემ ევსტათი პლაკიდას დაფერფლილი სხეულის ნახვა მოისურვა. როდესაც ღუმლის კარი გახსნეს, ფერფლის ნაცვლად მოწამეთა უვნებელი სხეულები იხილეს. თმის ღერიც კი არ შესტრუსოდათ. წმინდა ნეშტები საოცარი ნათლით ბრწყინავდა. ხალხმა ერთხმად განადიდა ჭეშმარიტი ღმერთი ამ სიტყვებით — დიდია ქრისტიანთა ღმერთი!

ქრისტეს მიმდევრებმა წმინდა მოწამეთა ნეშტები მალულად მიაბარეს მიწას. წმინდანთა წმინდა ნაწილები ამჟამად რომში, მათსავე სახელობის ტაძარშია დაბრძანებული. რამდენიმე ნაწილი კი როგორც მოგახსენეთ, საქართველოში, ერთაწმინდის ტაძარში ინახება.

მცირედს ერთაწმინდის ტაძრის შესახებაც მოგითხრობთ. იგი XIII საუკუნის ნახევარში აუგიათ. ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა. მას სამი შესასვლელი აქვს — დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. მას აქვს რამდენიმე სამრეკლო.

ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულია ნადირობიდან დაბრუნებული წმინდა ევსტათი, რომელიც ცოლს ნადირობისას ნანახი სასწაულებრივი ხილვის შესახებ მოუთხრობს. აქვე გამოსახულნი არიან — აღაპი და თეოფისტეც. შორიახლოს გამოსახულია მეორე რეგისტრიც, სადაც წმინდა ევსტათი თავისი ოჯახით მღვდელმთავრის წინაშე დგას. მესამე რეგისტრზე კი ფრონტალურად მდგომი ოთხივე წმინდანია გამოსახული.

ტაძრის გალავანი ფეოდალური ხანის გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება. მას შვიდი კოშკი ჰქონია, დღეისათვის დასავლეთის მხარეს მხოლოდ ორი კოშკის ნაშთიღაა შემორჩენილი. ტაძარს აქვს ცალკე სამრეკლოც — იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, თუმცა პირვანდელი სახით არ არის შემორჩენილი, გადმოცემით, ძველი სამრეკლო რამდენიმე წლის წინ დაუნგრევიათ და მის ადგილას ანალოგიური ტიპის ახალი, უფრო ფართო სამრეკლო აუგიათ, რადგან ძველ სამრეკლოში ახალი ზარი ვერ ჩატეულა. ■

# მორიელის ნიშანი



დასაწყისი „გზა" №24-39

## სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

უკვე შუაღამე იყო. ირაკლიმ ლოგინი მარის საძინებელში გაუშალა თაკოს, თავად კი მისაღებში გადაწყვიტა დაწოლა. თაკო სააბაზანოში შევიდა, მამაკაცი კი ფიქრს მიეცა. მათ ერთ ჭერქვეშ უნდა გაეთენებინათ ღამე, რაც ძალზე უძნელდებოდა — იყო ასე ახლოს მასთან და... თან არც იყო. არა უშავს, განა იშვიათად შეუკავებია თავი მისი სიახლოვისგან? ახლაც როგორმე გაუძლებს, ასე ხომ დიდხანს არ გაგრძელდება. სამაგიეროდ, ყურს მიუგდებს მის სუნთქვას და იოცნებებს იმ ღამეებზე, რომლებიც პატარა პრინცესასთან ერთად მომავალში ელის.

თაკო სააბაზანოდან გამოვიდა. ტანზე მარის ზოლებიანი ხალათი მოესხა, რომელიც ისე უხდებოდა, თითქოს მის სხეულზე გამოეჭრათ. გოგონა სარკესთან დადგა და სველი თმის დავარცხნას შეუდგა, თან ყურადღებით აკვირდებოდა საკუთარ თავს.

ირაკლი მდუმარედ მისჩერებოდა პატარას. იგი ყოველთვის ასე იქცეოდა — იყურებოდა სარკეში და ისე ათვალიერებდა საკუთარ ორეულს, თითქოს დაქალი ყოფილიყო, რომელსაც აზრებს უზიარებდა. მამაკაციც ხედავდა გოგონას გამოსახულებას და ეს გამოსახულება ვიღაცას უღიმოდა, ოღონდ არა მორიელს. ნეტავ, ვის?

თაკომ იცოდა, მამაკაცი რომ უყურებდა და იღიმოდა. მას უღიმოდა? მორიელი დაიძაბა. რაღაც იდუმალი იყო მის ღიმილში, რაღაც გამომწვევი, თანხმობის მსგავსი. იქნებ მზადყოფნის ნიშანი? სიტყვით ვერ გამოხატა პირადმა მცველმა, რა იკითხებოდა გოგონას ღიმილში და სწორედ ეს არ მოეწონა. უცნაურია... რატომ? არადა, უნდა გახარებოდა. ჰო, მართალია, როგორც ირაკლის, უნდა გახარებოდა, მაგრამ როგორც ანრის... მათ ხომ სულ რამდენიმე საათია, ერთმანეთი გაიცნეს... ხელოვნური ჩანს ეს ღიმილი, რაღაცნაირად ყალბი.

თაკომ სარკეში მზერა მასზე გადაიტანა. თვალი თვალში გაუყარა. „ვიცი, რასაც ელოდები", იკითხებოდა მის გამოხედვაში.

„არა, პატარავ, შენ ცდები", — გაიფიქრა მორიელმა, — ღარაფერს ველი".

თაკო ერთხანს ყოყმანობდა, მერე კი ნელი ნაბიჯებით, მაგრამ გაბედულად მიუახლოვდა პირად მცველს და სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა. მისკენ დაიხარა, თან გამომცდელად ათვალიერებდა ერთიანად დაძაბულ მამაკაცს.

— მოგწონვარ მაინც? — დაიჩურჩულა მან, მერე მარჯვენა ხელის თითებით მისი პერანგის ღილებს მისწვდა და ნელნელა დაუწყო გახსნა.

ერთი ღილი გახსნა.

მერე კიდევ ერთი.

მერე ყველა.

ირაკლი ხმას არ იღებდა. ის გამალებით იხსენებდა რაღაცას.

გოგონამ მამაკაცის მკერდზე თითები წრიულად გაასრიალა...

— თაკო... — ხმადაბლა დაიწყო ირაკლიმ. — თუ გგონია, ამისთვის მოგიყვანე აქ, ძალიან ცდები.

— მე შენ მომწონხარ, არ მითხრა, რომ ეს არ გინდოდა. განა ამისთვის არ დამპატიჟე შენთან? — დაიჩურჩულა პრინცესამ და ტუჩებით მის გულის კოვზს შეეხო.

მოიცა! მორიელს გაახსენდა! ერთხელ უკვე მოხდა ასე! ზუსტად ასე! მაშინ, როცა თაკო პირველად შეეჭრა ირაკლის ოთახში. მაშინაც მსგავსი ხალათი ეცვა, ოღონდ მამამისის... სიტყვებიც თითქმის იგივე იყო, გამოხედვაც, მოძრაობაც...

პირად მცველს სისხლი მოაწვა. ძნელი იყო თავის შეკავება. ახლავე უნდა ეღონა რამე, თორემ შეიძლებოდა საბედისწერო შეცდომა დაეშვა... მაგრამ, მისდა გასაოცრად, ადგილიდან არ იძვროდა... როგორც მაშინ.

თაკო თავისი ქცევით თითქოს მადლიერების გამოხატვას ცდილობდა, რომ სრულიად უცხო მამაკაცმა იგი შეიფარა, დააპურა და ღამის გათევის შესაძლებლობა მისცა.

რა საჭიროა? მორიელს ხომ არ უთხოვია მისგან ეს? არა, ეს არ შედის მის გეგმაში, მან ამაზე ოცნებაც კი აუკრძალა საკუთარ თავს, ეს ბავშვი კი რა დღეშია? ნუთუ ნებისმიერთან გააკეთებდა ამას, აქ რომ მის მაგივრად სხვა ყოფილიყო?

პირად მცველს ცივმა ოფლმა დაასხა. თუ არაფერი ახსოვს, საიდან იცის, როგორ მოიქცეს მამაკაცთან მარტო დარჩენისას? იქნებ...

იქნებ ასე ჯობია? იქნებ სექსის დროს ყველაფერი გაახსენდეს?

არა, არა. ვაითუ, უარესად იმოქმედოს აღგზნებამ მასზე. თავსაც რომ ვერ იმორჩილებს?! მორიელს სურდა მასთან სიახლოვე, დიდი ხანია, სურდა და ეს სურვილი კლავდა, მაგრამ...

მაგრამ პრინცესას საქციელი სულაც არ იყო სიყვარულით გამოწვეული, იგი მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა. პატარა დარწმუნებული იყო, რომ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ასე უნდა მოქცეულიყო და არავითარ შემთხვევაში სხვანაირად!

თაკოს ხალათი გადაეცლელა. მისი ასხლეტილი სხეული სანთლის ალივით ვა-

ნათდა. გოგონა აღარ იღიმებოდა, იგი სერიოზული გამომეტყველებით მისჩერებოდა მამაკაცს.

„არა, პატარავ, არა! ჩვენ ასე არ დავიწყებთ ურთიერთობას!“ — ამოიხვნეშა შეფიქრიანებულმა, გოგონას ხალათში სწვდა, შიშველი მკერდი დაუმალა და წამოდგა.

— თქვენთვის ლოგინი საძინებელშია გაშლილი, — ცივად წარმოთქვა და სააბაზანოში მიიმალა.

გოგონა ერთხანს გაქვავებული იდგა, მერე კი აივნისკენ დაიძრა, კარი გამოაღო და გარეთ გავიდა. დაბნეულობამ და სირცხვილმა ერთდროულად მოიცვა, ვერ მიხვდა, სისულელე უფრო იყო მისი საქციელი, თუ ცუდი, მიუღებელი. ან იქნებ ორივე ერთად? ბოლოს მაინც პატივმოყვარეობამ სძლია — „ეს ანრია თუ ვიღაცა, რას ქედმაღლობს, მაგის დასაწუნი რა მჭირს?! ღმერთო ჩემო, მან უარი თქვა ჩემზე!“

არადა, სინამდვილეში მართლა არ უნდოდა. უფრო მეტად არ უნდოდა, ვიდრე ამ უცხო მამაკაცს. მაშინ რატომ მოიქცა ასე? იმიტომ, რომ... ეგონა, ანრი ბოლოს მაინც მოსთხოვდა ამას, მან კი დაასწრო. არ უნდოდა, განხიბლულიყო მისით. არც ჭიდაობის ძალა ჰქონდა. ამიტომაც პირველმა შესთავაზა თავი მას. რას მიაღწია? მამაკაცი გაანაწყენა, თავად კი თავი დაიმცირა მხოლოდ, მეტი არაფერი!

ირაკლი სააბაზანოდან გამოსვლას აგვიანებდა. თაკო აღარ დაელოდა, ოთახში შევიდა, შუქი ჩააქრო და დაწვა.

ირაკლი წყლის ქვეშ იდგა და თვალდახუჭული თაკოზე ფიქრობდა. კმაყოფილი იყო, რომ მან ამოიცნო პრინცესას ნააზრევი. კმაყოფილი იყო იმითაც, რომ მისი შეჩერება შეძლო. არ მისცა საშუალება, შეცდომა დაეშვა — არც მას და არც საკუთარ თავს. არ შეიძლება ცხოვრების შეცდომით დაწყება, მით უმეტეს, მისი გამეორება არ შეიძლება.

სააბაზანოდან გამოსულს მისაღებში სიჩუმე და სიწყნარე დახვდა. იქვე, დივანზე მიწვა... დიდხანს არ მიეკარა ძილი, ფიქრობდა.

ფიქრობდა იმაზე, რომ კარგად მოიქცა. იგი ამშვიდებდა თავის ორეულს, რომ არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა. მას იმ წუთებში ვიღაც ანრის როლი უნდა ეთამაშა, კეთილშობილი მამაკაცის, რომელმაც უცხო ქალის უმწეობით არ ისარგებლა. რომ არა ასე, იგი ახლა თაკოს გვერდით იწვებოდა ერთ ლოგინში. ამის გაკეთება კი არ შეიძლებოდა.

მორიელმა ისე ამოიგმინა, ლამის გული ამოაყოლა თან. რა ძნელია, მოიქცე ასე, როცა გიყვარს, თუმცა...

თუმცა სწორედ ეს არის სიყვარული. ირაკლიმდე აღწევდა თაკოს თანაბარი, მშვიდი სუნთქვის ხმა. ერთმანეთისგან ხომ მხოლოდ რამდენიმე მეტრი აშორებდათ და კიდევ... ერთი თხელი, სიფრიფანა კედელი. მისი სიახლოვე სიამოვნებას ანიჭებდა მორიელს, თან ჰძაბავდა. ნუთუ ეძინა პრინცესას? იქნებ თავს იმძინარებს მხოლოდ? მან არ იცოდა ეს, მაგრამ უნდოდა, რომ გოგონას სძინებოდა, რათა ცდუნების წინაშე კიდევ ერთხელ არ დამდგარიყო. ახლა ნებისმიერი სახის კონტაქტი მასთან, თუნდაც სიტყვიერი, შეიძლებოდა საბედისწერო აღმოჩენილიყო. იგი თავს ვერ მოერეოდა. ის, რაც უნდა მომხდარიყო, აუცილებლად მოხდებოდა მომავალში — იქნებოდა ეს ხვალ თუ ზეგ, მაგრამ დღეს არა! სიჩქარე საქმეს გააფუჭებდა. „ჩვენ წინ უამრავი დრო გვაქვს სიყვარულისთვისაც, ლტოლვისთვისაც, სექსისთვისაც და ოჯახური სიტკბოებისთვისაც. ჩვენ წინ ჯერ კიდევ ბევრი დრო გვაქვს, პატარავ... მთელი ცხოვრება...“

ირაკლი ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, კართან მდგარი თაკო შენიშნა, რომელიც გასვლას აპირებდა.

— რას აკეთებ, თაკო, არ წახვიდე! — მუდარა უნებურად გაისმა მის ხმაში.

გოგონა შეჩერდა, მაგრამ არ მობრუნებულა.

— ვიცი, გეწყინა, მაგრამ...

— სულაც არა! — თაკო მოტრიალდა.

— როგორ არა, სახეზე გეტყობა. მაპატიე, მაგრამ მე სხვანაირად არ შემეძლო მოქცევა. როცა ჩემთან წამოსვლა



შემოგთავაზე, ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ...

— მე ის მეწყინა, შენ რომ ასე იფიქრე, სხვა არაფერი, — გააწყვეტინა გოგონამ.

ახლაღა შეამჩნია მორიელმა, რომ „შენობით“ მიმართავდნენ ერთმანეთს... რა ბუნებრივად მოხდა ყველაფერი... თუმცა თაკოს უფრო ადრე ჰქონდა ამის მცდელობა... წუხელ, პერანგის ღილებს რომ უხსნიდა... მერე რა? ასე უკეთესია. მათ რაღაც უკვე გადაიტანეს ერთად, ამიტომაც სრული უფლება აქვთ, შინაურულად მიმართონ ერთმანეთს.

— მე არაფერი მიფიქრია შენზე, საიდან მოიტანე? შენ თავად დაასკვენი, რომ ასე უნდა მოქცეულიყავი, რომ ვალში იყავი ჩემ წინაშე, მაგრამ ნამდვილად არ არის ასე, რა სისულელეა. არავითარი ვალდებულება არ გაკისრია, არავითარი, გესმის? და არც არასდროს იქნები ვალდებული... თუ, რა თქმა უნდა, დარჩები... ჩემთან, — დაასრულა მორიელმა და შვებით ამოისუნთქა.

თაკო ხმას აი იღებდა, თვალებში ცრემლი გაუბრწყინდა.

— დარჩი, — კვლავ სთხოვა ირაკლიმ.

თაკო სკამზე ჩამოჯდა და ასლუკუნდა. პირად მცველს ხელი არ შეუშლია მისთვის. აცალა, სანამ პრინცესა გულამოსკვნით გამოიტირებდა თავის დაურწმუნებლობას, თავის შიშს, თავის მარტოსულობას...

რათა ისინი გამქრალიყვნენ ერთხელ და სამუდამოდ, სამუდამოდ, სამუდამოდ...

თაკო დარჩა.

უამრავი საქმე უნდა მოეგვარებინა ირაკლის. საავადმყოფოში, სახლში, გიოსთან, გიგასთან...

მორიელი დარბოდა, დაფრინავდა, დაქროდა — ის ბედნიერი იყო.

ჯერ მთავარი ექიმი დაამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნება, მენდეთ, ვიცი, რასაც ვაკეთებო. მერე გიგას გაუარა და როცა ყველაფერი უამბო, რჩევა ჰკითხა. ბოლოს გიოსთან მივიდა სამსახურში და სიტუაცია ოფლით შუბლდაცვარულმა აუხსნა. გაუჭირდა ყველაფრის თავიდან მოყოლა. მისთვის ეს მტკივნეული იყო. გიოს თვალები შუბლზე აუვიდა.

— შენ გესმის, რას მეუბნები? — ხმა გაუმკაცრდა მას.

— რომ არ მესმოდეს, არ გეტყოდი. ამ საქმეს არაფერი ეშველება. ის ამიერიდან მე მეკუთვნის და ჩემთან იცხოვრებს. არ მაინტერესებს, რა აზრის იქნებით შენ და მამამისი ამაზე! — ხმას აუწია ირაკლიმ.

— გაგიჟდება გურამი, ძმაო, რას მეუბნები! რა ვუთხრა, იმისთვის იცავდა ის კაცი შენს ქალიშვილს, რომ შეეცდინა-მეთქი?

— მოიცა, მოიცა! რაღაც-რაღაცებს ნუ ურევ, გირჩევ! ჯერ ერთი, მე ის არ შემიცდენია, საკუთარი სურვილით მოხდა ასე, მეორეც... რა არის ცუდი იმაში, რომ ერთმანეთი... — სიტყვა „გვიყვარს“ ვერ წარმოთქვა, გაუჭირდა.

— რა ერთმანეთი, ირაკლი, ნუ გამაგიჟე კაცი! — იფეთქა გიომ. — ის ხომ მთლად ბავშვია!

— აღარ არის ბავშვი. თქვენ გეგონათ ასე, მაგრამ მოტყუვდით. მით უმეტეს, ახლა! ბავშვი კი არა, ქალია, ქალი, რომელიც ჩემგან შვილს ელოდება.

— რა-ა! — ფეხზე წამოიჭრა მამაკაცი, — ვინ გითხრა, საიდან მოიტანე!

— ექიმმა თქვა, — ყრუდ გაისმა მორიელის ხმა.

— ეს ტყუილია. შენ ამით გინდა მისი შენარჩუნება და იგონებ ყველაფერს. არ შეგრჩება, იცოდე, გურამი ამას არ გაპატიებს.

— მერედა, როგორ მაპატიებს... მე მოვუვლი მაგ საქმეს, ოღონდ შენ ხელი არ შემიშალო, კარგი? არ ვიგონებ, მართალს გეუბნები.

— კი მაგრამ, მაისურაძემ მე რატომ არ მითხრა ეს?

— იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო. მეც გუშინ გავიგე, არც მე ვიცოდი მანამდე.

— იცი, რას გეტყვი? მოდი, ასე მოვიქცეთ. სანამ მამამისი ჩამოვა, ეგ გოგო გამოუშვი, მე წავიყვან და მერე რაც გინდა, ის ქენი, არ მაინტერესებს.

— შეუძლებელია, გიო, ვერ ხვდები, რას ითხოვ ჩემგან. ჯერ ერთი, ის შენ ვერ გცნობს და, საერთოდ, ვერავის ცნობს, ამიტომ არ გაგიჩერდება. მეორეც... ერთი ძმა რომ გარეთ არის დარჩენილი და ჯერ კიდევ ვერ უპოვია პოლიციას, ხომ იცი? ის ჯერაც საშიშია. არ არის გამორიცხული, გამოჩნდეს და შურისძიება გადაწყვიტოს. შენ თაკოს ვერ დაიცავ, ხომ მართალია? ამიტომ ყველა ვარიანტში ჩემთან უნდა იყოს. მორჩა, ჩემი სათქმელი გითხარი და შენს მოსმენას არ ვაპირებ. თუ გსურს, გურამს ყველაფერი შეატყობინო, შენი ნებაა. მე წავედი.

გაოგნებული გიო ადგილიდან არ დაძრულა. ირაკლიმ ხელი დაუქნია და კარი გაიხურა.

ესეც ასე, ეს საქმეც მოაგვარა. შანსი არ არის, გიო არ დაურეკავს გურამს და არც არაფერს ეტყვის. თუ რამეა, თავს გაიმართლებს, თავდასხმის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობდა და მთლიანად ირაკლის მივანდე შენი ქალიშვილიო. ჰოდა, ეგრე! ასე ჯობია!

გარეთ გამოსულმა მობილური მოიმარჯვა და სახლში დარეკა. ყურმილი არავინ აიღო.

კიდევ დარეკა... ტელეფონი არ პასუხობდა.

კიდევ...

არავინ მოდიოდა ყურმილთან.

სუნთქვა გაუჩერდა ლამის... სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში და გიჟივით გააქროლა სახლისკენ.

მაგიდაზე ფინჯნის ნამსხვრევები ეყარა. თაკო გაუნძრევლად მიწოლილიყო სავარძელზე.

— ფინჯანი გამიტყდა, — თქვა გოგონამ და წამოიწია.

„ეს პირველი შემთხვევა არ არის“, — გაიფიქრა მამაკაცმა და უპასუხა.

— არა უშავს, მერე რა მოხდა. ვრეკავდი, რატომ არ მიპასუხე?

— რეკავდი? არ ვიცი, ზარი არ გამიგონია, — მხრები აიჩეჩა პრინცესამ.

მართლა! ახლაღა გაახსენდა მორიელს, რომ წუხელ თავად გამორთო აპარატი შესაერთებლიდან, ვინმეს რომ არ შეეწუხებინა. ირაკლი მის გვერდით სკამზე ჩამოჯდა და დაკვირვებით შეათვალიერა გოგონა — მისი სწორი ნაკვთები, გაფითრებული სახე და ჩაშავებული თვალები... გამოდის, მასაც არ სძინებია მთელი ღამე...

— როგორ ხარ? თავს როგორ გრძნობ?

— კარგად. რა იყო, რამე მოხდა?

— ახლა შენ სუფთა ჰაერი გჭირდება. ხომ არ გავისეირნოთ სადმე?

— არა! — კატეგორიული ტონით მოუჭრა თაკომ.

ირაკლის მისი ტონი შეუმჩნეველი არ დარჩენია და სანამ გაიაზრებდა, რატომ მიიღო ასეთი პასუხი, თაკომ თავად დაიწყო ლაპარაკი, უკვე მშვიდი ხმით.

— არ გიფიქრია იმაზე, რომ მე უკვე მეძებენ?

მორიელი ტყუილზე დაჭერილივით წამოჭარხლდა. მართალია ეს გოგო. წესით, მას უკვე უნდა ეძებდენენ — ექიმი, საქმრო, პოლიცია. ბოლოს და ბოლოს, პაციენტი საავადმყოფოდან გაიქცა! განგაში უნდა იყოს გამოცხადებული. ამიტომ ველარ დაამშვიდებს... ხომ არ ეტყვის, მე უკვე ყველაფერი მოვაგვარეო...



რა სულელური სიტუაციაა! რა ილონოს?

იოლი არ იყო თაკოს დარწმუნება. მართალია, როგორღაც მოახერხა, მაგრამ მხოლოდ დროებით. პრობლემები აწი უფრო იჩენს თავს. გოგონას ჯერ არ დაუწყია კითხვების დასმა, მაგრამ ცოტა ხანში... დაიწყებს. მერე რა ეშველება პირად მცველს, როგორ გაართვას ესოდენ რთულ ამოცანას თავი?

ირაკლი დაბლა ჩავიდა, მანქანიდან ნავაჭრი ამოალაგა და შინ შეიტანა. საკვების გარდა, პირადმა მცველმა თაკოზეც იზრუნა — ორი ხელი ტანსაცმელი უყიდა, თან მისი გემოვნება ზედმიწევნით გაითვალისწინა — ორი გრძელმკლავიანი სპორტული მაისური, თბილი ჟაკეტი და ჯინსის შარვალი. შორტის სეზონი აღარ იყო, თორემ იმასაც მოაყოლებდა. ჰოდა, ახლა შეიძლება სწორედ ერთერთი ჩამჭრელი შეკითხვა მოისმინოს მისგან — საიდან იცი, რომ მე სწორედ ასეთი ტანსაცმელი მიყვარს?

მაგრამ მას არაფერი უკითხავს. უბრალოდ, მორცხვად გადაუხადა მადლობა და საძინებელში გავიდა, საჩუქარი რომ მოერგო. მალევე გამოვიდა და გაღიმებული კვლავ სავარძელში მოკალათდა.

— რატომ აკეთებ ამას ჩემთვის? — იკითხა მან.

„იმიტომ, რომ მიყვარხარ... იმიტომ, რომ უშენოდ ძალიან ცუდად ვიყავი... იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ, როცა ჩემ გვერდით გხედავ“ — გაიფიქრა, მაგრამ ამის თქმა არ შეეძლო. მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

— ზუსტად არ ვიცი... უბრალოდ, მსიამოვნებს ამის გაკეთება, სულ ეგ არის.

— მოგწონვარ?

— მომწონხარ.

— ამიტომაც?

— ალბათ.

— შენ ცოლი არ გყავს?

ეს შეკითხვა ყველაზე მეტად გაუხარდა ირაკლის, ტყუილის თქმა არ მოუწევდა.

— არა.

— მე კი... საქმრო მყავს, — შეფიქრიანებულმა წარმოთქვა და დადუმდა.

ირაკლიმ ცოტა ხანს შეიცადა, ვერ მიხვდა, რატომ გააკეთა გოგონამ ეს განცხადება, მერე ფრთხილად ჰკითხა.

— მერე რა?

— იცი? არ მახსოვს, როგორი ურთიერთობა მქონდა მასთან ან სხვებთან. მაგრამ წარმომიდგენია, საერთოდ როგორ ხდება ეს ყველაფერი. გესმის, რას ვგულისხმობ?

— მგონი, ვერა.

— აი... ურთიერთობა... როგორ უყვართ ან არ უყვართ, როგორ უყურებენ, როგორ უსმენენ, როგორ ლაპარაკობენ... როგორი ხმა არსებობს, როგორი ინტონაცია, როგორი თვალები, გამოხედვა... ახლა მიმიხვდი?

თაკო გვერდულად მიჰყრდნობოდა სავარძელს, ცალი ხელი ლოყაზე შემოედო. როგორ უნდოდა ირაკლის, მიახლოებოდა სასურველს და მოჰფერებოდა ნაზად, ძალზე ნაზად... მაგრამ არ შეეძლო, ამიტომ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია მხოლოდ.

— და მე არ ვიცი, როგორ, რანაირად, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენ არ ჰგავხარ სხვა მამაკაცებს. იმათ, ვისაც მე ოდეს-

ლაც ვიცნობდი.

— მართლა? — ირაკლიმ ღიმილი ვერ შეიკავა. — შენი აზრით, ეს კარგია თუ ცუდი?

— კარგია, — სერიოზული სახით თქვა თაკომ, — იმიტომ, რომ არ მომწონს ის, რაც მე ვიცი. უფრო სწორად — ის, რაც მე წარმომიდგენია... შენ უფრო მომწონხარ... — დააყოლა ბოლოს.

— მომისმინე... რა თქმა უნდა, ამის მოსმენა ერთობ სასიამოვნოა, მაგრამ... ჩვენ ხომ სულ ახლახან გავიცანით ერთმანეთი. საიდან დაასკვენი, რომ ყველაზე კარგი ვარ?

თაკომ მხრები აიჩეჩა.

— ყველაზე კარგი ხარ. მორჩა და გათავდა.

პრინციპში, პატარა მართალია. ირაკლი მართლაც გაცილებით უკეთესია, ვიდრე ორი თვის წინ იყო. ახლა მასაც მოსწონს საკუთარი თავი. უფრო თბილი გახდა, უფრო ალერსიანი და ყურადღებიანი... ბევრი რამ გაიაზრა, ბევრს კი მხოლოდ მერე მიხვდა, ყველაფერი რომ მოხდა.

ამ დროს თაკომ წამოიწია.

— მომშივდა. შენ?

— მგონი, მეც. რა ვჭამოთ?

— კარტოფილი შევწვათ.

— შევწვათ და შევწვათ. ძალიან მშია, — მხიარულად წამოიძახა და თაკოსთან ერთად სამზარეულოში გავიდა.

კარტოფილის გათლას ორივე შეუდგა, შიგადაშიგ მათი ხელები ერთმანეთს ეხებოდნენ და ირაკლი ძლივს იკავებდა თავს სურვილისაგან — მოხვეოდა პატარას და გულში ჩაეკრა...

არა, მართლა არასდროს ყოფილა ასეთი ბედნიერი... მაშინაც კი, როცა თაკოსთან დაუვიწყარ ღამეებს ატარებდა. მაშინ რაღაც მაინც აწუხებდა — ცოტა სინდისის ქენჯნა, ცოტა ასაკობრივი სხვაობა, ცოტაც თავდასხმის შიში... ახლა კი... ახლა არაფრის ეშინოდა. იგი ყველაფრისგან გათავისუფლდა. ახლა მხოლოდ მისი არსებობით სულდგმულობდა. პირველად შეიგრძნო მამაკაცმა, რომ ეს ქალი მისთვის იყო გაჩენილი, მას ეკუთვნოდა მხოლოდ და არასდროს, არავითარ შემთხვევაში, არავის დაუთმობდა.

...დღისით სახლიდან გადიოდა, ვითომ სამსახურში გარბოდა. არადა, ნახევარ დღეს გიგასთან ატარებდა პოლიციაში.

— ფული მაინც არ გინდა, მეგობარო? იმ გოგოს შიმშილით ხომ არ კლავ? — ეღიმებოდა დეტექტივს.

— მაქვს, ბატონო, მაქვს. შენ მე ასე ნუ მიყურებ. ფული ყოველთვის მქონდა.

— ის კიდევ გიხდის „პენსიას"? — გურამზე გადაუკრა გიგამ.

— სხვა რა გზა აქვს, ჯერ საქმე არც დამთავრებულია და არც დახურული.

— ჯერ კიდევ არ იცის თქვენი ამბავი? — წარბები აზიდა გამომძიებელმა გაკვირვების ნიშნად.

— არა, აბა, საიდან.

— როგორ, გიო არ ეუბნება?

— შანსი არ არის, ვერ ეტყვის, ყურებით მყავს დაჭერილი. იცის, რომ გურამი ამას არ აპატიებს, ამიტომაც პირში წყალი აქვს ჩაგუბებული.

— მაგრამ მისი შვილი შენთან რომ არის?

— მერე რა? ჩემთან შედარებით უსაფრთხოა მისი ყოფნა, ვიდრე თავის სახლში.

ორივეს გულიანად გაეცინა.

— ვიბლიანზე ახალი არაფერი ისმის?

— აბსოლუტურად არაფერი. მიწამ ჩაყლაპა ეგ შობელძაღლი? სად იმალება ამისთანა ადგილას, რომ ვერაფრით მივაგენით.

— გამოჩნდება, სად წავა.

— კი გამოჩნდება, მაგრამ მეშინია, უადგილო ადგილას არ გამოჩნდეს, — გიგამ მრავლისმეტყველი მზერა ესროლა მეგობარს.

— მით უარესი მისთვის. აბა, მე რას ვაკეთებ? რისთვის ვარსებობ?

— ფრთხილად იყავი მაინც, ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს.

— არც მე მძინავს, ჩემო გიგა, არც მე...

ერთად თანაცხოვრების მეოთხე დღე ინურებოდა. ვახშამზე ორივე მხიარულად ლაპარაკობდა ხან რაზე და ხანაც რაზე. მოულოდნელად გოგონამ საუბრის თემა შეცვალა.

— ანრი, პირადი მცველების სამსახური გაგიგია?

ირაკლის ლამის გული გაუჩერდა, წამით გაუქვავდა მზერა.

— რატომ მეკითხები?

— რა ვიცი, ისე...

— გამიგია, როგორ არა, მაგრამ ასეთ სამსახურებთან შეხება არასდროს მქონია.

— პრესტიჟულია?

— რა?

— პირადი მცველის პროფესია ჩვენში პრესტიჟულია?

— რატომ დაინტერესდი ასე?

— როგორ გგონია, საქართველოში არსებობენ პროფესიონალი პირადი მცველები?

— ალბათ არსებობენ. მაინც ვერ ვხვდები, საიდან მოგაფიქრდა ამაზე ყურადღების გამახვილება... — ჩაეძია მორიელი.

— რა ვიცი, თითქოს რაღაც გამახსენდა ბუნდოვნად...

გვარიანად შეღამდა. ვახშმობას მორჩნენ, სუფრა აალაგეს და ორივენი ტელევიზორის წინ მოკალათდნენ. ერთმანეთთან ახლოს ისხდნენ, ისე ახლოს, რომ ერთმანეთის სითბოს გრძნობდნენ, სიახლოვეს.

— ანრი, — მოულოდნელად თაკო ირაკლის მხარზე შეეხო.

— რა იყო? — მამაკაცს ერუანტელმა დაუარა.

— მე შენ ხელს არ შეგიშლი, თუკი აქ კიდევ დავრჩები?

— რა თქმა უნდა, არა. მე თვითონ არ გთხოვე, დარჩი-მეთქი?!

— იმიტომ, რომ მოგწონვარ?

— იმიტომ, რომ მომწონხარ, — გაუღიმა მამაკაცმა და ოდნავ მისკენ გადაიხარა.

თაკოს სუნთქვა სახეში ეცა, მისმა სურნელმა კი ცხვირში შეუღიტინა. თავბრუდახვეულმა უნებურად თვალები დახუჭა.

— საყვარელიც არ გყავს?

— არა. არც საყვარელი მყავს, არც ცოლი, არც შეყვარებული და არც ვინმე სხვა ქალი.

— რატომ?

— რა ვიცი, ასე მოხდა. შენ გინდოდა, რომ მყოლოდა?

— არა, არ მინდოდა... თორემ ვიეჭვიანებდი.

— აჰა, გამოდის, რომ ეჭვიანობაც იცი, რა არის, არა?

— როგორ არ ვიცი, ასეთი რამეები ვიცი... შენ?

— რა მე?

— შენ ხარ ეჭვიანი?

— მე? არც კი ვიცი...

არა, ირაკლი მართლა არ არის ეჭვიანი... სწორედ ამის გამო დაკარგა თავის დროზე ნანა... ქალი, რომელიც დიდხანს ვერ დაივიწყა...

— აი, ვინმე რომ გყვარებოდა, მაგალითად, მე რომ გყვარებოდი, აუცილებლად იეჭვიანებდი ჩემს საქმროზე...

„რა კარგია! საკუთარ თავზე ეჭვიანობას მაიძულებს ეს მამაძაღლი! მეტისმეტია, მაგრამ როგორ ავუხსნა?"

— ალბათ, — თქვა ირაკლიმ, რომ რაღაც ეთქვა.

— რატომ არაფერს მეკითხები მასზე? იქნებ იმიტომ, რომ უკვე ეჭვიანობ?

— შენ ხომ არაფერი გახსოვს, რაღა უნდა მეკითხა?

— მაგაში მართალი ხარ, — ამოიოხრა პატარამ.

— სვირინგები თუ მოგწონს? — მოულოდნელად საშიში შეკითხვა დასვა თაკომ.

— რა-ა? — ლამის წამოიყვირა ირაკლიმ.

კიდევ კარგი, შემოდგომის მიწურულია და ცივა, კიდევ კარგი, თბილი სამოსის სეზონია, თორემ ხომ შეამჩნევდა თაკო მის მკლავზე ამოტვიფრულ მორიელს! რა ქნას, მოუწევს ტყუილის თქმა.

— ტატუირება არასდროს გაგიკეთებია?

— არა, არ მიყვარს ასეთი რამ. ძველი ბიჭი ხომ არ ვარ... — მამაკაცი შეძრწუნდა.

— მე კი... მგონი...

— რა მგონი, რამე გახსენდება?

— არა, არაფერი... — თავი გადააქნია გოგონამ და ეკრანს გახედა.

დაიწყო... ირაკლი ძალიან ბევრ ტყუილს ეუბნება მას. რა იქნება შემდეგ? როგორ იქნება? როცა დადგება დრო და სიმართლის თქმა მოუწევს? დადგება კი? რა ძნელი იქნება ის წუთები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სავარჯიშო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

## (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ამერიკელ მამაკაცთა შორის ჩატარებულ გამოკითხვაში, თუ ვისთან ერთად ისურვებდნენ უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრას, პირველი ადგილი დიდმკერდიანმა შავკანიანმა ლამაზმანმა დაიკავა. დაასახელეთ იგი.

2. „არა, ადამიანისთვის ყველაფერი ცოტაა! კაცის ბუნება ასეთია, რომ ბედნიერებაც ვერ გააძლებს და დააკმაყოფილებს," — რომელი გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიის აღწერისას წერდა ამას პლუტარქე?

3. პირველ მსოფლიო ომში ფრანგული ზარბაზნები საკმაოდ ეფექტური იარაღი იყო, მაგრამ უკუცემის შემდეგ ზარბაზნის ბორბლები უკან იხევდა, რის შემდეგაც დამიზნება ხელახლა ხდებოდა საჭირო. გერმანელებს მსგავსი პრობლემა არ ჰქონიათ. რატომ?

4. რომელი საფეხბურთო კლუბის მეტსახელია „ბებერი ქალბატონი"?

5. პეტერბურგში ჩასული ეს რუსი მწერალი იძულებული იყო, რამდენიმე დღე სახლში მჯდარიყო, რადგან გზაში ცხვირი მოეყინა. დაასახელეთ იგი.

6. ჩინგის ყაენმა თავად არ იცოდა უცხო ენები, მაგრამ შვილებს აიძულებდა ესწავლათ. რატომ?

7. რამდენი კაპიკი იყო ერთი უზალთუნი?

8. რამდენი ქულაა ძიუდოში „ვაზარი"?

9. ეს ქართველი მწერალი ახლომხედველი იყო, მაგრამ ცოცხალი თავით სათვალეს არ ატარებდა. დაასახელეთ იგი.

10. რუსეთის იმპერატორმა პეტრე ჩაიკოვსკი საკუთარი ხარჯებით დაკრძალა. ამგვარი პატივი მანამდე მხოლოდ ერთ ადამიანს ხვდა წილად. დაასახელეთ იგი.

11. ერთხელ ჩერჩილი ბალ-მასკარადზე დაპატიჟეს, რომელსაც ლონდონის ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლედი ასტორი აწყობდა. „რომელი ნიღაბი გავიკეთო, რომ ვერ მიცნონ?" — ჰკითხა ჩერჩილმა მასპინძელს, რომელთანაც არცთუ ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. რა ურჩია პრემიერ-მინისტრს მასპინძელმა?

12. „საპატიო წითელარმიელის" წოდება რუსეთში სამოქალაქო ომის დროს შემოიღეს. პირველი საპატიო წითელარმიელი 1919 წლის 19 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის საგანგებო დანიშნულების წითელ კომუნართა პოლკის გაერთიანებულ კრებაზე აირჩიეს. ვინ იყო იგი?

13. ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ, ბევრმა ინგლისელმა ოფიცერმა ტროფეის სახით სამშობლოში ჩაიტანა ჩასადგმელი კბილები. რისთვის სჭირდებოდათ მათ ამ სახის ნადავლი?

# ანეკდოტები

***



— მიხო, ვინ ჩაგილურჯა თვალი?!

— ჩემმა ძროხამ მოწველის დროს კუდის ქნევა იცის და რომ არ აექნია, ზედ აგური მივაბი.

***

ორი მამაკაცი საუბრობს:

— ცოლი მომყავს!

— ვინ მოგყავს!

— მელიტოპოლელი ტატიანა.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი. გათახსირებული ქალია. მაგასთან მთელი მელიტოპოლის მამაკაცები იწვნენ.

ორი თვის შემდეგ ეს ორი მამაკაცი კვლავ შეხვდა ერთმანეთს:

— რა ქენი, დაქორწინდი ტატიანაზე?!

— ჰო.

— რატომ, შე კაცო, ხომ მოგიყევი მაგის ამბავი.

— მოიცა რა, ვიყავი იმ მელიტოპოლში, ერთი ციცქნა ქალაქია.

***

ვაგზლის სალაროში სვანი მოლარეს ფულს აძლევს:

— რა მიმართულებით გინდათ ბილეთი?

— რა შენი საქმეა?!

***

— ჩემი ძაღლი ჩემსავით ჭკვიანია.

— უცნაურია, პატრონები ჩვეულებრივ აქებენ ხოლმე საკუთარ ძაღლებს.

***

გაზეთების ჯიხურში:

— უკაცრავად, გუშინდელი გაზეთი ხომ არ გაქვთ?

— არა, მაგრამ თუ გინდა, ხვალ მოდი და დღევანდელს შეგინახავ.

***

ექიმი ეუბნება პაციენტის მეუღლეს:

— იცით, თქვენს ქმარს ერთი საათის სიცოცხლეღა დარჩა.

— არა უშავს ექიმო, სადაც 8 წელიწადი მომითმენია, ერთ საათსაც როგორმე მოვითმენ.

***

მღვდელი და მძღოლი ერთმანეთს საიქიოში შეხვდნენ. მღვდელს ჯოჯოხეთში უკრეს თავი, მძღოლი სამოთხეში გაგზავნეს.

— რატომ, უფალო? — გული დასწყდა მღვდელს.

— იმიტომ, რომ შენი ქადაგების დროს ხალხს ლოცვის ნაცვლად ეძინა, მაგის მანქანაში კი ძილის ნაცვლად ლოცულობდა.

***

— საშიკომ მთელი თავისი ავლადიდება ბავშვთა სახლს დაუტოვა!

— მაინც, რა?

— თორმეტი შვილი.

***

უძველესი ყორღანის გათხრისას არქეოლოგებმა ერთი ბოთლი არაყი აღმოაჩინეს. გათხრები გრძელდება.

***

ორი ნარკომანი ცათამბჯენის სახურავზე ზის. ერთი ეკითხება მეორეს:

— აქედან რომ გადავხტე, მიწამდე რამდენი ხანი დამჭირდება?

— სამი დღე და ღამე!

— მერე მოვკვდები?!

— აბა, ამდენ ხანს უჭმელ-უსმელი როგორ გაძლებ?

***

— როგორც იქნა, თეატრში როლი მაღირსეს. პრემიერაზე უნდა დაგპატიჟო.

— ვის თამაშობ?

— ერთი მსუქანი, მახინჯი, ქერათმიანი ქალის როლს.

— პრინციპში, მარტო თმის შეღებვა დაგჭირდება.



***

ციხის საკანში ახალმისულს ეკითხებიან:

— რაზე დაგიჭირეს?

— ბრაკონიერობაზე.

— რამდენი მოგისაჯეს?

— 15 წელი.

— ბრაკონიერობაზე მაგდენს არ აძლევენ.

— ვიცი, მაგრამ როდესაც სათევზაოდ წავედი და წყალში დინამიტი ჩავაგდე, თევზებთან ერთად სამი მყვინთავიც ამოტივტივდა.

***

ორი შინაბერა ღობესთან ზის და უყურებს, როგორ მისდევს მამალი დედალს. ქათმებმა ორჯერ შემოურბინეს სახლს გარშემო, სადაცაა მამალი დაეწევა, მაგრამ დედალი ღობის ქვეშ გაძვრა, შუა გზაზე გავარდა და მიმავალ ავტომობილს პირდაპირ ბორბლებში ჩაუვარდა.

— სიკვდილი ამჯობინა! — გადაულაპარაკა ერთმა შინაბერამ მეორეს.

***

— რამდენ კათხა ლუდს ყიდით დღეში?

— ორასს!

— გინდათ გითხრათ, როგორ გაყიდოთ სამასი?!

— რა თქმა უნდა!

— გაავსეთ კათხა!

***

ჭიჭიკიას დანა პირს არ უხსნის.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— სიდედრი დაჯდა ჩემი მანქანის საჭესთან, ავარიაში მოყვა, ადგილზე დაიღუპა და მეც დამღუპა.

— რას მეუბნები! რა ხნის იყო?!

— სულ ახალთახალი იყო, 5000 კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი!

***

ცოლი ეუბნება ქმარს:

— შენმა ძმაკაცმა დარეკა, ბარი დაკეტილია და სათევზაოდ აღარ მივდივართო.

***

— მიხო, შენი ცოლი გამოუშვი, ვენახში მივდივართ სამუშაოდ! — დაუძახა ბრიგადირმა.

— რაზე მიდიხართ? — ჰკითხა მიხომ.

— ქალები გადახრაზე, კაცები მიკვრაზე.

— დღეს მე მჭირდება, მეც გადახრაზე უნდა ვიმუშაო.

***

ერთ ტყეში საშინელი კაციჭამია ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა კეთილშობილი რაინდი, შეებრძოლა კაციჭამიას, მოკლა და შეჭამა.



***

დედა ოროსან შვილს ლანძღავს:

— მამაშენივით უტვინო და დეგენერატი ხარ!

მეორე ოთახიდან ისმის მეუღლის აღშფოთებული ხმა:

— ეს მე ვარ უტვინო და დეგენერატი?

— შენზე ვინ რას ამბობს!

***

პატარა გოგონა ზოომაღაზიაში შედის.

— ბაჭიის ყიდვა მინდა.

— რომელი გირჩევნია აი, ის ნაცრისფერი, ელამი თვალებით, თუ თეთრი და გრძელყურება?

— სულერთია, ჩემს პითონს უნდა ვაჭამო.

***

ღამით ჩვილი ტირის. დედა ვერ აჩუმებს და გაბრაზებული ქმარს ეუბნება:

— დაარწიე, რა, ბავშვი, ნახევარი ხომ მაინც შენია!

— თავი დამანებე, ქალო. შენ შენი ნახევარი დაარწიე, ჩემმა ნახევარმა იტიროს!

## ქონების საპრიზო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

**(პასუხები)**

1. ჰოლი ბერი.
2. კეისრის ბიოგრაფიის აღწერისას.
3. გერმანულ ზარბაზნებზე გასროლის შემდეგ უკუცემისას მხოლოდ ლულა მოძრაობდა.
4. „იუვენტუსის".
5. ნიკოლოზ გოგოლი.
6. რათა ისინი დაპყრობილი ქვეყნების მართვისას თარჯიმნებს არ მოეტყუებინათ.
7. ათი.
8. შვიდი.
9. ალექსანდრე ყაზბეგი.
10. ალექსანდრ პუშკინი.
11. „მობრძანდით ფხიზელი!"
12. ვლადიმერ ლენინი.
13. ამ კბილებს მათგან დანტისტები ოც გირვანქა სტერლინგად ყიდულობდნენ.

***

სვანი მიდის გზაზე და ხედავს, ვიღაც კაცი გაჩერებულ მანქანასთან დახრილა და დაშვებულ საბურავს უტრიალებს. სვანი მიუახლოვდა და ჩურჩულით ეკითხება:

— რას აკეთებ?

— ვერა ხედავ, საბურავს ვხსნი.

სვანმა მოზრდილი ქვა მოძებნა და მანქანის პარპრიზს დაუშვა. შუშა ნამსხვრევებად იქცა.

— რას შვრები?! — ხელში ეცა გულგახეთქილი კაცი.

— როგორ თუ რას, შენ თუ „პაკრიშკას" ხსნი, მე მაგნიტოფონს ამოვიღებ!

## ჩვენი ფოტო გალერეა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ვერის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

# წარბების ფორმა და სახის ოვალი

თუკი წარბების ფორმა თანამედროვე მოდის მოთხოვნებს არ შეესაბამება, შესაძლებელია მათი კორექცია. თადაპირველად, საჭიროა წარბების ბუნებრივი ფორმის შესწავლა. სასურველია კონტურული ფანქრის მეშვეობით რამდენიმე ცდის ჩატარება. წარბის შეფერილობის შესარჩევად შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი ან მუქი შინდისფერი ფანქრები გამოიყენება. ამავე დროს, შესაძლებელია, მაკიაჟის მეშვეობით — წარბების დამოკლების, დაგრძელების, დაწვრილების ან გასქელების გზით, სასურველი ფორმის მიღება. მაგრამ ამ პროცედურის დაწყებამდე აუცილებელია, ქალმა წინასწარ იცოდეს, სახელდობრ რა უნდა გაკეთდეს.



- შეერთებული წარბები სახეს პირქუშ გამომეტყველებას ანიჭებს (საჭიროა მათი დაშორება) და ამასთანავე, თითქოს ავიწროებს; ძლიერ დაშორებული კი — ფართო სახის ვიზუალურ ეფექტს იძლევა.
- გრძელი, მორკალული წარბები ასაკს მატებს და სახეს მკაცრ იერს სძენს.
- მაღლა აზიდული, მორკალული წარბები ადამიანს არაბუნებრივ, გაკვირვებულ გამომეტყველებას ანიჭებს, ხოლო დაბალი, თვალებთან ახლოს განლაგებული წარბები გაბრაზებულ იერს აძლევს.
- მრგვალი პირისახის მქონე ქალმა წარბებს მორკალული ფორმა არ უნდა მისცეს, რადგან ამგვარი კონტური სახეს კიდევ უფრო ამრგვალებს. უმჯობესია, წარბებს მაქსიმალურად ალმავალი ფორმა მიეცეს ან მხოლოდ ბოლოებში მომრგვალდეს.
- თუ სახე მოგრძო ფორმისაა, წარბების დამოკლება არამიზანშეწონილია. ამგვარი ფორმის სახე მხოლოდ ზემოთ აზიდულ წარბებს ერწყმის ჰარმონიულად.
- ოვალურ სახეს ყველაზე მეტად წარბის სწორი ხაზი უხდება. ნიკაპთან შევიწროებული სახისთვის კი ჰორიზონტალური ხაზია გამართლებული.

წარბებისთვის გარკვეული ფორმის მიცემით შესაძლებელია შუბლის ფორმის ოპტიკური შეცვლა. მაგალითად, ცხვირის ფუძესთან წარბების დამოკლებით დაბალი შუბლიც კი შესაძლოა, მაღალი გამოჩნდეს.

მათთვის, ვისაც ძალზე მაღალი შუბლი აქვს, რეკომენდებულია წარბების „დაგრძელება“ ცხვირის ფუძესთან.

წარბების ფორმის მეშვეობით ცხვირის ზოგიერთი ნაკლის „გამოსწორებაც“ შეიძლება. ვისაც მსხვილი ცხვირი აქვს, წარბები ერთმანეთს ოდნავ უნდა დააშოროს. ამის შედეგად ცხვირი უფრო თხელი გამოჩნდება.

## როგორ უნდა შეიღებოთ წარბები

არ შეიძლება წარბების ერთ მთლიან ხაზად შეღებვა. ამით სახე არაბუნებრივ იერს იძენს. წარბის დასაწყისი შედარებით ღია ფერის საღებავით ილებება, შუა ნაწილი უფრო მუქით, დაბოლოება კი — წვრილი, მსუბუქი შტრიხით.

შესაღებად გამოიყენება ფანქარი, ტუში ან წარბების სპეციალური საღებავი, რომელიც 3-4 კვირა ძლებს. წარბების შეღებვა თხევადი ტუშითაც შეიძლება. ამ შემთხვევაში ფუნჯი იხმარება.

შეღებვამდე წარბები ლოსიონით ან სხვა კოსმეტიკური საშუალებით გაიწმინდეთ. ამის შემდეგ, ფუნჯის მეშვეობით, ნელ-ნელა დაიწყეთ საღებავის წასმა ცხვირის ფუძიდან წარბის დაბოლოებისკენ, ზრდის მიმართულებით. ღებვის დასრულებისას, საღებავი ჯერ მშრალი, შემდეგ კი საპნიანი ტამპონით მოიცილეთ და კანი თბილი წყლით, ფრთხილად დაიბანეთ.

## როგორ უნდა განსაზღვროთ წარბის ფერი

სანამ წარბის მოსავლელ კოსმეტიკურ საშუალებებს შეიძენდეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ წარბები ერთი ტონით მაინც ღია ფერის უნდა იყოს, ვიდრე თმა. მაკიაჟის გაკეთებისას ანგარიშგასაწევია აგრეთვე თვალების ფერიც. შავგვრემანთათვის რეკომენდებულია ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი საღებავი. შავი წარბები სახეს აბერებს, ნაკვთებს კი მკაცრ იერს ანიჭებს. ქერა ქალებმა უმჯობესია, ღია წაბლისფერი ან ღია ნაცრისფერი საღებავი გამოიყენონ. ცისფერ თვალებს მოლურჯო ფანქარი მოუხდება, მწვანე თვალებს — ბრინჯაოს ელფერის, რუხი ფერისას — ყავისფერი.

## როგორ უნდა შეარჩიოთ წარბების ფორმა

საჭირო ფორმის წარბების მისაღებად ცხვირის ნესტოზე ფანქარი ვერტიკალურად მიიდეთ. ფანქრისა და წარბის გადაკვეთის წერტილი სწორედ ის ადგილია, საიდანაც წარბი უნდა იწყებოდეს. დაბოლოება შემდეგნაირად განისაზღვრება: ფანქრით მოინიშნება ხაზი, რომელიც ნესტოსა და თვალის გარეთა კუთხის გავლით წარბისკენ მიემართება. სწორედ ამ ხაზისა და წარბის გადაკვეთის ადგილას უნდა მთავრდებოდეს წარბის რკალი.


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. რეიტინგი | 1.00 | 26.0 |
| 2. გზა | 0.80 | 20.8 |
| 3. Женский журнал | 11.65 | 69.7 |
| 4. Женское здоровье | 7.00 | 41.8 |
| 5. Сандра | 4.00 | 24.0 |
| 6. Все для женщины | 0.80 | 19.9 |
| 7. Гламур | 7.20 | 43.2 |

პრესის გავრცელების სააგენტო

შ.პ.ს. „ელვასერვისი"

ქ. თბილისი

იოსებიძის ქ. № 49

ტელ: 42-43-40;

38-26-73; 38-26-74.

ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# ნუ გაუნწყრებით მამაკაცებს თუ...



## მასთან ნორმალურად ლაპარაკი შეუძლებელია

სხვათა შორის, მასაც უჭირს თქვენთან საუბარი, რადგან ქალის ტვინის ორ ნახევარსფეროს შორის ურთიერთობა უკეთაა „აწყობილი“ და კიდევ: მათ სპეციალური სამეტყველო ცენტრი აქვს. ქალი მამაკაცზე სწრაფად ლაპარაკობს, თანაც ერთდროულად ყველაფრის შესახებ. მამაკაცის ტვინი კი უფრო მიზანმიმართულად მუშაობს და ყოველთვის ცდილობს, შემოთავაზებულში რაციონალური საწყისი იპოვოს. მამაკაცი დუმილით ისმენს და პრაქტიკულად, სახის გამომეტყველებას არ იცვლის, ქალი კი თავის ყურადღებას განუწყვეტლივ სხვადასხვა მიმიკითა და კომენტარებით გამოხატავს. ამიტომ მამაკაცის ინერტული სახის დანახვისას, ქალმა შეიძლება იფიქროს, რომ თანამოსაუბრეს ის საერთოდ არ აინტერესებს და გაბრაზდეს. სინამდვილეში, როგორც ამას მამაკაცის ტვინის სკანირება მოწმობს, ის ყურადღებით უსმენს და ზედმიწევნით მონდომებულია, რაიმე გაიგოს.

## განუწყვეტლივ თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს

მართალია, მამაკაცს არა გააჩნია ცალკე სამეტყველო ცენტრი, მაგრამ მის ტვინში არის სპეციალური სფერო, რომელიც სივრცეში ორიენტაციაზეა პასუხისმგებელი. ამ ცენტრის შესაძლებლობების გამოყენება მას განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ უყვარს ფეხბურთი, კომპიუტერული თამაშები და ნადირობა. ამასათანავე, რაც უფრო მეტი პრობლემა ექმნება და რაც უფრო მეტად ვერ ეგუება გარემო პირობებს, მით უფრო ბეჯითად გულშემატკივრობს თავის საყვარელ ფეხბურთის გუნდს და მით მეტ დროს უთმობს კომპიუტერს.

## შეუძლია, მშვიდად იძინოს, მაშინაც კი, როცა ბავშვი ყურისწამღებად წივის

თავს არ იკატუნებს, ტირილის ხმა მართლა არ ესმის; მისი ტვინი ამ ხმაურს ვერ აფიქსირებს, ვინაიდან მასში არავითარი საფრთხე არ იმალება. ქალმა კი პირიქით — შეიძლება ბავშვის ატირებამდე ერთი საათით ადრეც გაიღვიძოს.

## ვერ იმახსოვრებს თქვენი ნათესავების სახელებს

ნათესაური ურთიერთობების მოგვარება ყოველთვის ქალის პრეროგატივა იყო. საქმე ისაა, რომ მამკაცის ტვინის ის ნახევარსფერო, რომელიც პიროვნებებს შორის კონტაქტებზეა პასუხისმგებელი, ძალიან სუსტადაა განვითარებული. მაგალითად, გოგონებს 1 წლის ასაკიდან შეუძლიათ ფოტოზე მშობლების სახეები უცხოებისაგან განასხვაონ, ბიჭებს კი — არა. ის კი არა და, მამაკაცს შესაძლოა, საკუთარი შვილის ცნობაც გაუჭირდეს, თუ მას ორ მსგავს ჩვილს აჩვენებენ.

## გეჩვენებათ, რომ ის თქვენ მიმართ სრულიად გულგრილია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალი თანამოსაუბრის მოსმენისას, სახის გამომეტყველების შეცვლას რამდენჯერმე ასწრებს, მაშინ, როცა მამაკაცს თავიანთი ემოციების ვიზუალურად გამოხატვა არ ძალუძს. ტვინის სკანირების შედეგების მიხედვით, საუბრის მომენტში მამაკაცი ქალზე არანაკლებ ემოციურია, მაგრამ ის მოკლებულია ქალისთვის დამახასიათებელ უნარს, გარშემო მყოფთა — მათ შორის საკუთარი ცოლის ქცევაში — მცირედი ნიუანსები შეამჩნიოს. ამიტომ, იმ მომენტში, როცა მას უყურადღებობის გამო ებუტებით, შეიძლება ვერც კი დააფიქსიროს ეს. თუ გსურთ, მამაკაცმა უკეთ გაგიგოთ, უფრო გარკვევით გამოთქვით თქვენი სურვილები და პრეტენზიები. ■

# ლამაზი ხელები რომ გქონდეთ...



◆ ხელების გაუხეშებულ, გამუქებულ და დახეთქილ კანს სწრაფად მოიყვანს წესრიგში კარტოფილის ნიღაბი. მოხარშეთ 2 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, დასრისეთ და შეურიეთ ცოტაოდენი რძე. თხელ ფენად წაისვით ზეთი (უმჯობესია, ზეითუნის) და ხელები მომზადებულ პიურეში ჩააწყვეთ. 15 წუთის შემდეგ კი — ჯერ ცივი, შემდეგ თბილი წყლით დაიბანეთ.

◆ ხელების ძალზე გამომშრალ კანს მოუხდება 1 კვერცხის გულით, 1 ს/კ ზეითუნის ზეთით, 1 ს/კ თაფლით და ლიმონის წვენით მომზადებული ნიღაბი. საუკეთესო შედეგის მისაღწევად ხელები ჯერ კარტოფილის ნახარშით დაიბანეთ, რომელშიც ცოტაოდენ ზეთს ჩაუმატებთ, შემდეგ, ნიღაბი წაისვით და ბამბის ქსოვილის ხელთათმანები გაიკეთეთ. 1 საათის შემდეგ, ხელები თბილი წყლით დაიბანეთ და მკვებავი კრემი შეიზილეთ.

◆ გამაგრებულ და დამსკდარ იდაყვს შეელის 1 ჩ/ჯ ფორთოხლის წვენისა და ამავე რაოდენობის ზეითუნის ზეთის აბაზანები. ეს ნაზავი თხლად წაისვათ იდაყვზე და 5-10 წუთის განმავლობაში, კარგად შეიზილეთ. დარჩენილი სითხე კი შეგიძლიათ მაცივარში შეინახოთ და პროცედურა ყოველდღე გაიმეოროთ.

◆ ფრჩხილების გასამაგრებლად რეგულარულად უნდა გაიკეთოთ აბაზანები. 1 ს/კ მარილი კარგად გახსენით 1 ჩ/ჯ თბილ წყალში და თითები მასში 15-20 წუთით ჩაყავით. კარგი იქნება, თუ ერთმანეთს ჩაანაცვლებთ სუფრისა და ზღვის მარილის პროცედურებს. ■

რუბრიკა მოამზადა ე.კ. ჯუნთაიშვილმა



# დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

*დასაწყისი „გზა" №24-39*

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით*
gza.fantazia@gmail.com

ბნელ და ნესტიან დილეგში გატარებულ ორ დღე-ღამეს შესამჩნევი დაღი დაეჩნია ჰასანისთვის. სახე გაცრეცილი და გაყვითლებული ჰქონდა, თვალები ჩასცვენოდა, მაგრამ მუროჩიმ ცოტა ხნითაც კი არ დაასვენა. როგორც კი დილეგიდან გამოიყვანეს, ცხენზე შესვა და მამართა სიმაგრიდან გაიყვანა.

— უცნობო!.. — ალაყაფიდან გასვლისას დაადევნა აბუბაქარმა.

მუროჩიმ სადავე მოზიდა და უკან შემობრუნდა.

— მე არ მიკითხავს და შენც არ გითქვამს სახელი. ჩვენში კი სახელის უთქმელად დამშვიდობება უზრდელობად მიიჩნევა, — თქვა აბუბაქარმა.

— რას მოგცემს ჩემი სახელი? ჩვენ მაინც აღარ შევხვდებით ერთმანეთს, — უპასუხა მუროჩიმ.

— უკან დაბრუნებას აღარ აპირებ?.. — გაუკვირდა აბუბაქარს. — ბაღდადში სხვა გზით ვერ მოხვდები.

— მე დავბრუნდები, მაგრამ შენ აქ აღარ დამხვდები!

— რატომ?!

— სელჩუკებთან ლამის ერთი წელი გავატარე. ასეთი დაუნდობელი და ვერაგი ხალხი არსად მინახავს. გულმოწყალე შენც არ ხარ. საკუთარი ძმისშვილებიც კი არ დაინდე. ამით შენს ტომს მართლაც დაიმორჩილებ, მაგრამ ძმის მკვლელი სელჩუკთა ნდობას ვერ მოიპოვებს. ისინი არ შეგირიგებენ და ადრე თუ გვიან, მაინც მოგიღებენ ბოლოს!

— სელჩუკი რომ არ იყავი, თავიდანვე მივხვდი. ფრანკი მეგონე, მაგრამ ამაშიც შევმცდარვარ. ფრანკებს არ სჩვევიათ მწარე სიტყვის ხანჯალივით დაძგერება. ამისთვის სასტიკ სასჯელს იმსახურებ, მაგრამ ამჯერადაც გაპატიებ. იმიტომ გაპატიებ, რომ ჩემი გულმოწყალება დაგიმტკიცო. ახლა კი წადი, გამეცალე, ვიდრე მოთმინების ფიალა არ ამვსებია. წადი და იცოდე, რომ გამანაწყენე, მაგრამ ჩემს სამფლობელოებში უშიშრად შეგეძლება შემოსვლა. კარანაუსელები ყოველთვის გაგიწევენ მასპინძლობას. ეს კი ნიშნად გქონდეს. უჩვენე პირველ შემხვედრს და მთის ბილიკები შენთვის ხსნილი იქნება! — ამ სიტყვებთან ერთად, აბუბაქარმა ლალისთვლიანი, ოქროს ბეჭედი გადაუგდო, მერე ცხენი ადგილიდან მოწყვიტა და სიმაგრეს მიუბრუნდა.

მამართა საგვარეულო სიმაგრე მალე მთებს მიეფარა, მაგრამ მუროჩის ცხენი არ შეუჩერებია. ჭენებით მიუყვებოდა დაკლაკნილ ბილიკებს და თანამგზავრსაც აჩქარებდა.

— სად მიგეჩქარება? — ქოშინით შეუძახა ჰასანმა მომდევნო მოსახვევის გავლის მერე. — ტყვეობიდან დახსნილი, ქარაფზე უნდა გადამჩეხო?!

— ტყვეობიდან დახსნილი, ისევ კარანაუსელთა ხმლის ლუკმად რომ არ იქცე, ამიტომ უნდა ვიჩქაროთ, — უპასუხა მუროჩიმ.

— რატომ? — გაუკვირდა ჰასანს. — კარანაუსელთ არ სჩვევიათ სიტყვის გატეხა. აბუბაქარმა თავად თქვა, რომ მის მიწაზე არაფერი გემუქრება.

— სხვა კარანაუსელებს არ უთქვამთ იგივე, — შენიშნა მუროჩიმ, — აბუბაქარმა სიმაგრე დაიკავა და ძმის მომხრეები და ოჯახის წევრები ამოხოცა. დღეს ის ბელადად მიიჩნევს თავს, მაგრამ აღიარებენ მის ბელადობას დანარჩენი კარანაუსელები — ისინი, რომლებმაც არაფერი იციან ჯაფარის სიკვდილის შესახებ და ისევ მის ქვეშევრდომებად მიიჩნევენ თავს?!

— ჩვენ არ გვეხება მათი ომი. თანამოძმეთა სისხლის ღვრა მათი წესია. ჯაფარმა კარანაუსელთა ტახტი საკუთარ ბიძას წაართვა. მისი ოჯახი არ ამოუწყვეტია, მაგრამ გულმოწყალების გამო არ მოქცეულა ასე: უბრალოდ, ის უშვილო იყო; ჯაფარი ისედაც მის მემკვიდრედ მიიჩნეოდა, მაგრამ ბიძა ჯანმრთელი კაცი აღმოჩნდა, ვერა და ვერ დაჯაბნა ასაკმა და ავადმყოფობამ. ჯაფარი კი ჩქარობდა. ვერ დაელოდა ბიძის ბუნებრივ სიკვდილს და თავად გაამგზავრა საიქიოს. კარანაუსელთა შორის მაშინაც მოხდა შეხლა-შემოხლა. ზოგმა ბიძის მხარე დაიჭირა, ზოგი ჯაფარს მიემხრო. საბოლოოდ მაინც ჯაფარმა გაიმარჯვა. ბიძის მიმდევრები ამოჟლიტა და თავად დაჯდა ტახტზე. მაგრამ მაშინ, არც ბიძისა და არც ძმისშვილის მომხრეებს, ვაჭრები არ დაურბევიათ. კარანაუსელებმა კარგად იციან, რომ ვაჭრები ასულდგმულებენ მათ და მათ სალაროსაც ამდიდრებენ. ისინი ომობდნენ, ქარავნები კი მშვიდად მიდი-მოდიოდნენ მათ მიწაზე. ასე იქნება ახლაც. რა თქმა უნდა ჯაფარის ერთგული კარანაუსელები, ომს გამოუცხადებენ ძმის მკვლელსა და ტახტის მიმტაცებელს, მაგრამ ჩვენ არაფერს დაგვიშავებენ.

— შეიძლება, ისინი მართლაც არაფერს ერჩიან ვაჭრებს, მაგრამ კაცს, რომელსაც ჯაფარის მოკვლაში დიდი წილი მიუძღვის, უსისხლოდ არ გაუშვებენ! — უპასუხა მუროჩიმ.

— მერედა, სად არის ის კაცი?! — გაუკვირდა ჰასანს.

— შენ გვერდით!

— რაა?! ჯაფარი შენ მოკალი?!

— ის მართლაც ამის ღირსი იყო. ხმალი მის ყელზე მქონდა მიბჯენილი, მაგრამ მაინც არ მომიკლავს. აბუბაქარმა ჩაიდინა ეგ საქმე. მაგრამ მეც იქ ვიყავი და ჩემ გარეშე არაფერი მოხდებოდა.

— მე მეგონა, რომ ოქროთი გამომისყიდეთ, — ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— ოქროთი გუელმო გამოგისყიდდა; შენ იცი, რომ მე ვაჭრობა არ მეხერხება!

— ესე იგი... — წამოიწყო ჰასანმა, მაგრამ მუროჩიმ არ დაამთავრებინა.

— მერე... მერე გაიგებ, რაც მოხდა მამარის სიმაგრეში!.. — შეუძახა თანამგზავრს და ცხენი ააჩქარა.

ჰასანი და მუროჩი ქარავანს არ დალოდებიან — ასე იყვნენ შეთანხმებულნი მუროჩი და აზიზი. ჰასანის გამოხსნისთანავე, ის კარანაუსელთა სამფლობელოებს უნდა გასცლოდა და ბარში დალოდებოდა ქარვნის გამოჩენას. აზიზს აშინებდა შორი გზა. არავინ იცოდა, რა მოჰყვებოდა აბუბაქარის აჯანყებას. შეიძლება, მუროჩის არაფერი გამოსვლოდა და თავად გამხდარიყო მულიდთა ხმლის ლუკმა. ამას მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. ჯაფარი არავის აპატიებდა ალამუთის წარგზავნილთა დახოცვას, ქარავანს მდევარს ჩაუყენებდა კვალში და ყველას ამოწყვეტდა. ამიტომაც ჩქარობდა აზიზი. უნდოდა, მანამ გაევლო უღელტეხილი და ბარში დაშვებულიყო, ვიდრე აბუბაქარის აჯანყების ამბავი კარანაუსელთა სამფლობელოს მოედებოდა. ამიტომაც უთხრა მუროჩის, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა და ჰასანის დახსნას შეძლებდა, ქარავნის ლოდინში დრო აღარ დაეკარგა და მარტო დაშვებულიყო ბარში.

მთიდან დაშვებისას, მუროჩისა და ჰასანს რამდენჯერმე მოუხდათ კარანაუსელთა სოფლების გავლა. სელჩუკების ყაიდაზე, შავ სამოსში გამოწყობილი და იარაღასხმული უცნობების ხილვისას, ქალები და ბავშვები ქოხებში იმალე-

ბოდნენ. კარანაუსელი მეომრები კი მგზავრებს წინ ეგებებოდნენ და მათ მიწაზე გავლის ნებართვის ნიშანს სთხოვდნენ. მუროჩის ასეთი ნიშანი არ ჰქონდა. ის კარანაუსელებს უხსნიდა, რომ ჩაუშის მალემსრბოლები იყვნენ, რომლებსაც სასწრაფო წერილი უნდა ჩაეტანათ ბადახშინს. თავად ქარავანი კი მათ უკან მოდიოდა, მაგრამ პასუხი კარანაუსელებს არ აკმაყოფილებდა. ისინი ჯიუტად მოითხოვდნენ ჯაფარ მამარის მიერ გაცემულ ნიშანს. მაშინ მუროჩი ოქროთი აგვარებდა საქმეს. რამდენიმე დირჰემი, თილისმასავით მოქმედებდა კარანაუსელებზე. მათი მეთაური ფულს კმაყოფილებით ალსავსე ყრიდა ქისაში და მგზავრებს გზის გაგრძელების ნებას აძლევდა.

მომდევნო სოფელს დღის მიწურულს მიადგნენ. როგორც ყოველთვის, კარანაუსელი მხედრები მოულოდნელად გამოჩნდნენ. ამჯერად, მუროჩის დრო აღარ დაუკარგავს, მეთაურს დირჰემები ჩაუჩხრიალა ქისაში და გზის გაგრძელების ნებართვა სთხოვა. გულუხვი ქრთამით გახარებულმა კარანაუსელმა თავის სახლში ღამის გათენება შესთავაზა. მუროჩიმ იუარა. ჰასანი დაღლილობისგან ცხენზე ძლივს იკავებდა თავს, მაგრამ კარანაუსელთან დარჩენა მაინც არ შეეძლოთ. შესაძლო იყო, გათენებამდე სოფელში აბუბაქარის ჯანყის ცნობას მოეღწია. ამბის მომტანი არც მუროჩის დაივიწყებდა, რომელიც მულიდთა წარგზავნილის სახელით ეწვია ჯაფარს. ამით ყველაფერი დამთავრდებოდა. აჯანყებისა და ბელადის მკვლელობის მონაწილეს, კარანაუსელები უყოყმანოდ გამოუტანდნენ სასიკვდილო განაჩენს.

— გზის გაგრძელება გინდა?! — უარით გაოცებულმა კარანაუსელმა ჰასანს გახედა, რომელიც თავჩაქინდრული იჯდა ცხენზე, — შენი ამხანაგი სოფელსაც ვერ გასცდება, ცხენებიც დაგეღლიათ. ასე მთაში ვერ ივლით. თანაც ღამით.

— ვივლით, — მუროჩის დაასწრო ჰასანმა და პირველმა დაძრა ცხენი.

ჰასანს მართლაც ეგონა, რომ მის თანამგზავრს გზის გაგრძელება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მუროჩი ამას მხოლოდ კარანაუსელთა გასაგონად ამბობდა. როგორც კი სოფელს გასცდნენ, მუროჩიმ გზიდან გადაიყვანა ცხენი.

— რას აპირებ? — ჰკითხა ჰასანმა.

— ღამეს აქ გავათევთ, — უპასუხა მუროჩიმ.

ჰასანი თავადაც ხვდებოდა, რატომაც თქვა მუროჩიმ უარი კარანაუსელის სახლში დარჩენაზე, მაგრამ სოფლის სიახლოვეს დაბანაკებაც სახიფათო იყო. კარანაუსელები ღამითაც სდარაჯობდნენ ბარისკენ მიმავალ გზას და რა მოხდებოდა, რომელიმეს რომ შეემჩნია ისინი?

— ისინი გზას უთვალთვალებენ. ჩვენ კი მათ ვუდარაჯებთ, — უპასუხა მუროჩიმ.

— რისთვის? — გაუკვირდა ჰასანს.

— სოფელი მშვიდად არ შეხვდება ჯაფარის მოკვლის ცნობას. არა აქვს მნიშვნელობა, მისი მომხრეები არიან თუ — აბუბაქარისა. კარანაუსელები მაინც ახმაურდებიან. მერე უფრო ქვემოთ მდებარე სოფლებისკენაც გაგზავნიან მაცნეებს.

— ჩვენთვის არაფერი შეიცვლება ამით. რაც უნდა მოხდეს, მაინც ამ გზით მოგვიწევს წასვლა.

— სხვა გზები არ იცი? — ჰკითხა მუროჩიმ. — თუ კარანაუსელებმა აჯანყების შესახებ შეიტყვეს, ამ გზით წასვლა საშიში იქნება.

— ეს ყველაზე მოკლე და იოლად სავალი გზაა. ბარისკენ სხვა ბილიკებიც მიემართება, მაგრამ კარანაუსელები უცხოელებს არასოდეს უშვებენ იმ ბილიკებზე. ეს მათი საომარი გზებია. ზუსტად არავინ იცის, საით მიემართებიან ისინი. იმ გზით რომ წავიდეთ, კარანაუსელები მამართა ნებართვასაც არ მოგვკითხავენ. ყველამ იცის, რომ თავად მათი ბელადები კრძალავენ უცხოელთა იმ ბილიკებზე შესვლას. მსტოვრები ვეგონებით და იქვე დაგვაყრევინებენ თავებს, — უპასუხა ჰასანმა.

— მაშინ მით უფრო ფხიზლად უნდა ვიყოთ და ღმერთს შევევედროთ, რომ ჯანყის ამბავმა სოფლამდე არ მოაღწიოს და ქარავანმაც მშვიდობიანად გადმოლახოს უღელტეხილი, — თქვა მუროჩიმ.

— ქარავანი ნუ გაფიქრებს. აზიზსა და



მის თანამგზავრებს არაფერს დაუშავებენ. კარანაუსელები კარგად იცნობენ მას და ჯაფარ მამარის გაცემულ ნიშანსაც დაემორჩილებიან.

— თუ გაიგეს, რომ ჯაფარი მკვდარია? — ჰკითხა მუროჩიმ.

— ნიშანს მაინც დაემორჩილებიან. სოფლის მოთავეები წესს არ დაარღვევენ. რაში უნდა დაადანაშაულონ აზიზი?! მას ხომ არაფერი დაუშავებია კარანაუსელებისთვის და ჯაფარიც არ მოუკლავს, — უპასუხა ჰასანმა.

— რას უნდა ელოდე ხალხისგან, რომელიც საკუთარ სისხლსა და ხორცს არ ინდობს?!

— შურისძიებასა და ძალაუფლების ძიებაში ყველანი დაუნდობლები ვართ. ასეთია სელჩუკიც, ქართველიცა და კარანაუსელიც! — შენიშნა ჰასანმა.

— არა! — ფიცხლად თქვა მუროჩიმ. — ბელადობის მიზეზით, ჩვენში არავინ მოკლავდა თანამოძმეს, მით უმეტეს — თავისსავე გვარისას!

— მაშ, მე რა მესაქმება აქ?! აგრე რომ არ ყოფილიყო, ახლა ჰერეთში, ჩემი წინაპრების საგვარეულო მიწაზე ვიცხოვრებდი!

— მე ფხოვზე ვლაპარაკობ. სხვათა წესებთან არაფერი მესაქმება!

— ფხოველს, ჰერეთელს, კახსა თუ იმერს ერთი აქვს წესი, რჯული და ქვეყანა — საქართველო! — თქვა ჰასანმა.

— ბაგრატოვანი უფლისწულივით ლაპარაკობ! — ბრაზით ჩაილაპარაკა მუროჩიმ და ცხენს დეზი ჰკრა.

ის ღამე სოფლის მახლობლად, კლდის შვერილზე გაატარეს. ადგილი ღამის გასათევად მოუხერხებელი იყო — მარცხნივ ან მარჯვნივ რამდენიმე ნაბიჯიც რომ გადაედგათ, უფსკრულში გადაიჩეხებოდნენ. სამი მხრიდან მთის ცივი ქარი უბერავდა. ცეცხლის ანთებაც შეუძლებელი იყო: ბნელ ღამეში ცეცხლის ალი კარანაუსელ მზვერავებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. მაგრამ მუროჩიმ მაინც მოიწონა ეს ადგილი — აქედან კარგად მოჩანდა სოფელი და მთის შვერილებში გაკლაკნილი გზა. მის შეუმჩნევლად გზაზე ვერავინ გაივლიდა. ვერც სოფელში შევიდოდა და ვერც იქიდან გამოვიდოდა. თავად კარანაუსელები კი ვერაფრით შენიშნავდნენ მათ სიახლოვეს დაბანაკებულ მგზავრებს და კლდის შვერილს ქვემოთ შეყუჟულ ცხენებს.

მუროჩიმ შვერილის ბოლოში შედარებით მყუდრო ალაგი მოძებნა, მიწაზე ტყავის ქვეშაგებელი გაშალა. მერე გუდიდან ხმიადი და ქიშმიში ამოიღო და ჰასანს მიაწოდა, — ჭამეო.

ჰასანმა უხალისოდ მოკბიჩა ხმიადი და მერე ჩაილაპარაკა.

— ყველაფერი თავიდან იწყება, ფხოველო, ოღონდ — შებრუნებით.

მუროჩიმ გაოცებით გახედა. ვერ მიხვდა, რისი თქმა სურდა ჰასანს.

— ისევ ღამეა, ისევ მარტონი ვართ და საჭმელად ხმიადი და ქიშმიში გვაქვს. მაგრამ ამჯერად, პური და ქიშმიში შენ მომაწოდე, — მათი პირველი შეხვედრა შეახსენა ჰასანმა.

— მას შემდეგ წელიწადი გავიდა.

— დროს მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, თუ რა მოხდა იმ დროის მანძილზე. შეიძლება, წელიწადი უეცრად გაფრინდეს — ისე, რომ ერთი დღეც არ დაგამახსოვრდეს და შეიძლება, მხოლოდ ერთმა დღემ გიჩვენოს ის, რასაც მთელ წელიწადში ვერ იხილავ. ამ ერთ წელიწადში კი ასეთი დღე ბევრი შემხვდა. ეს დღეც არ დამავიწყდება. ვერ დავივიწყებ, რომ მეორედ გადამარჩინე და მე ჯერაც არ ვიცი, როგორ?

— დაიძინე... ხვალ მძიმე გზა გველის. შენ კი ჯერაც არ მომჯობინებულხარ, — უთხრა მუროჩიმ.

— სხვა არაფერი გაქვს სათქმელი?! — იწყინა ჰასანმა.

— ახლა ამის დრო არ არის. შენ უნდა დაისვენო. მეც დაღლილი ვარ.

— დაღლილი!.. — ჩაიცინა ჰასანმა. — ტყუილიც გცოდნია, ფხოველო. შენ, დანარჩენებისგან განსხვავებით, თიხისგან არ ხარ მოზელილი. შენ ხომ ნაწრთობი ფოლადისგან გამოგჭედეს. რას დაგაკლებდა ხმლით ორიოდ ჩალმიანი თავის გაგორება და ცხენის მთის ქარაფზე ჭენება?!

— ხანდახან მეც ვიღლები!

— მაინც მოგიწევს ლაპარაკი. ახლა დროც გვაქვს და საშუალებაც. ვინ იცის, რა მოხდება ხვალ. იქნებ ბარში დაშვება არც გვიწერია? — განაგრძო ჰასანმა.

— მით უმეტეს, ზედმეტია დროის ფუჭად ფლანგვა. თუ ხვალ ბრძოლა გველის, ჯობს, დასვენებულებმა ვიქნიოთ ხმალი.

— მეც მაგას გეუბნები. ვიდრე ყველაფერს არ მიამბობ, ვერც მე მოვისვენებ და არც შენ მოგასვენებ.

— რა გინდა, ჰასან... რა გაინტერესებს?

— შენ თქვი, რომ გამოსასყიდი არ მიგიცია მამართა ბელადისთვის.

— ასე იყო, — დაუდასტურა მუროჩიმ, — შენი სიცოცხლე ოქროთი არ მიყიდია.

— მაშ, როგორ დამიხსენი?

— ჩანს, აბუბაქარს დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაფიქრებული ძმის ტახტიდან ჩამოგდება და შენი დატუსაღებით ისარგებლა. ჯაფარს მთის ბერებთან დამეგობრებაში დასდო ბრალი, ამით ააჯანყა კარანაუსელები და მე მოკავშირეობა შემომთავაზა...

— მოკავშირეობა?! — გაუკვირდა ჰასანს. — რაში უნდა დასჭირვებოდა შენი მოკავშირეობა კაცს, რომელსაც აუარება მომხრე ჰყავდა?!

— მულიდთა დასახოცად!

— რაღაც გეშლება. იქნებ აბუბაქარმა მოგატყუა? მთის ბერებს არაფერი ესაქმებათ კარანაუსელებთან. მათი სამფლობელოები ერთმანეთსაც კი არ ემიჯნება, — ეჭვი გამოთქვა ჰასანმა.

— ყველაფრის მიზეზი შენ იყავი!

— მეე?! — დაიბნა ჰასანი. — მულიდები ჩემზე ხელს არ გაისვრიდნენ. მათთვის ხომ ერთი უბირი სელჩუკი ვარ. ისინი სულთნებს, ამირებსა და ჯარების სარდლებს მტრობენ.

— მათი მოსისხლე ყოფილხარ. გახსოვს, ბაღდადში მოკლული მთის ბერი? — შეახსენა მუროჩიმ.

— არა... არა... ეგეც ტყუილია. ერთი მულიდის მოკვლისთვის, ალამუთის ბელადი თავის ხალხს ამხელა გზაზე არ გამოგზავნიდა!

— მე არაფერი მესმის მათი წესებისა, მარტო საკუთარი თვალით ნანახის მჯერა. კარგად მახსოვს, გაქცეული მთის ბერი კატისებრი მოქნილებით რომ აძვრა ბანზე. მერე შემობრუნდა და შენ დაგაკვირდა. ღრმად ჩამჯდარი, შავი თვალები ბრაზით უელავდა. რომ შესძლებოდა ლუკმა-ლუკმა აგქნიდა. თანაც ვატყობდი, შიშით არ გარბოდა, ასე იყო საჭირო და იმიტომაც გაგვერიდა, თორემ არც ბრძოლა აშინებდა და არც სიკვდილი!.. ეგ კაცი გუშინ მეორედ ვნახე. მამარის სიმაგრისკენ მიმავალ გზაზე შემხვდა. თვითონაც მიცნო, მაგრამ არ შეიმჩნია, თავს მალემსრბოლად მაჩვენებდა. პირზე ჩალმის ბოლო ჰქონდა აფარებული, ვითომდა — სახის მტვრისგან დასაცავად. სახით ვერ ვიცნობდი. კუნაპეტი ღამესავით შავ თვალებში ჩაღვრილმა მძვინვარებამ გასცა. ის შენი თავის ალამუთს წასაღებად მიდიოდა სიმაგრეში. ჩემთან შეხვედრამ მიახვედრა, რომ უბრძოლველად ვერაფერს გახდებოდა. მაინც სცადა გვერდის მშვიდად ავლა და როდესაც არ გამოუვიდა, ხმალს წაეტანა.

— მარტო იყო? — ჰკითხა ჰასანმა.

— არა, ამხანაგიც ჰყავდა. მე სამს ველოდი. აზიზმა მითხრა: ნამდვილად ის ხალხი ამოივლის გზას, რომელიც უდაბნოში გვითვალთვალებდაო. ისინი კი სამნი იყვნენ...

— სად გაქრა მესამე?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა მუროჩიმ.

— მულიდებისთვის არ გიკითხავს?

— იმ ხალხს სალაპარაკოდ არ შევხვედრივარ. თავადაც არ ჰქონდათ ამის სურვილი. როგორც კი მიხვდნენ, რომ არ გავატარებდი, ხმლებს წაეტანნენ.

— დახოცე?

— მაგას თავადაც მიხვდები.

— ესე იგი, ჯაფარს მთის ბერებმა გამოსთხოვეს ჩემი თავი...

— ასე იყო. ეგ თავად ჯაფარისგან მოვისმინე.

— ჩანს, ბაღდადში აღარ მეცხოვრება, — ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— ასე გაშინებენ მთის ბერები? — გაუკვირდა მუროჩის.

— უხილავი მტერი, ხმალშემართულ ლაშქარზე უფრო საშიშია!.. ხომ ნახე, რაც მოხდა. ბაღდადში მოკლული მულიდის ამხანაგებმა, კარანაუსელთა მიწაზე მომაგნეს. ისინი არც სელჩუკთა ქალაქებში ყოფნას შეუშინდნენ, ზღვაც გადმოლახეს და უდაბნოშიც გვდიეს. ამის გამკეთებლისთვის უფრო ადვილი იქნება ჩემზე ბაღდადში თავდასხმა. საკუთარი სასახლის კედლები და ერთგული ღულამებიც კი ვერ დამიცავენ...

— სიბერე მოგრევია, ჰასან, — ჩაიცინა მუროჩიმ.

— რას მამჩნევ სამაგისოს?!. — ჰასანმა მკლავებზე დაიხედა. — ამ ხელებს ჯერ ისევ შეუძლიათ ფარ-ხმლის ტარება.

— აბა, რისთვის წუწუნებ? ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ვიხილავთ თუ არა ხვალინდელ განთიადს. კარანაუსელთა მიწებიდან რომც გავაღწიოთ, წინ უფრო შორი და საშიში გზა გველის. იმ გზაზე ბევრგან ჩაგვისაფრდება სიკვდილი. ვინ იცის, იქნებ არც გვიწერია უკან დაბრუნება?.. შენ კი წინასწარ გლოვობ და სამარეს იმზადებ!

— სიკვდილი არ მაშინებს. მისთვის ბევრჯერ ჩამიხედავს თვალებში. უსახელო სიკვდილი არ მსურს. და როცა ის დღე დადგება, მინდა, ხმლით ხელში, ბრძოლაში მოვკვდე და არა — ღალატით, ზურგში მულიდის ხანჯალჩაცემული!.. — ჰასანი მცირე ხნით დადუმდა და მერე დაამატა: — ასე ვფიქრობდი ადრე, ახლა კი სხვა სადარდებელიც შემემატა.

— რა სადარდებელი?

— ჯერ შენ მიპასუხე. თუ აბუბაქარის პირობა მულიდთა უჩუმრად დახოცვა იყო, რატომ არ უბრძანე ჩემს ღულამებს? ის ყოველთვის ჩემი ერთგული იყო და უყოყმანოდ შეებრძოლებოდა მთის ბერებსაც და მათ ბელადებსაც.

— ვიცი, რომ შენი ერთგული და უშიშარი კაცია. თავადაც მოწადინებული იყო, მაგრამ მე ავუკრძალე.

— მერედა, რატომ?! — აღელდა ჰასანი.

— ასე იყო საჭირო, — მოკლედ უპასუხა მუროჩიმ.

— არ იყო საჭირო. შენ ვერც კი ხვდები, რა შეცდომაც დაუშვი!.. მე ბაღდადში შემთხვევით გადავაწყდი იმ მულიდს. აზრადაც არ მომსვლია, რომ ის ხალიფის მოსაკლავად უტრიალებდა სასახლეს. ჩვეულებრივი ავაზაკი მეგონა, რომელსაც ხელჯოხიანები დაედევნნენ. ამას მთის ბერებიც მიხვდებოდნენ, მაგრამ მაინც სცადეს შურისძიება!.. შენ კი გამიზნულად მოკალი ალამუთის წარგზავნილი. მოკალი და მათი გეგმებიც აურ-დაურიე.

— მერედა, რა ამით?

— შენ მათ შურისძიების საბაბი მიეცი — იმაზე მეტი, ვიდრე მე!

— მე არ მაშინებს მათი მოსისხლეობა!

— ეგ ფიცხი ყმაწვილის სიტყვებია. შენზე მეტი მიცხოვრია ამქვეყნად, მეტიც მინახავს, სასახლეც მაქვს, ერთგული ღულამებიც მიცავენ და მაინც მაფიქრებს მათი შურისძიება. შენ კი... ეს არც ბრძოლაა და არც ბაღდადის სასამართლო, საიდანაც ერთგული ამხანაგი გამოგიყვანს სამშვიდობოს!..

— ისევ წარსულს უბრუნდები! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მუროჩიმ.

— ეს წარსული კი არა, მომავალია!.. შენ მეორედ გადამარჩინე!

— შენც იგივე გააკეთე, როცა მე მიჭირდა! — შეახსენა მუროჩიმ.

— ჰო... ასე იყო, მაგრამ მე მაინც ვალში ვარ შენთან.

— რატომ? — გაუკვირდა მუროჩის.

— შენ ორჯერ მიხსენი და ორჯერვე ხმლით ხელში იბრძოდი ჩემს გადასარჩენად. მე კი ოქროთი დაგიხსენი. გრძნობ განსხვავებას?.. რა უფრო იოლი დასათმობია — ოქრო თუ სიცოცხლე?..

მუროჩიმ დუმილით უპასუხა.

— რა უნდა მითხრა... ბევრი ერთს არ შეედრება: სიცოცხლე ერთი გვიბოძა შემოქმედმა, ოქრო კი — რიყის ქვასავით ყრია ჩემს საჭურჭლეში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შორი გზა გველის. არავინ ვიცით, რა მოგველის ხვალ. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ყველგან და ყოველთვის ჩემი იმედი გქონდეს, ხმლითაც დაგიცავ და ოქროთიც, მაგრამ მთის ალქაჯების წინააღმდეგ უძლური ვარ, ფხოველო. მათგან მე კი არა, ძლევამოსილი სულთნის ლაშქარიც კი ვერ დაგიცავს!

ის იყო, ჰასანმა სიტყვა დაამთავრა, რომ სოფლის მხრიდან ხმაური მოისმა. მუროჩი მაშინვე შებრუნდა, შვერილის პირას მიცოცდა და სოფელს გადახედა. მაშხალიანი კარანაუსელები სწრაფად მიმირბოდნენ ეზო-შუკებში და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ.



— არ შეისმინა ჩემი სიტყვა უფალმა, — ამოიოხრა მუროჩიმ, როგორც კი ჰასანი მის გვერდით დაეშვა.

— რატომ აიშალნენ?

— მაგას მარტო ერთი მიზეზი ექნება — მაცნემ აბუბაქარის აჯანყების ამბავი მიუტანა. ბარიდან არავინ ამოსულა. გზა ჩვენ გვერდით გადის. თუ ვერ შევნიშნავდი, ცხენის ფლოქვის ხმა მაინც არ გამომეპარებოდა. თანაც მაშხალების გარეშეც ვერ ივლიდნენ. ესე იგი, ცნობა მამარის სიმაგრიდან მიიღეს, — უპასუხა მუროჩიმ.

— თუ ასეა, კარანაუსელები ბარისკენ მდებარე სოფლებისკენ მაცნეებს გაგზავნიან, — ივარაუდა ჰასანმა.

მუროჩი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე მიუბრუნდა და სწრაფად თქვა.

— კარანაუსელთა მიწების მიღმა სულთნის ჯარი დგას?

— არა. კარანაუსელთა მიწების საზღვარზე ბადახშინის ემირის ციხიონი დგას. ემირი ბაადი კი სულთნის ერთგულია.

— როგორ მოიქცევა ციხიონის მეთაური, თუ შეიტყობს, რომ კარანაუსელები სულთნის ქვეშავრდომებს დაესხნენ თავს? — განაგრძო მუროჩიმ.

— ძნელი სათქმელია, — მხრები აიჩეჩა ჰასანმა, — ალბათ, არაფერს გააკეთებს. კარანაუსელთა გადამტერებას მოერიდება.

— სულთნის სასჯელს არ შეუშინდება?

— სულთანი შორსაა, კარანაუსელები კი მის მეზობლად ცხოვრობენ. სულთანთან თავს გაიმართლებს: ქარავანი მაცნეს მოსვლამდე დაარბიეს; რაღა უნდა მექნა, ერთ უბედურებას მეორეს ხომ არ დავუმატებდიო?!

— ქრთამს თუ მიიღებს ამირა, ოქროს სანაცვლოდ დაძრავს ლაშქარს?

— მიზეზიც თუ ექნება, დაძრავს, — თავი დაუქნია ჰასანმა, — მაგრამ კარანაუსელები ასეთ მიზეზს არ მისცემენ.

— მისცემენ... სოფელი ჯაფარის ერთგული თუ დარჩა, ბარისკენ მიმავალი გზა გადაიკეტება. ქარავანი აბუბაქარისა და ჯაფარის მიმდევართა შორის ჩარჩება — ანუ შუა ბრძოლის ველზე. როგორ გგონია, რა დაემართება ჩვენს ხალხს?

— კარანაუსელებს ვერც ერთი ვერ გადაურჩება, — ყრუდ ჩაილაპარაკა ჰასანმა.

— აზიზი უკან მოგვყვება. უღელტეხილს უკვე გამოსცდებოდა და ახლა ქარავანი სოფელსა და მამართა სიმაგრეს შორის ათევს ღამეს. ჩვენ თუ არ ვივარგეთ, ყველა დაიღუპება.

— აზიზის გაფრთხილებას ხომ არ აპირებ? — ჰკითხა ჰასანმა.

— ვაპირებ, მაგრამ ეგ საქმის ნახევარი იქნება. მარტო შეძლებ ბარში დაშვებას?

— რისთვის?

— ემირ ბაადის ციხიონის კარანაუსელთა მიწაზე შემოსაყვანად. უნდა დაითანხმო, გინდ სიტყვით, გინდ ქრთამით, მაგრამ კარანაუსელები უნდა მიხვდნენ, რომ ქარავანი თუ დაარბიეს, სულთნის ლაშქართან მოუწევთ ბრძოლა!

— კარანაუსელებმა რომ ჩამასწრონ?

— ვერ ჩაგასწრებენ. თუ მართლაც იციან ჯანყის შესახებ, დაბლა მაცნეებს გაგზავნიან, თავად კი მამართა სიმაგრისკენ დაიძვრებიან.

თითქოს მუროჩის სიტყვების დასტურიაო, სოფლის შუაგულში შეკრებილ კარანაუსელებს ორი მაშხლიანი მხედარი გამოეყო და ბარისკენ დაეშვა.

— ისინი არიან! — ფიცხად ჩაილაპარაკა მუროჩიმ. მერე მიწიდან მშვილდი და ისრებით სავსე კარქაპი აიტაცა და სიბნელეში მოჩვენებასავით გაუჩინარდა.

შვერილთან მიახლოებისას, გზა ვიწროვდებოდა. დღისით აქ ორი მხედარი ერთმანეთის მხარდამხარ მაინც შეძლებდა გავლას, მაგრამ კარანაუსელები ფრთხილობდნენ. როგორც კი ვიწრო ალაგს მიუახლოვდნენ, ერთ-ერთი უკან ჩამორჩა და ფრთხილად მიჰყვა წინ მიმავალ მხედარს. მუროჩი ამას ელოდა. მაშინვე მოზიდა მშვილდი და ისარი უკან მომავალ მხედარს სტყოცნა. ნასროლი ზუსტი გამოდგა. ისარმა შხუილით გააპო ჰაერი და მკერდში დაეძგერა მხედარს. კარანაუსელს მაშხალა ხელიდან გაუვარდა, რაღაც წამოიძახა და უსულოდ დაეხეთქა მიწას. მეორე მხედარმა მაშინვე მოზიდა სადავე, შემობრუნდა და დააკვირდა. ვიდრე მის ჭრილობას შეამჩნევდა, სიბნელე მეორე ისარმა გაკვეთა და კარანაუსელი მიწაზე დასცა. მუროჩიმ უმალ მიატოვა სამალავი და მხედრებისგენ გავარდა. ერთი მათგანი — ის, რომელსაც პირველს ესროლა, მკვდარი იყო. მეორეს ისარი გვერდში მოხვედროდა, დაჭრილი სულს ღაფავდა, წყლიდან ამოყვანილი თევზივით აფჩენდა პირს და აკანკალებული ხელით ჭრილობიდან ისრის ამოძრობას ცდილობდა.

— რა ხდება სოფელში?! სად და რისთვის გაგზავნა შენმა მეთაურმა?! — მუროჩი გააფთრებული დააცხრა თავს.

კარანაუსელმა გაოცებით ამოხედა. მერე მისი შავი სამოსი შეათვალიერა და კბილების ღრჭიალით წამოიყვირა:

— ალაჰი დასჯის ჩვენი ბატონის, ჯაფარის მოღალატეს და თანამოძმეთა მკვლელს!..

ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. დაჭრილს ცახცახი აუვარდა, მერე ფეხი ძლიერად გაუსვა მიწას და სუნთქვა შეწვიტა.

— რა გიპასუხა? — ჰასანი სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მუროჩის.

— არაფერი, მაგრამ მაინც გასაგებია, რომ ჯანყის შესახებ იცოდა. სამოსზე დამაკვირდა. ეტყობა, გაფრთხილებული იყო, რომ აბუბაქარის მიმდევრები ერთმანეთის ამოსაცნობად შავ მოსასხამებს ატარებენ!... უნდა ვიჩქაროთ, ჰასან. ეს მაცნეები შენ ველარაფრით შეგიშლიან ხელს. კარანაუსელთა სოფლებს დაუბრკოლებლად გაივლი და დილით ემირ ბაადის ციხიონამდე მიაღწევ.

— შენ?.. შენ რას იზამ?!

— მე აზიზთან დავბრუნდები და უკან მამართა სიმაგრისკენ გავაბრუნებ.

— როგორ გაივლი სოფელს? კარანაუსელები სალაშქრო სამზადისში არიან. ხელში თუ ჩაუვარდი, არ გაცოცხლებენ! — აღელდა ჰასანი.

— მაგაზე ნუ იდარდებ. აი, ეს დამეხმარება, — ჩაილაპარაკა მუროჩიმ და ისრით განგმირულ კარანაუსელს თეთრი მოსასხამი აართვა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ნიუ-იორკის მოდის კვირეულის სტუმრები

ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე ვიქტორია ბექჰემმა ათი სალამოს კაბა სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში წარმოადგინა. ხოლო მას შემდეგ, რაც მისი მოდელები კრიტიკოსთა მხრიდან პომიდორთა წვიმას გადაურჩა, ვიქტორიამ საკუთარი შემოქმედება საზოგადოებასაც თამამად წარუდგინა. პრაქტიკულად ერთნაირი, მუხლს ქვემოთ ოდნავ ჩამოსული, წელში გამოყვანილი კაბები იმდენად კლასიკური აღმოჩნდა, რომ კრიტიკოსებს მოდელების გასაკრიტიკებლად ან შესაქებად ენაც არ მოუბრუნდათ. მოდის კვირეულზე მისულ სტუმრებს შორის მრავლად იყვნენ საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეები, რომელთაც ვიქტორიას მსგავსად საკუთარი კოლექციები არ წარმოუდგენიათ, მაგრამ პუბლიკამ მათი ხილვით არანაკლებ გაიხარა. ინგლისელი მსახიობი ჰიუ გრანტი თავგამოდებით ირწმუნება, რომ დიზაინერ კეტრინ ფალმერს „არ ხვდება“, მაგრამ ფალმერის ჩვენებაზე მისმა გამოჩენამ მაინც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ლინდსეი ლოჰანი და მისი შეყვარებული ამ უკანასკნელის დის ჩვენებაზე გამოცხადდნენ. ყველაზე ბევრი ვარსკვლავი როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მარკ ჯაკობსმა და DKNY-მ შეკრიბეს (წელს DKNY-მ ოცი წლისთავი იზეიმა). კვირეულზე მრავლად იყვნენ ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც ნიუ-იორკში იმოსებიან. სტუმრებს შორის ჩანდნენ ჯენიფერ ლოპესი, ილაიჯა ვუდი, ნიკოლ რიჩი, ჯარედ ლეტო, ჯესიკა ალბა, ნაომი უოტსი და მარია შარაპოვა, რომელიც მალე დიზაინერის ამპლუაში მოგვევლინება! ■





## შერონ სტოუნს დედობრივმა ინსტინქტმა უღალატა

ამერიკულმა სასამართლომ გადაწყვეტა, 50 წლის შერონ სტოუნს უფროსი ნაშვილები ბავშვის — 8 წლის რონანის მეურვეობის უფლება ჩამოართვას, რადგან დედობრივმა ინსტინქტმა ვერ გაამართლა. მეურვეობის ადგილობრივი ორგანოების აზრით, ბავშვისთვის სტაბილურ გარემოზე მნიშვნელოვანი არაფერია, ამიტომ ბავშვზე მეურვეობის უფლება შერონ სტოუნის ყოფილ მეუღლეს, 57 წლის ჟურნალისტ ფილ ბრონშტეინს გადაეცა. მკითხველს შევახსენებთ, რომ „ძირითადი ინსტინქტის“ საბედისწერო ქალმა და მისტერ ბრონშტეინმა ჩვილი რონანი 2000 წელს იშვილეს. 2004 წელს წყვილის განქორწინების შემდგომ, მრავალრიცხოვანი სასამართლო პროცესისა და ხმაურიანი გარჩევის შემდეგ სასამართლომ მეურვეობის უფლება მშობლებს შორის გადაანაწილა. ბავშვი ერთი წელი დედასთან ცხოვრობს, მომდევნო წელს კი მამასთან.

შერონ სტოუნმა გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ ამაოდ... ჰუმანურმა მოსამართლეებმა ერთმანეთში მოითათბირეს, რომ შერონის თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება ბავშვისთვის შეუფერებელი გარემოა და გადაწყვიტეს — რონანი მამასთან იცხოვრებს... ასე რომ, შერონ სტოუნს ყოფილ ქმართან სასამართლოში შეხვედრა კიდევ ბევრჯერ მოუწევს. თუმცა, ვინ იცის, — ჰოლივუდის ვნებიან ვარსკვლავს უფროსი ვაჟის გარდა ხომ კიდევ ორი აყვანილი შვილი ჰყავს?! ■

## კრისტინა აგილერა – სანიმუშო დედა



მომღერალმა კრისტინა აგილერამ მრავალი ვარსკვლავის მაგალითს მიჰბაძა და ვაჟიშვილის, მაქს ლინდონის დაბადებისთანავე, სოლიდური თანხის სანაცვლოდ ჟურნალისთვის ფოტოსესიაზე დათანხმდა. ამ გადაღებების შემდგომ უკვე ნახევარ წელზე მეტი გავიდა და ბავშვი უკვე მოიჩიტა კიდეც. ამას წინათ პაპარაციმ კრისტინა და მისი ქმარი ჯორდან ბრატმანი იმ დროს გამოიჭირა, როდესაც ცოლ-ქმარი მანჰეტენზე მდებარე ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდა. კრისტინას ხელში ბავშვი ეკავა. პაპარაცის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე ცხადად ჩანს, რომ ცისფერთვალება, ქერა ბიჭუნა დედის ასლია და თაფლისფერთვალება, შავგვრემან მამას არაფრით ჰგავს. თავად კრისტინა ქუჩაშიც კი პოპვარკვლავს წააგავს. გრძელ კაბასა და ვერცხლისფერ ფეხსაცმელში გამოწყობილი მომღერალი, რომელსაც მოდური მუქმინიანი სათვალე ამშვენებდა, მოდური ჟურნალის პირველი გვერდიდან გადმოსულს ჰგავდა. 27 წლის მომღერალი ხშირად ამბობს, რომ დედობამ ქალური მომხიბვლელობა და თავდაჯერება შემატა და მართლაც, კრისტინა — 7 თვის ბავშვით ხელშიც კი სიყვარულის ქალღმერთს წააგავს.

როგორც გამოცემა Daily Mail აღნიშნავს, კრისტინა აგილერამ მშობიარობის შემდეგ თავს მცირე დასვენების ნება მისცა. ამჟამად მომღერალი ახალ ალბომზე მუშაობს და მალე, რამდენიმე კონცერტსაც გამართავს, მაგრამ დიდ საგასტროლო ტურნეში გამგზავრებას ჯერ არ აპირებს. მართალია, ოქტომბერში, კრისტინა საგასტროლო ტურნეს ფარგლებში რუსეთში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ პროგრამის უქონლობის გამო ტურნე მომავალი წლისთვის გადადო. ■



## კონსერვატორი მადონა

ჟურნალისტთათვის ცნობილი გახდა, რომ მადონას უფროს ქალიშვილს, ლურდესს დრამაში „ფუტკრების იდუმალი ცხოვრება“ პატარა როლი შესთავაზეს, მაგრამ მადონას კატეგორიულად არ სურს, რომ მისმა ქალიშვილმა ფული საკუთარი შრომით იშოვოს და შვილს სასტიკი უარი განუცხადა. როგორც ჩანს, მადონაში კონსერვატიზმმა გაიღვიძა, რომელიც უბიძგებს, რომ შვილები სასტიკ სამყაროს სკოლის დამთავრებამდე მაინც „მოარიდოს“... მაგრამ ხშირად მშობელთა მცდელობა ფუჭი და ამაოა. შვილებს მაინც თავისი გააქვთ. ლურდესიც საკმაოდ ჯიუტია და საბოლოოდ ალბათ მადონაც იძულებული იქნება, შვილს დაუთმოს. ჯერჯერობით კი საკითხი მწვავედ დგას: ვინ — ვის აჯობებს?! ■

## 16 წლის ანჯელინა ჯოლის ახალი ფოტოსურათები



დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარებული ანჯელინა ჯოლის დღემდე უცნობი ფოტოსურათები გამოაქვეყნეს. ბრიტანული გაზეთი The Daily Mail აღნიშნავს, რომ ფოტოსესიამ რომელზეც 16 წლის ნორჩი მსახიობის სხეულს 13 სვირინგი ამშვენებს, ანჯელინას ჭეშმარიტი სახე აჩვენა. ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „დაბერილი ტუჩებით, მშვენიერი, კატისებური თვალებითა და გრძელი, წაბლისფერი კულულებით ენჯი ბუნებამ დაასაჩუქრა“.

მსახიობ ჯონ ვოიტას ქალიშვილი რთული მოზარდი იყო. 14 წლის ანჯელინამ მოდელად მუშაობა დაიწყო. გოგონა სააგენტოსთან Finesse Model Management თანამშრომლობდა და ძირითადად ლოს-ანჯელესში, ნიუ-იორკსა და ლონდონში მუშაობდა. ანჯელინა ჯოლი მუსიკალური ჯგუფებისა და შემსრულებლების Meat Loaf (Rock & Roll Dreams Come Through) ანტონელო ვენდიტის (Alta Marea), ლენი კრავიცის (Stand by My Women) და The Lemonheads (It`s About Time) მუსიკალურ კლიპებშიც მონაწილეობდა. მისი სრულფასოვანი კინოკარიერა 1993 წელს დაიწყო. შეგახსენებთ, რომ აპრილში ამერიკულმა ტაბლოიდმა In Touch 16 წლის ანჯელინა ჯოლის პიკანტური ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი მსახიობი ცნობილი ფოტოგრაფის შონ მაკქოლის ფოტოაპარატის წინ პოზირებს.





## ქსენია სობჩაკის ბავშვობის ოცნება



ქსენია სობჩაკი პერმში ჩავიდა, რათა ტიმოტისთან, პაშა-ფეისკონტროლთან, დიჯეი სმეშთან და რუსი პატარძლების ცნობილ ექსპორტიორ პეტია ლისტერმანთან ერთად ახალი ჟურნალის Стольник პრეზენტაციაში მიეღო მონაწილეობა. პერმელები კლუბში Ветер მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა სანახავად მივიდნენ, მაგრამ ხელთ მხოლოდ „ალა 30-იანი წლების ამერიკულ“ სამოსში გამოწყობილი მოკრძალებული ქალბატონი შერჩათ. ამას კი წვეულების პირობა მითხოვდა, რომლის თანახმად, მამაკაცთა სამოსი და იერი ალ კაპონეს უნდა ჰგვანებოდა, ქალთა სქესის წარმომადგენლები — ილფისა და პეტროვის უკვდავი რომანის გმირ მილიარდერს. ამ თვალსაზრისით, ქსენიას სამოსი უზადო იყო — ღია ნაცრისფერი ატლასის კაბა, თვალისმომჭრელი ვარცხნილობა, სტაფილოსფერი პომადა და არანაირი სამკაული! „გასულ წელს ბევრად უფრო საინტერესო იყო. ქსიუშამ თავიდანვე განაცხადა, რომ ბავშვობიდან პორნოვარსკვლავის კარიერაზე ოცნებობდა. შემდეგ კი აუქციონზე ლოტად მასთან ღამის გატარება გამოიტანა... მაგარი იყო! ვიღაც კაცმა 1.000 დოლარიც არ დაიშურა, ქსენიამ კი „სახლი 2“-ის დისკი შეაჩეჩა. „ამჯერად ერთხელაც არ შეუგინებია“, — განაცხადა პერმული წვეულებების მუდმივმა სტუმარმა, ვინმე ჟენიამ. მართლაც, ქსენია სობჩაკს მთელი ღამის განმავლობაში ერთი ბინძური ხუმრობაც კი არ წამოსცდენია... საათნახევრიანი პროგრამა შესანიშნავად ჩაამთავრა და ყალიონი მშვიდად გააბოლა.

## კენი უესტისა და 50Cent-ის შემოქმედებითი დუელი

ჰიპ-ჰოპის მძიმეწონიანი ვარსკვლავები — კენი უესტი და 50Cent იმ დაპირისპირების განახლებას აპირებენ, რომელიც ჩარტებში ლიდერობის მოსაპოვებლად წამოიწყეს. როგორც ცნობილია, მათი დუელი გასული წლის სექტემბერში დაიწყო, როდესაც რეპერებმა იმის გარკვევა სცადეს, თუ ვინ უფრო „მაგარი“ იყო და ამის დასადგენად საკუთარი ალბომების გამოსვლის თარიღიც ერთმანეთს განზრახ დაამთხვიეს. გამარჯვებულის ვინაობას კი ის ფირფიტა გამოავლენდა, რომელიც ჰიტაღლუმების მწვერვალებს პირველი დაიპყრობდა. გაბღენძილი რეპერები საჯაროდ ფიცს დებდნენ, რომ მოწინააღმდეგეს გაანადგურებდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ... მაშინ, „დუელიანტების“ დაუსწრებლად შემდგარ დუელში გამარჯვებული კენი უესტი აღმოჩნდა, რომლის ალბომმა Graduation, 50Cent-ის ლონგპლეის Curtis მცირე უპირატესობით გაუსწრო. ეს დაპირისპირება პრესამ ფართოდ გააშუქა. მუსიკოსთა შემოქმედებით დუელი 2007 წლის მუსიკალური სამყაროს ყველაზე ხმაურიან მოვლენად იქცა. „დუელიანტებმა“ მოგვიანებით განაცხადეს, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და მათ უბრალოდ უძრაობაში მყოფი ჰიპ-ჰოპ სცენის შეჯანჯღარება და კოლეგების ალბომთა ტირაჟის გაზრდა სურდათ! იქნებ ამიტომაც არის, რომ ამჯერად მუსიკოსებმა დუელის „პირობები“ ოდნავ შეარბილეს და ახალი დისკების რელიზის თარიღები ერთი კვირით დააშორიშორეს. როგორც ცნობილია, 50Cent-ის ახალი დისკის Before I self Destruct რელიზი 9 დეკემბრისთვის არის დანიშნული, ხოლო კენი უესტის ფირფიტას 808`s And Heartbreak მსმენელი 16 დეკემბერს მიიღებს.







რუბრიკა მოამზადა ნატო ჭინჯავიძე

# ვირტუალური სიყვარული

## ანუ ბებისტოლა ქალის მიერ მახეში გაბმული ბიჭი და მამა, რომელიც შვილის „შებმას" ცდილობდა



**ვირტუალურ სამყაროში ურთიერთობა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. თუ ადრე ბიჭები გოგონებს ქუჩაში ეცნობოდნენ, ოდნავ მოგვიანებით, ამას მობილური ტელეფონის მეშვეობით ახერხებდნენ. ახლა ნაცნობობის გასაჩაღებელი ყველაზე ხელსაყრელ ფორმად ჩატაობა მიიჩნევა. თანაც, თურმე, ასე ნაკლებ ფულს, დროსა და ენერგიას დახარჯავ. როგორც მოზარდები ამბობენ, ვირტუალურ სამყაროს თავისი პლუსები აქვს — იქ უფრო გახსნილი ხარ, ვიდრე რეალურ სამყაროში. ადამიანს შენს ნამდვილ სახეს უჩვენებ, გულს უშლი და არ გეშინია, რომ ის ვიღაცასთან დაგასმენს.**

*ლიკა ქაჯაია*

**ლაშა,** *18 წლის:*

— ჩატით გაცნობილ გოგოსთან სერიოზულ ურთიერთობას ნამდვილად ვერ გავაბამ. მე იქ გასართობად შევდივარ. თუმცა, რამდენიმე ხნის წინ მქონდა შემთხვევა, როცა ლამის ერთი „გოგონას" მიერ დაგებულ მახეში გავები.

— **რა მახეს გიგებდა?**

— გათხოვილი იყო და 2 შვილი ჰყავდა, მე კი მიმტკიცებდა, ქალიშვილი ვარო. მას დიდხანს ველაპარაკებოდი. როცა პაემანი დავუნიშნე, შინ დამიბარა. გამიკვირდა და ვკითხე, — შენს სახლში რა უნდა ვაკეთოთ-მეთქი? — მიპასუხა, — ის, რასაც სხვაგანაც გავაკეთებთო. მისი პასუხი არ მომეწონა და კითხვები დავაყარე. სწორედ მაშინ გამომიტყდა, რომ 40 წლის ქალი გახლდათ, ქმარი საზღვარგარეთ ჰყავდა და თურმე, სითბო და ალერსი სჭირდებოდა.

— **დავიჯერო, მისმა წინადადებამ არ მოგხიბლა?**

— ასაკით უფროსი ქალები დიდად არ მხიბლავს. თანაც, მას სახლში შვილები ჰყავდა. ვინ იცის, იქნებ, რომელიმე ჩემი ნაცნობის დედაც კი გახლდათ... თავიდან ჩატში მარტო თინეიჯერები შემოდიოდნენ, ახლა იქ ბევრ ისეთ სახელს აღმოაჩენთ, რომ პირი ღია დაგრჩებათ.

— **ვირტუალურ სამყაროში ურთიერთობა რამდენად საინტერესოა?**

— იმდენად საინტერესოა, რომ ანდამატივით გიზიდავს. თუ ჩატში ერთხელ მაინც შეხვალ, მის გარეშე ვეღარ გაძლებ. მოკლედ, ნარკოტიკივითაა.

— **ვირტუალურ სამყაროში მეგობრების გაჩენის დიდი შანსიაო, — ამბობენ. შენ თუ გყავს ვირტუალური მეგობრები?**

— მყავს, მაგრამ მათ „რეალში" არასდროს შევხვდები, თორემ ყველაფერი აზრს დაკარგავს. მჯერა, რეალურ სამყაროში ისინი სულ სხვანაირები იქნებიან და იმედი გამიცრუვდება. ამიტომ ჩატში გაცნობილ ადამიანებს ყველაფერს გულახდილად ვუყვები.

— **ხომ შეიძლება, შენს ვირტუალურ მეგობრებს ქუჩაში შეხვდე და მათ ფოტოსურათის მეშვეობით გიცნონ.**

— მათ ჩემი ფოტო არასდროს უნახავთ, ჩატში ინტერნეტიდან „გადმოქაჩული" სურათით „ვიჩითები". ასე რომ, ამის შანსი არაა.

**ნინო:**

— ხშირია შემთხვევა, როცა ჩატში არანორმალური ადამიანებიც გეკონტაქტებიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ მოგიშალონ ნერვები. ასეთებს შენც უნდა „ეიაზვო", თორემ გადაგივლიან.

— **შეგიძლია, ერთი კონკრეტული მაგალითი გაიხსენო?**

— ერთხელ ვიღაც გოგო დამეკონტაქტა. თავიდან მეგობრობა შემომთავაზა, მერე კი, როცა დავეთანხმე და გულიც გადავუშალე (რადგან კარგი ადამიანი მეგონა), „აფრები" აუშვა.

— **ანუ?**

— ჯერ გინება დამიწყო, მერე მითხრა, — არ გინდა, ჩემი საყვარელი რომ გერქვასო? თავიდან ვიფიქრე, — შეიძლება, მისი სახელით ვიღაც სარგებლობს-მეთქი და პასუხი არ გავეცი, მაგრამ მსგავსი ნერვების მომშლელი რაღაცების მოწერა რომ არ შეწყვიტა, მერე აღარც მე დავინდე... ერთხელ კიდევ, ჩემს „შებმას" მამაჩემის ასაკის კაცი ცდილობდა და სამოთხეში ცხოვრებას მპირდებოდა. ის საწყალი ერთ ადგილას გავუშვი.

— **ხშირია შემთხვევა, როცა უფროსი ასაკის ადამიანები გეკონტაქტებიან?**

— კი, როგორ არა! მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც ათენში ცხოვრობს, 6 თვეა, ვემესიჯები. ჩვენ ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცით. მე მისი შვილები — 18 წლის ლევანი და 15 წლის ანი გავიცანი, არაჩვეულებრივი ბავშვები არიან. ქალბატონი ლია ათენიდან საჩუქრებს მიგზავნის. მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს. მიხარია, რომ გავიცანი... არიან ისეთი უფროსებიც, რომლებიც ჭკუაზე არ არიან და ცდილობენ, თინეიჯერებს მიჰბაძონ. ასეთები, ხშირ შემთხვევაში, ასაკს მალავენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მათ სიცრუეს ფარდა ეხდება და დაცინვის ობიექტები ხდებიან. დიდებო, თავს სასაცილო მდგომარეობაში ნუ იგდებთ და ასაკის შესაფერისად მოიქეცით.

— **თქვენ, თინეიჯერები, ასაკის შესაფერისად იქცევით?**

— რატომაც არა?! ჩვენ ასაკს არ ვმალავთ და ვერც ფლირტაობის გამო გაგვამტყუნებთ, რადგან ოჯახი არ გვაქვს, ქმარსა და შვილებს არ ვღალატობთ...

— **როგორ ფიქრობ, ვირტუალური მეგობარი რეალურ სამყაროშიც ისეთივე კარგი ადამიანი იქნება, როგორიც ჩატში ჩანს?**

— აბა, რატომ უნდა იყოს სხვანაირი? იცით, ვირტუალურ სამყაროში ადამიანები ზედმეტად გულახდილები არიან. ასე რომ, უნდათ თუ არა, თავიანთ ნამდვილ სახეს მაინც ვერ დაფარავენ.

**ერეკლე,** *17 წლის:*

— ვირტუალურ სამყაროში გავიცანი ჩემი საცოლე — ნინო, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია. ის ესპანეთში გახლდათ და იქიდან მეკონტაქტებოდა. ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად გავუგეთ და როცა ნინო თბილისში ჩამოვიდა, მას თავის ნათესავებთან ერთად, აეროპორტში დავხვდი. ერთმანეთი „რეალშიც" მოგვეწონა და მალე დაქორწინებასაც ვაპირებთ.

— **ბედნიერებას გისურვებთ!.. შენ და ნინოს გაგიმართლათ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ვირტუალური ურთიერთობა იმედგაცრუებით სრულდება.**

— ჩემს შემთხვევაში მსგავსი რამ არ მომხდარა. იცი, ადამიანის ბუნება, ყველაზე უკეთ ჩატში ჩანს.. ერთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ბიჭი გამომელაპარაკა და სხვანაირი ურთიერთობა შემომთავაზა. სხვათა შორის, იმ ბიჭს შევხვდი და კარგადაც „მივბეგვე".

— **რატომ?**

— აბა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ცისფრობის რა შემატყო? ასეთ მასტებს სხვანაირად როგორ უნდა გაუსწორდე?

— **ხომ შეგეძლო მისთვის გეთქვა, რომ ასეთი არ იყავი, რომ მისამართი აერია და ა.შ.**

— ასეთებს მხოლოდ ცემა თუ გამოასწორებს!

— **როგორ ფიქრობ, მას შემდეგ, რაც ის ბიჭი სცემე, გამოსწორდებოდა?**

— (*იცინის*) ყოველ შემთხვევაში, გაიგო, ვისთან როგორ უნდა ილაპარაკოს.

— **ახლობლებს თუ ეჩატავები?**

— როგორ არა! ვისაც კომპიუტერი აქვს, ჩატის მეშვეობით ველაპარაკები, რადგან ასეთი ურთიერთობა შედარებით ხელსაყრელია. ჩემი ერთი მეგობარი ბათუმში ცხოვრობს. მას

მობილურით რომ ველაპარაკო, „გავიწეწები“, სალაპარაკო კი ძალიან ბევრი გვაქვს.

**ლუკა,** *16 წლის:*

— მე კომპიუტერი არ მაქვს. ამიტომაც, საჩატაოდ მეგობრებთან მივდივარ. ვირტუალური სამყარო ძალიან მომწონს, იქ მეტად გახსნილი ვარ. ჩატით გაცნობილ ადამიანთან ისეთ რაღაცაზე შეიძლება ლაპარაკი, რასაც „რეალში“ ვერავის ეტყვი.

— **ხომ შეიძლება, შენი ნაცნობი გელაპარაკებოდეს, მაგრამ შენ ამის შესახებ არაფერი იცოდე?**

— შანსი არაა. ვიდრე გულახდილობის გუნებაზე დადგები, მანამ ადამიანის ამოცნობას ცდილობ. ნაცნობები კი ყოველთვის „ჩაიჭრებიან“.

— **ვირტუალური შეყვარებული ხომ არ გყავს?**

— მყავს და მასთან ერთად ძალიან კარგადაც ვერთობი.

— **მასთან შეხვედრის სურვილი არ გაგჩენია?**

— როგორ არა, მაგრამ მას ამის სურვილი თავად არ აქვს.

— **რატომ?**

— არ ვიცი, ამაზე არაფერს ამბობს.

— **ხომ შეიძლება, რომ ის გათხოვილი ქალი იყოს...**

— რა პრობლემაა? მერე ჩემგან რა მიდის? ისე, ჩატში არა მარტო გათხოვილი, ქალიშვილი გოგონების „დაკერვაც“ ადვილია... ხშირად ვეკონტაქტები საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს და მათთანაც ვმეგობრობ.

— **ამბობენ, — ვირტუალურ სამყაროში გაცნობილ ადამიანს „რეალში“ ვერ ენდობიო.**

— ეს სიმართლეა, რადგან მან შენზე იმდენი რამ იცის, რომ მისი გაცნობა არ გაწყობს. ხომ შეიძლება, მას ვიღაცასთან რაღაც წამოსცდეს და მორჩა, „გაყიდული“ ხარ. საერთოდ, ვირტუალური ურთიერთობა ძალიან მაგარია. ასე შეიძლება ეკონტაქტო ქალს, რომელიც „რეალში“ ზედაც არ შემოგხედავს.

**ელენიკო,** *17 წლის:*

— ჩატში ადრე უფრო ხშირად „დავწანწალებდი“, ახლა კი გული ამიცრუვდა, რადგან იქ ბევრი უსაქმური შემოდის და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, ნერვები როგორ აგიწეწონ.

— **რას გულისხმობ?**

— ბიჭები მხოლოდ ფლირტზე ფიქრობენ, გოგონები ერთმანეთს აგინებენ, ურთიერთზე ჭორაობენ და ა.შ. მოკლედ, გულისამრევი სიტუაციაა. ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო. ჩატის მეშვეობით ბევრი მეგობარი შევიძინე და მათ დღემდე ვეკონტაქტები.

— **ამბობენ, ვირტუალურ სამყაროში გაცნობილ ადამიანს რეალურ სამყაროში ვერ მიენდობიო.**

— რა სისულელეა! მე მყავს მეგობარი გოგონა, რომელიც „ვირტში“ გავიცანი, მაგრამ ახლა ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვყავს. ის კი არა, ჩვენი ოჯახის წევრებიც იცნობენ ერთმანეთს და როცა გავთხოვდები, ის ჩემი მეჯვარე იქნება... იცი, ჩატში დედაჩემიც შედის ხოლმე და იქ თავისი მეგობრები, კლასელები იპოვა. ახლა ისეთი მონდომებით ჩატაობენ, რომ ხშირად ხვეწნა მიწევს, — კომპიუტერი დამითმოს (*იცინის*).

— **მერე, მამიკო არ უბრაზდება?**

— რატომ უნდა გაუბრაზდეს? ცუდს რას აკეთებს? მამიკო სახლში კომპიუტერს არ ეკარება, მაგრამ სამსახურში, ალბათ, ისიც ჩატაობს ხოლმე. ერთხელ „სკაიპში“ სხვა სახელით დავრეგისტრირდი და მამაჩემს დავეკონტაქტე. ჩემი „შებმა“ რომ სცადა, მაშინ ვუთხარი, — ლაპარაკი აღარ გააგრძელო, შენი შვილი ვარ-მეთქი (*იცინის*). კინაღამ გაგიჟდა და ეს ამბავი დედისთვის რომ არ მეთქვა, 200 ლარი მაჩუქა (არა, კი არ მაჩუქა, უფრო სწორედ, ავწაპნე).

— **დედას ამ ამბავს რომ უმალავ, არ „გიტყდება“?**

— რატომ უნდა „მიტყდებოდეს“? ვიღაცებს დედაც ხომ ელაპარაკება...

— **და მამამ ამის შესახებ არაფერი იცის, არა?**

— ჰო, არ იცის.

— **მერე, ეს კარგია? ისინი ხომ ერთმანეთს ღალატობენ?**

— ეს ღალატი არ არის. მერე რა, თუ ვიღაცებს ვირტუალურ სამყაროში ელაპარაკებიან? მთავარია, ურთიერთს რეალურად არ უღალატონ.

**თინეიჯერები გვწერენ**

# „ბედნიერებისთვის უნდა ვიბრძოლოთ“...

**სიკვდილა:**

„ლიკ, ბოდიში, ასე გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ მაინტერესებს, თქვენი მკითხველი ჩვენს რჩევას თუ ითვალისწინებს?! რამდენად მნიშვნელოვანია ეს მათთვის? აქ ბევრ ერთმანეთისგან განსხვავებულ რჩევას იღებენ და საინტერესოა, რომელს ითვალისწინებენ? ნუთუ იმას, რომელიც მათთვის ხელსაყრელია?!. ეჰ, ისე, შენ არ გეცოდინება? ვინ იცის, იქნებ, რჩევა რჩევად რჩება და პრობლემა — პრობლემად. ეჰ, რას გაიგებს კაცი“.




— **სიკვდილა, ამ კითხვაზე ასეთი პასუხი მაქვს — თქვენს რჩევებს ნამდვილად ითვალისწინებენ, მაგრამ კონკრეტულად რომელს, ვერაფერს გიპასუხებ. შენი ინტერესის დაკმაყოფილება ჩვენს მკითხველს შეუძლია და იმედია, ისინი ამას არ დაიზარებენ.**

**შავი ცრემლი:**

„ეჰ, ლიკა, ლიკა, ეტყობა, ყველაფერი ჩაწყობითაა. მეგონა, მესიჯს დამიბეჭდავდი, მკითხველის რჩევებს მივიღებდი და ისინი მხარში ამომიდგებოდნენ, მაგრამ შენ ამისთვის არაფერი გააკეთე... არა უშავს, მე მაინც თქვენი ერთგული ვარ“.

— **შავო ცრემლო, შენი მესიჯი აუცილებლად დაიბეჭდება, მაგრამ ამას ცოტაოდენი დრო სჭირდება.**

**დავით ვლადიმერის ძე მესხიშვილი:**

„მიყვარს, მაგრამ ვერ ვბედავ, გავუმხილო, რადგან მითხრა, — დანიშნული ვარო. მას ვერ ვივიწყებ და ჩემს მწუხარებას საზღვარი არ აქვს. ჩემი მდგომარეობით დაინტერესებულ გოგონებს ვთხოვ, გამომეხმაურონ. მე ნამდვილად მჭირდება პიროვნება ანუ ვინმე სერიოზული გოგო, რომელიც ტანჯვას შემიმსუბუქებს. ველი თქვენს მესიჯებს... 2-ჯერ დავაპირე თავის მოკვლა და ორჯერვე გადამარჩინეს. მე წუთისოფლისგან დაწყევლილი ვარ“.

**მეიდნელი ჯადო:**

„ლიკა, შენს რუბრიკაში ყველა იტანჯება. მესიჯებს ის ადამიანები გწერენ, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. მთელი ჩვენი ცხოვრება ხომ ამ პრობლემის გარდა, სხვა არაფერია. იცი, ზოგჯერ როგორ ვიტანჯები? მაგრამ მაინც, ძალიან ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ მიყვარს. ჩვენ ერთმანეთზე ვგიჟდებით. ცხოვრება უსამართლო, მაგრამ მშვენიერია. არჩილ კობიაშვილი სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. მინდა ვიყვირო და ეს ამბავი ყველას გავაგებინო. ხალხო, განურჩევლად ყველას, ბედნიერებას გისურვებთ! ცხოვრება ბრძოლაა და ამიტომაც, უნდა ვიბრძოლოთ, გავიმარჯვოთ და ბედნიერებაც მოვიპოვოთ. ყველას გეხუტებით. არჩ, ძვირფასო, შენ ჯარში ხარ, მე კი ვდგავარ და შენზე ვფიქრობ. მე ერთი პატარა გოგო ვარ, სიყვარულისგან გაგიჟებული. ლიკ, იმედია დამიბეჭდავ.“

# „მაგთი"-ჩატში უბრალოდაც რომ შეიხედო, დაორსულდები"

## „შენნაირი მეუღლე რომ შემხვდეს, შემომაკვდებოდა"

**„გზის" №39-ში დაიბეჭდა 19 წლის თათიას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ჰყავს მეუღლე, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. „მენატრება უსაზღვროდ და მთელ დღეებს მასზე ფიქრში ვატარებდი. ამავდროულად, თავს მარტო ვგრძნობდი და ამიტომაც ჩატში მესიჯობას მოვუხშირე", — გვწერდა თათია, რომელიც ძალიან განიცდის იმას, რომ მეუღლეს ვირტუალურ სამყაროში უღალატა.**



**ეშმაკუნა:**

„ცუდად მოიქეცი! მეუღლე საზღვარგარეთ იმიტომ წავიდა, რომ ამას საქმე მოითხოვდა, შენ კი გართობა გადაწყვიტე? მერე რა, რომ მხოლოდ ვირტუალური ურთიერთობა გქონდათ? — ღალატი ღალატია. შენ მოღალატე ხარ! შენი ქმარი მეცოდება, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მას არც აწი დააკლებ ღალატს. აფსუს, საცოდავო საქართველოვ... უფალს ცოდვათა შენდობა სთხოვე".

**აკა:**

„გთხოვ, მეუღლეს უერთგულე, მას ხომ შენი იმედი აქვს. მეც ემიგრანტი ვარ, იმერეთში მეუღლე და 3 შვილი დავტოვე ... ცდუნებას გაუმკლავდი. ვგრძნობ, შენ ძლიერი ხარ".

**ნოსტალგია:**

„ოხ, ეს ვირტუალური სამყარო... მიკვირდა კიდეც, ამ პრობლემაზე არავის რომ არ მოუწერია. „მაგთი"-ჩატში ისეთი ამბავია, უბრალოდაც რომ შეიხედო, დაორსულდები :)) მოკლედ, რა შორს წავიდა ტექნიკა. ახლა შეგიძლია, საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ბოსელში იჯდე და თან ესპანეთში მყოფ „უფლისწულთან" გქონდეს სექსი :)). ეჰ, ჩემო თათია, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ თოჯინებით თამაში არ დაგიმთავრებიათ და უკვე თხოვდებით. ამბობ, — ქმარი მიყვარსო. თუ გიყვარს, მასთან გემესიჯა, რაღა სხვას „ევირტუალებოდი"; შენს საქციელს გამართლება არ აქვს. ამიტომაც, თუ შენი სინანული გულწრფელია, თავი დაისაჯე და ინტერნეტს ალარ გაეკარო. ისე კი, „ბივაეტ ი ხუჟე"...

**მიკა:**

„თათია, ერთ დროს ვირტუალურმა სამყარომ მეც გამიტაცა, მაგრამ სურვილი დავძლიე და რეალურ ცხოვრებას დავუბრუნდი. გირჩევ მეუღლეს ყველაფერი გულახდილად უამბო."

**ლომუა (ქუთაისი):**

„გამაგებინე, როცა ამას აკეთებდი, რაზე ფიქრობდი? გაიძახი, — ქმარზე ვფიქრობდიო. მაშინ სხვას რატომ ეპრანჭებოდი? ეგაა შენი ერთგულება? მე რომ შენნაირი მეუღლე შემხვდეს (ღმერთმა დამიფაროს), ნამდვილად შემომაკვდებოდა. ჩვენთვის, კაცებისთვის ეს ღირსების საქმეა, უღირსი მეუღლე კი არავის უნდა... მოკლედ, გადამრევს ეს ხალხი, რა! თქვე დალოცვილებო, ტინგიცი და ხუნტრუცი თუ გინდათ, რატომღა თხოვდებით?:

**მაცალე,** *21 წლის:*

„მესმის შენი. ძნელია, როცა საყვარელი ადამიანი შენ გვერდით არაა, მაგრამ მაინც, შენი საქციელი ლამაზი არ არის. ტაძარში მიდი და ცოდვები მოინანიე. ბედნიერებას გისურვებ!"

**იკუშკები:**

„მგონი, შენ მამაკაცის სითბო და ალერსი მოგენატრა. ჩემო კარგო, თუ სიყვარული გულწრფელია, მას ვერანაირი მანძილი და მონატრება ვერ შეარყევს. ახლა კი, შენი სიყვარული დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ხშირად, ადრეულ ასაკში გათხოვება არ ამართლებს. ჩემი რჩევაა, ვირტუალურ თამაშებს შეეშვა. იმედია, შენი მეუღლე გიყვარს და მას პატივს სცემ იმ დონეზე, რომ მსგავსი გართობით შეურაცხყოფა არ მიაყენო. გათხოვილი ქალი ნაკლებად თავქარიანი უნდა იყოს. წარმატებები!"

**სიკვდილა:**

„კარგი, რა, თათი, ადექი და უბრალოდ, აღარ შეხვიდე იმ ჩატში. შეეცადე, ქმართან იყო. საინტერესოა, რა ნახეთ ამ სიკვდილში ასეთი, ყველა რომ ნატრობთ? ხალხო, აზრზე მოდით!"

**აზიელი:**

„როგორ განაგრძო ცხოვრება და, ჩვეულებრივად. ადამიანი შეცდომებზე სწავლობს, გიყვარდეს ქმარი, მას ცხოვრება გაულამაზე, სიკვდილი კი თავის დროზე ყველასთან მივა. იცხოვრე რწმენით, სიკეთით, პ-ა-ტ-ი-ო-ს-ნ-ე-ბ-ი-თ და ღ-ი-რ-ს-ე-ბ-ი-თ!"

**მუკოზანძელი:**

„შეიძლება, ბევრმა გაგკიცხოს, მაგრამ შენ გაკიცხვა კი არა, რჩევა გჭირდება. რა დროს სიკვდილზე ფიქრია? ნუ ხელყოფ იმას, რაც უფალმა გაჩუქა. დამიკავშირდი და აგიხსნი, რა ან როგორ ჯობია, მიგახვედრებ, რომ სიკვდილს სიცოცხლე სჯობს".

**თავისუფალი ჩიტი:**

„სიკვდილი გამოსავალი არ არის. იმ ბიჭთან ჩატაობას თავი დაანებე, თორემ ქმარი რომ ჩამოვა, რას ეტყვი? — ვირტუალურ სამყაროში გიღალატეო? თუ ამას ეტყვი, ბარგი ჩალაგებული უნდა გქონდეს. უფალს მიენდე და სხვა გასართობი მონახე. წარმატებებს გისურვებ!"

**GREEN GIRL:**

„თათია, საყვარელო, ალბათ, გაგიძნელდება, მაგრამ ქმარს ყველაფერი უნდა უამბო. სიკვდილი გამოსავალი არ არის. P.S. ჩემი ნიტა-ნიტა-ნიტა1 skype-ია".

**მის რეალი:**

„ვირტუალური სიყვარული. ვირტუალური ღალატი... თათია, ეს დროის საკითხია და აუცილებლად გადაგივლის. გონს მოდი, ნამდვილ სიყვარულს ნუ დაკარგავ".

**უცნობი:**

„რას სულელობ? ვირტუალური ურთიერთობა ვის არ ჰქონია? ბოლოს და ბოლოს, ქმრისთვის მართლა ხომ არ გიღალტია? დაფიქრდი, იქნებ, ის ბიჭი გიყვარს?"

**ნინიკელა:**

„თუ ქმარზე ოცნებობდი და იგი უზომოდ გიყვარს, როგორ უღალატე? ან რა მნიშვნელობა აქვს, ეს „ვირტია" თუ არა?.. მე ვერ გაგამართლებ, მაგრამ მაინც, წარმატებებს გისურვებ!"

**ჭრიჭინა:**

„წუთიერი სიამოვნების გამო ოჯახის დანგრევა არ ღირს. გახსოვდეს, გათხოვილ ქალს ბევრი რამ არ ეპატიება. იმედია, ქმრის ჩამოსვლას გულისფანცქალით ელოდები".

**გრუზინკა:**

„შეეცადე, ეს შემთხვევა დაივიწყო. მეუღლე თუ გიყვარს, მხოლოდ მასზე უნდა იფიქრო და ღმერთს სთხოვე, დაგეხმაროს. ვირტუალურ სამყაროს შეეშვი!"

**გრაფი მონტე კრისტო:**

„სიკვდილს ყოველთვის მოასწრებ. ვიცი, მარტოობა ძალიან ცუდია. დამშვიდდი, შენ საშინელება არ ჩაგიდენია".

**ელენე,** *17 წლის:*

„ვერ გავიგე, ვირტუალურ ურთიერთობაში რა იგულისხმე? ნუთუ, იმ ადამიანთან სექსი გქონდა? გადავირიე, რა. ჩემი ქმარიც საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ და ღმერთმა დამიფაროს, რომ მას თუნდაც ვირტუალურ სამყაროში ვუღალატო. სიყვარულს დრო და მანძილი ვერაფერს დააკლებ".

**ზურა:**

„არ გინდა, რომ ჩემთანაც იურთიერთო? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ქმარს ვისთან უღალატებ? თანაც, იმ ბიჭს ხომ არ იცნობ? ისე, თუ გინდა, ვირტუალურ კი არა, რეალურ ურთიერთობას შემოგთავაზებ. P.S. იმედია, მგზავნელები ამ მესიჯის გამო არ გამკიცხავენ. აბა, რისი ღირსია ქალი, რომლის ქმარიც საზღვარგარეთ მისსავე კეთილდღეობისთვის წავიდა, ის კი უსირცხვილოდ ღალატობს! ვფიქრობ, ასეთი ადამიანები დანდობის ღირსნი არ არიან".

**გიო:**

„არ იდარდო, შენ ხომ მისთვის რეალურად არ გიღალატია. თანაც, არა მგონია, შენი ქმარი ქალებში არ დადიოდეს. ჰოდა, რა განერვიულებს, ბარი-ბარში ხართ".

# „რაში გჭირდება ადამიანი, ვინც სხვაში გაგცვლის?"

## „საუკეთესო დაქალს ბიჭების გამო არ დაშორდე"



**„გზის" №39-ში დაიბეჭდა ტაიას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ჰყავს ულამაზესი დაქალი. „შხვართი" გოგო, რომლის გამოც, მას ბიჭები მხოლოდ მეგობრობას სთავაზობენ. „არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ნუთუ, ბიჭების გამო დაქალი უნდა შევიძულო?" — გვწერდა ტაია და თან, ამ კითხვას თავადვე პასუხობდა, — არა, მას არც ერთი კაცის გამო არ დავკარგავო!**

**გრუზინკა:**

„ანგელოზო, არ იდარდო, შენც შეხვდები შენს პრინცს. ბიჭების გამო დაქალი არ შეიძულო. ვინ იცის, უფალი რას გიმზადებს".

**ჭრიჭინა:**

„გეხვეწები, მითხარი, იმ „შხვართ" გოგოს, შენ რომ ბიჭები „ფუკასავით" აგაცალა, რამდენი შეყვარებული ჰყავს? მგონი, კარგიცაა, თავიდანვე ასე რომ ხდება. გამაგებინე, რაში გჭირდება ადამიანი, ვინც სხვაში გაგცვლის? რას ნიშნავს ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი? ჩვენ ყველანი ჩვეულებრივები ვართ! საინტერესოა, დაქალს როგორი რეაქცია აქვს, როცა შენს ამბებს იგებს? არ იდარდო, ის ბიჭები შენი ღირსები არ არიან".

**კახელო 616:**

„ხომ გაგიგონია, — ალხანას ჩალხანა არ დაელევაო. ჰოდა, დაელოდე შენს საბედოს და დაქალს ნუ დაადანაშაულებ — რომ ვინც კი მოგეწონა, ყველას ის შეუყვარდა.

PAKi-PUKA:

„ერთ დროს მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. სანამ ჩემი დაქალი სხვა სკოლაში არ გადავიდა. თავს შევიწროებულად ვგრძნობდი, მაგრამ მისთვის არაფერი მიგრძნობინებია. გირჩევ, საუკეთესო დაქალს დეგენერატი ბიჭების გამო არ დაშორდე. მისი ბრალი ხომ არაა, ყველას ის რომ მოსწონს? გავა დრო და, ამ ამბავზე გაგეცინება".

**მის რეალი:**

„ნაცნობი სიტუაციაა, ოღონდ მე პირიქით დამემართა. ჩემმა დაქალმა დამკარგა... ჩემო კარგო, გჯეროდეს საკუთარი თავის. მერე რა, თუ ის გოგო შენზე ლამაზია? გემოვნებაზე არ დაობენ. ბიჭებს შენი შინაგანი სამყარო დაანახვე და სიყვარულს იპოვი!"

**სვანის ასული:**

„როცა აპირებ, ადამიანთან მთელი ცხოვრების მანძილზე იმეგობრო და მის გარეშე ყოფნა არ შეგიძლია, რა თქმა უნდა, არჩევანი მის სასარგებლოდ უნდა გააკეთო. მე მსგავსი შემთხვევა 3-ჯერ მქონდა, ულამაზეს ბიჭებს სამჯერვე უარი ვუთხარი. მერე, ერთმა დაქალმა ჩემ გამო ერთ-ერთი ბიჭის სიყვარული უარყო. მე არაფერს ვნანობ. მერწმუნე, ჩვენი პრინცები ჰორიზონტზე მალე გამოჩნდებიან.

EKO BOY *(ქობულეთიდან)*:

„ჩემო კარგო, შენ შურიანი ხარ და ეგაა შენი პრობლემა. P.S. გრუზინკა, შენი გაცნობა მინდა".

**ლუნა:**

„თუ ვინმეს მთელი გულით შეუყვარდი, იმ შენს „შხვართ" დაქალს სულაც არ შეხედავს. შენ ჩვეულებრივი კი არა, საოცარი ადამიანი ხარ. არა, მეგობარი არ შეიძულო. თანაც, ძალიან საყვარელი ჩანხარ და არა მგონია, სიძულვილი შეგეძლოს... ლიკუ, ძალიან მომენატრე, ანი თქვენთან ვიქნები. მიყვარხართ!"

**იკუშკები:**

„ჩემი აზრით, დაქალი გიყენებს. შეიძლება, ვცდები, მაგრამ ასე მგონია. ლამაზმანი მეგობრის ფონზე ყოველთვის დაიჩრდილები და თავს დაჩაგრულად იგრძნობ. არადა, დარწმუნებული ვარ, თქვენ ურთიერთობის შენარჩუნება გაგიჭირდებათ. დაიმახსოვრე, შენ არავისზე ნაკლები არ ხარ. მარიონეტად ნუ იქცევი, თორემ ცოტა ხანში, მამაკაცები კი არა, ქალად თავს თვითონაც ველარ აღიქვამ".

**მაცალე,** *21 წლის:*

„შენი მეგობარი არაფერ შუაშია. ამიტომაც, ბიჭების გამო მას ნუ დაკარგავ. დამიჯერე, შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ვინმე ისეთი, ვისაც შეუყვარდები. წარმატებებს გისურვებ!"

**მუკოგანძელი:**

„ტაია, შენი დაქალი თუ მართლა ასეთი კარგია, მე „დამაჯახე". იყავი მარტო, მშვიდად/შეგიყვარებენ წმინდად".

**თაკო:**

„გეფიცები, 1 წლის წინ მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ ამის გამო დაქალი არ დამიკარგავს. პირიქით, ამან სტიმული მომცა იმისათვის, რომ სტილი შემეცვალა და ვცდილობ, ყოველთვის ლამაზად გამოვიყურებოდე. იყავი ხალისიანი, ხშირად გაიღიმე და მერწმუნე, შენი ღიმილითა და ლამაზი შინაგანი სამყაროთი ბევრის მოხიბვლას შეძლებ".

**ლომუა:**

„ძვირფასო, ამის გამო არ ინერვიულო. ეტყობა, ნამდვილ ვაჟკაცს არ შეხვედრიხარ. ნურც დაქალზე დაიბოლმები, მაგრამ მისგან თავი ცოტა შორს დაიჭირე... იყავი მიუწვდომელი და ბევრი დაგაფასებს, იყავი გამოცანა და ბევრი შეეცდება, ამოგიცნოს. ღმერთმა ლამაზი სიყვარული გაჩუქოს".

**ლეძსო 707:**

„მთავარია, იყო ბუნებრივი და იმედი არ დაკარგო, დანარჩენი კი — კაცია და გუნებაო"...

**აკა,** *ათენიდან:*

„კარგი მეგობრობა გცოდნია. ხომ იცი, ყველა მატარებელს თავისი მგზავრი ჰყავს და გჯეროდეს, შენც გეწვევა ნამდვილი სიყვარული, თანაც იცოდე, ადამიანურობა გარეგნული სილამაზით არ განისაზღვრება".

## „დავუმალე, შვილი რომ მყავდა... მისი დაკარგვის მეშინოდა"

**ლულუ:**

„მინდა, რჩევა მომცეთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ზოგიერთი გამკიცხავს. ზვიადი ტელეფონით გავიცანი და დავმეგობრდით; მას დავუმალე, შვილი რომ მყავდა. ბოლოს ერთმანეთი შეგვიყვარდა. მე სიმართლეს ვერა და ვერ ვეუბნებოდი, რადგან მისი დაკარგვის მეშინოდა. ვფიქრობდი, ყველაფერს ბოლოს ვეტყვი-მეთქი, მაგრამ ამასობაში დრო გადიოდა. ჩემი შვილის არსებობის შესახებ მაშინ ვუთხარი, როცა ერთმანეთს შევხვდით. ზვიადმა მაკოცა და მითხრა, — ვერ დაგივიწყებ, მაგრამ ვერც ამხელა ტყუილს გაპატიებო. არ ვიცი, მისი გული როგორ მოვიგო. მალე საზღვარგარეთ წავალ, რადგან აქ აღარაფერი დამრჩენია. P.S. გათხოვილი არასდროს ვყოფილვარ, მატყუარა სიყვარულის მსხვერპლი გახლავართ და აი, შედეგიც".

## „დედაჩემის ნაცვლად ბოდიში მოვუხადე, მაგრამ მაინც წავიდა"...

**ბუტია:**

„2 წლის წინ თავდავიწყებით შემიყვარდა ადამიანი, რომელიც სიყვარულითვე მპასუხობდა. ამის შესახებ დედაჩემმა გაიგო და თავი გაიგიჟა, მისი ლანძღვა დაიწყო. ამბობდა, — მაგას შვილს როგორ გავატანო? ჩემმა სიხარულმა, როგორც მოგვიანებით გავიგე, ეს ამბავი შეიტყო და როცა შევხვდი, მითხრა — უნდა დავშორდეთო. ხედავდა, რომ ცრემლები ღაპაღუპით წამომივიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეტრიალდა და წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მას ისევ შევხვდი და დედაჩემის ნაცვლად ბოდიში მოვუხადე; ვთხოვე, — ურთიერთობა თავიდან ვცადოთ-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე. მითხრა: კარგი ადამიანი ხარ, ლამაზი სიყვარულის ღირსი; მიეცი ვინმეს უფლება, რომ უყვარდე და შენც ის შეიყვარეო. მერე გავიგე, სხვა შეჰყვარებია. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა? იცოდეთ, მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ".

**P.S.** მაშ ასე, თუ ლულუსა და ბუტიას წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



# დანაშაული ეჭვიანობის მოტივით, თუ განზრახ ჯგუფური მკვლელობა?

ანანო გაგუა

2007 წლის, 26 ოქტომბერს, თბილისში, სანზონის დასახლებაში, ვარდისუბნის და ქვიშხეთის ქუჩებს შორის მდებარე 133-ე საჯარო სკოლის ეზოში, 48 წლის ვალერი ჟორჟოლიანი სასიკვდილოდ დაჭრეს. კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილიდან „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლილი 8 ცალი მასრა ამოიღეს. მასრების მიხედვით დადგინდა, რომ იარაღი ზაზა ჩხაიძეს ეკუთვნოდა, რომელიც შემთხვევის დროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილებაში ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე მუშაობდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, პოლიციელმა ზაზა ჩხაიძემ ვალერი ჟორჟოლიანი ეჭვიანობის ნიადაგზე სასიკვდილოდ დაჭრა და მიიმალა. ვალერი ჟორჟოლიანი გადაიყვანეს №4 კლინიკურ საავადმყოფოში, იგი სამი დღის შემდეგ, 29 ოქტომბერს გარდაიცვალა. კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ვალერი ჟორჟოლიანის სიკვდილის მიზეზი, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია გახდა, რომელიც ცეცხლნასროლი ჭრილობის შედეგად განვითარდა.

მომხდართან დაკავშირებით, გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს VIII განყოფილებაში იმავე დღეს დაიწყო გამოძიება. 2007 წლის 2 ნოემბერს, აღნიშნული საქმე თბილისის პროკურატურას გადაეგზავნა, ხოლო 16 ნოემბერს, ზაზა ჩხაიძე დაუსწრებლად იქნა მიცემული პასუხისგებაში სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, პატიმრობა შეეფარდა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

2007 წლის, 26 ნოემბერს, ძებნილი ბრალდებული ნებაყოფლობით გამოცხადდა პოლიციაში. 2008 წლის, 18 მარტს, პასუხისგებაში მისცეს ლანა გრატიაშვილი (რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში თან ახლდა ზაზა ჩხაიძეს) სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (მძიმე დანაშაულის დაფარვა). მოსამართლის ბრძანებით, ქალბატონს აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაო 2.000 ლარი შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის, 7 ივლისის განაჩენით (მოსამართლე — მამუკა ნოზაძე) ზაზა ჩხაიძე დამნაშავედ ცნეს სსკ-ის 19-108 მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს.

ვალერი ჟორჟოლიანის დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია მიეცა. მათი მტკიცებით, ზაზა ჩხაიძემ არა განზრახ მკვლელობის მცდელობა, არამედ განზრახ მკვლელობა ჩაიდინა. ვალერი ჟორჟოლიანის მეუღლის ადვოკატებმა — თემურ და დიანა გვიშიანებმა მოსამართლე მამუკა ნოზაძის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. პროცესი 7 ოქტომბერსაა ჩანიშნული.

*საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ:*

*„თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის, ზაზა ჩხაიძის მეუღლე შორენა ლომჯარია და შვილი ანა ჩხაიძე, 2007 წლის ივლისის თვეში ქორეოგრაფიულ სტუდიასთან ერთად იმყოფებოდნენ ქობულეთში, სადაც ამავე სტუდიის მოსწავლემ, არასრულწლოვანმა (15 წლის) გურამ ჟორჟოლიანმა გაიცნო შორენა ლომჯარია, რის შემდეგაც დამეგობრდნენ. ისინი ერთმანეთს პერიოდულად მობილური ტელეფონის საშუალებით, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდნენ. აღნიშნულის შესახებ გაიგო შორენას მეუღლემ, ზაზა ჩხაიძემ, რამდენჯერმე ტელეფონით დაუკავშირდა გურამ ჟორჟოლიანს, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და შეხვედრა მოსთხოვა.*

*საკითხის გასარკვევად ზაზა ჩხაიძე 26 ოქტომბერს გურამის მამას, ვალერი ჟორჟოლიანს დაუკავშირდა მობილურით. იმავე დღეს შეხვდა 133-ე სკოლის ეზოში და ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან მისი მისამართით 8-ჯერ გაისროლა. ჟორჟოლიანს ერთი ტყვია მუცლის არეში მოხვდა. მიღებული დაზიანების გამო, ის გადაიყვანეს №4 კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც 29 ოქტომბერს გარდაიცვალა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვალერი ჟორჟოლიანის სიკვდილის მიზეზი, ფილტვების არტერიის თრომბოემბოლიაა, რაც მიზეზობრივ კავშირშია მიღებულ ცეცხლნასროლ დაზიანებასთან".*

**მანანა ჟორჟოლიანი**, გარდაცვლილის მეუღლე:

*„ჩემს მეუღლეს ოჯახური ბიზნესი ჰქონდა. მას პოლიციასთან პრობლემა არასდროს შეჰქმნია, თუმცა თავად ყოველთვის მათი ინტერესის ობიექტი იყო. მოგეხსენებათ, შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული, პოლიცია ბიზნესმენებს ფულს „აწერდა". ვალერის ბიზნესი ადრე მოსკოვში და ტოლიატშიც ჰქონდა, — პურის ქარხანას ამუშავებდა. ჩემი ქმრით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს VIII განყოფილება და მისი სიკვდილიც ამ განყოფილებას უკავშირდება.*

*გასული წლის ივლისში, ჩემი 15 წლის ვაჟი, გურამი ქორეოგრაფიული სტუდიიდან ქობულეთში წაიყვანეს, სადაც გაიცნო ზაზა ჩხაიძის ოჯახი და მათი ნათესავი, 16 წლის ლანა ღელეყვა (ზაზას დეიდაშვილის შვილი). მკვლელის შვილიც იმავე სტუდიაში დადიოდა, ოღონდ, უმცროსი ასაკის ჯგუფში. მას თან ახლდა დედა, ბებია, სამი წლის და და ლანა. ჩემი ვაჟი ამ ოჯახს მას შემდეგ დაუახლოვდა, რაც ჩხაიძის უმცროსი შვილი დახრჩობას გადაარჩინა, — დედა და ბებია სანაპიროზე ირუჯებოდნენ, ბავშვი კი ტალღამ ზღვაში შეითრია. გურამმა ბავშვი მათ ჩააბარა და ისინიც ცდილობდნენ, მის მიმართ მადლიერების ნიშნად, პატივისცემა გამოეხატათ. მათი ნათესავი ლანა ღელეყვა, გურამს დაუახლოვდა. მან მისცა ზაზა ჩხაიძის ცოლის — შორენას ტელეფონის ნომერი და ისინიც ერთმანეთს „მესიჯებს" უგზავნიდნენ, თითქოს ეს გახდა მკვლელობის მიზეზი, რაც აბსურდია. ეს სიტუაცია სხვებმა გამოიყენეს და ჩემი ქმარი თავიდან მოიშორეს. მკვლელობის მომენტში ჩხაიძე მარტო არ ყოფილა. მასთან ერთად იყვნენ*

**ვალერი ქორჟოლიანი შვილთან ერთად**



ლანა გრატიაშვილი და გია მიქაბერიძე, ასევე პოლიციელი და მკვლელობის ორგანიზატორი.

გია მიქაბერიძე 2005 წლიდან იძებნება. ვითომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის. სინამდვილეში, წინასწარი დაკავების საკანში პატიმარი შემოაკვდა, რომელსაც შემდეგ ზურგში ესროლა — თითქოს გარბოდა და იმიტომ. მის შესახებ ყველაფერი გავარკვიე. გავიგე, რომ ზაზა ჩხაიძე და გიორგი მიქაბერიძე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, ისინი ერთად სწავლობდნენ პოლიციის აკადემიაში. შემდეგ კი ერთად მუშაობდნენ მუხიანში, მესამე განყოფილებაში. მართალია, ჩხაიძე უარყოფს, რომ ამ პიროვნებას იცნობს, მაგრამ ამის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი მაქვს.

ჩემი მეუღლე დაჭრიდან სამ დღეში გარდაიცვალა და სიკვდილის წინ მითხრა, რომ მიქაბერიძეც შემთხვევის ადგილას იყო.

ინციდენტის წინადღეს, 25 ოქტომბერს, გია მიქაბერიძე ჩემს მეუღლეს ეწვია და უთხრა, რომ ჩემს შვილს რაღაც პრობლემები ჰქონდა, — გურამი ჩხაიძის ცოლს „მესიჯებს" უგზავნის, ქმარი ეჭვიანობს და საქმის გარკვევა სურსო. ვალერიმ უპასუხა, ჩემი შვილი ამას არ იკადრებდა, აქ მოვიდეს და ვილაპარაკოთო. შეხვედრა 28 ოქტომბრისთვის დათქვეს, მაგრამ რატომღაც 26-ში მოაკითხეს. დარწმუნებული ვარ, ის კაცი ცოლის პრობლემის გასარკვევად კი არა, კონკრეტულად ჩემი ქმრის მოსაკლავად იყო მოსული.

საქმე ის გახლავთ, რომ ორივე პოლიციელი (ჩხაიძე და მიქაბერიძე) ნარკობიზნესით იყვნენ დაკავებული; კერძოდ, სანზონაში ეწეოდნენ ნარკოტიკების რეალიზაციას. ჩემი მეუღლე სანზონაშია დაბადებული და გაზრდილი. ის უწესიერესი, სამართლიანი და ნამდვილი თბილისელი ვაჟკაცი იყო. ვინც იცნობდა, ყველა პატივს სცემდა. მათ შორის, ბევრი პოლიციელიც. შვილებსაც პატიოსან და წესიერ ადამიანებად ვზრდიდით. ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობთ, საშინელება ხდებოდა — იქვე, ხევში ლამის ყველა უბნის ნარკომანები იკრიბებოდნენ და წამალს იკეთებდნენ. როგორც გითხარით, ეს ნარკობიზნესი იმ პოლიციელებს ჰქონდათ აწყობილი და გამოვიდა ისე, რომ ჩემი ქმარი მათ წინ ეღობებოდა — ამ ნარკომანებს ქუჩიდან ყრიდა, არ ახარებდა. ვალერის ხშირად მოსვლია მათთან უსიამოვნება, მაგრამ ხელის შებრუნებას ვერავინ უბედავდა.

გია მიქაბერიძის ვიზიტის შემდეგ, მე და ვალერი ჩვენს ვაჟს ვესაუბრეთ. მან, რა თქმა უნდა, ბრალდება უარყო და მოგვიყვა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ჩხაიძის ოჯახთან, როგორ მიიღო 7 ოქტომბერს უცნაური მესიჯები, რომლებიც მანამდე არ მოდიოდა — „მენატრები", „როდის შევხვდეთ", „არ გენატრები"? და ა.შ. აღმოჩნდა, რომ ზაზა ჩხაიძემ ცოლის ტელეფონით ჩემს შვილს პროვოკაციული მესიჯები გამოუგზავნა. გურამს ეგონა, ლანა ღელეყვა უგზავნიდა და მასაც პასუხი დაუბრუნებია, — არ მცალია, სკოლაში დავიწყე სიარული და თუ ცეკვიდან მოხერხდა, შევხვდეთო. გურამს ურთიერთობა ჰქონდა ლანასთანა და არა — ჩხაიძის ცოლთან, ამ „მესიჯის" შემდეგ 10 წუთში დაურეკავს იმ ნაძირალას და ჩემი შვილისთვის უკითხავს, ჩემს ცოლთან რა ურთიერთობა გაქვს, ყელს გამოგჭრი, შე ლაწირაკოო (ჩვენებაში კი პირიქით წერს, თითქოს გურამი დაემუქრა მოკვლით). გურამს უთქვამს, რა ურთიერთობა უნდა მქონდეს შენს ცოლთან? როგორც უფროს დას, ისე ვუყურებ, მისთვის არაფერი მიკადრებია, გარდა იმისა, რომ მთელ ოჯახს ვიცნობ და პატივისცემით ვეპყრობიო. ჩხაიძისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. უნდოდა, ბავშვი პროვოკაციაზე წამოეგო და მოახერხა კიდეც. 26-ში უბანში მოვიდა თავისი ამფსონებით. ახალგაზრდა მეზობელი ქალის დაკრძალვის მეორე დღე იყო. ეზოში კაცები შესანდობარს სვამდნენ. ვალერი იქიდან გაიყვანეს ჩხაიძემ და მიქაბერიძემ, რომელსაც მეტსახელად „პალაჩს" ეძახიან (სხვათა შორის, მერვე განყოფილებაში თქვეს, მაგის დაჭერა რომ გვინდოდეს, დღესვე ავიყვანდით, მაგრამ შავი საქმეების საკეთებლად გვჭირდებაო). მართალია, შემთხვევის ადგილას ბევრი მოწმე იყო, მაგრამ ვერ გაბედეს, სიმართლე ეთქვათ. მყავს მხოლოდ ერთი მოწმე, რომელსაც ეყო გამბედაობა და ვაჟკაცობა, გვერდით დაგვდგომოდა. ჩვენებაში ჩხაიძე წერს, თითქოს მას ვალერი გახსნილი დანით მისდევდა და ამიტომ ისროლა ტყვიები მის შესაშინებლად. არადა, ვალერის ხელში მობილურის გარდა, არაფერი ჰქონია. ვალერის სასიკვდილო ტყვია 120 სმ მანძილიდან ზემოდან ქვემოთ აქვს ნასროლი. მან მეტის სროლა ვერ მოასწრო — იმ ადგილზე იმყოფებოდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც შემდეგ ჩემს ქმარს გადაეფარა. ეს ფაქტი აქამდე ჩემთვის უცნობი იყო... იმ ბავშვს არ სურს, მოწმედ წამოგვყვეს და ვერც დავავალდებულებ. ჩხაიძემ



ბოლო ტყვიები გამიზნულად მიწაზე ისროლა, რათა შემდგომში საქმისთვის გამოსდგომოდა.

ვიდრე მკვლელობა მოხდებოდა, ერთი კვირის განმავლობაში, ავტომანქანა ლურჯი „გოლფი", რომლითაც ინციდენტის დღეს იყვნენ მოსულები, უბანში მოძრაობდა, ჩვენს ოჯახს უთვალთვალებდნენ. გავარკვიე, რომ აღნიშნული ავტომანქანა მსჯავრდადებულ გრიგოლ ენუქიძეს ეკუთვნის. არ ვიცი, რატომ აღმოჩნდა ამ სამი პიროვნების ხელში; ალბათ, შავი საქმეების საკეთებლად სჭირდებოდათ. საჭესთან ლანა გრატიაშვილი ეჯდათ ხოლმე, მის გვერდით, გია მიქაბერიძე იჯდა, უკანა სავარძელზე კი — ზაზა ჩხაიძე. ისინი ჩემს შვილსაც და მთელ უბნელებსაც შემჩნეული ჰყავთ. სასამართლოზე მათ განაცხადეს, იქ მხოლოდ 25-ში ვიყავით, ნათესავს, ალუდა ჩხაიძეს ვეძებდითო. აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება სულ სხვა მიკრორაიონში ცხოვრობს.

ვინც ჩემს მეუღლეს იცნობდა, მინდა, ყველამ გაიგოს სიმართლე — ვალერი არანაირი „მესიჯების" და სიბინძურის გამო არ მოუკლავთ. ჩვენ შვილის გაზრდა არ შეგვშლია. 16 წლის ბავშვს ამისთანა ცოდვა აჰკიდეს... ბავშვს რომ დაეჯერებინა, მამამისი მართლა მისი მიზეზით მოკლეს, ალბათ, თავს არ იცოცხლებდა. ერთი წელია, ამ საქმეს დავდევ და ამასობაში იმდენი სიბინძურე გამოაშკარავდა, რომ მივხვდი, სინამდვილეში რისი გულისთვის მოკლეს ამ ვირთხებმა უვაჟკაცესი ადამიანი".

ჩვენ მანანა ჟორჟოლიანის ადვოკატს, **დიანა გვიშიანსაც** გავესაუბრეთ:

**— ქალბატონო დიანა, რის საფუძველზე ამტკიცებთ, რომ ზაზა ჩხაიძემ განზრახ მოკლა ვალერი ჟორჟოლიანი?**

— სასამართლოს დასკვნით, ზაზა ჩხაიძემ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რომელსაც საფუძვლად დაედო კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. განზრახ მკვლელობის მცდელობად მიიჩნევა განზრახ ქმედება, რომელიც ბოლომდე არ არის მიყვანილი. ექსპერტიზის დასკვნით, ჟორჟოლიანის სიკვდილის მიზეზი გახდა ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, რაც მიზეზობრივ კავშირშია მიღებულ დაზიანებასთან. ასეთი დასკვნის საფუძველზე, სასამართლო ვალდებული იყო, დაედგინა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ-ის 108-ე მუხლით, რადგან თრომბოემბოლიის განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია დაზიანების შედეგთან — სიკვდილთან. №4 კლინიკური საავადმყოფოს ექიმებმაც ანალოგიური დასკვნა გასცეს. ამდენად, სასამართლო განაჩენი ეწინააღმდეგება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებს.

**— პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმეები არ გყავდათ და გარდაცვლილის მეუღლის ჩვენება მყარ მტკიცებულებად არ ჩაითვალა. სააპელაციოში თუ შეძლებთ მოწმეთა წარდგენას?**

— ჩვენ პირველ ინსტანციაში რეალური მოწმეები არ გვყავდა, რომლებიც პოლიციელების მიმართ შიშს დასძლევდნენ და ჩვენებებს მოგვცემდნენ. დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილას ზაზა ჩხაიძესთან და ლანა გრატიაშვილთან ერთად გიორგი მიქაბერიძეც იმყოფებოდა. ჩვენ დავაყენეთ შუამდგომლობა, დაეკითხათ ეს პიროვნება, მაგრამ არც გენერალური ინსპექცია და არც პროკურატურა ამით არ დაინტერესებულა. მისი ადგილსამყოფლის დაუდგენლობის გამო, ჩვენი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მიქაბერიძის დაჭერა პრობლემა გახდა, როცა ის თავისუფლად გადაადგილდება ქალაქში. ჩვენ გვყავს მოწმე, რომელიც სააპელაციო სასამართლოში დაადასტურებს, რომ იქ იყო სხვა ბიჭიც ანუ მიქაბერიძე. იგივე თქვა აწ გარდაცვლილმაც სიკვდილის წინ. ეს თუ დამტკიცდა, 108-ე მუხლი, 109-ით შეიცვლება ანუ საქმე გვექნება განზრახ ჩადენილ ჯგუფურ მკვლელობასთან. ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებებით, რომელთაც აპელაციაში წარვადგენთ, ამას ვადასტურებთ. სხვათა შორის, პროკურორმაც გაასაჩივრა ნოზაძის განაჩენი, რომ ეს იყო განზრახ მკვლელობის მცდელობა.

**მანანა ჟორჟოლიანი**: „იცით, რატომ გამიჭირდა მოწმეების თანადგომის მოპოვება? ვიდრე ჩემს მეუღლეს საოპერაციოდან გამოიყვანდნენ (ოპერაცია 6 საათს გრძელდებოდა), ფოიეში ვიდექი და შევამჩნიე, ვილაც იცინოდა. იქ უამრავი ახლობელი და ნათესავი იდგა, რომელიც ჩემთან ერთად ნერვიულობდა და გამიკვირდა... იქ ლანა გრატიაშვილი და გია მიქაბერიძე შევნიშნე. როცა მათ სიცილით გული იჯერეს, ერთმანეთის ფერება დაიწყეს. როგორც შემდგომ შევიტყვე, მიქაბერიძე იქ იმ მისიით ამოსულა, რომ ხალხს დამუქრებოდა — თუ ვინმე ჩემ გვერდით დადგომას გაბედავდა, ვალერის ბედს გაიზიარებდა".

— ბრალდებულის ჩვენებით, ჟორჟოლიანს ხელში დანა ეჭირა და ვინაიდან მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, იძულებული იყო, შესაშინებლად ესროლა...

**დიანა გვიშიანი**:

— იმ ფაქტს, რომ ჟორჟოლიანს დანა ჰქონდა, არც ერთი მოწმე და არც ლანა გრატიაშვილი არ ადასტურებს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, შემდგომ, საავადმყოფოში ვალერი ჟორჟოლიანის ტანსაცმლის ამოღებისას, რაიმე მსგავსი საგანი ნანახი არ ყოფილა. ასევე არ დადასტურდა მისი ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებლობას, რომ ჩხაიძეს ლანა გრატიაშვილი ექაჩებოდა ხელზე, რის გამოც ბოლო — მერვე გასროლა ვერ გააკონტროლა, ლულამ მიმართულება შეიცვალა და სწორედ მაშინ მოხვდა ტყვია ჟორჟოლიანს.

**— ზაზა ჩხაიძის მეუღლე თუ დაიკითხა და რა შინაარსის ჩვენებას იძლევა ის?**

— სასამართლოზე არა, მაგრამ წინასწარი გამოძიების დროს დაიკითხა. სადაც მან თქვა, რომ მხოლოდ მოკითხვის „მესიჯები" იყო და სხვა არაფერი. ჩვენ ამოვკრიბეთ ყველა „მესიჯი", რომელიც სასამართლოში მტკიცებულებად დევს. მთელი ზაფხულის განმავლობაში შემოსულია დაახლოებით 6-8 მეგობრული მოკითხვის შინაარსის „მესიჯი". ამ „მესიჯების" ავტორი და ადრესატიც იყო ჩხაიძის დეიდაშვილის შვილი ლანა და არა — შორენა ლომჯარია. ეს გახლავთ არა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა, არამედ პოლიციელების მიერ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

**მანანა ჟორჟოლიანი**: „თუ ჩემი შვილი იყო დამნაშავე და მისი ინტერესი ჰქონდათ, მას რატომ არავინ დასდევდა?! ის მთელ დღეს მოძრაობდა — დადიოდა სკოლაში, ცეკვაზე, მასწავლებლებთან, მაგრამ არც „გოლფი", არც „07" არ შეუნიშნავს. ეს მანქანები, რომლებიც ოპერმუშაკებს ეკუთვნის, ჩემს ქმარს დასდევდნენ. თუ მიქაბერიძე ძებნილია, როგორ ვნახე ის ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში? ასე ძნელია მისი დაჭერა? ვინ მფარველობს ასეთი? ეს ადამიანი თავისუფალია და დანაშაულებრივ საქმიანობას აგრძელებს".

**დიანა გვიშიანი**: „ჩვენ გამოვიძიეთ ზაზა ჩხაიძის წარსული. გაირკვა, რომ მისი ტაბელური იარაღით ელიავას ბაზრობაზე დაჭრილია 18 წლის ახალგაზრდა. საქმე აღძრულია და დღემდე პროკურატურაში დევს. საქმეში დევს ექსპერტიზის დასკვნა — მსუბუქი ხარისხის დაზიანება. საგამოძიებო ორგანოებში გვეუბნებიან, საქმეს მსვლელობას ვერ მივცემთ, დაზარალებული არ არის; თანაც, იმ იარაღიდან ჩხაიძეს არ უსვრიაო. მაშინ აგვიხსნას გამოძიებამ, საიდან მოხვდა ჩხაიძის ტაბელური იარაღი სხვის ხელში? ეს არის სსკ-ის ზოგადი ნაწილის კომენტარებში, — იარაღის გასაღება. გასაღება მარტო გაყიდვას კი არ ნიშნავს, — შენი იარაღი შენთან უნდა იყოს. იარაღის გასაღება 7-წლიანი მუხლით ისჯება.

**მანანა ჟორჟოლიანი**: „იმავე ჩხაიძის იარაღით მამამისს კაცი ჰყავს დაჭრილი ახმეტელის ბაზრობაზე. მას 6 წელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ რატომღაც 6 თვეში გაათავისუფლეს. ეს ოჯახი ყველანაირი ხრიკებით მებრძვის. ამხელა ტკივილი მომაყენეს და კიდევ იქით მიწერენ საჩივრებს. მათი გამოისობით, ერთ თვეში ორი უახლოესი ადამიანი დავკარგე — ჯერ მეუღლე, შემდეგ დედა (ინსულტი დაემართა ნერვიულობაზე), რომელიც უსინათლო ქმარს — მამაჩემს უვლიდა. ცნობისათვის, ზაზა ჩხაიძე არის ნარკოტიკების მომხმარებელი. ამ შემთხვევის შემდეგ, ის მანამ იმალებოდა, სანამ სისხლი ნარკოტიკისგან არ გაეწმინდა. ერთი თვის მერე გამოცხადდა განყოფილებაში და თქვა, ცუდად ვიყავი, მოძღვართან ავედი მონასტერშიო. ჩემი ქმარი არც ნარკომანი იყო, ვერც ფულს „აწერდნენ", ვერც თანამშრომლობაზე დაითანხმეს. წესიერი ცხოვრებით ცხოვრობდა და ამის გამო აგებინეს პასუხი — სიცოცხლე მოუსწრაფეს. დღეს ჩვენს პოლიციას ისეთი კადრები სჭირდება, ვინც ყველაფერზე მოაწერს ხელს; ვინც რობაქიძეებს, ვაზაგაშვილებს, გირგვლიანებს და ჟორჟოლიანებს ხელის აუკანკალებლად მოკლავს.

დასაწყისი იხ. გვ. 14


ელიკო იორამაშვილი

დაემთხვა, მოსავლის აღების დრო იყო. ატმები ვერ დავკრიფეთ და დალპა... იძულებული გავხდით, სახლი მიგვეტოვებინა, რადგან რუსებმა ბომბი ჩვენს სახლთან ახლოს, 2 სკოლას შორის ჩამოაგდეს. — იმ დროს სკოლებში რეზერვისტები იყვნენ... ბომბის აფეთქებას იცი, რა ძლიერი ხმა ჰქონდა? იმ დღეს ვიღაც ამბობდა — თუ ნაღმის აფეთქების ხმა გაიგე, ე.ი. გადარჩიო. ძალიან სწრაფად ხდება ყველაფერი... საბედნიეროდ, გადავრჩით. ჩვენი სახლის ფანჯარას მინა ჩაემსხვრა.

**— ელიკო, შენი დედ-მამა რას საქმიანობს?**

— დედა მასწავლებელია. დიცის სკოლაში მუშაობს, მაგრამ ახლა სახლშია. დიცში მოსახლეობა ჯერ არ შესულა. იქ ისევ ოსები მაროდიორობენ. მამა მეურნეობას ყურადღებას არ აკლებს. კარგი მოსავალი გვქონდა ხოლმე: ხილის ნაწილს ვაბარებდით, ნაწილს ვყიდდით... 300 ძირი ატმის ხე გვაქვს. მოსავალი რომ ვერ ავიღეთ, ამან ჩემი ოჯახის შემოსავალზე ძალიან იმოქმედა. ალბათ, ერთ-ორ კვირაში რთველი დაიწყება. ყურძენი იმდენი იქნება, რაც ოჯახს სჭირდება — ჩაბარებას ან გაყიდვას ვერ მოვახერხებთ. როცა გახიზნულები ვიყავით, ვაზი უყურადღებოდ იყო — შეწამვლა, მოვლა ხომ სჭირდებოდა? ახლა ჩვენთან ერთად ტირძნისიდან ლტოლვილი, დედის თანამშრომლებიც ცხოვრობენ. ყველანი ერთად ვართ და მომავლის იმედით ვსულდგმულობთ. მშვიდობაზე ძვირფასი არაფერი ყოფილა...

**ლამარა ბებო** *ჯერ მეორე მსოფლიო ომის შედეგებიც ვერ მოუნელებია, ახლა კი რუსეთის აგრესია დაატყდა თავს! მართალია, მისი ახლობლებიდან არავინ დაზარალებულა, მაგრამ ყველა ქართველზე შესტკივა გული. დარდს სახლის წინ გაშენებული ბაღის მოვლით იქარვებს:*

— მეუღლე 5 წლის წინ გარდამეცვალა. ის ჩვენს ბაღს მართლა კარგად უვლიდა. ბაღი რომ არ მქონდეს, სახლში გამოკეტილი ვერ გავძლებდი. ჩვენთან, კომბინატის დასახლებაში ბომბი რომ ჩამოაგდეს, ყველაფერი მივატოვე და თბილისში გავიხიზნე. აქ რომ ყოფილიყავით, თქვენც შეგეშინდებოდათ და გაიქცეოდით!.. მატარებლით გამგზავრება მოვასწარი — მეორე დღეს, რუსებმა გრაკალის ხიდი ააფეთქეს... 25 აგვისტოს გორში დავბრუნდი. ყველაფერი ხელუხლებელი დამხვდა. მხოლოდ ბაღი გადამხმარიყო, მაგრამ მაშინვე გამოვაცოცხლე! წელს დიდ მოსავალს არ ველი — ვაზს ქრაქი გაუჩნდა... ეჰ, ძალიან გულნატკენი ვარ, ეს რომ დაგვემართა — რამდენი ხალხი დახოცეს რუსებმა!.. მამა საერთოდ არ მახსოვს — ერთი წლის ვიყავი, მეორე მსოფლიო ომში რომ დაიკარგა. ჩემთვის ჯერ იმ ომის შედეგიც არ განელებულა, ახლა კი... ჩვენ, მოხუცები ჯანდაბას, მაგრამ ასეთი საშინელება ახალგაზრდებმაც რომ იხილეთ? ჩემი ახლობლებიდან არავინ დაღუპულა. არც უსახლკაროდ დარჩენილა ვინმე, მაგრამ ყველა დაზარალებული ძალიან მებრალება...


ლამარა ბებო

*70 წლის* **დარიკო მაზმიშვილი** *იმ ავბედით დღეებს, როცა გორი იბომბებოდა, ნათესავის ოჯახში, ტელევიზორის წინ ტირილში ატარებდა. საბედნიეროდ, დღეს უკვე თავის სახლშია, ყურძნის მოსავალიც აიღო და კმაყოფილი და მომავლის იმედით აღსავსეა:*

— 56 წელია, რაც გორში ვცხოვრობ. წინათ საფეიქრო ფაბრიკაში ვმუშაობდი. მერე გავთხოვდი. 2 შვილი მეყოლა, მაგრამ ორივე დამეღუპა... ჩემი უბედურება ამით არ დასრულებულა: 12 წლის წინ გზაზე მივდიოდი. ძაღლი გამომეკიდა და წამაქცია. ფეხი მომტყდა. ოპერაცია ძალიან ძვირი — 2.400 დოლარი დამიფასეს. სად მქონდა ამდენი ფული? დღემდე ასე ვარ — ყავარჯნებით დავდივარ. ვაზის მოვლას ნათესავების დახმარებით ვახერხებ... რამდენიმე წლის წინ, ჩემს მეუღლეს გორელმა ბიჭმა მანქანა დააჯახა შემთხვევით. ქმარი დამეღუპა. იმ ბიჭმა პოლიციაში ფული „ჩაყარა“ და მიიმალა... ახლა კი გავარკვიე მისი ვინაობა, მაგრამ რაღა აზრი აქვს?. ჩვენს დასახლებაში რუსებმა ბომბები რომ ჩამოყარეს, სარდაფში ვიჯექი და საბანს ვკერავდი. საშინელება იყო!.. 11 ადამიანი დაიღუპა! შემეშინდა და გორიდან გავემგზავრე. მთელი დღეების განმავლობაში ნათესავთან, ტელევიზორის წინ ვიჯექი და საინფორმაციო გამოშვებებს თვალყურს გულის კანკალით ვადევნებდი. ცრემლებს ვერ ვიკავებდი... მეგონა, ჩვენს კორპუსს ააფეთქებდნენ ან გაძარცვავდნენ... საბედნიეროდ, ყველაფერი რიგზე დამხვდა. გორიდან წასვლა საერთოდ არ მინდოდა, მაგრამ ნათესავებმა წამიყვანეს — აქ დარჩენა საშიშიაო. შემდეგ, ერთი სული მქონდა, სახლში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ისევ ნათესავებმა არ მომცეს ამის ნება, ან როგორ უნდა დავბრუნებულიყავი იმ სიტუაციაში? ჩემი პატარა ბაღიდან, სადაც ვაზი მაქვს გაშენებული, ყოველ წელს კარგ მოსავალს ვიღებ. არც ეს წელია გამონაკლისი — 300-400 ლიტრი ღვინო მექნება... იმედიანად ვარ, მაგრამ მომავალში რა იქნება, არავინ იცის. მოსახლეობა ჩაფიქრებული, დარდიანი და განერვიულებულია. მაინც გვეშინია...

**ზურა,** *49 წლის, სამარშრუტო ტაქსის მძღოლი:*

— გორის დაბომბვა რომ დაიწყო, სამშვიდობოს უამრავი ხალხი გამოვიყვანე. მგზავრები „მარშრუტკაში“ აღარც ეტეოდნენ, მსუქანი ქალები ერთმანეთს კალთაში ესხდნენ. მათი ფული სულ არ მჭირდებოდა, მაგრამ ზოგმა მგზავრობის საფასური მაინც გადამიხადა — ვისაც რამდენის საშუალება ჰქონდა.. მათი საცოდაობით გული დამეწვა... სამწუხაროდ, ისეთი მძღოლებიც იყვნენ, რომლებიც ომის პერიოდში აქტიურად მუშაობდნენ და შეშინებული მოსახლეობისგან ბლომად ფული იშოვეს. თითო კაცს მგზავრობის საფასურად 70 ლარს ართმევდნენ. რუსი აგრესორებისგან დამფრთხალ ხალხს მთელი დანაზოგი დაახარჯვინეს... რას ვიზამთ? კარგი და ცუდი ადამიანები ყველა დროში არსებობენ.


ზურა

# სტალინმა საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა



მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ყველაზე ცნობილი პიროვნებების გამოსავლენად წამოწყებული და კრემლის მიერ ფართოდ მხარდაჭერილი ინტერნეტკონკურსის „რუსეთის სახელის“ ორგანიზატორებმა იოსებ სტალინს თითქმის მილიონი ხმა ჩამოართვეს, ის კონკურსის ფინალში მაინც გავიდა.

კონკურსის მიზანი, საბჭოთა და მეფის რუსეთის ისტორიების გაერთიანების გზით, ეროვნული სიამაყის განმტკიცება იყო, მაგრამ ნელ-ნელა ეს კამპანია პოლიტიკური ნალმების ველს უფრო დაემსგავსა.

კონკურსის საწყის ეტაპზე სტალინი ქსელურ ხმის მიცემაში უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ, მასობრივი კამპანიის შედეგად, პირველ ადგილზე მეფე ნიკოლოზ II-მ აინაცვლა, მოგვიანებით კი პირველი პოზიციის დაკავება სხვა პიროვნებებმაც დაიწყეს. თუმცა სტალინი ყოველ ეტაპზე და ყოველთვის მცირეოდენი სხვაობით, მეორე ადგილზე რჩებოდა.

აგვისტოში კონკურსის ორგანიზატორმა რუსულმა ტელეარხმა PTP-მა ჰაკერების მიერ ხმების ავტომატური მიწოდება მოიმიზეზა და ხმის მიცემის პროცედურა შეცვალა. ამ ცვლილების შემდეგაც სტალინი მაინც თავის სიმაღლეზე დარჩა და თითქმის ორ მილიონზე მეტი ხმაც დააგროვა. თუმცა სულ ახლახან, კონკურსში მონაწილე 500-კაციანი სიიდან დარჩენილი 12 ფინალისტის ვინაობის გამოცხადებისას, კონკურსის ორგანიზატორებმა სტალინს, მათი თქმით, „უკანონოდ“ დაგროვილი მილიონი ხმა ჩამოართვეს და მე-2 ადგილიდან უცბად მე-12-ზე ჩამოაქვეითეს. ამჯერადაც ყველაფერი იმ „მავნე“ ჰაკერებს დაპბრალდათ, რომლებმაც, კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორის — ალექსანდრ ლიუბიმოვის თქმით, სტალინი „პრობლემის პროვოცირების მიზნით“ აირჩიეს.

ასეა თუ ისე, სტალინი, დანარჩენ 11 ფინალისტთან — ალექსანდრე ნეველთან, პუშკინთან, დოსტოევსკისთან, პეტრე პირველთან, ლენინთან, სუვოროვთან, ეკატერინე დიდთან, ივანე მრისხანესთან, სტოლიპინთან, ალექსანდრე მეორესთან და მენდელეევთან ერთად, იმ სატელევიზიო დებატების ობიექტი გახდება, რომელშიც რუსეთის საზოგადოებაში ცნობილი და პატივდებული ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას. ორგანიზატორების თქმით, მათ დებატებში სტალინის დასაცავად მიიწვიეს რუსეთის კომპარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი, რომლის ღრმა რწმენით, სტალინი რუსეთის დღევანდელ პრობლემებს „ერთ დღეში“ გადაწყვეტდა.

ხმის მიცემა დეკემბერში დასრულდება. მანამდე კი ინტერნეტმომხმარებლები ალექსანდრ ლიუბიმოვის ვებსაიტს „ბომბავენ“. ერთ-ერთმა მომხმარებელმა მას პირდაპირ ჰკითხა, — სტალინისთვის პირველი ადგილის წართმევით ვის შეკვეთას ასრულებო? „არავითარი შეკვეთა არ არსებობს, — უპასუხა მას ლიუბიმოვმა, — არსებობს მხოლოდ სურვილი, რომ ხმის მიცემა უფრო სამართლიანი იყოს“.

სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებული ამჟამინდელი სკანდალი კრემლისთვის ძალზე არასახარბიელო დროს აგორდა. რუსეთს ხომ დიდი ბელადის სამშობლოსთან სულ ახლახან ომი ჰქონდა. სხვათა შორის, რუსულმა ჯარმა ქალაქ გორიდან გასვლისას, სხვა მრავალი ობიექტისგან განსხვავებით, სტალინის სახლ-მუზეუმი უვნებელი დატოვა. მეტიც, ამერიკული The Wall Street Journal-ის ცნობით, სტალინის მუზეუმი რუსი მეომრების სალოცავ ადგილადაც კი იქცა. ისინი მის ფონზე ყოველდღე უამრავ ფოტოს იღებდნენ. მუზეუმის მცველი ასაკოვანი ქალბატონის თქმით კი — თვალცრემლიანი სასმელმოკიდებული რუსი ოფიცრები სტალინის მუზეუმზე ზრუნვისთვის მას დიდ მადლობას უხდიდნენ და ეუბნებოდნენ: „ის დიდი ადამიანი იყო. ჩვენი ქვეყანა მისი წყალობით გაერთიანდა“...

დაბოლოს, უკვე ისიც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სტალინის სახლ-მუზეუმში რუსული ოკუპაციის მუზეუმის გახნა აქვს გადაწყვეტილი. საქართველოს კულტურის მინისტრ ნიკა ვაჩეიშვილის თქმით, ამ გზით მუზეუმი შეიძლება, ქვეყნის ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად იქცეს. სტალინის ნათესავები და განსაკუთრებით მისი უშუალო შთამომავლები კი მუზეუმში ორი სხვადასხვა ექსპოზიციის შეთავსებას დაუშვებლად მიიჩნევენ. მათი აზრით, „ამით საქართველოს ხელისუფლება საბჭოთა ლიდერ სტალინსა და რუსეთს შორის პარალელს ავლებს და საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციას შორის საზღვრის წაშლას ცდილობს“. თუმცა სტალინის მუზეუმის დირექტორის რობერტ მაღლაკელიძის აზრით, რუსული ოკუპაციის თემაზე შექმნილი ფოტოები სტალინის ექსპოზიციას არ შეავიწროებს, რადგან ისინი მუზეუმის „აქამდე ცარიელ“ ოთახში განთავსდება... ■

# მექსიკაში იმქვეყნიურ სამეფოში შესასვლელი აღმოაჩინეს

ქალაქ საკაპას მახლობლად მდებარე ნახევარკუნძულ იუკატანზე მეცნიერებმა. მაიას ტომის მიერ აშენებული გიგანტური მიწისქვეშა კომპლექსი აღმოაჩინეს. ის 11 ქვის ტაძარს, ასმეტრიან გზასა და ნაწილობრივ დატბორილი გამოქვაბულების ლაბირინთს აერთიანებს. ინდიელთა რწმენის თანახმად, ამ გზით, რომელიც მაიას ეპოსშია აღწერილი, ადამიანთა სულები სამყაროებს შორის რთულ და საშიშ გზას ახორციელებდნენ. არქეოლოგ გილიერმო დე ანდას თქმით, „მაიას ტომის წარმომადგენლებს სწამდათ, რომ სწორედ აქ ისახებოდა სიცოცხლე და აქვე იწყებოდა გზა ქსიბალბუში — გარდაცვლილთა სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვაბულებს, როგორც წყალსაცავებს, პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა, მათი მთავარი ფუნქცია მაინც საკრალური იყო და სხვა სამყაროში გადასვლას ემსახურებოდა“. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მაიას ყოველი ტომი თავის მიწისქვეშა პორტალს ქმნიდა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ადრე რამდენიმე მსგავსი სატაძრო კომპლექსი მექსიკის სამხრეთსა და გვატემალაშიც იყო აღმოჩენილი. ■

# რუსეთი დღესაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად მიიჩნევა

**საერთაშორისო ორგანიზაცია Transaparency Internacional-მა ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განმარტებით, ამ რეიტინგის შესადგენად გამოყენებული „კორუფციის შეფასების ინდექსი" ვირტუალური სიდიდეა. ის, ამა თუ იმ ქვეყნის კორუმპირებულობას, მისი მცხოვრებლების თვალსაზრისიდან გამომდინარე განსაზღვრავს. მოსახლეობის რეგულარული გამოკითხვებისა და გამოკვლევების მიხედვით მეცნიერები „0"-დან (კორუფცია ტოტალურია), „10"-მდე (კორუფციას საერთოდ არ აქვს ადგილი) ქულას სვამენ.**

## ყველაზე მოუსყიდავი დანია, შვედეთი და ახალი ზელანდიაა

წლევანდელ რეიტინგს 9,3 ქულით დანია, შვედეთი და ახალი ზელანდია იყოფენ. მათ უმნიშვნელო სხვაობით სინგაპური, ფინეთი, შვეიცარია და ისლანდია მოსდევენ. გერმანია 7,9 ქულით მე-14 ადგილზეა. ქვეყნების ჩამონათვალში კი უკანასკნელი ადგილი ერაყს, ბირმას და სომალის უკავია.

როგორც ბერლინში გამართულ კონფერენციაზე Transparency Internacional-ის თავმჯდომარემ, ჰუგეტ ლაბელემ გაუსვა ხაზი, მსოფლიოს ულარიბეს ქვეყნებში კორუფცია „ადამიანების ბედს განაგებს და ზოგჯერ, როცა საქმე სასმელ წყალსა და საავადმყოფოებში ადგილების ხელმისაწვდომობაში აღებულ ქრთამს ეხება, მათ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხსაც კი წყვეტს". ლაბელეს თქმით, მსოფლიოს ბევრი ღარიბი ქვეყანა კორუფციას, მოსახლეობის სიღატაკესთან ერთად, „პერმანენტულ ჰუმანიტარულ კატასტროფამდე" მიჰყავს.

## საქართველოში უკვე ნაკლებ ქრთამს იღებენ

შედარებით მდიდარ და მდიდარ ქვეყნებში, სადაც კორუფციას მეტ-ნაკლები წარმატებით ებრძვიან, სიტუაცია არაერთმნიშვნელოვანია. ამ მხრივ შარშანდელზე უარესი მდგომარეობაა ბულგარეთში, დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიაში. მაგალითისთვის, ბულგარეთი რეიტინგში 72-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. სამაგიეროდ, ალბანეთის, სამხრეთ კორეის, თურქეთისა და კვიპროსის მცხოვრებთა აზრით, მათ ქვეყნებში კორუფციის საკითხი უკვე ისე მწვავედ აღარ დგას. კერძოდ, კვიპროსს, რომელმაც პორტუგალიასა და ისრაელს გაუსწრო, ხოლო სლოვენიას, ესტონეთსა და ესპანეთს მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამორჩება, რეიტინგში სავსებით ღირსეული, 31-ე ადგილი უკავია.

Transparency International-ის მკვლევრები საქართველოში შექმნილი სიტუაციითაც კმაყოფილნი არიან. ამ ქვეყანას, ჯგუფში — „სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები", ახლა, თურქეთის და ხორვატეთის შემდეგ, მესამე საპატიო ადგილი უჭირავს და უწინდელი 3,4-ის ნაცვლად, 3,9 ქულა აქვს.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გატარებული რეფორმები ქვეყნის მოსახლეობამ ძირითადად მოიწონა და საქართველოს პრესტიჟმა



მსოფლიო არენაზეც იმატა. თუმცა, ამის მიუხედავად, კორუფცია საქართველოში ამ ქვეყნის მცხოვრებთა შეხედულებით, ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად რჩება. ბევრი მათგანის აზრით, ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ უთმობს კორუფციასთან ბრძოლის პროფილაქტიკას და, ძირითადად, მის მიზეზებს კი არა, შედეგებს ებრძვის.

## უკრაინაში, რუსეთსა და ყირგიზეთში კორუფციამ იმატა

მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც Transparency International-ის რეიტინგში რამდენიმე საფეხურით აიწია. ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების დიდი ნაწილი უწინდელ ადგილებზე დარჩა, ხოლო უკრაინა, რუსეთი და ყირგიზეთი უფრო დაბლა დაეშვნენ. კერძოდ, უკრაინა 134-ე ადგილზეა, რუსეთი — 147-ზე, ხოლო ყირგიზეთი 166-ე ადგილს თურქმენეთსა და უზბეკეთთან ერთად იყოფს.

„რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა, ჩვენს რეიტინგში ყველამ სამ ქულაზე ნაკლები მიიღო, — აღნიშნა ჰუგეტ ლაბელემ, — რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში არსებულ კორუფციას ადამიანები აფასებენ „როგორც ძალიან მაღალს", ხოლო მასთან ბრძოლას — „როგორც არასაკმარისს."

## „იმპორტული კორუფცია" გერმანიაში

კორუფციის დონის თვალსაზრისით, თავიანთ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას გერმანელები მეტ-ნაკლებად კეთილსაიმედოდ აფასებენ. ახალ რეიტინგში გერმანიამ უწინდელი მე-16 ადგილიდან მე-14-ზე (7,9 ქულა) გადაინაცვლა. თუმცა Transparecy International-ის გერმანული სექციის თავმჯდომარე სილვია შენკი ამ გარემოებას ძირითადად იმით ხსნის, რომ „საანგარიშო პერიოდში გერმანიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული სფეროები მსხვილ კორუფციულ სკანდალებს არ შეურყევია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გერმანიაში კორუფციის შემთხვევებს ადგილი აღარ აქვს, უბრალოდ, მათი უმეტესობა ჯერ საჯარო არ გამხდარა. ხოლო მათ, რომლებიც საჯარო გახდა (მაგალითად, კონცერნ Siemens-თან დაკავშირებული კორუფციული აფერის გამოაშკარავებამ) საზოგადოებაზე, ძირითადად, გამაჯანსაღებელი გავლენა მოახდინა".

სამწუხაროდ, სულ სხვა მდგომარეობაა ექსპორტზე მომუშავე გერმანიის საშუალო და მცირე საწარმოებში. „კორუფციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში, მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში მომუშავე გერმანული ფირმებისგან ხშირად გვიწევს იმის მოსმენა, რომ იქ ქრთამის გარეშე წინ ნაბიჯსაც ვერ წადგამ, — განაცხადა სილვია შენკმა. — ერთმა მეწარმემ ისიც კი აღიარა, რომ ნებისმიერს, ვინც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რაიმეს ექსპორტს ეწევა, შესაძლოა, პროკურატურა სრულიად განუკითხავადაც კი მიუქსიონ".

# ქალთა სექსუალური ტურიზმი

ქმრებისგან გვარიანად თავმობეზრებული, დედამთილების საზოგადოებისა და ქვაბების ხეხვით უსაშველოდ დაღლილი, საშუალო ასაკის, ეს არცთუ დიდად მიმზიდველი ქალები (რომელთა შორისაც თეთრკანიანიც ბევრია და ფერადკანიანიც, აფროამერიკელიცა და ევროპული ქვეყნების მცხოვრებიც), ეძებენ იმას, რაც ცხოვრებაში ყოველთვის აკლდათ: სექსსა და უდარდელობას. ეძებენ და, იამაიკაზე, კუბასა და დომენიკის რესპუბლიკის კურორტებზე საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასადაც „პოულობენ". ამ ქვეყნების ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში, ერთ-ორ წყვილ ჯინსთან, დახვეწილ მენიუსა და საღამოს კოქტეილთან ერთად, მათ ერთი კვირით ისეთი „საქმროც" — ოცი წლის მიმზიდველი ყმაწვილი — ხვდებათ, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდნენ. და მათ ოცნებას ამჯერად ბოლომდე ახდენაც უწერია. თუმცა ჯერჯერობით, ასეთ ახალ „სექსტურისტ" ქალთა რიცხვი, რომელთაც მსგავსი კომერცია აძლევს ხელს, მაინც მცირეა; თავად მოვლენა კი თითქმის შეუსწავლელი რჩება.

ყოველივე ზემოთ თქმულს „გარდიანში" გამოქვეყნებული ორი ბრიტანელი სოციოლოგის — ჟაკლინ სანცესისა და ჯულია ო'კონელ დევიდსონის ნაშრომიც ადასტურებს. „ბოლო დრომდე ჩატარებულ ანალიტიკურ კვლევებში, — აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, — ეპიზოდები, როცა სექსუალურ მომსახურებაში ფულს ქალი იხდის, საერთოდ არ განიხილებოდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ამას, როგორც წესი, მამაკაცი აკეთებს ანუ სექსმომსახურებაში ფულის გადამხდელი აპრიორი მამაკაცად აღიქმება". არადა, ნეგრილსა და დომენიკის რესპუბლიკის ორ მსგავს კურორტზე დამსვენებელი 240 ქალის გამოკითხვამ სულ სხვა სურათი აჩვენა და ე.წ. „ვარდისფერი" სექსუალური ტურიზმის არსებობაც დაადასტურა. კერძოდ, ბრიტანელი სოციოლოგების მტკიცებით, გამოკითხულ ქალთა დაახლოებით მესამედმა აღიარა, რომ ამ კურორტებზე ყოფნისას ადგილობრივ ახალგაზრდა მამაკაცებთან ფიზიკური სიახლოვე ჰქონდა, 60%-მა კი ასეთ ურთიერთობაში ერთგვარი „ეკონომიკური დაინტერესების ელემენტის" არსებობაც დაუშვა.



უკლებლივ ყველა გამოკითხულმა ქალმა ჟიგოლოს მომსახურების ანაზღაურების საკითხზე ლაპარაკი საერთოდ არ ისურვა, თუმცა მათმა უმეტესობამ სექსში ფულის გადახდა გაამართლა და ამას „ადგილობრივი მომსახურე პერსონალისა და თვით ადგილობრივი ეკონომიკისთვის გაწეული ეკონომიკური დახმარებაც" კი უწოდა. იამაიკის მოსახლეობის 17%-მდე სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს ტურიზმი და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. იმ ახალგაზრდა მამაკაცების 40%, ვისაც სწავლის საშუალება აქვს, კუნძულს ტოვებს. დანარჩენები კი როგორც მოუხერხდებათ, ცხოვრებას ისე იწყობენ. ამიტომაცაა, რომ მონტეგო ბეიში კანადიდან ან ლონდონიდან თვითმფრინავის მორიგი რეისის ჩასვლისას, აეროპორტს ახალგაზრდა მამაკაცების მთელი ბრბო აწყდება. ისინი იქ „აუცილებლად ასავსები „რძის ბოთლების" (ეს მეტსახელი უცხოელმა ტურისტმა ქალებმა ადგილობრივ მცხოვრებთათვის უჩვეულო სიფერმკრთალის გამო დაიმსახურეს) მოლოდინში იყრიან თავს. მათთვის ერთკვირიანი სექსი ერთკვირიანი ცხელი საკვებისა და საჩუქრების ეკვივალენტურია. ნეგრილში, სადაც ყოველწლიურად იამაიკაზე ჩამოსულ 1,3 მილიონ ტურისტთა დიდი ნაწილი ხვდება, ხშირად ხუმრობენ, რომ საშუალო ასაკის ევროპელი ქალები ჩვენთან big bamboo-ს (ფერადკანიანი მამაკაცების სექსუალურ შესაძლებლობებზე ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპიდან გამომდინარე, ეს გამოთქმა უკვე თარგმნასაც კი აღარ საჭიროებს) საპოვნელად ჩამოდიანო.

აეროპორტში მომლოდინეთა შორისაა ვინმე კლინტონიც — მრავალთაგან ერთ-ერთი bear boys-ი, რომელიც ამჯერად მარტო თავის „რძის ბოთლს" კი არ ელოდება, უკვე იმის იმედიც აქვს, რომ თუ ყველაფერი კარგად აეწყობა, ტურისტ ქალზე იქორწინებს კიდეც და ამ გზით სიღარიბიდან თავის დასაღწევი „ბილეთის" ყიდვას შეეცდება. კლინტონი საკმაოდ იღბლიანია და ზოგჯერ, 80 დოლარის ნაცვლად, რომელსაც, როგორც წესი, სასტუმროებში „მომუშავე" ყმაწვილები იღებენ, დღეში 100-150 დოლარამდე შოულობს. ერთ-ერთი პოტენციური „საცოლე", 45 წლის კანადელი ქალი კლინტონთან წელიწადში ხუთჯერ მაინც ჩადის. ხოლო როცა ჩასვლა არ შეუძლია, ფულსა და საჩუქრებს უგზავნის. კითხვაზე, — რას საქმიანობო? — კლინტონი მშვიდად პასუხობს, — ტურიზმის სფეროში ვმუშაობ და თუ ხანდახან სექსიც მიწევს, ეს იმიტომ, რომ მამაკაცი ვარო. მისი ამჟამინდელი „რძის ბოთლი" 50 წლის ამერიკელი ქალია, რომელიც უკვე ბებიაცაა. კლინტონი მას დღისით ყველგან თან ახლავს და ღამითაც სათანადო კომპანიონობას უწევს.

სექსტურიზმის ყველა მონაწილე — ქალებიცა და ახალგაზრდა მამაკაცებიც — თავის საქციელს თანმხლების საჭიროებისა და ტურისტული გიდის ფუნქციების შესრულების აუცილებლობით ხსნის. გამოკითხვაში მონაწილე ზოგიერთი ქალი იმასაც აღიარებს, რომ სექსუალურ ტურიზმში „შემთხვევით" ჩაბმის მიუხედავად, ახლა ამ გამოცდილებას უკვე დიდი სიამოვნებითაც იყენებს. სხვები ასეთ ტურიზმს უპირატესობას მარტო სექსის კი არა, ახალგაზრდა მამაკაცების არაჩვეულებრივად ყურადღებიანი მოპყრობის გამოც ანიჭებენ. „მერე რა, რომ მათი ყურადღება არც გულწრფელია და არც უანგარო, — მშვიდად აცხადებს ერთ-ერთი სექსტურისტი ქალბატონი, — სიყვარულის ილუზია ხომ სიყვარულზე არანაკლებ ძვირი ღირს"... ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ

# SLR McLaren 722 S-ის ღია ვერსია





მომავალი წლის იანვარში კომპანია Mercedes-Benz სუპერავტოს — SLR McLaren 722 S — ღია ვერსიაზე მიიღებს შეკვეთებს, რომელთა პირველი ოფიციალური გამოსახულებები გერმანულმა მარკამ ორიოდე დღის წინ გაავრცელა. ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა პარიზის ავტოშოუზე შედგება. სიახლე 5,5-ლიტრიანი რვაცილინდრიანი ძრავათი იქნება აღჭურვილი. მოტორის სიმძლავრე, რომელიც ავტომატური ხუთსაფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მუშაობს, 650 ცხ. ძალაა. ასეთი სუპერავტო 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,7 წამში ავითარებს, ხოლო 200 კმ/სთ სიჩქარის განსავითარებლად 10,6 წამი იქნება საჭირო. მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 335 კმ/სთ-ია. გარდა ამისა, ავტომობილს ძარას აეროდინამიკის დამატებითი კარბონის ელემენტები, მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები და ადვილად შესადნობი, 19-დუიმიანი ბორბლების დისკები აქვს. ღია Mercedes SLR McLaren 722 S შეზღუდული ტირაჟით, 150 ეგზემპლარად გამოვა. ამ მომენტისათვის მისი ღირებულების შესახებ არაფერია ცნობილი. ■

## „მაზდას" განახლებული როდსტერი

ერთ-ერთმა ესპანურმა საიტმა ფოტოები და გარკვეული ინფორმაცია გამოაქვეყნა მყარი და რბილსახურავიანი განახლებული როდსტერის — Mazda MX-5-I, — შესახებ. შეგახსნებეთ, რომ მანამდე ამ ავტომობილის მხოლოდ ერთი ოფიციალური ფოტო იყო ცნობილი. როდსტერის მსოფლიო პრემიერა პარიზში, საერთაშორისო მოტორშოუზე შედგება, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის 4 ოქტომბერს იხსნება. ახალი ფოტოების თანახმად, Mazda MX-5-ს შეცვლილი წინა და უკანა ბამპერი, რადიატორის განსხვავებული ცხაური, აგრეთვე სხვაგვარი წინა და უკანა შუქფარები ექნება. განახლებული როდსტერისთვის ძრავათა გამა არ შეცვლილა. კლიენტებს 1,8 და 2,0 ლიტრის მოცულობისა და შესაბამისად, 126 და 160 ცხ. ძ. სიმძლავრის მქონე ძრავებით აღჭურვილ მანქანებს შესთავაზებენ. ეს აგრეგატები ან მოდერნიზებული, ექვსსაფეხურიანი „მექანიკით" იმუშავებს, ან ექვსსიჩქარიანი გადაცემათა ავტომატური კოლოფით, რომელიც ევროპულ ბაზარზე ასეთი მანქანების მყიდველთათვის პირველად გაითვალისწინეს. უნდა აღინიშნოს, რომ სიახლეებს გაუუმჯობესებს ხმის იზოლაცია. როდსტერისთვის ასევე გათვალისწინებულია ორი ფერის ძარა და 16 და 17-დუიმიანი სხვადასხვაგვარი დიზაინის მქონე ბორბლების დისკები. ■



## „პორშეს" „სადიზაინერო" ვერსია

გერმანულმა ავტოკონცერნმა — Porsche — როდსტერის — Boxter S — „სადიზაინერო" ვერსია წარმოადგინა, რომელსაც Design Edition 2 ეწოდა. კომპანია სიახლეს პარიზის მოტორშოუზე წარადგენს. „პორშეს" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საბაზო მოდიფიკაციისგან მანქანას 295-დან 303 ცხ.ძ.-მდე გაზრდილი, 3,4-ლიტრიანი ძრავა, გამონაბოლქვის შეცვლილი სისტემა, უკანა შუქფარები, აგრეთვე ხაზები განასხვავებს, რომელიც მთელ მანქანას გასდევს. ასეთი მოტორით ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე სულ 1 კმ/სთ-ით გაიზარდა — 273 კმ/სთ-მდე. კომპანია სულ Porsche Boxter S Design Edition-ის 500 ეგზემპლარად გამოშვებას აპირებს, რომლებიც მხოლოდ თეთრ ფერად შეიღებება. ■




აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. МК-МОБИЛЬ | 1.70 | 20.3 |
| 2. АВТОМОБИЛИ | 8.40 | 50.4 |
| 3. АВТОСЕРВИС | 73.85 | 443.1 |
| 4. АВТОМАГАЗИН | 3.75 | 22.3 |
| 5. АВТОШКОЛА ПРОФИ | 63.70 | 191.0 |
| 6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ | 82.80 | 496.6 |
| 7. АВТОПАНОРАМА | 8.55 | 51.2 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com


რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა



1. იგივეა, რაც ქირურგი
2. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
3. წარწერა კინოფილმის კადრზე
4. მძლეოსანთა გუნდი
5. ქალაქი საქართველოში
6. კოვბოური ფილმი
7. პაკისტანის დედაქალაქი
8. კომში
9. ენაბრგვილი
10. თავის უკანა ნაწილი
11. წიწილებიანი ქათამი
12. ციხის გალავანი
13. ხმლის ბუდე
14. დინდგელი
15. სრული უწესრიგობა
16. თანრიგი კარატეში
17. წალკოტი უდაბნოში
18. ჩახურებული ფქვილი
19. ლხინი, წვეულება
20. ფიროსმანის როლის შემსრულებელი
21. უდაბნო აზიაში
22. სათხილამურო სპორტის სახეობა
23. ირლანდიური ლუდი
24. ფილიპინების დედაქალაქი
25. გაურკვეველი უაზრო ლაპარაკი
26. ამერიკის შტატი
27. ჩვენგან მოშორებით
28. მუზეუმი პარიზში
29. მომავლის რწმენა
30. ავეჯის ნაწილი
31. ერთგვარი კანფეტი
32. ... მარტინი
33. წვრილი გრძელი მოსახარში ძეხვი
34. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი
35. ... კრუზი
36. მდინარე აზიაში
37. ... მახარაძე
38. ხმლის არამჭრელი მხარე
39. იაპონური თეატრი
40. ლუკ ბესონის ფილმი
41. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. უნიკალური; 2. გიორგობა; 3. შაში; 4. ლუნატიკი; 5. რელიგია; 6. ტერმინალი; 7. მალარია; 8. ნოტა; 9. ტილო; 10. ნუგა; 11. დანტისტი; 12. ამპერი; 13. რაბატი; 14. ბალაკი; 15. ტვინი; 16. ჰავანა; 17. ასი; 18. არო; 19. როქო; 20. ბაი; 21. ნამიბია; 22. ნეოფობია; 23. ოდა; 24. რიონი; 25. რეიდი; 26. ტრიო; 27. კავალერია; 28. პარასოლი; 29. ონი; 30. სკალპი; 31. ბაგი; 32. ლინჩი; 33. კვიპროსი; 34. ბლოკი; 35. შიკი; 36. კი; 37. რისლინგი; 38. სოია; 39. ჩაპეკი; 40. აისი.

**სურათებზე:** უიტნი ჰიუსტონი; კევინ კოსტნერი.

# როგორი იუმორის გრძნობა გაქვთ?



*თუკი ამის გაგება გსურთ, მოცემულ ტესტში სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი — თქვენთვის მეტ-ნაკლებად მისაღები პასუხი აღნიშნეთ (ხოლო თუკი თქვენთვის სამივე ვარიანტი მიუღებელი აღმოჩნდება, ნურც ერთს ნუ აღნიშნავთ). პასუხის ყოველ „ა" ვარიანტში დაიწერეთ 3 ქულა, „ბ" ვარიანტში — 2; „გ" ვარიანტში კი — 1; თუკი არც ერთმა ვარიანტმა არ დაგაკმაყოფილათ, ნურაფერს დაიწერთ.*

**1. თუკი ვინმე ტყეში სოკოს საკრეფად ოჩოფეხებზე ამხედრებული მიდის, თქვენი აზრით, ის ასე იმიტომ იქცევა, რომ:**

კ) ასე უფრო საინტერესოა;

ბ) გველების ეშინია;

გ) ზემოდან უკეთ დაინახოს სოკოები.

**2. თუკი ჩამოსასხმელი ლუდის გამყიდველი, სთხოვს ერთ-ერთ რიგში მდგომ კლიენტს, რომ მას ლიმონათი მოუტანოს, ის ასე იქცევა იმიტომ, რომ:**

ა) თავისი ფულით რაიმე უკეთესი სასმლის დალევა სურს;

ბ) გაამხიარულოს რიგში მდგომნი;.

გ) გამოსწორების გზას დაადგა.

**3. თქვენს კოლეგას სამსახურში ჩაეძინა. თქვენ:**

ა) მის გასაღვიძებლად უფროსს დაუძახებთ;

ბ) ვიდრე მას სძინავს, ყავის დასალევად გახვალთ;

ნ) ენერგიულად გაიჯახუნებთ კარს.

**4. საზოგადოებრივ ტრანსპორტში სიმპათიური გოგონა გაიცანით. ის კი პაემანზე არ გთანხმდებათ. თქვენ ეუბნებით:**

ა) სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა;

ბ) კარგი, შეხვედრა სხვა დროისთვის გადავდოთ;

ნ) კი, მაგრამ, რატომ?

**5. გამვლელი ქუჩაში გაჩერებთ და 50 თეთრს გთხოვთ, თქვენ ეუბნებით:**

ა) შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ჩემს აზრებს კითხულობთ;

ბ) სამწუხაროდ, ხელფასს მხოლოდ ათი დღის შემდეგ ვიღებ;

გ) მაინც რისთვის გჭირდებათ ფული?

**6. შემთხვევით წაიკითხეთ განცხადება: „ვცვლი „ნივას" სულერთია რაზე". მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ადამიანი, ვინც ეს განცხადება გამოაკრა:**

ა) ვინმეს ანკესზე წამოგებას ცდილობს;

ბ) ალბათ არ იცის, სად წაიღოს ფული;

გ) ალბათ გარეკა!

**7. მგზავრებით სავსე მეტროს ვაგონში ვიღაცამ ფეხი დაგადგათ და ატყობთ, რომ აღებასაც არ აპირებს. თქვენ მას ეუბნებით:**

ა) იცით, ფეხი, რომელზედაც თქვენ დგახართ, ჩემია;

ბ) ადგილები ხომ არ გაგვეცვალა;

გ) იქნებ, ცოტათი მაინც გაწეულიყავით.

**8. სატელევიზიო დეტექტიური ფილმის კულმინაციურ მომენტში, მოულოდნელად ეკრანი აციმციმდა. თქვენ მიგაჩნიათ, რომ:**

ა) ეს შესანიშნავი შესაძლებლობაა, ფილმის ფინალის საკუთარი ვერსიის მოსაფიქრებლად;

ბ) ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა;

გ) ეს სატელევიზიო არხის ტექნიკური პერსონალის ცუდი მუშაობის შედეგია.

**9. ლატარიის ბილეთის გაგზავნა დაგავიწყდათ, მაგრამ იმ რიცხვებმა, რომელიც თქვენ გადახაზეთ, მოიგო. თქვენ ამას მიიჩნევთ:**

ა) ხელიდან გაშვებულ შანსად;

ბ) საკუთარ უიღბლობად;

გ) ეს ცხოვრება ხომ თქვენთვის დედინაცვალია.

**10. სტუმრად მისულს, დიასახლისი იმ კერძით გიმასპინძლდებათ, რომელიც თვალის დასანახავად გძულთ. თქვენ კი:**

ა) ღიმილით მიირთმევთ და იტყვით, რომ ეს კულინარიული შედევრია;

ბ) ისეთი გამომეტყველებით შეექცევით, ყველა მიხვდება, რომ ამას ძალისძალად აკეთებთ.

გ) კერძს საერთოდ არ შეჭამთ.

## ტესტის შედეგები

**21-30 ქულა:** იუმორის გრძნობა კი გაქვთ, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტი მოგდით. უმჯობესი იქნება, თუ უფრო თავშეკავებულად მოიქცევით, რადგან შესაძლოა, თქვენი იუმორი ისე ვერ გაიგონ, როგორც თქვენ გინდათ; ამან კი შესაძლოა, უსიამოვნება მოგიტანოთ.

**11-20 ქულა:** თქვენ საოცრად ჯანსაღი იუმორის გრძნობით გამოირჩევით; ხუმრობისას არასოდეს ამლაშებთ ხოლმე. თქვენი გონებამახვილური გამონათქვამებით არც არავის შეურაცხყოფთ და არც არავის ღლით, პირიქით, ყველას ამხიარულებთ.

**6-10 ქულა:** კარგ ხასიათზე მყოფიც კი, ზედმიწევნით პრაქტიკულ და საღ მოსაზრებებს აფრქვევთ ხოლმე; ასე ხომ ვერავის გაამხიარულებთ, პირიქით, გარშემო მყოფებს შესაძლოა, თავიც კი მოაბეზროთ.

**0-5 ქულა:** მეტისმეტად მკაცრი და პირქუში ადამიანი ხართ. როცა სხვები ხარხარებენ, თქვენ შესაძლოა ოდნავ გაიღიმოთ; სხვების გამხიარულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ გარშემო მყოფები თქვენთან ურთიერთობას თავს არიდებენ.

# ჰოროსკოპი

**(2 – 8 ოქტომბერი)**

### ვერძი
გელით ფარული შეხვედრები, სერიოზული საქმეები. შესაძლოა, დაშორდეთ საყვარელ ადამიანს. ეს კარგი დროა ხანმოკლე მოგზაურობისთვის.

### კურო
თავი შეიკავეთ კამათისგან. საოჯახო საქმეები ყველაზე დიდ პრობლემად მოგეჩვენებათ, თუმცა მათი მოგვარება ადვილად მოხერხდება. ეცადეთ, სადმე გაემგზავროთ და დაისვენოთ.

### ტყუპები
დროის მოცემული მონაკვეთი ხელსაყრელი იქნება შემოქმედებითი საქმიანობისთვის. უცხოელებთან ურთიერთობა თქვენს ავტორიტეტს გაზრდის. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად არახელსაყრელი დროა.

### კირჩხიბი
ადვილად განახორციელებთ ახალ იდეებს და წარმატებულად დადებთ ხელშეკრულებებს. შეგიძლიათ, ხელი მიჰყოთ ქველმოქმედებას. თვალყური მიადევნეთ მშობლების ჯანმრთელობას.

### ლომი
ძალზე გულკეთილი და ხელგაშლილი იქნებით გარშემო მყოფების მიმართ, რაც მათ აღტაცებას გამოიწვევს. ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. წინათგრძნობის უნარით ბევრ მოვლენას წინასწარ გათვლით.

### ქალწული
ერიდეთ საიდუმლო და საეჭვო საზოგადოებასა და ორგანიზაციებთან ურთიერთობას, რათა არ დაგიქვეითდეთ ავტორიტეტი. შესაძლოა, დაკარგული სიყვარული დაგიბრუნდეთ.

### სასწორი
ამ პერიოდში საკუთარი თავით, ჯანმრთელობითა და პირადი ცხოვრებით იქნებით დაკავებული და უამრავ რეფორმას განახორციელებთ. ამან შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ ბავშვებთან, მეუღლესთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში.

### მორიელი
პროფესიული საქმეების გამო შესაძლოა, შეგეცვალოთ პირად შეხვედრებთან დაკავშირებული გეგმები, რაც პრობლემებს შეგიქმნით სასიყვარულო ფრონტზე. ოჯახური საქმეების გამო უცხოეთში გამგზავრება გელით.

### მშვილდოსანი
სრულად გამოამჟღავნეთ ლიდერისა და ორგანიზატორის თანდაყოლილი თვისებები. ოქტომბრის პირველი დღეები სასურველია, შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოთ. კოლეგები დაგეხმარებიან მიზნის მიღწევაში.

### თხის რქა
თქვენი აქტიურობა პიკს მიაღწევს. დროულად გადადგმული ნაბიჯი პოზიციების გამყარებასა და საწადლის ასრულებას შეუწყობს ხელს. კარგი დროა დაწყებული რემონტის ან მშენებლობის დასასრულებლად.

### მერწყული
პარტნიორებთან მეტად თავშეკავებული იყავით და ნუ შეეწინააღმდეგებით. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული იდეები მომავალში ადვილად განხორციელდება. ახალი და პერსპექტიული საქმეები დიდ მოგებას მოგიტანთ.

### თევზები
საქმიანი და პირადული მიღწევების გამო საოცრად გაიზრდება თქვენი ავტორიტეტი გარშემო მყოფთა თვალში. რომანტიკული და სასიყვარულო ურთიერთობები ამ დროს მთელ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს და აურაცხელ სიამოვნებას მოგიტანთ.

## სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 7 | 4 | 9 | 8 | 1 | 2 | 6 | 5 | 3 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 7 | 4 | 1 | 5 | 2 | 8 | 6 | 3 | 9 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 9 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 5 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 |
| 4 | 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 |
| 9 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 | 3 | 4 | 6 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 7 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 8 | 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 5 |
| 9 | 2 | 4 | 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 6 | 1 | 5 | 7 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 5 | 2 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 |
| 8 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 5 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 5 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 2 |
| 4 | 8 | 6 | 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 9 |

### იაპონური სენსაცია

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 6 | | | 1 | 8 |
| | | 8 | | | 4 | | 2 | |
| | | 1 | | 3 | | | 4 | |
| 7 | | | 6 | | 1 | | | 2 |
| | 2 | | | 7 | | | 5 | |
| 5 | | | | 8 | | | | 4 |
| | 1 | | | 9 | | 4 | | |
| | 6 | | 5 | | | 2 | | |
| 8 | 4 | | | 2 | | | 9 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | | 9 | | | | 7 | |
| | | 8 | 7 | | | | 5 | |
| | | 6 | | 4 | | | | 1 |
| | | 9 | | | | 3 | | |
| 8 | | 5 | | 7 | | 6 | | 4 |
| | | 2 | | 3 | | 8 | | |
| 2 | | | | 1 | | 5 | | |
| | 6 | | | | 8 | 1 | | |
| | 8 | | | | 6 | | 4 | 2 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 2 | | | | 8 |
| | | | | 5 | | | | 4 |
| | | 4 | 3 | | | 6 | | |
| | 6 | | | 7 | | | 2 | |
| | | 8 | 9 | | | 3 | | |
| | 5 | | 6 | 3 | | | 4 | |
| | | 5 | | | 1 | 7 | | |
| 4 | | | | 8 | | | | |
| 2 | | | | 6 | | | 9 | |

# ფოტოკურიოზები














ს 50/38

გაერთიანებული ტელეკომი

## სიახლე გაერთიანებული ტელეკომისგან



## თქვენი სახლის ახალი ტელეფონი!

გახდით გაერთიანებული ტელეკომის აბონენტი და ისაუბრეთ უფასოდ

ჩვენი ქსელის 400000 აბონენტთან მთელი საქართველოს მასშტაბით

ინფორმაციისთვის და რეგისტრაციისთვის დარეკეთ ნომერზე

# 100-100

www.utg.ge